

# სესია

მივხვალვებით სკკ XXV ყრილობას!

2

1976

# სუთნელის გვირაბი



# სსსს

225

გამომცემის მისამართი წელი

2

თბილისი

1976

თბილისი

საქ. კვ. ც.ი.ს. გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

საქართველოს  
საბჭოთა კავშირის  
საქართველოს



ნოღარ შველიძე

## კომუნისტური პარტიის როლის ზრდა ბანკოთარბული სოციალიზმის პერიოდში

საბჭოთა ხალხი დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ხვდება სკკპ ყოველ ყრილობას. ეს უკვე ცხოვრების საბჭოური წესის დამახასიათებელ თვისებად იქცა, რადგან პარტიის ყრილობებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, როგორც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისათვის, ისე საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობაზე შემოქმედებისათვის. კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ღრმა მეცნიერული ცოდნითა და მისი გამოყენების მდიდარი გამოცდილებით, თავის ყრილობებზე აჯამებს კომუნისმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის გრანდიოზული ბრძოლის შედეგებს, მსოფლიო მასშტაბით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ძალთა წარმატებებს, სახავს ჩვენი საზოგადოების ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების პერსპექტივებსა და მეცნიერულად დასაბუთებულ გეგმებს, საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეოპოლიტიკურ კურსს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებანი, რომლებითაც ეგებება

საბჭოთა ხალხი თავისი პარტიის XXV ყრილობას. განვლილმა ხუთმა წელმა საესებით დაადასტურა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის, სამინაო და საგარეო პოლიტიკის მეცნიერული სიღრმე და წინასწარხედვა. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება, რაც პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებულა, დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგია, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობის გზაზე — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფისა და ახალი აღამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში. ყრილობის შემდგომ პერიოდში „ცივი ომის“ გამჩაღებელთა საკამოდ ტრადიციული აქციების სრული პოლიტიკური დევალვაცია, საერთაშორისო მასშტაბით დაძაბულობის შენელება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურად განსხვავებულ სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოლაპარაკებისა და ურთიერთგაგების გზით მშვიდობიანად გადაჭრის კურსი, რომელიც დადასტურებულ იქნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ პელსინკის



თათბირის დასკვნითი აქტით, წარმოადგენს სკკპ ლენინური საგარეო პოლიტიკის უდიდეს გამარჯვებას, ახალ ეტაპს საგარეო უთიერთობათა განვითარებაში.

სწორედ ეს მიღწეული საამაყო წარმატებანი და ღრმა შეგნება იმისა, რომ წინ კიდევ უფრო რთული, საპასუხისმგებლო და მასშტაბური საზოგადოებრივი ამოცანებია, რომლებიც უნდა დასახოს და ამომწურავი პასუხი გასცეს კომუნისტთა დიდმა ფორუმმა, განაპირობებენ საყოველთაო შრომით ენთუზიაზმსა და პოლიტიკური აქტივობის ზრდას წინასაყრილობო პერიოდში. ამჟამად საბჭოთა ხალხი სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების სულსკვეთებით ცხოვრობს. ეს ჩანს ყოველი საწარმოს, დაწესებულების, კოლექტივის, შეგნებული ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პარტიის XXV ყრილობისათვის მზადება მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. უკანასკნელ წლებში საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემათა შორის თანამშრომლობაში მშვიდობიანი თანარსებობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება სრულიადაც არ ნიშნავს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მსოფლიო მასშტაბით კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას, კლასობრივ ზავს, პირიქით, კლასობრივმა ბრძოლამ თანამედროვე ეტაპზე, როცა საერთაშორისო ბურჟუაზია იძულებულია სოციალიზმის გავლენით მსოფლიოში მომხდარ ძირეულ ცვლილებებისადმი შემჯუჭვებლობის გზას დაადგეს, იდეოლოგიის სფეროში გადაინაცვლა და იგი უადრესად დაძაბული გახდა. ბურჟუაზია ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაძლიერებასა და იდეოლოგიურ დივერსიებში ეძებს ხსნას, სულ უფრო და უფრო შენიღბულ, დახლართულ, „მეცნიერულად არგუმენტირებულ“ ფორმებსა და მეთოდებს მიმართავს სოციალური და ეროვნული

განთავისუფლების გზაზე მდგარი ხელების გონებასა და მოქმედებაზე ზეგავლენისათვის, ცდილობს დაამცროს სოციალიზმის მსოფლიო ისტორიული მიღწევები, შეაჩეროს კომუნისზმის იდეების გავრცელება კაპიტალისტურ ქვეყნებში, შეაფერხოს განვითარებადი ქვეყნების წარმართვა არაკაპიტალისტური გზით.

იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება თანამედროვე ეტაპზე საპატიო ამოცანებს აყენებს ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების წინაშე. „ძველ და ახალ სამყაროთა იდეური ბრძოლის თანამედროვე გამწვავების პირობებში, — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — საჭიროა კიდევ უფრო გავააქტიუროთ ჩვენი იდეების შეტევა, გავაძლიეროთ ბრძოლა ბურჟუაზიულ და რევიზიონისტულ იდეოლოგიათა წინააღმდეგ“ (გაზ. „კომუნისტი“, 1974 წლის 22 ივლისი).

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიები, ყველა ჯურის რევიზიონისტები და ოპორტუნისტები განსაკუთრებული გულმოდგინებით აყალბებენ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ისტორიას. ისინი ყოველმხრივ მრუდედ წარმოდგენენ ჩვენს ქვეყანაში კლასებისა და კლასობრივ ურთიერთობათა განვითარების ურთულეს პრობლემებს, ამასთან დარტყმის მთავარ ობიექტად ირჩევენ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, ეჭვს ქვეშ აყენებენ სოციალიზმისა და კომუნისზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიის როლის ზრდის კანონზომიერებას, კიდევ მეტი, მას მიიჩნევენ ხალხთა მასების ინიციატივისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა ხელშეშლელ ძალად, ხოლო ფიშერ-მარეკის ტიპის რენეგატები განვითარებული სოციალიზმის პირობებში, ჩვენში, კომუნისტური პარტიის როლის ზრდაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარტიის მიერ კლასის შე-



ცვლას ხედავენ, ვითომდა ამ უკანასკნელის მიერ კომუნისზმის აშენებისათვის ბრძოლაზე ხელის აღების გამო. მსგავსი „კონცეფციის“ ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ სკკპ როლის ზრდა თანამედროვე ეტაპზე ეწინააღმდეგება ისტორიის მატერიალისტურ გაგებას.

ასეთი შეხედულებანი აშკარა ფალსიფიკაციაა არა მარტო საბჭოთა სინამდვილისა, არამედ ამასთან უხეში დამახინჯებაა კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ლენინის თეორიული დებულებებისა. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები გარკვევით მიუთითებდნენ, რომ მუშათა კლასი კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი საზოგადოებრივი წყობის შემქმნელის ისტორიულ მისიას შესარულებს მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობა მუშათა კლასისადმი საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებითაა განპირობებული და მთლიანად გამომდინარეობს სოციალიზმის არსიდან.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ტიპის პარტიის შესახებ შემდგომ განვითარდა სკკპ XXIV ყრილობის მიერ. სხვანაირად არც შეიძლება. პარტია, როგორც ცოცხალი საზოგადოებრივი ორგანიზმი, განუწყვეტლივ ვითარდება და სრულყოფილი ხდება: იცვლება მისი სტრუქტურა, სოციალური შემადგენლობა, მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამის შესაბამისად ვითარდება მოძღვრებაც პარტიაზე. მაგრამ სრულყოფა და განვითარება როდერ ცვლის მის კლასობრივ ხასიათს, ორგანიზაციულ და იდეურ საფუძვლებს.

პარტიის განვითარებასთან ერთად იზრდება მისი ხელმძღვანელი როლი კომუნისზმის მშენებლობის პერიოდში. როგორც სკკპ პროგრამაშია ნათქვამი: „კომუნისზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმარ-

თელი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1971, გვ. 198). მაგრამ ეს განაპირობა არა იმან, რომ მუშათა კლასი საზოგადოებრივი პროგრესის მიმართ ინდიფერენტული გახდა, დამოკიდებული რევოლუციური, კლასობრივი პოზიციები და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში შექმნილი ვაკუუმის ამოვსებას პარტია კისრულობს, არამედ სწორედ პირიქით; მუშათა კლასის მზარდი პოლიტიკური აქტივობა და სამეურნეო-ორგანიზატორული მოღვაწეობის მასშტაბების ზრდა მოითხოვს მისე ავანგარდისაგან მეცნიერული ხელმძღვანელობის სრულყოფასა და ზრდას. ამიტომ სკკპ როლის ზრდა კი არ აკნინებს, არამედ კიდევ უფრო ამაღლებს მუშათა კლასის როლს, ამაღლებს კლასის ავტორიტეტს მთელი საზოგადოების თვალში, აძლიერებს და აფართოებს მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების მასშტაბებს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება რთული, მრავალწახნაგოვანი სოციალური ორგანიზმია, რომელიც ფართო შესაძლებლობებს უქმნის მუშათა კლასს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კომუნისზმის აშენებისათვის აუცილებელი წინამძღვრების შესაქმნელად. მაგრამ ამ შესაძლებლობათა რეალიზაცია სტიქიურად, ავტომატურად როდი ხდება. მუშათა კლასს კომუნისტური მშენებლობის შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა შეუძლია მხოლოდ პარტიის დაძაბული მუშაობის, პარტიის მიერ სოციალიზმიდან კომუნისზმში გადასვლის კანონზომიერებათა დასაბუთების, მეცნიერული პოლიტიკის დასახვისა და მისი განხორციელების შედეგად. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული შესაძლებლობანი და რეზერვები მით

**ნოდარ ზვალიძე**

კომუნისტური პარტიის როლის ზრდა განვითარებაში სოციალიზმის პერიოდში

უფრო მიზანდასახულად და წარმატებით ამოქმედდებიან, რაც უფრო მეცნიერულად ყოვლისმომცველად იქნება დასაბუთებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი და მათი გამოვლენის კონკრეტული ფორმები, რაც უფრო მაღალი იქნება პარტიის თეორიული, იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე.

კომუნისმის მშენებლობის პერიოდში სკკპ როლისა და მნიშვნელობის ზრდა განპირობებულია რიგი ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც განვითარების ახალ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის გადავლასთანაა დაკავშირებული. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა, როგორც აუცილებლობა და ობიექტური მოთხოვნილების გამოხატულება, პირველ რიგში დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების ზრდასთან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების სირთულესთან. ამასთან, მშენებლობის მასშტაბების გიგანტურმა ზრდამ და სირთულემ პარტიის მოღვაწეობაში მარტო ეკონომიურ პრობლემათა ხვედრითი წილი კი არ გაზარდა, არამედ მას უფრო მაღალი მოთხოვნებიც წაუყენა პოლიტიკური და ორგანიზატორული ხელმძღვანელობის დონის სრულყოფის თვალსაზრისით.

კომუნისტური პარტია, სახაეს რა სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის გზებსა და საშუალებებს, საგანგებო ყურადღებას უთმობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების საფუძველზე კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც საწარმოო ძალთა მძლავრ განვითარებას გულისხმობს. მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა სრულიადაც არ შემოიფარგლება საწარმოო სიმძლავრეთა რაოდენობრივი ზრდით. თუ სოციალიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნა, პირველ ყოვლისა, ნიშნავდა სამრეწველო

საწარმოთა მშენებლობას, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციას, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, არ ხსნის რა დღის წესრიგდანი ახალ საწარმოო სიმძლავრეთა რაოდენობრივ ზრდას, გულისხმობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გადაჭრით ამაღლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე მისი ყველა დარგის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს ღრმა თვისებრივ ცვლილებებს: ქვეყნის სრულ ელექტროფიცირებას და მის საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას; საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათ ავტომატიზაციას, სახალხო მეურნეობაში ქიმიის ფართოდ გამოყენებას, წარმოების ეკონომიურად ეფექტური ახალი დარგების ყოველმხრივ განვითარებას, ბუნებრივ და შრომითი რესურსების სრულად და რაციონალურად გამოყენებას, წარმოებასთან მეცნიერების ორგანულ შეერთებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არაჩვეულებრივ დაჩქარებას; მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, შრომის ნაყოფიერების დიდად გაზრდას, წარმოების ინტენსიფიკაციას, სახალხო მეურნეობის სწორ სტრუქტურულ აღნაგობას. პარტიას მუდამ მხედველობაში აქვს ეს საკითხები და თანმიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს მათი მეცნიერულად გადაჭრისათვის.

ამ მიმართულებით ფასდაუდებელია მნიშვნელობა სამეურნეო რეფორმისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გატარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმებისა და სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სამეურნეო რეფორმამ, რომელ-

მაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული დაგეგმვის შეთავსება ადგილობრივ სამეურნეო ინიციატივასთან, სამეურნეო ანგარიშიანობის ბაზაზე წარმოებით გაძლიერების წახალისებამ და მატერიალური დაინტერესების საფუძველზე ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებამ, შემდგომ შეუწყო ხელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საწარმოო რეზერვების ამოქმედების დაჩქარებას.

პარტია, წინა პლანზე სწევს რა სახალხო მეურნეობის სტრუქტურული სრულყოფის საკითხებს, საგანგებო ყურადღებას აქცევს თანამედროვე ეტაპზე აგრარული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებას, აგრარული პოლიტიკისა, რომელიც შემუშავებული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ, და შემოწმდა შემდგომდროინდელი მთელი ათწლეულის მდიდარი გამოცდილებით. პარტიის აგრარული პოლიტიკის მაგისტრალური ხაზია, როგორც მიუთითებს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამრეწველო-აგრარული ინტეგრაციისა და სამეურნეობათაშორისო კოოპერირების ბაზაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიერ კომუნისტური მშენებლობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე კონკრეტულ ამოცანებს აყენებდა საზოგადოებრივი წარმოების წინაშე, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანად იქცეოდა და წარმატებით ხორციელდებოდა. თანამედროვე ეტაპზე, მეათე ხუთწლეულში, მთავარ ამოცანად ისმის ხარისხის პრობლემა: „მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა გახდა მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლება. ეს შეეხება ჩვენი გეგ-

მების ხარისხსაც, ესე იგი, მათ დასაბუთებათა შეწონასწორებაც. ეს შეეხება სამმართველო საქმიანობის ხარისხსაც — საწარმოო აპარატის პირველადი რგოლებით დაწყებული და ცენტრალური სამეურნეო რგოლებით დამთავრებული. ეს შეეხება შრომის დისციპლინის განმტკიცებასაც, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასაც“ — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა არჩევნებისწინა კრებაზე 1975 წლის 13 ივნისს (გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 14 ივნისი). მაშასადამე, ხარისხის პრობლემა ფართო მოცულობის ცნებაა. იგი მოიცავს მრავალ საწარმოო ეკონომიურ ფაქტორსა და მორალურ პრობლემათა ფართო წრეს. მხოლოდ მეურნეობის ყველა ორგანოს ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და მუშაობის მეთოდების სრულყოფით შეიძლება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამაღლება.

სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა პარტიას ესმის როგორც მეცნიერება და ხელოვნება, სადაც თანმიმდევრულადაა შერწყმული შემდეგი მოთხოვნები: ყოველი საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მასშტაბებით მიდგომა, სამეურნეო გადაწყვეტილებათა დასაბუთებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა, მინდობილი საქმისადმი ხელმძღვანელობაში პერსონალური პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ამაღლება, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება სამეურნეო გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ასეთი ფართო მასშტაბისა და რთული პრობლემების მეცნიერული გადაჭრა შეუძლებელია კომპლექსური მიდგომისა და საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნის

**ნოდარ შვავლიძე**

კომუნისტური პარტიის ობლასტის ზრდა განვითარების სოციალიზმის პერიოდში

გარეშე. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შესწევს უნარი უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერული ხელმძღვანელობა. მაგრამ კომუნისტური პარტია, აქცევს რა თავის მოღვაწეობაში მთავარ ყურადღებას ეკონომიური განვითარების საკითხებს, სრულიადაც არ ცვლის სამეურნეო ორგანოებს და არ უწევს მათ წვრილმან მეურვეობას. სამეურნეო საკითხების გადაჭრისას პარტია გამოდის როგორც მასების პოლიტიკური ხელმძღვანელი. მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ნიშნავს მეურნეობის განვითარების სწორი პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრას, დასახული პოლიტიკური ხაზის გატარებას, მშრომელთა შორის ორგანიზატორული მუშაობის ფართოდ გაშლას, სამეურნეო კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

სურეყუაზიული იდეოლოგიები და რევოიონისტული ელემენტები ხშირად ესხმიან თავს ჩვენს პარტიას იმისათვის, რომ იგი ასე დიდ ყურადღებას უთმობს სამეურნეო მშენებლობის საკითხებს, რომ თითქოს ეს არაა პარტიის საქმე და ა. შ. მაგრამ პარტია ამ „გადახრაში“ ხედავს არა მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან გადახვევას, არამედ, პირიქით, კომუნისმის წარმატებით მშენებლობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ უპირატეს მნიშვნელობას იძენს არა პოლიტიკა, არამედ ეკონომიკა, რომ „პარტიის უმთავრეს და უძირითადეს ინტერესს შეადგენს პროდუქტთა რაოდენობის გადიდება, საზოგადოების საწარმოო ძალთა უდიდესი რაოდენობით გადიდება“ (ვ. ი. ლენინი., თხზ., ტ. 33, გვ. 213).

სოციალიზმის ერთ-ერთი უპირატესობა კაპიტალიზმთან მისი გეგმაზომიერი განვითარებაა. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი, უწინარეს ყოვლისა, ხორცს

ისხამს სამეურნეო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, რაც პარტიის ეკონომიური პოლიტიკის გამოვლენაა.

სახალხო სამეურნეო გეგმებში, რომლებიც შედგენილია პარტიის ხელმძღვანელობით და დამტკიცებულია პარტიულ ყრილობებზე, მეცნიერულადაა განსაზღვრული სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და ძირითადი ამოცანები საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე.

დიდ ამოცანებს აყენებს სკკპ წინაშე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების დასახული გეგმის მასშტაბები, რომელიც კიდევ ერთი წინაგადადგმული ნაბიჯი იქნება კომუნისმის მშენებლობის გზაზე.

განვითარებული სოციალიზმის დროს კომუნისტური პარტიის როლის შემდგომი ზრდის მეორე განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს მშრომელთა მილიონების პოლიტიკური აქტივობის არნახული აღმავლობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს საქმიანობასა და წარმოების მართვაში.

მშრომელთა აქტიურ ჩაბმას არა მართა წარმოებაში, არამედ აგრეთვე წარმოების მართვაში უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც წარმოადგენს კომუნისტური თვითმართველობის დამკვიდრებისაკენ გამიზნულ საშუალებას. იგი ფართო შესაძლებლობას იძლევა ხალხთა შემოქმედებისა და ინიციატივის გამოვლენისათვის, ადგილობრივ საქმიანობაზე წვრილმანი მეურვეობისაგან ცენტრალური ხელისუფლების განთავისუფლებისათვის.

კომუნისტურ მშენებლობაში მშრომელთა მზარდი აქტიურობა ნათელ გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის ბრძოლაში. სოციალისტური შეჯიბრება შესაძლებლობას იძ-

ლევა როგორც წარმოების რეზერვების გამოვლენისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, ისე სოციალისტური შრომის დისციპლინის მტკიცედ დამკვიდრებისათვის, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის დისციპლინა გულსხმობს არა მარტო შინაგან წესრიგს, ვაცდენებისა და დავიანებათა აღკვეთას, არამედ მინდობილი, საქმისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას, წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ახალ საშუალებებისა და მეთოდების ძიებას, მისი ეფექტურობის ამაღლებას, მატერიალური რესურსების უკეთ და ეკონომიურად გამოყენებისათვის ზრუნვას, საზოგადოებასა და კოლექტივთან პიროვნების ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას მალალიდურობისა და შეგნებულობის საფუძველზე. ასეთი დისციპლინა არ შეიძლება თვითდინებით, სტიქიურად დამკვიდრდეს. იგი რთული, ხანგრძლივი პროცესია და პარტიისა და მთელი საზოგადოებრიობის გამუდმებულ ზრუნვას საჭიროებს.

ცნობილია, რომ საბჭოთა ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის სარბიელს, მშრომელთა შეგნებულ დისციპლინით აღზრდის მძლავრ ასპარეზს წარმოადგენს შრომითი კოლექტივი, განსაკუთრებით მისი ძირეული უჯრედები. შრომითი კოლექტივის ბირთვი, რომელიც მთელი კოლექტივის მუშაობას წარმართავს, არის პარტიული ორგანიზაცია. შრომით კოლექტივში ყალიბდება მშრომელთა ახალი, სოციალისტური თვისებები, იქმნება მეგობრობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების დამოკიდებულება. ამიტომ შრომითი კოლექტივების განმტკიცებას პარტია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ასევე უნდა ითქვას მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების შესახებაც. ეს არის წარმოების მართვაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის მეტად ეფექტური ფორმა, მუდმივმოქმედი

საწარმოო თათბირები იქმნება ფაბრიკებში, ქარხნებში, საწარმოო-დაწესებულებებში და ფართო შესაძლებლობას ქმნის წარმოების განვითარებაზე მუშა-მოსამსახურეთა კონტროლისა და ზრუნვისათვის, მათი შემოქმედებისა და ინიციატივის გამოვლენისათვის. ასეთ თათბირებზე ისახება შრომის დისციპლინის განმტკიცების, საწარმოო რეზერვების გამოვლენის, ნოვატორობის გავრცელების, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის, მუშა-მოსამსახურეთა სტიმულირებისა და სხვა საკითხები, რომელთა გადაჭრას პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის გამოცდილება ადასტურებს, რომ მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის სწორად წარმართვის უნარი შესწევს მხოლოდ კომუნისტურ პარტიას. პარტია ეხმარება მშრომელთა მასებს დარაზმულობაში, შესაძლებლობათა მაქსიმალურად მობილიზაციაში ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

პარტიის როლის ზრდას განვითარებული სოციალიზმის დროს განაპირობებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლის ამაღლება. თანამედროვე ეტაპზე საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლისა და მნიშვნელობის გაზრდა მოითხოვს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას. კომუნისტური პარტია კადრების პოლიტიკის მეშვეობით, არ ერევა რა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოღვაწეობაში და არ ცვლის

---

**ნოდარ შველიძე**  
კომუნისტური პარტიის როლის ზრდას განვითარებული სოციალიზმის პერიოდში

მათ, ანხორციელებს თავის მიზანდასახულ ხელმძღვანელობას ყველა ამ ორგანიზაციათა საქმიანობის მიმართ ერთი მიმართულებით წარმართვისათვის. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანაში გაიზარდნენ, განმტკიცდნენ, მათ შეიძინეს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელობის, გაძღოლის დიდი გამოცდილება. ამან, ერთის მხრივ, გააიოლა პარტიის წინაშე მდგარი ამოცანები, რამდენადაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სულ უფრო წარმატებით სჭირან მათ წინაშე მდგარ დიდ პრობლემებს, მეორეს მხრივ მანვე გაართულა პარტიული ხელმძღვანელობა, სულ უფრო მზარდი ამოცანები დააყენა მის წინაშე, რადგან სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოღვაწეობის მასშტაბების ზრდამ გაზარდა მოთხოვნილება მეცნიერული ხელმძღვანელობისადმი.

აძლიერებს რა სახელმწიფოებრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, პარტიას დაუშვებლად მიაჩნია მუშაობაში პარალელიზმი და დუბლირება, აგრეთვე წვრილმანი მეურვეობა, თავისი ავტორიტეტით ამ ორგანიზაციების შეზღუდვა და დაჩრდილება. ეს, ერთის მხრივ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ინიციატივასა და შემოქმედებითობას ზრდის, მეორეს მხრივ, ამაღლებს სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი პარტიის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეს. პარტიას მეტი შესაძლებლობა ეძლევა მთელი თავისი ყურადღება გაამახვილოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური, იდეოლოგიური და კულტურული განვითარების პრობლემებზე, საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების ანალიზზე, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად თეორი-

ისა და პოლიტიკის უმთავრესი საკითხების დამუშავებაზე.

კომუნისტური პარტიის ძალა მასებთან კავშირშია. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ მარტო ავანგარდს, მარტო პარტიას არ შეუძლია ააშენოს ახალი საზოგადოება. „ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როცა მას უნარი შესწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას“ (ვ. ი. ლენინი, ფხზ., ტ. 33, გვ. 262-263).

მისდევს რა ლენინის ანდერძს, თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, პარტია განუწყვეტილვ სრულყოფდა ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს, განამტკიცებდა მასებთან კავშირს — უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეშვეობით. პარტია მუდამ საგანგებო ყურადღებას აქცევდა მათ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში არ ყოფილა პარტიის არც ერთი ყრილობა, რომელზეც ამა თუ იმ ფორმით არ განხილულიყო საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის და მშრომელთა სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებთა მუშაობისა და ხელმძღვანელობის საკითხები.

მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია უზრუნველყოს მასობრივ ორგანიზაციებისადმი მეცნიერულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რადგან: ჰერ ერთი, პარტია მომზადებულია ამისათვის თავისი შემადგენლობით. აერთიანებს რა თავისი რიგებში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, პარტია გამოდის როგორც მთელი ხალხის მოწინავე რაზმი; მეორე, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, პარტია შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით. მესამე, პარტია წარმოადგენს უაღრესად ორგანიზებულ ძალას, განმტკიცე-

ბულს რკინიგებური დისციპლინითა და ნების ერთიანობით. ამ დისციპლინასა და ორგანიზებულობას პარტია თავისი წევრების მეშვეობით შეიტანს მასობრივ ორგანიზაციებში და წარმართავს მათ საქმიანობას ერთი მიზნისაკენ;

კომუნისტური პარტიის როლის ზრდა განპირობებულია აგრეთვე თანამედროვე ეტაპზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის როლისა და მნიშვნელობის ზრდით, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებით.

კომუნისტური პარტია მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თეორიას, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა კომუნისტური მშენებლობის მასშტაბები უაღრესად გაიზარდა და გართულდა. ანხორციელებს რა კომუნისმის მშენებლობისადმი ყოველდღიურ და ყოველმხრივ ხელმძღვანელობას, პარტია გამოდის იქედან, რომ სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლა საზოგადოებრივ განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა, რომ ამ კანონზომიერებათა შესაბამისად ხდება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა და ახალი ადამიანის აღზრდა. მაგრამ ამ პროცესებისადმი სწორი ხელმძღვანელობა შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების შეცნობის, ანალიზისა და გათვალისწინების გარეშე, მათი თეორიული დასაბუთების გარეშე, მოვლენების ანალიზისა და შეფასების, როგორც დღევანდელი დღის, ისე ხვალისდელი დღის გათვალისწინების გარეშე.

ამ კოლოსალური თეორიული სამუშაოს შესრულება შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით და განუწყვეტლივ აწვითარებს მას კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანებისა და მსოფ-

ლიო მასშტაბით რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებათა შესაბამისად.

ლენინურ ფუნდამენტურ დებულებებსა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სკკპ თავის XXIII და XXIV ყრილობებზე მრავალი თეორიული აქტუალური პრობლემა გააშუქა და ამით თანმიმდევრულად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. პარტიამ კონკრეტულად დასახა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზები და საშუალებანი, თეორიულად დაამუშავა დაგეგმვისა და მართვის მეთოდები, სახალხო მეურნეობის ეფექტურობის ამაღლების საშუალებანი, შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხები. შემუშავებულ იქნა პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე და სხვ.

პარტია ამუშავებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თეორიულ პრობლემებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი. საჭიროა ამ თეორიულ სიმდიდრეს დაეუფლონ მასები. კომუნისმის მშენებლობა საბჭოთა ადამიანების წინაშე აყენებს ისეთ გრანდიოზულ ამოცანებს, რომელთა დაძლევა შესწევთ მხოლოდ მაღალიდღურ, თეორიული ცოდნით შეიარაღებულ მიზანსწრაფულ ადამიანებს რომელთაც ყოველმხრივ აქვთ შეგნებული კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისა და მისი პერსპექტივების მნიშვნელობა. ამიტომ იდეოლოგიურ-აღმზრდელითი მუშაობა მასებში პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. პარტია გამოდის იქედან, რომ „რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნისმის

**ნოღარ უვალიჩა**  
კომუნისტური პარტიის როლის ზრდა  
ზანთითაგაბული სოციალისმის პერიოდში



მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმების და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში, და, მასწავლადაც, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1971. გვ. 169).

და ბოლოს, სკკპ ხელმძღვანელი როლის ზრდა თანამედროვე ეტაპზე განპირობებულია საერთაშორისო ვითარების სირთულით. სოციალიზმის მსოფლიოს სისტემის განმტკიცებისათვის ბრძოლა, კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების ამოცანები აყენებენ მთელი რიგი ურთულესი პრობლემების თანმიმდევრული დამუშავების საჭიროებას. თანამედროვე კაპიტალიზმი, მიმართავს რა მსოფლიოში შექმნილ ვითარებისადმი შემგუებლობის პოლიტიკას და იდეოლოგიური ბრძოლის დახვეწილ ფორმებსა და მეთოდებს, კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან მოითხოვს საგარეოპოლიტიკური ამოცანებისადმი ახლებურ მიდგომას და შესაბამისად მეცნიერულად დამუშავებული ტაქტიკის გამომუშავებას. კომუნისტური პარტია ერთადერთი რეალური ძალაა, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს მშვიდობისათვის მოძრაობის ხელმძღვანელობა მსოფლიო მასშტაბით, ამასთან განამტკიცოს ეს მოძრაობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საფუძველზე.

სკკპ XXIV ყრილობის შემდგომი პერიოდის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პარტიის როლის ამაღლება საგარეოპოლიტიკური კურსის გატარებისას—ერთადერთი სწორი კურსია. სკკპ სამშვიდობო პოლიტიკის თანმიმდევრულმა გატარებამ უზრუნველყო მსოფლიო მასშტაბით დაძაბულობის შემდგომი შენელება, გაფართოვდა განსხვავებულ სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის უშიშრო-

ებისა და ფანამშრომლობის კოლექტიური კონსტრუქციული სისტემის შექმნა, რაც, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკის გამარჯვებაა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში კომუნისტური პარტია გადაიქცა მუშათა კლასის მასობრივ პარტიად, ხოლო განვითარებული სოციალიზმის დროს — მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა, როგორც ნათქვამია სკკპ პროგრამაში — „მთელი ხალხის პარტია“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1971, გვ. 198). ეს მოვლენა პარტიის განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს და სავსებით შეესაბამება ლენინურ მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დებულება მასებთან პარტიის კავშირის შესახებ.

ვ. ი. ლენინი მასებთან კავშირში ხედავდა პარტიის ავტორიტეტისა და ძლიერების ზრდის წყაროს. პარტიის ისტორიული მისიაა არა მარტო კლასის, არამედ საერთოდ მშრომელთა ფართო მასებისადმი ხელმძღვანელობა, მათი ორგანიზაცია, იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათი ინიციატივისა და შემოქმედებითი რევოლუციური ენერჯის მობილიზაცია. მაგრამ ხალხის მხარდაჭერა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა პარტია გამოხატავს მასების ინტერესებს: „ხალხის მასაში ჩვენ მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვპართოთ, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეგნებული აქვს. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაუძღვება მასებს, და მანქანა დაიწლებს“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 357).

ხალხის ინტერესებისადმი თანმიმდევრულმა სამსახურმა, რაც დადასტურებულია პარტიის მთელი ისტორიით, უაღრესად აამაღლა პარტიის ავტორიტეტი. გაიზარდა მშრომელთა საუკეთესო

წარმომადგენლების ლტოლვა პარტიისაკენ, ამჟამად სკკპ უდიდესი მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში 15 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს. მაგრამ მასობრიობა უბრალო, აბიომექიკული ცნება როდია, იგი გულისხმობს აგრეთვე პარტორგანიზაციების, კომუნისტების კავშირს და გავლენას საზოგადოებასა და მშრომელებზე.

კომუნისტური პარტიის მასობრივი ხასიათი დიდმნიშვნელოვან წინამძღვარს ქმნის სოციალისტური და კომუნისტური გარდაქმნებისათვის, რადგან პარტიის რიგების ზრდაში ასახვას პოულობს მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების პოლიტიკური აქტიურობისა და შეგნებულობის ზრდა. მაგრამ პარტიისაკენ მილიონების ლტოლვა თავის პრობლემებსაც ქმნის, რაც უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიაში შერჩევით მიღება, არ იქნას დაშვებული პარტიისა და მთელ საზოგადოებას შორის ზღვარის წაშლა, ყველა შემთხვევაში პარტია დარჩეს როგორც ავანგარდი. ამიტომ იყო, რომ სკკპ XXIV ყრილობამ საგანგებოდ შეაჩერა პარტიის ყურადღება პარტიაში მიღების საკითხებზე, პარტიის შემადგენლობის თვისობრივ გაუმჯობესებაზე.

ის ფაქტი, რომ კომუნისტური პარტია მთელი ხალხის პარტიაა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მან დაჰკარგა კლასობრივი ხასიათი. პარტიის კლასობრიობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი მხოლოდ ერთი კლასის კარჩაყეტილი ორგანიზაციაა, რომელიც უუუაგდებს სხვა სოციალურ ფენათა მოწინავე წარმომადგენლებს. ჩვენი პარტია მუდამ აერთიანებდა თავის რიგებში მოწინავე მუშებთან ერთად აგრეთვე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებსაც, თუმცა ყოველთვის საგანგებო მნიშვნელობა ექცეოდა პარტიაში მუშათა ბირთვის რიცხობრივი უპირატესობის უზრუნველყოფას. პარტიის რიგების ზრდა უპირატესად მუშათა

კლასის ბაზაზე „სავსებით შეესაბამება ჩვენი პარტიის ბუნებას, მუშათა კლასის ადგილსა და როლს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში“ (ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობა, თბ., 1971, გვ. 127).

მაგრამ პარტიის კლასობრიობა განისაზღვრება არა მარტო მისი სოციალური შემადგენლობით, არამედ სხვა ფაქტორებითაც: მისი იდეოლოგიით, საბოლოო მიზნებითა და პროგრამით, სტრატეგიული გეგმებითა და პოლიტიკური ხელმძღვანელობით, რომელიც ჩვენს პარტიაში მუდამ იყო და არის კლასობრივი, მარქსისტულ-ლენინური.

კომუნისტური პარტიის კლასობრივი ბუნება, ის, რომ იგი ყველაზე მოწინავე, რევოლუციური კლასის — მუშათა კლასის ავანგარდია, წარმომადგენს პარტიის ძლიერებისა და ავტორიტეტის უმთავრეს წყაროს. ის ფაქტი, რომ სკკპ მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა, ნიშნავს მთელი საზოგადოების სულ უფრო და უფრო ფართოდ დადგომას მუშათა კლასის პოზიციებზე, მათი ინტერესების ერთიანობას. კლასთა დაახლოებას სოციალური ერთგვაროვნების მიღწევის გზაზე.

ასევე პარტიის ძლიერებისა და ავტორიტეტის წყაროა მისი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. ავითარებს რა შემოქმედებითად მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, პარტია მკაცრად იცავს მას ყოველგვარი ოპორტუნისტული ხელყოფისაგან, დოგმატიზმისა და რევიზიონიზმისაგან. თეორია ის მძლავრი მანათებელი შუქია, რომლითაც კომუნისტური პარტია შორს უნათებს გზას საბჭოთა საზოგადოებრივ განვითარებას.

პარტიის ძალა მისი რიგების არა მარტო რაოდენობრივ, არამედ აგრეთვე თვისობრივ ზრდაშია. თვისობრივი ზრდა

---

**ნოდარ შველიძე**  
კომუნისტური პარტიის როლი ზრდა განვითარებაში სოციალიზმის პერიოდში

გამოხატულებას პოულობს კომუნისტთა შეგნებულობის ამაღლებაში, იდეურ წრთობაში, პარტიის წევრთა ზოგადსაგანმანათლებლო ცენზის ზრდასა და ზნეობრივ სიწმინდეში.

პარტიის ავტორიტეტს დიდად განაპირობებს შეგნებული დისციპლინა, შეურიგებლობა ყოველგვარ უპასუხისმგებლობასთან, თავაშეგებულობასთან და თვითნებობასთან. პარტიაში არ არსებობს ორი დისციპლინა. იგი ერთნაირად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის, — სულ ერთია ხელმძღვანელი იქნება იგი თუ რიგითი.

პარტია ავტორიტეტს იქმნის იმით, რომ იგი განუწყვეტლივ ზრუნავს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვისა და განვითარებისათვის. პარტიის ისტორია თვალნათლივ ადასტურებს, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებიდან ყოველგვარ გადახვევას მივყავართ მასებისაგან პარტიის მოწყვეტისაკენ, პარტიისა და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებისაკენ, ნეგატიური მოვლენების წარმოშობისაკენ, სერიოზულ შეცდომებისაკენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ ახლო წარსულში. ამ შეცდომებისა და სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტია დროულად გააფრთხილა სკვპ ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობილ დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზული დასკვნები გააკეთა სკვპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად და უკანასკნელ წლებში გადაჭრით გარდაქმნა მუშაობა პარტიულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია ამ მიმართულებით.

კომუნისტური პარტიის ძლიერების წყაროა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, მოღვაწეო-

ბაში ნაციონალური და ინტერნაციონალური მომენტების სწორად შეხამება. აწყობს რა თავის ორგანიზაციებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, პარტია თვით იძლევა ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაჭრის ნიმუშს, ზრდის ყველა ერი-სა და ეროვნების მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაც თანმიმდევრულად ამაღლებს მის ავტორიტეტსა და გავლენას ყველა ხალხებში.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში პარტიის განვითარების კანონზომიერებაა აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ ბაზაზე მისი რიგების შემდგომი იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცება, შინაპარტიული ურთიერთობათა სრულყოფა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანმიმდევრული დაცვა, კოლექტიურ ხელმძღვანელობასთან ერთად პარტიული კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება პარტიულ-სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა განხორციელებისას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის XXV ყრილობას ხვდება შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვისა და კომუნისტთა აქტივობის ამაღლების საქმეში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებით. პარტია კვლავაც თანმიმდევრულად იბრძვის, რათა ყველა ინსტანციასა და ყველა ორგანიზაციაში არსებობდეს ისეთი დამოკიდებულება კომუნისტთა შორის, რომ პარტიის ყველა წევრი გრძნობდეს თავის თავს, ერთის მხრივ, პარტიის მთელი საქმიანობის აქტიურ და სრულყოფილებიან მონაწილედ, მეორეს მხრივ, სრულ პასუხისმგებლად პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტია ავითარებს რა შინაპარტიულ დემოკრატიასა და ქმნის ყოველგვარ პირობას პარტიულ პოლიტიკაში თვი-

თეული კომუნისტის თავისუფალი, აქტიური მონაწილეობისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს თავის წევრთა მიერ პარტიული დისციპლინის მტკიცედ დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობას, ხელმძღვანელი კადრებისაგან ხალხის წინაშე მოვალეობის დიდ შეგნებას, სწორ, პარტიულ რეაგირებას კრიტიკაზე. პარტია მოითხოვს, რომ ყველგან და ყოველთვის დისციპლინა, საქმიანი თვისებები და პასუხისმგებლობა ეხამებოდეს ინიციატივას, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას.

კომუნისტურ პარტიას მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი მშვიდობისა და საზოგადოებრივი პროგრესის გზით. ჯერ კიდევ არ მდგარა პარტიის წინაშე ისე-

თი გრანდიოზული ამოცანები, როგორც აქამად დააყენა ცხოვრებამ, ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა პარტია ისეთი შემჭიდროებული თავისი ისტორიული მისიის განხორციელებისათვის ბრძოლაში, როგორც აქამად. „ჩვენი პარტია თავის მორიგ ყრილობას მონოლითური და მიზანდასახული ეგებება, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1975 წ.) პლენუმზე. — ხუთი წლის მანძილზე უდიდესი მუშაობა გაწეული. ურღვევია პარტიისა და ხალხის ერთიანობა. ყოველივე ეს ქმნის ჩვენი დიადი საქმის შემდგომი წარმატებების საჭირო წინაპირობებს“. (გაზ. „კომუნისტი“. 1975 წლის 7 დეკემბერი).



ნიკრი ვაზიძე

# XXV ყრილობის დელეგატი

ხომ შეეძლო, ნიკოლოზ გასტელოს გადმომხტარიყო და არ დამწვარიყო მტრის ბენზინის ცისტერნებთან ერთად?

ბიჭი ლამეებს ფიქრში ატარებდა: ხომ შეიძლებოდა კაპიტანი გადარჩენილიყო? უნდა გადმომხტარიყო... მაშინ გაზეთებშიც ასე წერდნენ: თვამფრინავის ეკიპაჟს შეეძლო პარაშუტებით გადმობტომა და მიწაზე დაშვება, მაგრამ მეთაურმა და ეკიპაჟის წევრებმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინესო. ბიჭი მინც თავისაზე იღვა, უნდა გადმომხტარიყვნენ, მერე რა, თუ მიწაზე ფაშისტები დახვდებოდნენ, დახოცავდნენ იმ ფაშისტებს, აბა რისი გმირები იყვნენო.

იკონებს ახლა გიორგი კურტანიძე ამ ამბავს და სევდიანად ელიმება.

როცა წამოიჩიბა, მიხვდა, რატომ არ ვაღმობტა გასტელო ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან.

დღეს კაპიტან გასტელოს სურათი თბილისის ფოლადთუქსამსხმელო ქარხნის მესამე საყალიბო საამქროში ჰყიდა, ვმირი მფრინავი გიორგი კურტანიძის მეკობეთა ზრივადის მეშვიდე წევრია. ვლადიმერ გოგოლაძე, გოდერძი ფერაძე, ზიატხან ბინატოვი, იური კურტანიძე, ხეთისო ალბუთაშვილი, თამაზ ღვინიაშვილი, ნიკოლოზ გასტელო. ეს გახლავთ ბრიგადის სრული შემადგენლობა.

ფიქრობს გიორგი კურტანიძე, დივანზე წამოწოლილა და ფიქრობს.

თახში ხმაურით შემოდის გიორგის უმცროსი ძმა იური. იგი ძმანე ერთი თავით მაღალია, თმა შუბლზე ჩამოშლია, ტუჩების კუთხეებთან შავი, სქელი უღვავი მტვრის ვან თეთრად შეფიქვია. ხელის თითებზე რალაც მოყვითალო ფერის ნარგევი სცხია. ეტყობა, ბირდაპირ ქარხნიდან მოვიდა.

— რა ჰქენი, გააკეთე? — ოდნავ შეაცრალ ჰკითხა გიორგიმ.

— გააკეთე, — ისე თქვა იურიმ, ძმისთვის არ შეუხედავს.

დასახლისმა მიუღლე და მახლი ვახშამზე მიიპატოეა.

საუბარი აქაც ვერ აწყო, იურის წასვლა უნდოდა, არ გაუშვეს. მინც წავიდოდა, მაგრამ უმცროსი ძმისწული პატარა ნონა ჩამოეკილა მკლავზე.

— კობს ვაფრთხილება უნდა, ამდენი ხანია ქარხანაში მუშაობ და ეს არ უნდა მოგსვლოდა. — წამოიწყო გიორგიმ.

იურიმაც კარგად იცის, რომ არ უნდა მოსვლოდა. კობის გატეხა იოლი საქმე არ არის, კობი რომ არ იყო, ხვალ მეყალიბებები ვეღარ იმუშავებენ, მეყალიბებები რომ ვერ იმუშავებენ, დამკვეთები სხმულს ვერ მიიღებენ. ჰოდა, დღეს, რალაც ეშვავად იურიმ ჩარჩო რომ მოხსნა, კობი ორად გაიყო. ეს შთელმა ბრიგადამ, მთელმა საამქრომ გაიგო, ვადირია ბრიგადირი, ამ თვის დამლევს, ეს რა მომივიდაო. დღეს ასტრახანის სამჭედლო ჩაქუჩების ქარხნის დავკეთას ამზადებდნენ, ხვალ უნდა ჩამოესხათ და უცებ ასეთი ჩავარდნა! გაწყრა გიორგი, მაგრამ ზომიერად, ეა არ უყვირია, ისე, მწყურალად შეხედა უმცროს ძმას და ორად ორი სიტყვა უთხრა:

— დარჩები და გააკეთებ!

ასე სხვა დროსაც უთქვამს ბრიგადირს იურისთვისაც, ვლადიმერისთვისაც, გოდერძისთვისაც, როცა რაიმეს ვერ ასწრებდნენ, გიორგი ორ-სამ კაცს რამდენიმე წუთით დატოვებდა საამქროში. მაგრამ ახლა ისეთი კილი იგრძობო იურიმ, რომ ეწყინა, გული ჩაწყდა, ძმამ ასე როგორ გამიმეტაო.



— კობი, კობია, მაგრამ... — ველარ დაამთავრა იური.

— კობი, კობია, ღიახ. და კობი არ უნდა გატყდეს! — ისევ დინჯად თქვა გიორგიმ.

პატარა ნონა, ამდენ ხანს, რომ კუთხეში თოჯინას აწვალებდა, უცერად წამოხტა, მაგადს ასკინკილათი შემოუარა, თან გახარებული იძახოდა:

— კობი, კობი, ტელესკოპი, რატომ აზიო ბელებს კობი... კობი...

ყველა გაცივდა, გიორგისაც, იურისაც. მაგრამ ასეთმა განწყობილებამ სულ ცოტა ხანს გასტანა.

— შენ გეწყინა, მაგრამ აბა დაუყვირდი, რა მოყვებოდა იმ ერთი კოპის გატეხას. ბრიგადა დავალებას ვერ გაანადღებდა. ბრიგადის დავალება კიდევ არაფერი, მაგრამ სხვებს რაღა პასუხს აძლევდი, მეყალიბებებს რას ეტყოდი, ასტრახანელებს რას ეტყოდი...

იურიმ ესეც იცოდა, მაგრამ ახლა სულაც არ სურდა ამაზე ლაპარაკი. უმჯობესი იყო, ძმას ეკითხა, ახალი კობი როგორი გამოვიდა.

— რა მოხდა ასეთი, ერთი კობი გატყდა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა. ბიუს მთელი საღამო უშუშავია, კიდევ საყვედურობ? — სცადა დაძაბულობის შენელება გიორგის მეუღლემ.

— თავისი გაფუტებული საქმე თვითონ უნდა გამოასწოროს.

— ხომ გამოასწორა.

— ჰოდა, მეც უბრალოდ შეეახსენე, კოპს გაფიქსილება უნდა-მეთქი, — თითქოს მოღბა ბრიგადირი. — მეორე კობი კი გააკეთა, მაგრამ პირველზე გახარჯული მასალა ხომ წყალში ჩაიყარა.

ნავსმძევს იური შინ წვიოდა.

ნონა კარამდე მიჰყვა, უხაროდა, რომ მამიკო და ძია იური მისი საყვარელი ლექსის სიტყვებს ხშირად იმეორებდნენ, კიდევ უნდოდა მოესმინა, მაგრამ დიდები რომ სხვა თემაზე გადადიოდნენ, თვითონ შეახსენა: კობი, კობი, ტელესკოპი...

იურიმ ბავშვი ხელში აიყვანა და ყურში ჩუმიად უთხრა: მე ნამდვილ ტელესკოპს გიყიდი, ახლა შინ შედი და დაიძინეო.

ნონამ ცქცისით აირბინა რამდენიმე საფეხური, არ იცოდა რა იყო ნამდვილი ტელესკოპი, არც სათამაშო ტელესკოპი უნახავს ოდესმე, მაგრამ მაინც სიხარულით ცას ეწია, მიხტოდა და მიიმღეროდა: კობი, კობი, ტელესკოპი.

— ხვალ როგორმე ადრე უნდა მოხვიდე, — მხარზე დაჰკრა ხელი გიორგიმ განაწყენებულ ძმას. — ტავანროვის დაკვეთა როგორმე უნდა დავამთავროთ.

შინ რომ შებრუნდა, უნდა-ოდა ნონასთვის

კოპის ლექსი ეთმევიენებინა, მაგრამ ბავშვი დაძინებული დაუხვდა.

— ნამეტან სიმკაცრეს იჩენ, — უსაყვედურა მეუღლემ გიორგის. — ვანა შენ კი არ გატეხია კობი.

გასტეხია, როგორ არ გასტეხია.

ახლაც თვალწინ უდგას ვლადიმერ კურტანძის შემფოთებული სახე. ვლადიმერ კურტანძიმე მაშინ, 1955 წელს, მეკოპთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა, გიორგის ბიძაშვილი იყო, ჰოდა, ახლადგამომცხვარ მეკოპეს ეგონა, ღორშეული კურტანძიმე და ისიც ალალი ბიძაშვილი, როგორ დამსკისო.

ძნელი იყო მაშინ კოპების დამზადება, ყალიბები სულ სხვა იყო — პრიმიტიული და არასაიმედო.

ერთხელ რომელიღაც დეტალის სახურავის კოპს ავეთებდა, მთელი დღე მოუნდა, ცდილობდა, კარგი გამოსვლიოდა. კობი, როგორც იქნა, ვაშრა და რომ აიღეს, კარგა დიდი ნაწილი გვერდიდან მოეხსნა და ქვის იატაკზე ნამსხვრევებად იქცა.

შეშინდა ქაბუკი მეკოპე.

ასეთი შარცხი პირველი იყო მისთვის, პირველი იქნებოდა, აბა რა, ქარხანაში სულ რამდენიმე თვის მოსული იყო და...

შეშინდა, უფრო მეტად შერცხვა და საამქროდან გაქცევა დააპირა.

ბრიგადირი ვლადიმერ კურტანძიმე ისეთი ყაცი იყო, ვერაფერს გამოაპარებდი. გიორგის საშუაო ადგილზე მივიდა, კოპის ნამსხვრევებით პეშვი აივსო და ყველას შეეკითხა, ვინ ქნა ესაო. ყასილად შეეკითხა, მშვენივრად იცოდა, ვისი კობი იყო გატეხილი. მეო, დაუფიქრებლად წამოიძახა გიორგიმ.

ჰოდა, მაშინ იყო ბრიგადირმა მკვახე სიტყვები რომ თქვა ახალბედა მეკოპის მისამართით. გიორგიმ გაგულსდა, და იქვე გადაწვივითა ხვალედან ქარხანაში არ მოვალო.

არ მოვალო, მაგრამ მივიდა. ჩვეულებრივზე ადრეც მივიდა.

იმ დამეს საკუთარ თავს მოეთათბირა და დასკვნა. კომუნისტს უფლება არა აქვს წუთიერ განცდებს აჰყვეს, კომუნისტს უფლება არა აქვს სამართლიანი შენიშვნა არ მიიღოს და არ გაითვალისწინოს.

გიორგი კურტანძიმე მაშინ სულ ახალი შესული იყო პარტიის რიგებში. კობი ვის არ გატეხია. მაგრამ ამ პარტის არც წინათ და არც ახლა არაფერ შეხეებდრია მშველად.

იური ახალგაზრდა, შეიძლება იჩქარა, თუმცა მარტო იური ბრალო არ იყო ეს, ამ საქმეში ზიატხან ზინთოვიც ურევია, ერთად ამ-

**ივარი ტაბიძე**

XXV შრილოზის დელემბატი

საქართველოს მწერთა კავშირი

ზადებდნენ კოპს. ზიატხანს ცალკე მოელაპარაკება.

ვითომ უნდა ეპატიებინა ძმისთვის?

უნდა შებრალებოდა სამუშაო საათების შექდევნვას რომ დარჩა და, ვინ იცის, რამდენი ოფელი დაღვრა ახალი კოპის დამზადებაზე?

არ უნდა ეპატიებინა. არ აპატიო კიდევ და ცამდე მართალი იყო.

გიორგი კურტანიძის რაღაც ახალი აქვს ჩაფიქრებული. ეს ახალი ჭერ ნათლად გამოკვეთილი არ არის გონებაში, მაგრამ იგი ძირითადად პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებას ეხება. ამის შესახებ გაკვირვებით უკვე ელაპარაკა სამაქროს უფროსს, ქარხნის მთავარ ინჟინერს, პარტიული კომიტეტის მდივანს, მხოლოდ გაკვირვებით, საფუძვლიანად კი ჭერჭერობით გონებაში აწყობს გეგმებს. ჰოდა, ამ დროს ასეთი მარცხი. თუმცა ერთი კოპის გატეხა ზა მარცხია, მაგრამ რაღა მინცადამინც ახლა მოხდა ეს...

ღლით უთენია წაივია ქარხანაში. ნახავის მიწოდებელი მანქანა არ მუშაობდა, მიმანქანე ჭერ არ მოსულიყო, იური და ზიატხან ბინატოვი ყუთებით ეზიდებოდნენ საკოპე მასალას და ხის ყალიბებში ასხამდნენ.

— ადრე მოსულხარო, — გაეღიმა ბრიგადირს. — კი მაგრამ რაზე მუშაობთ?

— აჲ გუშინ გვიტხარო, ტავანოვოს ქარხნის სამკედლო დგანებისათვისო, ჩვენც იმას ვაკეთებთ, — უბასუხა იური ისე რომ სამუშაოსათვის თვლია არ მოუცილებია.

— კარგია, — კმაყოფილებით თქვა ბრიგადირმა, — მაგრამ მე ეს კი არ მოქვამს, ქარხანაში ექვს საათზე მოდიო-მეთქი.

შემდეგ გიორგიმ ბინატოვი გაიხმო და ორი-ოღე სიტყვით აგრძნობინა, გუშინდელ ამბავში დანაშაული შენც მიგიძღვისო.

— არ ვიცი, როგორ მოხდა, — გაწითლდა ბინატოვი. — ყველაფერი რიგზე გვეგონა და უცერად კოპი შუაზე გაიყო, სასწაულია პირდაპირ.

— ხდება ასეთი სასწაულები, ჰოდა, კიდევ რომ არ მოხდეს, მეტი დაკვირვება საჭირო.

იურის და ზიატხან ბინატოვის არც დაკვირვებულობა აქლიათ, არც მონღომება, არც ენერჯია და არც გამოცდილება, თითოთი საჩვენებელი არიან სამაქროში და მთელს ქარხანაში, ბრიგადირს უშიშროდ ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია კოლექტივი, მაგრამ, რას იხავ, მარცხი ვის არ მოსვლია.

იური პირფართო ნიშნით ყალიბში საკოპე მასალას ასხამს და თან ანგარიშობს, რამდენი კილოგრამი მასალა გადაიყარა გუშინ იმ გატეხილი კოპის გამო. აღბათ ორას კილოგრამამდე. ორასი კიდევ არაფერია, მაგრამ ამ ნახავში, რომელსაც მეკოპები კომპოზიციას

უწოდებენ, შედის სუფთა ქვიშა, მინა, დექსტრატი, წყალი, დაფქვილი ნახშირი, ცოტა შლაკი. აი რამდენი წვალუბის შემდეგ მიიღება საკოპე მასალა.

ბრიგადირს კი სულ სხვა აზრი უტრიალებს თავში, იგი სხვა რამეზე ფიქრობს, ვერა და ვერ დალაგდა გონებაში ეს აზრი, ხან რა დებრიკოლება აღუდგება წინ, ხან — რა.

ფიქრობს ბრიგადირი, ფიქრობს ქარხანაშიც, შინაც. მისი ბრიგადის ინიციატივამ წლეულს, დიდი სამამულო ომის დამთავრების 30 წლისთავისათვის მზადების დღეებში, ქვეყანა მოიარა. მეკოპებმა ბრიგადის წევრად მიიღეს საბუთო კავშირის გმირი კაპიტანი ნიკოლოზ გოსტელო და ეს ამბავი ეულის სისწრაფით მიედლო მთელს რესპუბლიკას. შრომითს კოლექტივებს თავიანთ რიგებში შეჰყავთ ომში დაღუპული გმირები, თანამოქალაქეები, თანასოფლელები.

ახლა კი კარს მოგვდგამია საბუთო ქვეყნის კომუნისტთა XXV ყრილობა... ზვალ სამაქროს პარტიული ორგანიზაციის კრებამ უნდა განიხილოს ამ ყრილობისათვის მზადების საკითხი. გიორგი კურტანიძე, როგორც სამაქროს კომუნისტთა წინამძღოლი, როგორც კომუნისტი, ჩვეულებრივად, ყოველდღიური მანქანებზე მუშაობით ვერ შეხვდება ყრილობას, თქვას თუ არა ზვალ კრებაზე თავისი მოსაზრება? მაგრამ ბრიგადის წევრებს რომ არ მოთათბირებია? არა უშავს, მორიგ კრებაზე აუცილებლად შეიტანს დღის წესრიგში.

ამალამ კი უნდა დამთავროს მოხსენება „სკკპ XXV ყრილობისთვის მზადება და სამაქროს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“, სულ ორი-ოღე გვერდი დარჩა, მანამდე მოესალუბრე სამაქროს უფროსს, ბრიგადირებს, კომუნისტებს...

სამაქროში, მეკოპეთა უბანზე მანქანები აგრუხუნდნენ. იური კურტანიძეს და ზიატხან ბინატოვს კარგა ხანია შეუერთდნენ ბრიგადის სხვა წევრები: გოდერძი ფერაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, თამაზ ღვინიაშვილი.

საკოპე მასალით სავსე რკინის ყუთი ზედ თამაზ ღვინიაშვილის თათთან ჩერდებოდა. თამაზი ზემამწე ქალს გაოცებით შესცქერის, მას ჭერ ხის ყალიბი არ აუწყვია და ეს ამდენი კომპოზიცია სად წაიღოს.

— უკან წაიღე! — უყვირის თამაზი მეამწესს.

მაგრამ ყუთი მაინც მის თავთან დგას.

ბრიგადირი ხელით ანიშნებს მეამწესს, ტვართი არ დასძრათ და ყალიბის აწყობაში ეხმარება თამაზს.

იური გამზადებულ კოპს დასტრიალებს, კარგი საყურებელია ყალიბიდან ახლად ამოსული კოპი, ჭერ კიდევ ოდნავ რბილი, სწორი

კუთხეებით. კოპთან რიგრიგობით მიდიან ბრი-  
გადის სხვა წევრები, ხან წინიდან მოუვლიან,  
ხან გვერდზე დაუდგებიან, ხან ჩაჩოქებენ და  
ისე უტყვობენ, აქაო და, ერთი კაცის თვალი  
ყველა ნაკლს ვერ შეამჩნევსო.

მაგრამ რაც უნდა მიონდომო, კოპი მთლად  
უნაკლო არ გამოდის. ხან კუთხე ექნება ოდ-  
ნავ ჩაქუციკლი, ხან გვერდზე — ბეჭდისოდენა  
ცარიელი ადგილი. ეს დღი ცოდვა არ არის,  
ამას ნაკლს არც ეძახიან, მაგრამ თვალს მაინც  
ხედება. ჰოდა, აი, ჩაჩოქილა იური კურტანი-  
ძე და კოპის ჩაბრტყელებულ კუთხეში ლურ-  
სმნებს არბობს. ეს ლურსმნები არამტურის მო-  
ვალეობას ასრულებს. იური ამ კუთხეში ორი-  
ვე ხელით აგოზავს ნარევს, მერე მოშორდება  
და ხელმოჩრდილული უცქერის.

ბრიგადირი თამაზ ლენინაშვილთან საქმეს ამ-  
თავრებს და ძმის ნახელავს, ისე, სხვათა შო-  
რის, უყურებს, მეჩხერ უღვაშეში ელიძეებს.

არ უნდა ეთქვა გუმბო საყვედური, ერთი  
კოპისათვის არ უნდა ეთქვა, ბრიგადაში ხომ  
ათასში და ათათასში ერთხელ ხდება ასეთი  
რამ, იური არაფრით ჩამოუვარდება ბრიგადის  
სხვა წევრებს, ის კი არა, ძმა რომ არ იყოს,  
შეიძლება პირველ ადგილზეც დააყენოს.

— დღეს ხუთ საათზე ყველანი თავს ვიყრი  
წითელ კუთხეში, — ეუბნება გიორგი საქმეში  
გართულ ძმას.

იური დგება, მუხლებიდან მტვერს იწმენდს  
და თვალებით ეკითხება ბრიგადირს: რისთვისაა.

— იქ ნახავ, ახლა ახსნა-განმარტების დრო  
არ არის.

ასევე გააფრთხილა გიორგიმ ვლადიმერ გო-  
გოლაძე, გოდერძი ფერაძე, ზიატხან ბინატო-  
ვი, თამაზ ლენინაშვილი.

— რატომ ვიკრიბებით? — ეკითხება იური  
ზიატხანს.

— აბა რა ვიცი, ალბათ ასეა საჭირო, შეი-  
ძლება აგიტატორი მოვიდეს.

— დღეს აგიტაციის დღე არ არის.

ალბათ გუშინდელი ამბავი უნდა გამოიტა-  
ნოს საჯაროდ, ფიქრობს იური, მაგრამ მეგო-  
ბარს არ უშეხვს.

ასევე ფიქრობს ზიატხანიც, თქმით კი სულ  
სხვას ამბობს, რახან აგიტაციის დღე არ არის,  
წითელ კუთხეში ალბათ ხვალინდელ განრიგს  
გაგვაცნობენო.

მაინც რა მოუსვენარია ეს მათი ბრიგადირი,  
იგი სამიქროს პარტიული ორგანიზაციის მდი-  
ვანია, პარტიის ლენინის რაიკომის წევრი, სა-  
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტა-  
ტი, ხან რაიკომშია, ხან რესპუბლიკის პარლა-  
მენტშია, ხან სად, ხან — სად. და მაინც პი-

რველი მეკოპე, პირველი ბრიგადირი, პირვე-  
ლი მეგობარია...

გიორგი კურტანიძეს, გინდ დაიჭერეთ, გინდ  
არა, არც ერთი წუთი მოცლა არა აქვს. ზოგ-  
ჯერ შინაც დაღამებამდე ვერ მიდის, ათასში  
ერთხელ თუ მოუსწრებს მღვიძარე ბავშვებს.

ჰოდა, მაინც ფიქრობს, ეძებს, რა აქვს ამდენ-  
ი საძებნელი, მისაკვლავი, საფიქრალი ამ კაცს.  
მისი ბრიგადა მთელს რესპუბლიკაში კი არა,  
მთელ კავშირშია სახელგანთქმული, გვეგმებს  
გადაჭარბებით ასრულებს, თვითონ გიორგი  
სოციალისტური შრომის გმირია, მეკრძნე ოქ-  
ტომბრის რევოლუციის ორდენი უბრწყინავს.

მართო ის რად ღირს, რომ წლელს, აბრი-  
ლში პირადად მან, გიორგი კურტანიძემ, ლო-  
რეშელი გლეხის შვილმა, საბჭოთა კავშირის  
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-  
ტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრენევიცის  
წერილი მიიღო. მისამართზე პირდაპირ ასე ეწე-  
რა: „თბილისის ფოლადთუქსასხმელო ქარხნის  
მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს, რომელსაც სა-  
თავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი  
გ. კურტანიძე“.

მეტი რაღა უნდა ადამიანს, იყოს ახლა თა-  
ვისთვის, იმუშაოს ჩვეულებრივად, აკეთოს კო-  
შები და შინ დროზე მივიდეს, მღვიძარე ბავ-  
შეებს მოუსწროს.

პირდაპირ რომ უთხრა ეს გიორგის, ალბათ  
გულშიმება, მის მაღალ შუბლზე ვაოცების ნი-  
შანი გამოისახება, და იქნება არცა თქვას, მა-  
გრამ მაშინვე მოაკონდეს 1957 წელი. რაიკომის  
ბიუროზე პარტიაში რომ იღებდნენ, შეეკი-  
თხნენ: როგორ წარმოგიდგენიათ კომუნისტი?  
გიორგის მაშინ ნიკოლოზ გასტელოს სახელი  
წამოსცდა, მისდაუნებურად წამოსცდა, სულ  
სხვა რამ უნდა ეთქვა...

ხომ შეეძლო ნიკოლოზ გასტელოს ცეცხლ-  
მოკიდებული თვითმფრინავიდან გადმოხმტა-  
რიყო?

ხომ შეუძლია გიორგი კურტანიძეს მხოლოდ  
თავისი საქმე აკეთოს და შინ დროზე მივიდეს?  
როგორ არ შეუძლია.

მხოლოდ ეგ არის, ვერ მოიქცევა ასე, კომუ-  
ნისტია და იმიტომ.

იმ დღეს გიორგი კურტანიძის ბრიგადამ და-  
ვალეება პირნათლად გაანადღა.

დაბანილ-გასუფთავებული ბიჭები წითელ კუ-  
თხეში მოგროვდნენ.

იური კურტანიძე და ზიატხან ბინატოვი ერ-  
თად ისხდნენ და წუთი-წუთზე მოელოდნენ  
მწარე-მწარე სიტყვებს გუშინდელი მარცხის  
გამო.

**ივანე ტაბიძე**  
XV პრილოვის დელეგატი

— ახალ ვალდებულებებზე უნდა მოვიღობარკოთ, — დაიწყო ბრიგადირმა. — წლებულს ბრიგადამ ვალდებულება ორჯერ იყოსრა, ერთი წლის დამდგვს, მეორედ მაშინ, როცა ლეგენდარული გასტელო თავის წვევრად მიილო. ამასთან, მეკოპებმა კარგა ხანია პირადი ხუთწლიანი გეგმა დიდი ვადამეტებით გაანადღეს.

კიდევ რა ვალდებულება უნდა ეკისროთ, წესით უნდა ეკითხათ ბიჭებს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არავის ვაკვირებია ეს, არ ვაკვირებიათ იმტომ, რომ თებერვალში ყრილობა იხსნება.

— წინადადება შემომაქვს, — არ აცალა ბრიგადირს გოდერი ფერამე, — ბრიგადის თითოეულ წვევრზე წლებულს გამოვეუშვით კოპები შეიდასი ტონა თუჯის სხულიდან.

— მერე გამოვა? — შეეკითხა გიორგი.

— გამოვა, — თქვა იური კურტანიძემ.

— ზიატხანი ამბობს, არ გამოვაო, — იხუმრა გიორგიმ, როცა ნახა, რომ ბინატოვი არაფერს ამბობდა.

— გამოვა, — დაეთანხმა ბინატოვი მეგობრებს.

— ჩვენ გვინდა მეთე ხუთწლედში ეს ციფრი ათას ტონამდე ავიყვანოთ. შეძლებთ? ათასი ტონაო? მეტისმეტი ხომ არ იქნება? ამბზე უნდა ვიფიქროთ. — თავი შეიკავა თამაზ ლენიაშვილმა.

ბრიგადირს უკვე ნაფიქრალი აქვს, ამას წინათ პარტიული კომიტეტის მდივანსაც ელაპარაკა ამის შესახებ.

ბიჭებმაც უნდა იფიქრონ.

ისე ძნელი კია. ნამდვილად ძნელია.

ათასი ტონა თითოეულ წვევრზე.

ეს 7,3 პროცენტით საშუალო წლებურ მატებას ნიშნავს.

ამ მატების ანგარიშზე მეთე ხუთწლედის ყოველ წლებიწადს 18,3 ათასი მანეთის ეკონომიას მიიღებენ.

ეს უზარმაზარი საქმეა. დაე, იფიქრონ, აწონდაწონონ.

მაინც როგორ დაემთხვა გიორგისა და ბრიგადის წვევრთა წინასაყარლობო ჩანაფიქრი. მაგრამ ამ ათას ტონაზე ბიჭები შეჩქვიდნენ, ჭერ-ჭერობით თავის შეკავება ამჯობინეს. პართალიც არის, იქნებ ბრიგადირი აჩქარდა და ყველაფერი ვერ გაითვალისწინა? მერე როგორია, თქვა, ამას და ამას ვავაკეთებო და ვერ ვაკეთო, ხომ მოგეჭრა თავი!

გიორგიმ სიტყვასიტყვით გაიხსენა ამხანაგ ბრევინის ბარათის შინაარსი. წერილის დასასრულს გენერალური მდივანი გიორგის სწერდა: „სულთა და გულით გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ხუთწლედის ღირსეულად დამთავრებისათვის მუშაობაში“.

ეს წარმატებები უნდა იყოს! — მტკიცედ დაასკვნა ბრიგადირმა.

შესვენების შემდეგ გიორგი მეკალიბეთ: უბანზე შეყვანდა. როცა მობრუნდა, გულდაგულ შეათვალიერა უკვე „გამშრალი“ კოპები, რომლებიც ყველგან ეწყო, ზოგი მთლად გაშეშლებული, ზოგი ისევ ყალიბში. ბრიგადირის თვალმა შეინშნა, რომ რამდენიმეს რკინის რგოლები არ უჩანდა ან ოღნავ უჩანდა.

იური კურტანიძე და ვლადიმერ გოგოლაძე ალაპავეის ქარხნისათვის გასამზადებელი დგანის კორპუსის კოპს ყალიბს აცლიდნენ. ირგვლივ ფიცრები კი აეშალათ, მაგრამ შიგ დატანებული რამდენიმე ლატანი ვერას ზოთ ვერ გამოქონდით. ლატანები კოპის მთელ სივრცეზე გადიოდა. ზოგჯერ იცის ხოლმე „გაჯიუტება“ ასეთმა ყალიბებმა და აქ დიდი სიფრთხილება საჭირო. რომ კოპი არ ვატყდეს და მიეული დღის შრომა წყალში არ ჩავეყაროს. ბიჭები ბერკეტებით აწებოდნენ, მაგრამ ამოად.

— ჩაქუჩით ცვადოთ, — ჩაერია საქმეში ბრიგადირი

— ცვადოთ, მაგრამ... — დაეჭვდა ვლადიმერი.

აქაო და ჩაქუჩი რომ ეიხმართ, შეიძლება კობი დევაზიანოთ.

მიხვდა ბრიგადირი. ვლადიმერის შიში საფუძელიანი იყო. მერე თვითონ აიღო ჩაქუჩი და ლატანის თავებს გვერდებიდან ოღნავ მიუკაქუნა.

— აბა მოსინჯეთ! — იძახდა დროგამოშვებით.

ბიჭები ბერკეტს აწებოდნენ და თავებს აქნევდნენ.

გიორგი უფრო მძლავრად, მაგრამ ოსტატურად იმორებდა დარტყმებს და ბოლოს „გაჯიუტებულ“ ლატანი დორჩილდა, გვერდი შეიკვალა, ბერკეტის დაწოლას მიჰყვა და ბოლოს კობიდანაც გამოძერა.

ბიჭები ახლა კოპის ზედაპირის გასუფთავებას შეუდგნენ.

— ეს ვინ დამაზნადა თითი დაადო გიორგიმ ერთ-ერთ კოპს.

— ჩვენ, — უბასუხა თამაზ ლენიაშვილმა და მითითებულ კოპს რამდენჯერმე შემოუარა.

— აბა ერთი აიღე და აქეთ გადმოდგი! — უბრძანა ბრიგადირმა.

თამაზი სახტად დარჩა. ამ ნახევარტონიან კოპს მთელი საამქროც ადგილიდან ვერ დასძრავდა.

კარგა ხანს უყურა ბრიგადირს გაოცებულმა, მერე ისევ კოპს დახედა და რაღაცას მიხვდა, სახზე წითელმა ფერმა ვადაპკრა. უხმოდ დაადრო ჯიბიდან წვრილტუჩიანი ქაფჩა და დაფარული რკინის რგოლების გამოჩნერკას შეუდგა.

რკინის რგოლები იმიტომ აქვს კოპს, რომ აწვევს კაუჭი ამოსდოს და გადაიტანოს.

— ასეა, როცა კაუჭის მოსაქიდი არა აქვს, ხელით უნდა გადაიტანო, — ღიმილით თქვა ბრიგადირმა.

ეს დღეც დასრულდა. ადრე დაიშალნენ ბრიგადის წევრები.

ყველას თავისი საფიქრალი ჰქონდა და ამერად საკუთარ თავთან განმარტობა ამჯობინეს.

ახლა დროს ცვლის დამთავრების შემდეგ ყოველთვის თავს იყრიდნენ საღმე, თათბირობდნენ, ხვალინდელ გეგმებს აწყობდნენ, მერე საღამოსთვის დროს დათვამდნენ და ან კინოში წაივლიდნენ ერთად, ან ბრიგადის რომელიმე წევრს ესტუმბოდნენ და რა გგონიათ, რა გასართობიც უნდა გამოეხატათ, რა გადაცემაც უნდა ყოფილიყო ტელევიზორში, რა თავშესაქცევი ამბები უნდა მოეხროთ, ყველაფერი მიანიც კოპებით მთავრდებოდა.

ახლა კი რატომღაც გადაწყვიტეს, ცალკევე ეფიქრათ ბრიგადირის წინადადებაზე.

მთელი ერთი კვირა ფიქრობდნენ.

ბოლის ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა: შეიძლება მეათე ხუთწლეულში ბრიგადის თითოეულ წევრზე გამოეუშვათ კოპები ათასი ტონა თუჯის სხმულიდან.

როცა ეს გადაწყვეტილება გიორგი კურტანის აცნობეს, მან სასწრაფოდ მოიწვია კრება და ვალდებულებათა ფორმულირებას შეუდგა. კრებამ, ექვსკაციანმა კრებამ ორ საათს გასტანა. საბოლოოდ გიორგი კურტანის ბრიგადის წევრებს გააცნო ვალდებულებათა პროექტი. იგი ასეთი იყო: „თბილისის ფოლად-თევსასხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის მიერ სკვპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაციონალ-სოციალისტური ვალდებულებანი“. ჩვენ, მეკოპეთა ბრიგადის წევრები ვკისრულობთ: გამოეუშვათ ბრიგადის თითოეულ წევრზე კოპები. მეცხრე ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს, სულ ცოტა, შეიძლება ტონა თუჯის სხმულიდან, ესე იგი, დარგის მოწინავე საწარმოთა დონეზე, ხოლო მეათე ხუთწლეულის დამლევს — ათასი ტონა თუჯის სხმულიდან; აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ 1979 წელს კოპების დამზადების ნაკადური მექანიზებული ხაზის დანერგვასა და ათვისებაში, მეათე ხუთწლეულში დანაკარგს წუნისაგან 2,8 პროცენტთან შევამკირებთ 1,4 პროცენტამდე და ამ გზით დაეზოგავთ 150 ათას მანეთს...“

ვალდებულებათა ნუსხა საკმაოდ გრძელი გამოდგა.

მეკოპეთა ბრიგადის თაოსნობა განიხილეს საამქროს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, ქარხნის პარტიული კომიტეტის სხდომაზე,

შემდეგ კი მასზე იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ერთხმად მოიწონეს და გიორგი კურტანის ბრიგადის ამ მორიგ ინიციატივას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მიანიჭეს.

31 ივლისს თამაზ ლვინაშვილმა სამუშაოზე დაიგვიანა. დაიგვიანა მთელი ათი წუთი, მაგრამ მიანიც გახარებული და სხეულეწილი შემოვიდა საამქროში. მას ხელში „კომუნიზმის“ ახალი ნომერი ეჭირა. გავთვის პირველ გვერდზე დიდი შრიფტით იყო აწყობილი სათაური „ფართო გზა გ. კურტანის ბრიგადის თაოსნობას“. მარჯვნივ, ფოტოზე გამოსახული იყვნენ თვით გიორგი კურტანიძე, გოდერძი ფერაძე, ზაბახან ბინატოვი, იური კურტანიძე.

თამაზს გაზეთი ხელიდან გამოგლიჯეს.

მერე მიხვდნენ, რომ თვით გაზეთის მიმტანი ფოტოზე აღბეჭდილი არ იყო.

— აბა რა გინახოდა, — ხუმრობით უთხრა გოდერძი ფერაძემ.

— თქვენი გაგახარეთ, — ხუმრობითვე უბახუხა თამაზმა.

ბრიგადირმა ადროვა, სანამ ბიჭები გულს იჭერებდნენ, მერე გაზეთი გამოართვა, დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

— შესვენებაზე გილაპარაკოთ. — უთხრა ბიჭებს.

მაგრამ შესვენებაზე ბრიგადირს ლაპარაკი ვინ აცალა. უზნის ავტორი მიხეილ მიქაძე დაბარებულყოფით მოვიდა მეკოპებთან და ახალი თაოსნობის მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. მერე გიორგიმაც ილაპარაკა, ბრიგადის წევრებმაც ილაპარაკეს.

გიორგი კურტანიძე, მეკოპეთა ნაცალი ბრიგადირი იმ დღეს ადრე წამოვიდა ქარხნიდან. გზად სულ იმას ფიქრობდა, როგორმე ნონას დაძინებამდე მისულიყო შინ. ეს სიხარული ახლა რატომღაც ბავშვებისათვის უნდოდა გაეზიარებინა. მისი ბრიგადის თაოსნობა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. ეს მერამდენე თაოსნობაა. მიდის და თან თითებზე ითვლის. გამეუღლებმა რომ არ შევამჩნიონ თითებს სიარულში კეცავს. ერთი, — არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო ჩვენი მიზეზით, ორი — სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ჩარიცხვა ბრიგადების წევრებად, სამი — საყრილობო სოციალისტური ვალდებულებები, ოთხი, ხუთი...

ყველა არ აგონდება. ახლა არ აგონდება, რატომღაც სულ გაეფანტა გონება, ასეთი რამ იშვიათად მოსდის ბრიგადირს. ნეტა იური მოვიდოდეს დღეს. არ უნდა ეწყენინებინა

**ივარი ტაბიძე**  
XXV ყრილობის დელეგატი

მაშინ, იური საოცარი ბიჭია, რა იქნებოდა, ერთად გაეტარებინათ ეს საღამო. რატომ-ღაც წარმოიდგინა, რომ შინ დახვდებოდნენ ზინატან ბინატოვი, ვლადიმერ გოგოლაძე, გოდერძი ფერაძე. თამაზ ლვინიაშვილი, იური კურტანიძე, უცნაურად მოუნდა ახლა მათთან შეხვედრა შინ, ოჯახურ გარემოში.

პატარა ნონა კართან შემოეგება გიორგის. თან გაოცებული იყო, ასე ადრე რატომ მოვიდაო.

- ავად გახდი? — ეკითხება მამას.
- ჰო, ავად გავხდი, — ხუმრობის გუნებზე დადგა გიორგი.
- მერე ექიმის ცნობა გაქვს?
- მაქვს, როგორ არა მაქვს, აბა ისე ვინ გამომიშვებდა.
- მაშ ხვალაც არ წახვალ? — უხარია ბავშვს.
- თუ ექიმმა ნება დამართო, არ წავალ.
- მე ვეტყვი ექიმს არ გაგიშვას.

შინ რომ შევიდნენ, გიორგიმ ნონა ხელში აიყვანა და თხოვა, კობის ლექსი ეთქვა.

ბავშვი რატომღაც გაჯიუტდა, არ ვიტყვიო, მაგრამ ბოლოს მაინც დაიყოლია მამამ, სკამზე შედგა, ხელები წინ გაიშვირა და დაიწყო:

კობი, კობი, ტელესკოპი...

გიორგი ხმამაღლა იცინოდა.

როცა ბავშვი დედასთან გაიქცა, გიორგი დივანზე წამოწვა და კვლავ კაპიტანი გასტელო წარმოუდგა თვალწინ.

მაინც რამდენჯერაც წამოწვება, ამ დივანზე, სულ ის ბიჭი ელანდება.

აღბათ იმიტომ, რომ ყოველთვის სათვალავში ჰყავს სამამულო ომის პირველი გმირი.

ღილით ბიჭები მის გაღილებულ სურათს შეხედავენ და მუშაობას შეუდგებიან.

საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმზე სახელმწიფოებრივი მუშა გიორგი კურტანიძე საკავშირო კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. გზა მშვიდობისა ვესურვოთ კომუნისტთა რჩეულ კომუნისტს.



## საქართველოს ზეიშია!

თებერვლის მზე აღარ ზოგავს  
სხივს და მიწა ზევით მიაქვს! —  
არის საქართველობა! —  
საქართველოს ზეიშია!

დღეს სხვა დღეა, სხვა წელია! —  
ძველი სუსხი აღარ გვსუსხავს!  
გულზე ფიცად დაწერილი —  
საქართველო — არის სულ სხვა!..

დგას ტრამპლინზე, ემზადება  
უფრო დიდი ნახტომისთვის!  
როგორ შეენის ეს ნათება!  
შეხედვა ღირს მარტო მისი!

მზემდე აჭყავს ჩვენს დიდ დელვას  
ჩვენი მიწა მარადისი!  
ვინც გივლის და გამზისფერებს,  
შენი თავიც, — ალაღ მისი!

მიეც ძალა, შენახული,  
დაკოჟრილო ხელო, ვაზებს!  
დღე, აგეტკივდეს ყველას გული  
კვირტის გაუმლელობაზეც!

სიახლეუა შემონთებამ  
ღამე უნდა გაათენოს!

საქართველო ელოდება  
უფრო ძლიერ საქართველოს!

საქმისათვის, დღეს რომ გვანდეს,  
ყველა გვრძნობდეთ თავს მოვალედ!  
გაბედულად ვაფეთქებდეთ  
ძიებათა ამონალებს!

გაბზარული მზე ვამთელით!  
ოქრომამულს ვენაცაროთ!  
მის მომავალს ვესანთელით!  
მის სიმალეს ვენაცვლით!

გამარჯვების რწმენა ვზარდოთ!  
იმედები ვასხივოსნოთ  
და სიცოცხლე მოვამზადოთ  
საქართველოს სასიცოცხლოდ!

სულს სიმღერა ახლა უნდა —  
ახალი და უსასრულო!  
გადიადდი, ახმაურდი,  
საქართველოვ, უკვდავსულო!

ვჭექოთ ლაღად: „ერი ერობს!  
მზე ჩვენთვისაც ამოცურდა  
და ვზეიმობთ საქართველოს  
თავისუფლად ამოსუნთქვას!“





**რატომ ვეგონა აფრიკა შავი!..**

გულუბრყვილობით ბავშვობიდანვე  
 ასეთი დასკვნა გამოვიტანე;  
 ზანგთა სხეულის ნახშირის ჭავლით —  
 შეღებილია აფრიკა შავით.  
 ვნახე: საოცრად მონანათბდენ  
 ოქროს, ალმასის და ცის ფერები.  
 ცისქვეშ რიქრაქის დარად ყვაოდენ  
 ბანანი, პალმა, მთა და ველები.  
 მართლა მომედო დაწვევს სიწითლე,  
 მალულად შუბლი ჩამოვიწმინდე.  
 რისთვის შემომრჩა ამოდენა კაცს,  
 ეს ბავშვურობის უსუსურობა.  
 ეტყობა, ყოველ ასაკში ატანს  
 და მარადია ეს ბავშვურობა.  
 ჩაგმტყუნდი, მაგრამ ვცდილობდი ძლიერ,

არ დამენრდილა ბავშვობა ჩემი.  
 მძაფრი მსგავსების კვალი ვეძიე,  
 შეენიშნე, ისევე ის ბავშვი ვრჩები.  
 კი, ალმასური არე-მარეა,  
 მხოლოდ ერთია: სიშავე მათიც  
 ისე, ისეთი გამჭვირვალეა —  
 იმ სიშავეში ცისფერი დადის.  
 იმ სიშავეში ალერსი დადის,  
 იმ სიშავეში დღე მზეს აქეზებს.  
 იფურცლებიან ფურცლები ვარდის  
 ზანგის ქალების გიშრულ დაწვებზე.  
 მე დავინახე ეს სილამაზე —  
 ამ სილამაზით გული ავაგეს.

**ო კ ა ნ ე**

**ე. ჰემინგუეის**

პირველი რაც კი დავინახე ოკეანეზე:  
 იყო —  
 მოხუცი სანტიაგოს წვა და ალერსი.  
 პირველი რაც კი დავინახე ოკეანეზე:  
 ნავი მიცურავს, მეპატრონის ტანჯვანი ესმის,  
 ნავს გამობმული ლურჯზოლება მიჰყვება თევზი.  
 პირველად რაც კი დავინახე ოკეანეზე:  
 მხრებზე აწვევა ჭარმაგ მოხუცს მაგარი ტვირთი,  
 ყვითელთვალთან ზვიგენს ტვინში ესობა ჭვილთი  
 პირველი, რაც კი დავინახე ოკეანეზე:  
 ბოლაზში შედის სანტიაგო ღამეულ ოხვრით,  
 გაშიშვლებული, ვერცხლისფერი ვეება ჩონჩხით.  
 პირველი, რაც კი დავინახე ოკეანეზე:  
 ო, ატლანტიკის ოკეანის ყოველი წვეთი  
 შეღებილია სანტიაგოს ყავისფერ სევდით.

**რევოლუციის კუნძული კუბა**

ბოროტებანი დიდხანს შხამს ღვრიდა,  
 სისხლი სდიოდა ვაჟკაცებს დაჭრილს.  
 ვულკანი მარტო მიწის სიღრმიდან?!!  
 ვულკანი ჩნდება ცხოვრების ტანშიც.

შეუვალა კანონის ძალა, —  
 ვერონ დაფაროს ღრუბლების კუპრმა.  
 მაგალითია ამისი ახლა  
 რევოლუციის კუნძული — კუბა.

დაჭერილ ლომთა შიში მაქვს უფრო,  
დაუჭერელთა — არა და არა.  
ეს სივრცე არის მათი საუფლო,  
მანახა ერთი მათი კამარა.  
ჩავეარდე მგრგვინავ ლომების წრეში,  
მასხურა მშუქარ ფერთა მორევი,  
მი ვიცი მამაცთ რიგი და წესი,  
მე გადავრჩები დაუტორავი.  
ესლა რამდენი, ამ ლომთა მოდგმის,  
ქვეყნად მოღობილ გალიებს კენეტავს.  
არ მსიამოვნებს მოსმენა მოთქმის,  
არ მსიამოვნებს დანახვა მეტად.  
არ მსიამოვნებს — სულის ზიარის  
გამომწყვდეულის ვისმინო გმინვა.  
ეს სივრცე არის, ეს სივრცე არის  
თავისუფალი ლომების ბინა.  
ცხელ აფრიკაში ჩხრეკავენ დადარს,  
დედაშობილებს ვხედავ და ვხატავ;  
ოკეანესთან დახტიან ახლა,  
(ახლა ღამეა, ახლა მთვარეა),

მამრი გამოდის, მდედრი არ გაყვა,  
მივიდა, წყაროს წყალი დალია.  
იეჭვიანა, ბექობზე შესდგა  
სსეულზე მდუღარ გადანავლები.  
გაჯავრებული ჩაფიქრდა ერთხანს,  
მოუწყლიანდა დინჯი თვალები.  
აწარდა ზვეით, ატოტებული  
პაერს და სივრცეს ტორავდა, ჭამდა.  
გაოცებული, გაოცებული  
იერიშობდა უეცარ ჯავრთან.  
დაასკდა მიწას აცაცხახებით,  
გადეფარა ელფერი ცრემლის...  
ლურჯ ტალღებისკენ მიწდორს მივყვები,  
იგი თანამგრძნობს უთუოდ ელის.  
ღიმიშვით ახლო, წამოგაყენებ  
ნახონ ტალღებმა, ნახონ ველებმა, —  
მე დაუყვავებ, შემოვხვევ ხელებს;  
ძოვეფერები,  
მომეფერება.

### ბგერების მერნები

შიში არ არის და არც პაერია  
რაიმე მოხდეს და ჩამოებლაჭო.  
მარტოდენ ხელჩასაჭიღია  
ბგერების მერნები აჭიხვინებული.  
ამ ჭიხვინს მივყვებით,  
ჩაფრენილები ვართ მერნების ფაფარზე  
და ფაფარს წეწავენ ეთერის ქარები.

ბგერების მთრთოლვარე მერნების  
ზურგებზე შემსხდარნი მივჭრივართ.  
მივჭრივართ, საცაა ხელსაც ჩამოვართმევთ  
ანგელოზებს და ღმერთებს.  
მივაპობთ სივრცეებს, სხვაობა რა არი:  
დეღამიწაზედაც  
ბგერების მერნებით დავჭრივართ.

### მზე ამოვიდა ღრუბლების ზევი...

ათი ათასი მეტრის სიმაღლე...  
ქვევით ღრუბლების მთა-ბარი ვრცელი.  
არის გრძობათა მწველი სიახლე  
ზეცის მერდინში წვრილად გაცრილი.  
ზეცა ატლასის ფერებს გვაფარებს,  
სარკმელებს ეკვეთა ნათელი მკვეთრად  
ო, დედამიწა მოჰგავს სამარეს,  
ჩვენ აფრენილვართ მზესთან და ღმერთთან.

პავანაში ხარობს ხე, რომლის ცისკენ აწვდი-  
ლი, ქალის თმებივით დაწნული ტოტები ისევ  
დედამიწისკენ ბრუნდებიან და ფესვდებიან.

ტრფობა დამანახეს,  
დედამიწის და ხის;  
წარმოვიდგენ სახეს  
სიყვარულში დაღლილს.  
მან სომ იცის ეშხის  
წვა, ცეცხლი და მადლი.  
ქებათ-ქების შესხმით  
ხაგუეის ვადრი.  
ხაგუეის ჩრდილში  
ვდგავარ ღამით, გვიან.  
შუალამის თრთვილში  
სიზმრით მიმიგნია.  
პავანელი ქალის  
ჩამოწნული თმები...  
არის, ელდა არის? —  
კარგად ველარ ვხვდები:  
ხაგუეის თმები?...  
პავანელის თმები?  
სულერთია, შეთქმულ  
სიყვარულში ვთვრები.  
იხატება მძაფრი,  
ულამაზეს ფიცის  
სიყვარული მძლავრი  
ქალისა და მიწის.

შუალამის ქარო,  
შუალამის მთვარე,  
ჯერ ვერ გაგეყარო,  
ჯერ ვერ დავამთავრე —  
კოშკურ ოცნებების  
აშენება ცამდე.  
შუალამევე ვნების, —  
ცოტა დამაცადე...  
ტრფობა დამანახეს  
დედამიწის და ხის,  
წარმოვიდგენ სახეს  
ტრფიალებით დაღლილს.  
ხაგუეის ჩრდილში,  
ხაგუეის მსგავსი,  
ლხენაში და ჭირში,  
მეხის გადამრაზი,  
ვიხედები საით?  
ერთი მხრისკენ მარტო:  
მოგუგუნე ზარით  
სუნთქვა შემომადნო,  
ოცნებანნი ჩუმაღ  
ისწრაფიან ურჩნი;  
შორს, თბილისის შუქად,  
ფესვდებიან გულში.



# პირველი რეისი

დღეს პირველად უნდა გავიდე ტრასაზე. მთელი წელია ამ დღისათვის ვეშვადები და როგორ უცებ მოვიდა იგი, მოულოდნელად, შეუმჩნევლად...

ჩემი ბიძაშვილი გურამი, ვისთანაც ერთად ძველი სახლის ერთოთახიან, მოუწყობელ ბინაში ვცხოვრობ, გუშინ, სისხამ დილით, ვარძიაში საექსკურსიოდ წავიდა. ამ გამგზავრების სამზადისს ორი კვირაა შეუდგენენ, თითქოს სადღაც შორ გზას უნდა დაადგენონ.

გურამს სხვა ქია უღრღნის გულს. ექსკურსიაზე ქეთინაც მიდის და გადაწყვეტილი აქვს (ეს საიღუმლოდ გამანდო) იქ მაინც გაუშხილოს თავისი ზვაშიაღი ამ ვაჟურად თმა-შეკრებილ, ტანწერქუთა ქალიშვილს, რომელიც წარბებს ზედმეტად იქნის, თვალბეხსა საღებავებით ზედმეტად იმუქებს და თანაც სიგარეტს ქაჩავს.

ამას წინათ გურამმა დიდი ამბით გამანდო: როგორც კი ქეთინოს თავისად ლაიგულებს (ამაში ერთი წუთითაც ექვი არ ეპარება!), იმ დღიდან სიგარეტის მოწევასაც ვადა-აჩვევს, თვალბეხე საღებავსაც წაუშლის და თმასაც გააზრდევინებს. მანამდე კი იძულებულია ყველაფერი მოითმინოს, გულისტკივილით იტანოს. გურამს ქალში, პირველად ყოველგვარ, სისალავე და უბრალოება უყვარს.

შევაითხე:

— თუ ასეა, ქეთინო რამ შეგაყვარა?

ერთხანს გაოცებული შემომაჩერდა, შემდეგ გულდამშვიდებით მომიგო:

— შენ რა იცი, რა გაგეგება ნამდვილი სიყვარულისა!

გურამს ჰგონია, სერიოზულად ჰგონია, მის გარდა სიყვარული არავის შეუძლია, არავის გაეგება.

მაინც რა საოცარია მათი დამოკიდებულების ამბავი. აგერ, წელზე მეთი იქნება ერთ ინსტიტუტში მუშაობენ, მათი მაგიდები ერთ ოთახში ერთმანეთის პირდაპირ დგას, მთელი

დღე ერთად არიან და აქამდე გურამს ქეთინოსათვის ვერაფერი გაუშხელია.

ახლა ვარძიის იმედი აქვს, თითქოს თბილისში შეუძლებელი იყოს ქეთინოს დამართხლება.

მე კი მგონია, სიყვარული უთქმელადაც გაიგება. თუმცა, რა ვიცი, ეგებ გურამი წართალიც იყოს. ისეა ვარძიის ექსკურსიით დამედებული, რომ, ალბათ, გული უტრძნობს.

— შენ რა იცი, — წახვლისას მითხრა. — მესხეთის პოეტური გარემო, ცადაზიდული მთები, მოდულუნე მტკვარი („მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“...), ვარძიის კლდე-ქალაქის სოცრება, თამარ მეფის ნატერფალი... ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ამაღლებული სიყვარულის ფრთაშესხმას, (ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცის ხოლმე ჩემმა გურამმა).

დმერთმა ხელი მოუმართოს!

მე კი...

— ვახიკო, — მესმის მოპარდაპირე აფინიდან ლილის ხმა, — როგორ გიხდება ფორმის ტანსაცმელი!..

სახლი, სადაც გურამი და მე ვცხოვრობთ, ძველთაძველი, ადამის დროინდელია. უკანა მხარე ნახევარწრედ კლდეზეა მიკნებული. ორსართულიანია და ყოველ სართულს მთელს სიგრძეზე ხის თაღებიანი აივანი გასდევს. ერთი წელია, რაონიდან აუტანსსექტორთა აურსებზე გამომაგზავნეს და ბაჟა აქ ღადიდე. მიუხედავად ამისა, ჩვენი სართულის ყველა მცხოვრებს როდი ვიცნობ. იმდენი ხალხი ირევა აივანზე, თვალი ავიჭრელივდა. რა ენაზე არ იცის აქ ლაპარაკი, მიღობ, წიოკობა...

— აკცი არ მინახავს, მილიციის ფორმა ასე მოხდენილეს... — მიღობის ლილი.

დილი ოცდაათწელს მიღწეული მარტოხელა ქალია, მკერდასვებ და ტანსრული. შინ რომ არის, ისე შილივად აცვია, გადელილი ხალათიდან სავსე მკერდი მოუჩანს. რომ ზის,



არც ცდილობს მუხლზე მოთ სითურის და-  
ფარვას.

— სალამი, ქალბატონო ლილი — თავ-  
დახრით მივსალმე.

— ვასიკო, კირიმე, ოთახში ნათურა გადა-  
მეწვა და ვერ შემიკვილი?.. ხომ იცი, ისე მე-  
შინია ელდენის, მე რომ შევცვალო, ათ სი-  
ცოცხელს ვავათავებ...

საქმეს მიყრის... ამ ექვსიოდე თვის წი-  
ნათ ელნათურის შეცვლის მიზეზით შინ შემი-  
ტყუა და თხუთმეტი წუთის შემდეგ სახე-  
აღწილი გურამთან რომ შევევარდი, ჩემმა ბი-  
ძაშვილმა თვალი ჩამიყრა და სიცილით მით-  
ხრა:

— გამოუცვალე ელნათურა? ასე იცის,  
თუ ვინმეს თვალი დაადგა, ნათურას შეცვლის  
მიზეზით შინ შეიტყუებებს და... ბევრჯერ  
უნდოდა ჩემი შეცდენა, მაგრამ ქეთინოს სი-  
ყვარულმა მიხსნა. ჩვენ სახლში სტირიანი ვფი  
არ დარჩენილა, მისთვის ელნათურა არ გა-  
დგოვცვალოს და ელნათურა მაინც სულ გადამ-  
წვარი აქვს.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! მე კი იმ  
თხუთმეტი წუთში ნამდვილად დამაჭრა, რომ  
ჩემთვის სულს ლეღა, როგორც კი დამინახა,  
იმ დღიდან ჩემზე ფიქრობდა...

ვაი შენ, ჩემო თავო!

— ვასიკო, არ გესმის? ელნათურა გადა-  
მეწვა, გამომიცვალე, რა!.. — ხელმოკრედ  
მომმართავს ლილი, მაგრამ მე თავს მაინც  
მალა არ ვწვევ, რათა მის სავსე მეკრდნა და  
ნაკეთებს არ შევხედო, თუმცა მალულად მა-  
ინც ხარბად ვათვალიერებ და ვბუტბუტებ:

— ბოდიში, ქალბატონო ლილი, მეჩქარე-  
ბა, სამსახურში მაგვიანდება...

ლილის თვალები ჩაუჭრა, სახეზე დამცი-  
ნავმა ღმილიმა გალაურბინა და ახლა უკვე  
ღვარდლიანად მომმართა:

— სად მიგეჩქარება, შე ფარაონო! სულ  
ერთია, შენი უღუფა თბილისის ქუჩებში მა-  
ინც დაგზვდება.

ალბათ, სადღაც წაუკითხავს, რომ მილიცი-  
ას (თუ პოლიციას) უცხოეთში ფარაონებს  
ეძახიან და რადგან სურვილი ვერ შეისრულა,  
მასხრად მიგდებს.

და მე თამარი ამაში გავცვალე! მართალია,  
გურამს გარდა ჩემი და ლილის ამბავი არავის  
გაუგია, მაგრამ განა ეს სულ ერთი არ არის!  
რასაკვირველია, თამარისადმი ჩემი გრძნობა  
ერთი მისხლითაც არ შემცირებულა, მაგრამ  
განა ეს მამართლებს? აი, გურამმა ხომ გაუძ-  
ლია, მასაც შეეძლო ცდუნებას აპყროლოდა.  
ამით ქეთინოსადმი სიყვარულს რა დააქლდე-  
ბოდა, მაინც არა ჰქნა.

გურამს ქეთინო უყვარს, განა მე კი არ  
მიყვარს თამარი?  
თამარი...

თბილისში ჩამოსვლისას გურამმა რესტორ-  
რან „არაგვის“ დამატივა, შენი ჩამოსვლა  
ხომ უნდა დავლოცოთო.

იმ დღეს ზელუასი აედო, შინ მარტოხელა  
ვყავს რა ექნებოდა, ამიტომ რესტორანში წას-  
ვლა, ირჩია.

რესტორანში ერთი მყუდრო მაგიდა მოვ-  
ძებნეთ, განაპირას მდგარი და იქ დავსხდით.  
ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტი ქალღმე-  
ლი ნოვგიახლოვდა. მწყერივით კოხტა გოგო  
იყო, თვალბეჭქირილა, მომცრო ტანისა. ღი-  
მილით მოგვესალმა.

— რას ინებებთ? — თან მენიუ მოგვა-  
წოლა.

გურამმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— კერძები რომ აგვიჩიროთ, ამისათვის  
ხომ არ გავვიბრაზდებით?

— არა, ეს ჩემი მოვალეობაა. საუზმეს,  
რაცა გვაქვს, მოგართმევთ, თქვენ აირჩიეთ.  
მოტანასა და წაღებაში ქირას არ გადაგახდე-  
ვინებთ, — უფრო უმატა ღმილის ოფიცია-  
ტმა. — გვაქვს ბასტურმა, ხბოს, ცხვრისა და  
ღორის მწვადები, ვარძები.

— რაზე საუზმე მოიტანეთ, ხბოს მწვადე-  
ბი მოაყოლეთ და სამი ბოთლი ტიბაანი.

ოფიციატმა შეკვეთა ჩაიწერა და გაგოგ-  
მანდა.

— რა გოგოა! — თვალი შემჩრა.

— არა, უშავს რა, მხოლოდ ზედმეტად  
მკაცრა ჩანს. — მომიგო გურამმა. მას ხომ  
ქეთინოს გარდა არც ერთი ქალი არ რტაცებს.

ღვინო რომ თავში გაგიჭდება, გახედულ-  
საც გაგზნის, თამამსაც, ლაქლქასაც. ადრე  
ოფიციატნი გოგონა, ასე თუ ისე, გვეთამაშე-  
ბოდა, ღვინო რომ მოგვერია, თავი შორს  
დაიჭირა. არც ერთ შეკითხვას, რაიც მის საქ-  
მიანობასა და მოვალეობას არ ეხებოდა, პა-  
სუხი არ გასცა.

— თავს იფანებს, — ჩაიქირქილა გურამ-  
მა, — თორემ ოფიციანტი და ასეთი მკაცრი  
უმატრონო ხომ არ არის ეგ უბედური, ოფი-  
ციატობა რომ დაუწყია!..

გურამმა ვერ მოწონა, ბოლო სიტყვები  
ხმამაღლა თქვა. პატარა, კოხტა ოფიციატმა  
ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, შეკრთა, წუთით  
გაშუმდა და ციმციმა თვალები ცრემლით დაე-  
ნამა. მათში იმდენი სევდა მოჩანდა, იმდენი  
წუხილი, რომ საოცრად შემებრალა. გურამს  
ხელი წაკარო. წაშდარ საქმეს რაღა ეშველე-  
ბოდა, სიტყვებს უკან ხომ ვერ დაიბრუნებდა.

გურამი დანახარჯს რომ უსწორებდა, ზედ-  
მეტი ხუთმანეთიანი მიუთვალა (ამით დანა-  
შაულის გამოსწორება უნდოდა და თანაც ხომ  
უნდა ეჩვენებინა, რესტორნებში გაწვრილი  
ქაცო ვარო). ოფიციატმა ზედმეტი ფული  
უკან დაუბრუნა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— თქვენს თვალში, ეგებ, უბედური ვიყო,  
მაგრამ მათხოვარი მაინც არა ვარ!

გურამმა გოგონას თვალი ვერ გაუსწორა, მხოლოდ წაილულულა:

— მამაკითი!..

იმ დამით სიბრალულის გარდა, ოფიციალური გოგონას უძირო, ციმციმა თვალების შუქი წამოშვევა და რატომღაც, ღვინის გამონელებასთან ერთად იმ შუქის მადლი აღარ გამოიხილდა...

მეორე დღესაც მომინდა ოფიციალურ გოგონას ნახვა. ჩვენებმა ავტონისპექტორთა კურსებზე რომ გამომაცილეს, დედამ ცოტაოდენი ფული ჩამიდო ჩიბეში, კოლმეურნეობის გამგეობამაც დამასაჩუქრა. ამიტომ ჭერ კიდევ მქონდა შესაძლებლობა რესტორანს ვწვიოდი და იქ მესადიოდა. ახლა გურამი მე დავატყურე, მაგრამ ინსტიტუტში კომპაენირული კრება მქონდა. არ ეცალა. მარტო წავედი. კვლავ ის მაგიდა მოვხანხე, სადაც მე და გურამმა პური ვჭამეთ. მაგრამ ცქირაღა ქაღალდის ნაცვლად უღვავებულად, შუახნის კაცი დამადგა თავზე. სიტყვაც არ ამომადგინა, თავისი ნება-სურვილით მატარა. მე ერთ კერძს ვთხოვედი, მას მეორე მოჰქონდა. წინააღმდეგობაც ვერ გავუწიე, უარი როგორ მიქვია მამაჩემის ტოლა კაცისათვის თანაც ისე მიბღვერდა და თვალებს მიბრიალებდა, გავიფიქრე, თუ ამის ნებას არ დავუყვი, საქმე ცუდად წამივამთქო.

ძვირი დამიჭდა იმდამინდელი ვახშაში, მაგრამ ნუგეშად ერთი რამ დამიჩრა: გავიგე, რომ თვალციმციმა ოფიციალურ გოგონას თამარი ირქვა და დღეგამოშვებით მუშაობდა.

ასე რომ, მესამე დღესაც ვესტუმრე „არავს“. ისევ ამოჩენებულ ადგილს მივუჩქეი და ცოტახნის შემდეგ გული ამიჩქროლდა, ჩემკენ თვალციმციმა ოფიციალური გოგონა მოგოგმანობდა. დანახვისთანავე მიცნო, თვალებში ბინდი ჩაუდგა, გურამის სიტყვები თუ მოაგონდა („უპატრონო ხომ არ არის ეგ უბედური, ოფიციალტობა რომ დაუწყია!“), მაგრამ თავს მოერიდა და ნაძალადევი წრდილობით მომმართა:

— მარტო ხართ? — დიას, — მივუგე, — დღეს მარტო მოვედი.

გოგონამ მენიუ მომაწოდა, იქვე იღვა, ვიდრე კარძებს აჯარჩევდი. თავი მოვიგიჟიანე, იმდენი რამ შევუკვირე, ხუთ კაცს დააპურებდა. მართალია, ჩემს ჭიბებს, წუხანდელ დანახარჯსაც თუ მივუმატებდი, ძალზე დაჩანდებოდა, სამაგიეროდ, მეგონა, გოგონას თვალში ხელგაშლილ და ვაჟკაციური ვაჟის სახელს მოვიპოვებდი. თამართან თავის გამოჩენის სურვილმა წამძლია და ჩემს შეთხლებულ ჭიბებს რას დავუჭებდი!

მასთან ორიოდ სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე. მართალია, თითქმის მთელი სამი საათი მაგიდასთან ვიჯექე, მაგრამ ვერ იქნა და გოგონა ვერ დავიმარტოხელი. ჩემს მაგიდას-

თან დიხანს არ ჩერდებოდა, კერძს მომიტანდა, თუფის გამომიცვლიდა, მოტანილს თუფზე დამიდებდა და ახალი კერძის მორთმევამდე ახლოსაც არ მეკარებოდა. მე საქმიანსათვის თითქმის ხელი არ მიხლია. როცა ხელუხლებელი მეოთხე კერძიც წაიღო, ცნობისმოყვარე თვალებით გადმოხებდა, ხმა მაინც არ ამოუღია. ალბათ, გულს ნატარებმა სიბარჯემ ცნობისმოყვარეობას გადასძლია. ასე ვიყავით მთელი დამე დამდურებულევივით.

წასვლის დრო რომ მოვიდა, დანახარჯის ანგარიში მოვთხოვე. მაგალიტა, ჩემს თვალწინ საანგარიშო ააჩხაკუნა, შევსებული ქვითარი უხმოდ მომაწოდა და ფულიც უხმოდ მიითვაღლა. ხურდად ოცდაათი კაპიკი მერგებოდა. ხურდა ჭიბეში უხმოდ ჩავიდე და წელმოწვეტილმა რესტორანი ვტოვებ.

გურამს ყველაფერი დავთხრო. მირჩია, როცა შესაძლებლობა მომეცემოდა, მარტოდ მივსულიყავი, ალბათ, ჩემი სიტყვები ახსოვს და ჩემი მისვლით საქმეს გავიფუტებო.

მესამედ მისვლისას გოცება ვერ დავარა, მაგრამ ოფიციალური იერი მაინც არ მოიზორა.

თამარის მორიგეობის ორი დღე გამოვტოვე, არ მივედი, რადგან ჭიბეში შეთხლებული თანხა რესტორანში ვახშობის საშუალებას არ მაძლევდა.

შემდეგ მორიგეობისას ვერ მოვიმინე და მაინც ვესტუმრე. თუმცა კაპიკობით ნაგროვები ფული ერთ მწვდსა და ლიმონათს თუ ეყოფოდა.

უფრო გულითადად მომემსახურა. კვლავინდებურად მის მიერ მოტანილ კერძს რომ ხელი არ ვახლე, დაუვაკებით მითხრა:

— რა არის ჩემი ხელით მოტანილს რომ არაფერს მიირთმევთ?

— მე... — დავიბენი. წინასწარ ათასჯერ მოფიქრებული სათქმელი ყელში გამეჩხირა (რა ილიაა გუნებაში ყველაფრის დალაგება და რა ძნელია მისი შესრულება!). ბოლოს, როგორც იქნა, ამოვღერღე:

— მე... აღარ მიჯავრდებით?

— ისე... თქვენს ამხანაგს კი, იმ დამეს, რომ შემძლებოდა, თვალებს ამოვუჩიჩნდი.

— ასეთი მეკაცი ხართ?

— კარგი იქნება, გითხრათ, უსაქმური, ლოთი და მაწანწალა ხართ-მეთქი?

— აქ რომ ხშირად მხედავთ, ალბათ, ჩემზეც ასე ფიქრობთ?

— არ ვიცეი..

— აქ კი გავხედო და ფრთხილად შევაპარე:

— ნუთუ ვერ ხვდებით, თქვენი მორიგეობის დროს რისთვისაც მოვდივარ?

გინვი გომიჩიხვილი  
პირველი რეისი

უცებ წარბები გაბარაზებით შეჰყარა და ჩაბურტყუნა:

— ოფიციატი რომ ვარ, იმიტომ მიხედვით ამდენს?

მითხრა და გამშორდა. ჩემთან საუბარიც არ ინდომა.

დანახარჯის გადახდისას (საანგარიშო ბევრი არაფერი იყო), მღელვარება დაძვლივ და თამარს გაბედულად მივმართე:

— თამარ, ძალიან გთხოვთ, სათქმელი ბოლომდე მომხმინოთ, თორემ არ ვიცი, რას ვიწამი — რადგან ერთი გაბზედე, უკან აღარ დამიხეცია. ვიფიქრე, ან ახლა, ან არასოდეს-მეთქი. გულახდილად ვუთხარი ყველაფერი: ვუთხარი, რომ აქ მხოლოდ მის გამო მოვლი-ოდი, რომ დიდად ვწუხდი ჩემი ნათესავის უტაქტო საქციელის გამო, რომ მის მაგივრად ვიხდიდი ბოდის, რომ დღეის შემდეგ, რა დასამოლია, საშუალება არ შექნებოდა ამ ძვირ რესტორანში მეგლო და, რომ მასთან მეგობრობა მიწყუროდა.

მიკვირდა, ამდენ სათქმელს ერთბაშად როგორ მოვაბი თავი. მე და გურამმა იმდენჯერ გავითამაშეთ ჩემი და თამარის შესაძლებელი საუბრის სცენები, იმდენი ვარიანტი გამოვცადეთ და გავითვალისწინეთ, რომ არ უნდა გამჭირვებოდა ერთ-ერთი მათგანი გამომეყენებინა. თუმცა ის გამონაცადი სრულიად არ დავიგნებოდა სინამდვილეს, ამიტომაც გამოვიდა გულწრფელი და გულახდილი...

რომ არც ხმა გამცა და არც გამშორდა, უფრო გავუთამამდი:

— ახალამ როდის ამთავრებ სამუშაოს. დავიცი, შინამდე მივაცილებ...

— აქ მე და დედა ერთად ვმუშაობთ, შინაც მუდამ ერთად მივდივართ.

— მაინც დავიცილით..

— არა! — მტკიცედ მითხრა, ფული უცბად აკრიფა და გამშორდა, რათა ჩემთვის საუბრის გაგრძელების საშუალება მოეპოვა.

წელმოწყვეტილი გამოვედი რესტორნიდან, თუმცა გადაწყვეტილი მქონდა, რაც უნდა მომეცლოდა, მაინც დამეცადა თამარისათვის.

თამარის მოლოდინში სამი საათი მაინც ვიხეტიალე რესტორნის ირგვლივ. სხვა რა საქმე მქონდა. ბოლოს აქეთ-იქით ხეტიალს აქვე დგომა და ნაქიფართა თვალღიერება ვარჩიე.

აგერ ერთბაშად ხალხი გამოიფინა, ალბათ, დიდი ბანკეტი მქონდათ. გამოდიოდნენ და რატომღაც მასპინძელს საყვედურობდნენ:

— იმ დალოცვილმა, — ამბობდა ბოხი ხმა. — თუ დავგაბატუა და თავი მოიქაჩლა, ბარემ ხეირიანი სუფრა გავშალა!

— რა აკლდა? — შეეკამათა ხრინწიანი.

მათი სახეები ოდნავ ჩანდა, ახალგაზრდებიც იყვნენ. შუახანს მიღწეულნიც.

— როგორ თუ რა აკლდა! გოჭის ხორცი

სუფრაზე წამალად იდო, სამტრედიული ქათმების ნაცვლად ინკუბატორში გამოჩეკილ მანქანულ ლები შეერჩია, ისეთი მაგარი ხორცი მქონდა, ძლივს დაედებე.

— არც ხიზილალა!

— არც ცოცხალი! — წამოეშველნენ სხვი-ზიც.

— ღვინოც, — განაგრძო ბოხმა ხმამ, — ტიბანის მასალაო და, მე მგონი, შინ დაწურული ქაქისა და წყლის მასალა იყო.

— ძალიან კი სვი!.. — არ ეშვებოდა ხრინწიანი.

— აბა, რა შექნა, მასპინძელი ისე მიყურებდა, უხერხული იყო, არ დამეცია.

— ამისთანა სუფრაც... — და ისეთი მრავალსართულიანი მთაყვანა ვიდეცამ, რომ ნეტარხსენებულნი ძველი თბილისის მედროგებიც კი აღტაცებაში მოვიდოდნენ.

ამ დროს, როგორც ჩანდა, მასპინძელიც გამოვიდა, რადგან ყველანი მას შემოეხვივნენ.

— რა სუფრა გქონდა, სევასტიჩი! — ახლა უკვე ელაჟუცებოდა ბოხი ხმა.

მან კი, ვინც ვინებით იქაურობა აიკლო, ყველას გადააქარბა:

— სევასტიჩი, რომ ხარ, ხარ, ცხოვრების ლაზითიც იცი და დიდებული სუფრის გაშლაც. აფერუმ შენს კაცობას!..

უცებ სურვილმა მომიარა, მივსულიყავი და სევასტიჩისათვის ხმამალა მეთქვა:

— არ დაუჭეროთ, არ დაუჭეროთ მაგ ორპირებს. ახლახან ჩემი ყურით გავიგონე, თქვენს სუფრას და კაცობას როგორ „ამკობდნენ“.

მაგრამ რა ჩემი საქმე იყო. მე თამარს ვუცდიდი და მხოლოდ ამიტომ გავხდი ამ სცენის მოწმე.

ახლა რესტორნიდან ხუთნი ერთად გამოვიდნენ. საუბრით შევატყუე, მხატვრები უნდა ყოფილიყვნენ.

— ბითურია, — ამტკიცებდა მალალი, აწოწილი კაცი, — მაგისთანა სურათს საქათმეიც არ დაეკიდებ.

— მაგისთანა სურათს თვალდახუჭულად დავხატავ, — უდასტურებდა თმამოშვებული.

— აბა, აბა, — ქალური ხმით აწრიაინდა მესამე — რა სურათია!..

მხატვრები წავიდნენ. რესტორნიდან დიდხანს აჩვიე გამოსულა. შემდეგ შუქი ყველგან ჩააქრეს და რესტორანი ერთბაშად დაიცალა.

კიდევ კარგა ხანს მომიხდა თამარის ლოდინი. და აი, როგორც იქნა, გამოსასვლელთან თვალში მოვკარი. თეთრთმისან ქალთან ერთად გამოვიდა. უკან ავედევნე და ქუჩაში წამოვეწვიე.

— გამარჯობათ, თამარი! — რატომღაც მიველაღმე.



თამარი შერტა, მაგრამ სწრაფად მოეგო გონს.

— გამარჯობათ! — ისიც მომესალმა. თერთმინამა ქალმა აღმაცერად გადმოხმედა, შემდეგ თამარს მიუბრუნდა, რაღაც ანიშნა, ალბათ, მთვრალი ხომ არ აგვიღაო, მაგრამ როცა შეამჩნია, ფეხი არ მშუღებოდა და წელსამართული მივყვებოდი, არაფერი თქვა. — დედა, გაიცანი, — უხერხული სიჩუმე დაარღვია თამარმა.

ქალმა ხელი გამოიწოდა. ხელი საოცრად ფაფუკი და რბილი ჰქონდა, როგორც დედაჩემს მძიმე სარტყის რტყვის შემდეგ. საუბარი ვერ იქნა და ვერ აწყუო. ავტობუსების გაჩერებასთან თამარი შემეერთა:

— თქვენ საით? მე გურამის ბინის მისამართი ვუთხარი. — ჩენი მგზავრი არ ყოფილხართ, — მითხრა თამარის დედა.

სხვა რა გზა მქონდა, დედა-შვილს დავემშვიდობე და ავტობუსში ავედი. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო. ფანჯარასთან დავექეპი და მათ გავხედე.

დედას ქალიშვილისათვის აღერსით გადაეხვიდა ხელი, გულთან მიეკრა, როგორც ჩანდა, დალილები იყვნენ. ასე იდგნენ ხელებისგადახვეულები, თითქოს უნდოდნენ დაქანცულები ერთმანეთს მიშველებოდნენ და თვინათი სითბოთი დღის მოსაბეზრებელი ერთფეროვნება გაეფანტათ.

ეს იყო და ეს. ზოგჯერ, თამარის მორიგეობის დროს სამუშაოს დამთავრებისას დაველოდებოდი ხოლმე დედა-შვილს და ავტობუსების გაჩერებამდე მივაცილებდი...

მეტროს გაჩერებასთან ბათუს მოვარი თვალი შევხედე, თვალი ამარიდა. სხვა ვაგონში ავიდა. ბათუს ყოველთვის უყვარდა კოხტად ჩაცმა. მაგრამ დღეს, რატომღაც, განსაკუთრებულად იყო მორთული.

გურამის შემდეგ ბათუსავით ახლო მეგობარი არა მყოლია.

ბათუ ჩემი სოფლიდანაა, რუხიელია. საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ და უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზეც ერთად შევედი. ბათუ შემოვლული ოჯახიდანაა, მამამისი რაიონის ხილის მიმღები პუნქტის გამგეა და მათი ოჯახი დულს და გადმოდულს.

მამა რომ გარდამეცვალა, უნივერსიტეტის მესამე კურსზე ვიყავი, იძულებული გავხდი, სწავლა მიმეტოვებინა და რუსიში დავსახლებულიყავი. ჩემს გარდა, ოთხ დამამას მოვლა და რჩენა ჰქირდებოდათ, მარტოხელა დედა ოჯახს ვერ გაუძღვებოდა. ბათუმ უნივერსიტეტი დამათვარა და ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად მოვეყუო. მე რუხის კოლმურნეობის ტრაქტორ-

ისტი გავხდი, ის კი სადინტრტაციო თემას ამუშავებდა.

წელს ჩენი რაიონის კომპაგვირის რაიონის რეკომენდაციით ავტონისპექტორთა კურსზე გამომაგზავნეს (დაძმები წამოიზარდნენ და ერთი წლით შემემლო ოჯახის მიტოვება). თბილისში ბათუ გურამთან შემხვდა და ძველი მეგობრობა განვახსოვთ.

ბათუს მამას ახლაც ბევრი ფული ჰქონდა და ბათუც არაფერს იკლებდა. ჩემთან მეგობრობასა და სიარულს როდი თაკილობდა (რაც არ უნდა იყო, სად მეცნიერი მუშაკი და სად ავტონისპექტორთა კურსის მსმენელი).

ერთხელ ქუჩაში შემხვდა და დამბატოვა. იმდენი ვეკენი, რესტორან „არაგვის“ წაიყვანე და იქ, რასაკვირველია, თამარის მავიდა მოვინახე.

თამარი ბათუსაც დანახვისთანავე მოეწონა. დანახარი რომ გადაიხადა, საერთო ანგარიშს ერთი იმდენი დაუმატა და თამარს დაუთვლელად მისცა. თამარმა, ჩვეულებისამებრ იუარა, მაგრამ ბათუს ისეთი მოთაფლული ენა აქვს, ისე მიუღდა, დედა დააფიცა (სუფრაზე გაიგო თამარის დღის ამბავი), თან უთხრა, ვასიკოსა და ჩემი სახელით თქვენს პატარა დისშვილს რაიმე უყიდეთო (დისშვილი რომ ჰყავდა, ესეც იმ დამით გაიგო). ისე ბუნებრივად მოაჩვენა ზედმეტი ფული, რომ თამარმა მე გადმოხმედა, ჩემგან რჩევას თუ ელოდა. მეც ღვინის ტუხი მომდებოდა და თავი დავუქნიე, ჩემი მეგობარი ჩემს სურვილსაც ასრულებს-მეთქი. თამარმა იყოყმანა, იყოყმანა და შეთავაზებული ფული მაინც აიღო.

იმ დამით ამ ამბისათვის მნიშვნელობა არ მიმიცია, მეორე დღეს კი, როცა ღვინო გამომინელდა, საოცარი სევდა დამეფულა, გულში რაღაც ჩამწყდა, ჩამეფერფლა...

ბათუს თამარზე არაფერი ვუთხარი, მაგრამ ბათუ რისი ბათუ იქნებოდა, პირველ დამხვევ არ შეემჩნია ყველაფერი (აკი ზედმეტი ფულის მიცემისას მე მომიშველია!). თავი კი ისე მიჩვენა, თითქოს ვერაფერს მიმხვდარაო.

ბათუ! ბათუ! ვინ გაიგებს შენს ზრახვებს, ჩენს ფიქრებს... დრომდე ვერც მე გავუგაე.

შეიჩვია ბათუ „არაგვს“. ან რა შეჩვევა უნდოდა, ფული ბლომად ჰქონდა და ამფონებს რა გამოუღევდა. პირველ ხანებში მეც ამიყოლია. რესტორანში, აუცილებლად თამარის მავიდა, უნდა დეკავებინა, იქ უნდა ექეიფა. მე შეგონა, ფულის ამბებში თამარი შეუვალი იყო, მაგრამ ფული ისეთი მაცდუნებელი რამ არის, მით უფრო, როცა არა გაქვს და კაპიკს კაპიკზე ადებ, ზედმეტი არასოდეს ზედმეტად არ ჩანს.

გივი გოგიჩაიშვილი  
პირველი რიგში

ბათუმ თანდათანობით ჩამოიშორა, აღარ შე-  
პატუებოდა. რაღა მინცლამინც თამარს შე-  
უჩნდა, როცა ქალაქში გოგოები თავსაყრელად  
ჰყავდა (ავტომანქანა, ბინა, ფული...).

ერთ საღამოს შორიდან დავინახე, თამარი და  
დედამისი ბათუმ თავის მანქანაში ჩაიხვია.

ათასჯერ გავიფიქრე, თამართან მივალ და  
სათქმელსაც პირდაპირ ვეტყვი-მეთქი. მწარე  
სიტყვები კბილებით მიქორა, მაგრამ არ შემეძ-  
ლო თამარისათვის ისეთი რამ მეთქვა, რაც  
მთლიანად დავაშორებდა, დავამღურებდა  
(თუმცა არც არასდროს ვყოფილვართ ერთად!).  
რა დღი მოფიქრება და გამედლოება უნდოდა  
თამარის ცალკე გახმობას და იმის თქმას, რომ  
ოფიციალტი მინც ოფიციალტია, ფულს დახარ-  
ბებულთი, ფუქსავატი, ფეხის ხმას ამყოლი, რომ  
ბათუ მისი შესაფერი არ არის (ეგბე არის!),  
რადგან მას სხვა აჭრი უტრიალებს. თამარი კი  
ბედს ნამდვილად გაურბის, ბედს, რომელიც  
მასაც და მეც ნამდვილად ბედნიერებას მოგვა-  
ნიჭებდა...

ერთხელაც დავლანდე, ბათუ და თამარი, ვა-  
კისკენ მიქროდნენ. მინდოდა ავტომანქანას უკან  
გამოვდგომოდი, მეყვარა, მეღრილა:

— თამარიყოოო... თამარიყოო...

იმ დღიდან თამარი არც მინახავს. მინც ვერ  
დავივიწყე, როგორ მინდოდა გვერდით მყო-  
ლოდა, თუნდაც სიტყვა არ ამოეღო, მხოლოდ  
მისი სუნთქვა მეგრძნო, მისი თვალების ციმი-  
ციმი მალულად მინც მენახა.

ახლა ბათუ რომ დავინახე, ძველი ქრილობა  
გამეხსნა. მეც არ ვიცი, რატომ დავთმე უბრ-  
ძოლველად თამარი, რატომ...

მეტროს ოცდაექვსი კომისრის სადგურთან  
ჩამოვიდეი. ბათუ არ გამოჩენილა, დამეკარგა.  
რესპუბლიკის ავტონსპექციის შენობის შე-  
სასვლელთან ვანოს მოვკარი თვალი.

— ო, ვასო ბექაურო, შენი ჭერიც დადგა  
არ მიყვარს ვანო, ჩვენს კურსზეც არავის  
უყვარდა, თარსის სახელი ჰქონდა გავარდნილი  
და ამიტომ ჩემი სამსახურის პირველ დღეს არ  
გამეხარებია მისი დახანავა.

— დამნავსა! — გავიფიქრე და ვანოს ცივად  
მივესალმე.

— რამ გამოვამტერა? — შემეკითხა.

— მაგვიანდება, — წავიბურტყუნე. უფროს-  
ისი კაბინეტის მისაღებში ვიდექით.

— ვიდრე იქ შეხვალ, კადრების განყოფი-  
ლებაში კითხვებით სულს ამოგზდიან.

უფროსის პირად მდივანს ჩემი სახელი და  
გვარი ვუთხარა.

— კადრების განყოფილებაში მიბრძანდით, —  
მითხრა მდივანმა. იმ კარს მივაღექი, სადაც  
ეწერა: „კადრების განყოფილების გამგე“.

ოთახში, გამგის გარდა არავინაა. შუახნის,  
ჭალარაშერეული გოლიათი მაგიდასთან ზის,  
სათვალე ცხვირზე მოურგია და რაღაცას წერს.

ისეთი უზარმაზარია, სავარძელში ძლივს ეტე-  
ვა, შიგ ჩაქედილა. მაგიდას წელში ოთხჯერ  
კაკული უზის, რადგან, ტანი რომ გამართოს,  
აღბათ, მაგიდას მუხლებზე დაიდებს.

— შეიძლება! — მივმართე, რადგან შესვ-  
ლისას არავითარი ყურადღება არ მამაქცია.

— დაჭეი! — დაჭეი! — არც შემოუხედავს,  
ისე მითხრა და წერა განაგრძო. ერთხანს წე-  
რა, შემდეგ წამოიშორა, სათვალის ქვემოდას  
ამომხედდა:

— გვარი?

— ბექაური, — მივუგე.

კვლე წელში მოიხარა, წინ გაშლილი ქა-  
ლალღები ფურცელ-ფურცელ გადაშალა, ერთი  
მთავანი აიღო, მომპოდა და დაიბუღუნა:

— ფუნდამენტო! აი, კადრების აღრიცხვის  
ანკეტა. მაგიდას კუთხეში მიჭექე და შუავზე,  
პასუხები გარკვევით დაწერე. შენი ძველი ან-  
კეტა იქვეა, არც ავტოგრაფია გინდა, ძველი  
გამოგადგება.

მაგიდის ძვიდესთან დავჭეი. ანკეტა ჩქარა  
შევახზე, ავდექი და კადრების გამგეს მივუახ-  
ლოვდი. მან, როგორც იქნა, წერას თავი დაანე-  
ბა და წელში გასწორდა. ასე დამჯდარიც ჩემზე  
მალალი იყო.

— აბა, მიჩვენე, რა დაწერე?

შევისებული ანკეტა მივაწოდე.

— ფუნდამენტო! — წამოძახა ამოჩემებული  
სიტყვა და შევისებული ანკეტის კითხვას შე-  
უღდა.

— გვარი — ბექაური, სახელი — ვასილი, მა-  
მის სახელი — ივანეს ძე. სქესი—მამრობითი,  
თუ ძე ხარ, მამსახადამე, მამრობითი იქნები.  
აბა, ჩავევთ ქვემოთ. დაბადების წელი, თვე  
და რიცხვი — 1947 წლის 22 მაისი, კარგ თვეს  
დაბადებულხარ. დაბადების ადგილი — სოფელი  
რუისი, ქარელის რაიონი, აქვე ჩაუმატე სა-  
ქართველოს სსრ... ასე, რუისი შესანიშნავი სო-  
ფელია, მაგრამ ბექაურები იქ საიდან მოხვ-  
დით? თუმცა, გეკითხები რაღა ქართველი სა-  
ქართველოს რომელ კუთხეზეც არ უნდა იყოს,  
რად უნდა გეკვირდეს... ერთგება — ქართ-  
ველი სოციალური წარმოშობა — გლახი. ასე,  
მამაშენი კოლმეურნეა?

— მამა არა მყავს, — მივუგე.

მოლბა, სხნაგვარად შემომხედდა.

— დიდე ხანია?

— ხუთი წელია.

— დაძმა გყავს?

— დიახ, ჩემიანად ხუთნი ვართ.

ერთხანს სავარძელში იწრიალა, გადაიწიქა  
და გადმოიწიქა, რადგან სავარძელში ჩაქედო-  
ლი ტანი ვერ ამოძრავა, ხმაში სითბო ჩაუღდა  
და ანკეტის კითხვა განაგრძო:

— პარტიულობა — ხუთი, პარტსტაუი —  
ხუთი... ალკუ წევრი — 1961 წლიდან, გა-  
ნაილება — დაუმთავრებელი უმაღლესი... და-



იყა, დაცა, უნივერსიტეტიდან გახვლის წელი... ასეცა, მამის გარდაცვალების გამო დატოვე, არა?

— დიახ.

— უფნდამენტო — ეს, ალბათ, მისებურად შექებას ნიშნავს, — ავტონისპექტორთა კურსებზე როგორ მოხვდი?

— ძმები წამოიწარდნენ, კომპაგვირის რაიკომმა მიჩჩია, არც მე წავსულვარ წინააღმდეგო.

— უფნდამენტო — შესძახა თავისებურად, — ჩვენ სწორედ შენისთანა ახალგაზრდები გვინდა.

— ახა, უფროსთან წვაიდეტ. — მითხრა და წინ გამოიძვრა. უფროსის მოსაცდელ ოთახში შემაჩერა.

— აქ დამელოდე, გამოგიძახებთ. — სხაახსუსით მესროლა და უფროსის კაბინეტის კარში ძლივს გაეცა.

მოსაცდელში ხალხი ირევა. წრიალებენ, თავიანთ საბუთებს ეძებენ. მდივანი ქალი მათ მისვლა-მოსვლას აწესრიგებს, დავთარში იხედება, გვარებს ეძებს, დანიშნულებისამებრ სხვადასხვა განყოფილებაში აგზავნის. ზოგიერთს აქვე აჩერებს, უფროსი უნდა ნახო.

— ბეჭაურო, თქვენ გეძახიან! — მითხრა მდივანმა.

უფროსის კაბინეტის კარი შევლე და იქვე შეეჩერდი.

კაბინეტი დიდია. დერეფანსა და შემოსასვლელის არეულ-დარეულობის შემდეგ თვალში გეცემო უზადო სისუფთავე. ავეჯიც ახალია, პრიალა. კედლები დია მწვანე ფერითაა შეღებილი და თვალს ახარებს. იატაკი ისეა გაკრიალებული, ოღნავ მტვრიანი ფეხსაცმელით ვერც შებედავ შესვლას.

— აქ მოდი, რა კართან დგახარ! — მომესმა ბოხი ხმა.

— გამარჯობათ! — მივმართე. გულში კი გავიფიქრე, ავტონისპექციის უფროსებს ყველას ბოხი ხმა როგორ აქვთ-მეთქო.

მაგიდის თავთან მთლად გაქაღარავებული კაცი ზის, მაგრამ ჩანს იმდენი ხნისა არ არის, როგორც თეთრი თმა აჩენს. სახე თითქმის უნაკლო აქვს.

— შენს პირად საქმეებს გავეცანი, — მომმართა უფროსმა. — სახიამოვნოა, ჩვენთან ფილოსოფოსი რომ მოლხის.

მეგონა, დამცინისო და თავში სისხლი ამივარდა. უფროსი მიმისვდა და დაუკავებით განაგრძო:

— მე როდი დავცინი, სერიოზულად გელაპარაკებთ ისიც კარგია, რომ კომპაგვირის საგულერთი ხარ ჩვენთან გამოგზავნილი. სწორედ შენისთანა ხალხი გვჭირდება. ხომ იცი, როგორ განვითარდა ტურინში, ჩვენიც, უცხო-

ეთისაც. ყველას თავისებური მიდგომა უნდა. კაცს კაცურად უნდა მოეპყრა, დანაშაული არავის არ უნდა აპატიო, მაგრამ არც ბუზი უნდა აქციოს სპილოდ. არ დაგიმაღავ, ბევრი ცდუნება შეგხვდება, ჩვენზე მოფრები რა ხმებს არ ავრცელებენ. გამოგიტუდები, იმ ხმების ნაწილი სიმართლეს შეიცავს, ჩვენ კი, შენისთანების წუალობით, ჩვენი ცოდვები უნდა აღმოვფხვრათ. რა დაგიმალო, გუშინწინ ერთ ავტონისპექტორს სახალხოდ სამხრეები ავაგლიყ. ცენტრალურ ქუჩაზე, ერთ-ერთ საღარბაზოში შემალულიყო, მგელივით დაღარაჩებულიყო და საუბლოს ელოდა. რაიონიდან მოსულ ავტომანქანის შოფრებს ტყუილბურალოდ იჭერდა და ტყავს აძრობდა, ვინ იყო მართლისა და მტყუანის გამეოხხავი... ჩვენ სწორედ თქვენისთანა მუშაკების იმედი გვაქვს. გასაგებია?

— გასაგებია, უფროსო! — წამოვუვიმე.

— მაშინ, ყმაწვილო, ერთ შეკითხვაზე მიპასუხე და ტრასაზე გაგიშვებ. ერთი მითხარი, რა არის ეგზისტენციალიზმი?

გაოცებისაგან კინაღამ შევტბი, დავიბენი.

— ნუ გაგიკვირდება, — მითხრა ღიმილით.

— ეგზისტენციალიზმი, — დავიწყე, საკითხი კარგად ვიცოდი, რადგან საკურსო გამოცდაზე სწორედ ეს შემხვდა. — მიმართულებაა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. მისი ძირითადი თემა პიროვნების ბედ-იღბალი თანამედროვე სამყაროში...

ერთხანს მისმინა, შემდეგ სიცილით შემაწყვეტინა. საოცრად უხდებოდა სიცილი.

— ახლა ჩვენს ეგზისტენციალიზმს მივხედოთ, მაგას კი ბურჟუაზიული ფილოსოფოსები მოუვლიან. ჩიბარე შენი მანქანა და ტრასაზე გადი. მცხეთის ავტომექანიზებულ რაზში განგაწესეთ: წარმატებას ვისურვებ, ვასილ ბეჭაურო!

წამოდგა და ხელი გამომწყოდა. მაგრად ჩამოვართვი.

ახალთ-ახალი ავტომანქანა „ვოლგა“ მივიდე, ყვითლად შეღებილი, ლურჯბაზიანი. სახურავზე ლურჯი ნათურა უკეთია, საღამოთი უნდა ჩართო. საუქსთან პატარა მიკროფონი მაქვს, რომ ჩართავ და ჩასაზებ, მანქანის რეკროდუქტორის ხმა კლოამეტრზე ისმის.

ავტომანქანით თბილისის ქუჩებში მივექრე. ყველა ტრანსპორტი გზას მაძლევს, ან ჩერდება, ან სვლას ანელებს.

— მოვდივარ, — გულში ამაყად ვიძახი. — ავტონისპექტორი მოვდივარ, გზა მიტეხთ!..

და მიტევენ, მითმობენ. ყველა მანქანას ვასწრებ. როგორც კი გამოჩნდები, გზა ფართოვდება. ავტონისპექტორის „ვოლგის“ რიდი ყვე-

ბივი გოგინაძე  
პირველი რბისი



ლასა აქვს, რადგან, ასეა დაწესებული, შოფერთან კონფლიქტში მართალი მუდამ ავტონისპექტორია, სიმართლედ მუდამ ავტონისპექტორის მხარეზეა, ჩემთან ქიდილი და კამათი ხელს არავის აძლევს, თუნდაც საქვს აკადემიკოსი ან ცნობილი მწერალი უჯდეს.

რუსთაველის პროსპექტს რომ დავადექი, ჩიტაძის ქუჩიდან უნომრო მანქანა გამოჩნდა. ახლა მე შევჩერდი. და მანქანას გზა დავუთმე. ასე მასწავლეს კურსებზე. უნომრო მანქანებს ისეთი მძღოლები უხხედან, გამოცდილებითა და უფლებით ათ ავტონისპექტორს აჯობებენ.

უნომრო ავტომანქანა რომ გავისტუმრე, კვლავ ვაჯაქროლე.

აგერ, ნავვის მანქანა შუა გზაზე გაჩხირულა. ნავვისათვის ხშირად ძველი, უფარგის მანქანა აქვთ გამოყენებული. ახლაც მოტორი ჩაქრობია. მძღოლს მისი გვერდით ვადაუენება ვერ მოუხსწრია. ირგვლივ მანქანები შემოჭარვია. მძღოლები ცდილობენ გაძრომას, სხვას არ უყურებენ, ერთმანეთს გზას არ უთმობენ, ხელს უშლიან. მიკროფონი ჩაერთე და სული შევუბერე. უბრალო სულის შებერვით ჩემი რეპროდუქტორი ისეთ ხმას გამოსცემს, რომ ავტომანქანების საყვირის გამაყურებელ ხმასაც ახშობს. ჩემი ხმა გაიგონეს თუ არა, მძღოლები უცებ თვინიერნი და ზრდილობიანნი გახდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მანქანები ერთმანეთის მიყოლებით დაიძრნენ. თანაც გზას მე თითმობდნენ. გზაზე წესრიგი მთლიანად აღდგენილი არ იყო, მაგრამ არ შევჩერებულვარ, თბილისის ქუჩები ჩემი ბიექტი არ არის და იქ მე არაფერი მესაქმებ.

ხალხი ქაიწველებით ირევა ქუჩაში. ზოგს მიჩქარება, ზოგი მისიერნობს, ზოგი გზადაგზა გაზეთს ათვალიერებს. ყველას თავისი საზრუნავი აქვს. დიდი ქალაქი ადამიანს ინდივიდუალურ სახეს უქარავას. მოფუსფუსე ადამიანებს მანქანიდან რომ უყურებ, მათ სახეებს ვერც აჩნევ, ერთმანეთისაგან მსოფლოდ ტანსაცმლით განსხვავდებიან. ზოგს ქრელ-ქრული უყვარს, ზოგს ერთი ფერი, ზოგი უახლოეს მოდას ბრმად მისდევს და ზოგიც ამ მოდას არაფრად ავდებთ. ასე დადიან ბავშვები და მოზუციები, ქაბუციები და ხანდაზმულები, მიდიან და მოდიან, ჩქარობენ, იციინან, კამათობენ, სდუმან, გარბიან და მისიერნობენ. რაც უფრო ვზორდები ცენტრს, ხალხიც კლებულობს, გზა უფრო თავისუფალია და მეც სიჩქარე ვუმტატებ.

მერ, ვილაც თავდააკლული მეთევზე სანაპიროს მოაჯირს გადაკიდებია, ანკის მტკვარში ჩაუგდია და მოთმინებით უცდის, იქნებ პატარა უკაუო ბიჭუნა მაინც მოჰყვეს ანკეს. მაგრამ აჲ, შუა ქალაქში, რა უნდა დაიპიროს ეს ვაი მეთევზე, კი ვითომ და ხანდაზმულობს. ალბათ არა აქვს და სულთა ჰაერზე მაინც იკლავს თავის ღონს. როგორც ჩანს, პენსიონერია და კო-

მუნარების ბაღში დომინოსა თუ შაშის დამამსხვერპლები თევზაობა ირჩია. ირჩია და ირჩიოს!

აი, ეს. ღობიანი და ლოყეგამობერილი ბიძა ნამდვილად კარგი მჭამელი იქნება. მისი ღობით თუ ვიმსჯელებთ. ერთ ინდაურს შეთქვლედს, და თუ იქნა, გოჭხაც დააუკლებს.

ავტონისპექტორთა კურსებზე ერთი შესანიშნავი მასწავლებელი გვეყავა, ნიკოლოზ ბასილაშვილი, ჩვენ ნიკბასს ვეახხდით. მეგობრებით ვიყავით. გამოცდილი ავტონისპექტორი და უბრწყინვალესი მძღოლი იყო. საქართველოს შარა-გზებს თავისი ხელისგულივით იცნობდა. ჩრდილო კავკასიის გზებზეც ბევრი ეარა, რუსეთის თვალწინდენელ ტრასებზეც. როცა საცდელი მანქანის საქვსთან ვიჭექი და ნიკბასი ჩემს ვერდით იყო, უყვარდა ხოლმე ასეთი ხუმრობა: ვინმეს ზედმეტად ღობიანს რომ ნახავდა, მეც შემახედებდა, მაგრამ ისე რომ საქვსათვის ხელი არ შემეშევა და შემეკითხებოდა:

— აბა, ვასილა, მითხარი, როგორი მჭამელი იქნება ეს ამხანაგი?

— დიდებული მჭამელი! — მივუგებდი. ნიკბასი სიამოვნებისაგან ლოყებით ებერებოდა და აღარ მივებოდა:

— მაინც რას ნიშნავს დიდებული მჭამელი? — რას ნიშნავს და, აი, სულრაზე ხუთი კაცის ულულუას რომ თავისთვის მოხვეტს და შესანსვლავს.

— ოხო, ხო, — ხელებს იფშენებდა ნიკბასი და ახლა სხვას დამანახებდა, — აი, იმას, შენი აზრით, სუკები თუ ეყვარება?

— ეყვარება, — უნდა დამედასტურებინა — ღორის სუკები ეყვარება, კარტოფილთან შემწვარი.

— არა, — თავს გააქნევდა, — მაგას კარტოფილი არ ეყვარება, ხახვში შემწვარი სუკი მისი დღესასწაული იქნება.

— ესეც შეიძლება, — ავევებოდი მეც, — ხახვსა და ტომატში შემწვარი სუკები.

— ხი, ხი, ხი, — ხითხითებდა ნიკბასი.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში ავტონისპექტორის საქმეს და ავტომანქანის სრულყოფილად მართვას გვასწავლიდა. აბა, ავტონისპექტორი, რისი ავტონისპექტორი იქნება, თუ უმაღლესი კლასის შოფერი არ გახდება, ვერც ერთმა ავტობულიგანმა ვერ უნდა მოგატყუოს, ვერ დაგჯანნოს, ვერ გაგაქცეს...

დიღმის ბოლოს ავტონისპექციის საკუთავოსთან მორიგე დგას. რომ დამინახა, მომესალმა, ხელი ქულთან მიიტანა. ნაცნობს ელოდა და უცნობი რომ დამინახა, გავივრვებით თვალი გამაყოლა. არ გავჩერებულვარ, მიკროფონი ჩაერთე და ჩაქაბხე:

— მოგესმალმები! ახალი ინსპექტორი ვარ, ვასო ბეჭაური! კეთილად!..



მორიგეს გაეცინა, რაღაც მანიშნა, ვერ გა-  
ვძამ-

ჭაქის ხიდზე მატარებელი მიიკლავება,  
ხაუროთა და დგანდგარით მიჰქრის. საცაა სად-  
გურში შევა, ამიტომ გახმით მიაკვილა. მატა-  
რებლის ხიდვეშ გაძვერი და გზას დავაღევი.  
ჩანს, მთებში თოვლს დნობა დაუწყია. მტკვ-  
რის ძველი კალაპოტიც საგვა.

ეს ტრასა რიკოთის უღელტეხილამდე სულ  
წვირიად ვიცი. ნიკბასს დავეყვდი ამ გზაზე.

როცა აღამიანს ხშირად ხვდები და მასთან  
ახლო დამოკიდებულებაში იმყოფები, წარმოდ-  
გენც არა გაქვს თუ რა არის ის შენთვის. ნიკ-  
ბასს ჩვენს გვერდით ათენებდა და აღამებდა,  
გასწავლიდა, გვიხსნიდა, გეტუქსავდა, გვი-  
ყავებდა. ახლა კი, როცა დამოუკიდებლად პირ-  
ველ რიგისზე გავედი, საოცრად მომენატრა ჩე-  
ნი ნიკბასი, ბატონი ნიკოლოზ ბასილაშვილი,  
გულსათუთი, მაგრამ მკაცრად მომთხოვნი, კე-  
თილი, მაგრამ პირდაპირი, მიუხედავად ხან-  
დაშეშლობისა, სიცოცხლით სავსე აღამიანი.

მოტომქანისირებული რაზმი ერთ ძველ  
შენობაშია მოთავსებული. იატაკი ხისაა, ჩანს,  
მის განახლებაზე არავის უჭრუნია, ამიტომ  
ალე-ალე ჩამაღა და დრმულები გაჩენია.  
ქედლებიც დიდი ხანია არ შეუღებავთ, ზოგ  
ადგილას ბათქაში ჩამოცვენილა, ზოგან წვიმას  
ქერი ჩამოუნგრევია.

სადაცაა რაზმი ახალ შენობაში შესვლას  
სიურიმებს, აღბათ, ამიტომ არ აქცევენდენ ძველს  
გულსაღებებს. შენობაში. მიუხედავად სიძველი-  
სა, სისუფთავე სუფევს. ეზოში ავტოინსპექ-  
ტორთა ორი ვოლგა დგას და შვიდი მოტო-  
ციკლეტი. ჩემი მანქანაც იქვე გავაჩერე და  
შენობაში შევედი.

წითელ კუთხეში ავტოინსპექტორები შეკ-  
რებილან. ცალი თვლით გადავხედე, არც ერთი  
ნაცნობი. მე აქ, უფროსის გარდა, არავის  
ვიცნობ. კომკავშირის საგზურით რომ გამო-  
მაგზავნეს, პირველად მას ვეახელი. ბურთივით  
მრგვალი კაცია. დამალი და მსუქანი. ვერც-  
ხლის წყალივით მომარავი და მოუსვენარი, ერთი  
წუთითაც არ ჩერდება. ამ პატარა ტანის კაცს  
ხვერდღვით ხმა აქვს, ახლაც, მის კაბინეტი-  
სკენ რომ გავეშურე, უურში მისი ტბილი  
ხმა მომხვდა. მისვლისთანავე მიცნო.

— ო, რუსიელს ვახლავარ, — შენზე დამი-  
რეკს და შენი თავი ჩამაბარეს.

რომ არ ვხსოვნებოდი, დარეკვის შემდეგ გა-  
ვახსენდებოდი, მაგრამ რუსიიდან თუ ვიყავი,  
საიდან მოგონდა.

მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა, შემ-  
დეგ ერთხანს კაბინეტში იბორილა, ხან ერთ  
კუთხისკენ გასწია, ხან მეორისკენ, გზადაგზა  
თავის ხელქვეითებს დავალეებებს აძლევდა.

ეკვლინი რომ გაისტუმრა, მე მომიბრუნდა:

— აბა, რუსიელო, ახლა შენს საქმეს მიე-  
ხედოთ.

ჩუმაკ ვარ, ხმას არ ვიღებ.

— შენთვის ტრასა ნაცნობია, ნიკო ბასილა-  
შვილმა დაგატარა, თუ რა მოვალეობა გაქის-  
რია, ესეც იცი. ხომ იცი?

თან მელმარაკება, თან ოთახში ბოლთასა  
სცემს, ბურთივით დაგორავს.

კვლავ ხმას არ ვიღებ. ახლა პირისპირ და-  
მიდგა და თვალბეში შემომხედა.

— თქვი რამე, რა სარგავაუღალუღვით დგა-  
ხარ.

— ეველაფერი გასაგებია!

— ჰოდა, თუ გასაგებია, შენს მანქანაში ჩა-  
ქევი და გაუტოვი!  
გასვლისას მომბარუნა, მხარზე ხელი მომი-  
ტუქაუნა და თბილად მითხრა:

— აბა, რუსიელო, წარმატებას ვისურვებ!  
ავტომანქანაში ჩავექევი, მოტორი ჩავრთე და  
დავძარი. გულში მეციენება, ჩემი უფროსი  
ნამდვილად შესანიშნავი მქამელი იქნება, ისეა  
კურატვით ჩამრგვალეებული. ოხო-ხო, რა  
სუკები ეყვარება!..

აგერ, წიწმურზე აღმართული ილიას ობე-  
დისი გამოჩნდა, მარჯვნივ და მარცხნივ, გზის  
გაუოღებავზე, ორ და სამსართულიანი სახლე-  
ბია. რა აგარაკები არ წამოუქმავთ თბილი-  
სელებს, თითქოს ერთმანეთის ჯიბრზე. რა  
ეგრანდებია, ეზოები ხეხილითა და ვენახით  
მორთული. შუა ეზოებში აუზები აქვთ, ესეც,  
აღბათ, ერთმანეთის წაბადვეს. ამბობენ, აუ-  
ზებში არავისი დაქერილი თევზები ჰყავთ მო-  
შენებულოთ. რასაკვირვლია, ვინც ასეთ სახლს  
აგებს, მას საკუთარი მანქანაც ექნება და  
ათასი სხვა რამ, რაც ზოგისთვის ჭერჭერობით,  
ფუფუნებაა.

თავდაღმართს ჩავეყვი, ორჯონიკიძისა და გო-  
რისკენ მიმავალი გზების შესაყრელთან დადგ-  
მულ ავტოინსპექციის ჯიხურთან მანქანა შე-  
ვაჩერე.

ჯიხურიდან შავულვაშა ავტოინსპექტორი  
მათვალთერებს. შორიდან თვლი რომ მომკრა,  
გამოვიდა, მაგრამ ჩემი სამხრეთი დაინახა თუ  
არა, კვლავ ჯიხურში შევიდა. ჩინით ჩემზე მე-  
ტია.

ავტომანქანიდან გამოვიდი. მას ცნობისმოყ-  
ვარობამ მაინც დახმლია და კვლავ გამოვიდა  
ჯიხურიდან.

- გამარჯობათ! — მივესალმე.
- გამარჯობს! — მომიგო.
- ახალი ხარ? — ახლა იგი შემეკითხა.
- დიხს.
- რომელ ტრასაზე განგაწესეს?
- ნცხეთა — რიკოთი.

ბივი გოგინაიშვილი  
პირველი რბისი

— ყოჩაღი! — რატომღაც შემაქო. — მაშინ ვიცნობდეთ, ფარნაოზ ბაბლიძე ვარ.

მეც ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი.

— ნახე, — და ჩიხურის უკან მიმიყვანა, სადაც თვალს მოფარებულთ „ეტიგული“ ისეთი მიქსელტ-მოქსელტითი იყო, ვერ გაუგებდით, თავი საით მქონდა და ბოლო საით.

— სად მოხდა ავარია? — შევეკითხე.

— ციხისძირთან.

— მსხვერპლი?

— კიდევ კარგი, მხოლოდ მსუბუქად და-ზავდნენ.

— როდის მოხდა?

— წუხელ, ამ დღით აქ დამხვდა. გორიდან მოდენილა, მძლოლი მთვრალი ყოფილა, ბოძს შეგახებია. ო; მაგის... — შეუკუთხა. — ამიტომ არ ვინდობ მძლოლებს.

— ამაში კი ვერ დაგეთანხმებით.

ფარნაოზს როგორც ჩანს, არ სიამოვნებს, როცა მის აზრს წინააღმდეგობას უწევენ.

— შენ რა იცი, — გამომწვევად მითხრა, — ახალი ხარ. ახა, ცოტა ხანს ტრასაზე იარე!

— მთელი სიცოცხლე რომ ავტონისპექტორად დავრჩე, ჩემს აზრს მაინც ვერ შევიცვლი.

— შეიცვლი.

— მაგრამ ავტონისპექტორებზეც ამბობენ... — ჩაეღლაპარაკე.

ფარნაოზი შეხტა.

— ყველაზე ცუდი ავტონისპექტორიც კი, მძლოლთან შედარებით, ანგელოზია. ახალი კაცი ხარ და კარგად დაიხსომე, თორემ თუ ავტონისპექტორებს მტრულად შეხედ და მძლოლებს მოეფრე, ამქვეყნად ბევრს წააგებ.

რამ შეაძულა ამ კაცს ასე მძლოლები? რა და-უშავეს? რასაკვირველია, ასეთი სიძულვილი უსაფუძვლოდ არ დაიბადებოდა, მაგრამ განა ყველაზე ცუდი უნდა იქონი!

— მანქანა ახალი მიგაღია, — შეათვალე რა ჩემი ავტომანქანა ფარნაოზმა, — მალეა პაპა გეყოლება. — და თვალე ცას მიაპურო.

— მე მამაც კი არა მყავს ცოცხალი, — ვითომ მისი შეკითხვა ვერ გავიგე.

ფარნაოზს სახე აუჭარხლდა.

— თავს რას ისაწყლებ, ხომ მიხვდი, რომელ პაპაზეც გელაპარაკებო.

— ვერა, ვერ მიხვდი.

ფარნაოზმა თვალები დამიბრიალა, მაგრამ გაჩუქებდა არჩია.

ერთი რამ შევამჩნიე ამ კაცს, თუ მის სიტყვებზე თანხმობით თავს ვუკრავდი, მიღიმოდა, თუ შევეკამათებოდი და საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამდი, ბრანდებოდა.

ახლაც გაფხორილია, ზედაც არ მიყურებს, თითქოს მე ვიყო დამნაშავე, რომ იქ, მალა, არა თუ პაპა, ჩემი ტოლიც კი არ მეგულდება. რატომ მომცეს ახალი „ვოლგა“? რა ვიცი, რატომ მომცეს. მე მგონია, ეგზისტენციალიზ-

მა მიშველა და იმანაც, რომ ჩვენს უფროს ფილოსოფია ჰყვარებია.

— შე ტრასაზე გავედი, — ვთქვი და მანქანისაკენ გავწიე.

— წადი, წადი, — ჩაიბურტყუნა ფარნაოზმა, ჩანს, ჭერ კიდევ გული არ მობრუნებია. არა უჭირს რა, დღეს პირველი შეხვედრაა, შემდეგ უფრო ხშირად ენახეთ ერთმანეთს, მეც რა მიჭირდა, მექნია და მექნია თავი. მაგრამ რომ არ შემძლია..

ფარნაოზს გამოვემშვიდობე და გზას დავადექი.

შესანიშნავი დარია. წელს გაზაფხული მოყრძალეზული ნაბიჯებით შემოვიდა. ხეირიანად არც კი დამთხარა. დღეს კი მზის მცხუნვარება ძალაში შედის.

მიკროფონი მზადა მაქვს. ვინ იცის, რა დროს დამპირდება. ტრასა მძიმეა, უამრავი ავტომანქანა დაქრის. მით უფრო, გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს. იმიტომაც იყდა კაცმა მანქანა, რომ თავის ნებაზე ატაროს.

მივჭირვარ, მივფრინავ... შემდეგ ქროლვის სურვილს ვიოკებ და მანქანა უფრო ნელა მიმყავს. გაზაფხულის სურნელი ავტომანქანაშიც იჭრება. ხეები ეს-ესაა ფოთლებით შემოსილან, ერთბაშად იციან ამწვანება.

ცაზე ერთი ღრუბელიც არა ჩანს. შორს, ცის დასალიერზე კავკასიონის მარად თოვლმოსხმული გოლიათები აუღებულან. ცა წყაროსავით გამჭვირვალე და სარკესავით კრიალაა, ამიტომ მოჩანს ასე ნათლად კავკასიონის მთაგრეხილი.

დამიხედეთ, როგორ არღვევს წინ გაქრილი „ეტიგული“ მოძრაობის წესებს. თავის გზას არ ჭერდება და შემხვედრ გზაზე გადის, აგერ, ორ მანქანას შორის გაძვრა. ნეტავი ასე საით მიეჩქარება, სიკვდილი ხომ არ მონატრებია? მიკროფონი ჩავრთე და ჩავძახე:

— „ეტიგული“, „ეტიგული“ ოცდასამი სამოცდათორმეტი, ოცდასამი სამოცდათორმეტი, იარე შენს გზაზე. იარე შენს გზაზე!..

ო, რა ხმა აქვს ჩემს რეპროდუქტორს.

„ეტიგული“ ერთხანს შეჩერდა, შემდეგ ნელა დაიძრა და თავის გზას დაადგა.

— ასე, შე დალოცვილო, — ჩავძახე მიკროფონში. — რას ერჩი შენს ცოლ-შვილს, მათ დაეობლებას რომ აპირებ!

როცა გავუსწორდი, მძლოლს შეხვებდე. საქებს ახალგაზრდა კაცი ეჭდა. მოასწრო, ენიშნებინა, ცოლ-შვილი არ მყავსო. გამეცინა და დამშვიდობებისას დავემუქრე:

— ვიდრე ცოლს არ შეირთავ, ამ ტრასაზე არ წახდი!

რასაკვირველია, შემემლო გამეჩერებინა და მანქანის მართვის მოწმობა ჩამომერთმია, მაგრამ არ მინდა, პირველი დღე ასე დავიწყო. ისე შევახურე, დიდხანს არ დაავიწყებდა.

— ერიდეთ „უიგულებს“!.. — უყვარდა ხოლმე თქმა ჩვენს ნიკასს, — გზაზე შემთხვევებით ვახშირდა, დამნაშავე კი უფრო ხშირად „უიგულის“ საქმესთან მჭდარი ავტომოქვარულია. ავტომანქანის ტარების ანაბანა კი შეუსწავლია, მაგრამ კარგად როდია დაუფლებული.

მივჭრივარ, მანქანის საქე კარგად მემორჩილება. ისეთი დღეა, სიმღერა მომინდა. ახლა მიკროფონში სიმღერა რომ ჩასახსო, წინ დაუქან მინავალი მძღლოდები ბანს მტყუიან. მიკროფონში ცხვირი რომ დავაცემინო, ორი კილომეტრის იქით მძღლოდები „იცოცხლიო“ მტყუიან. ეგებ შემეპყრობოთ კიდევ, „არ ვახარებთა“! თუკი მძღლოდების მოძულე ფარნაოზივით ავტომანქანის ტარებად, ეკუთვნისთ „არ ვახარებთა“.

კვლავ მივლის ქროლვის უინი და მივჭრივარ, მივფრინავ... წარმომიდგენია, დღეში ფეხმარდ მერანზე შემჭდარ მხედარს როგორ მოუვლის ხოლმე ქროლვის უინი... მე არავის არ ვეჭიბრებ, მაგრამ რატომღაც მომინდა აი, იმ ახალ „ვოლგას“ გავსწრო. შვიი „ვოლგა“, ალბათ პლომბი ეს-ესნა მოხსნეს და ახლა გზას თავისუფლად ადგია.

გორის ბაზრის იქით, ლიახვის ხიდთან მანქანებს თავი მოუყრიათ. იქვე ხალხი ირევა-ოგზ ჩემოდანი უჭირავს, ზოგს ტორტები და უწყვიან და ავტომანქანას ელოდება, ზოგი კალათითა და ზოგიც ზურგჩანთით.

შევიჩრდი.

მე რომ მნახეს, მსუბუქი ავტომანქანის რამდენიმე მძღლოი დაფრთხა. სასწრაფოდ მოტორები ჩართეს და გზას გაუდგნენ. მხოლოდ ერთმა ვერ შემამჩნია, მგზავრებთან ვაქრობითაა გართული. მოდი, ერთი სიმკაცრე გამოვიჩინო. უცებ დავადექი თავზე.

— რა ამბავია? — შევიკითხე.

მძღლოი მობრუნდა და რომ დამინახა, დაიბნა, ფერ-ფერი წაუვიდა, მაგრამ გონს ჩქარა მოიგო.

— თქვენი წიგნაკი და საგზური! — მივმართე მკაცრად.

— ვაა, — გაიკვირა, — საგზური?.. საგზურიცა მქვს და „პრავეც“... ახლავე მოგართმევთ, — და გულის ჭიბეში ფათური დაიწყო, თან ტომრიან მგზავრებს თვლით ანიშნა, გამეცალდეთო, — აქა მქვს... აქ მქონდა... სად ჩანდაბაში დამეკარგა... — მგზავრები გასცილდნენ თუ არა, შეპარვით მკითხა.

— ეს „პრავეც“ რად ვინდა, უფროსო?

— ნუ მალოდინებთ.

ერთხანს კიდევ ეძება, შემდეგ ვითომ მოაგონდაო, შარვლის ჭიბიდან საბუთები ამოიღო, დიდხანს ატრიალა ხელში.

— მომეცით! — გავუმერე.

— ვანა რა გავაკეთე, უფროსო, ისეთი, რომ საბუთებსა მთხოვ?

ხელი გავუწოდე, ყოყმანით მომცა, სამშენებლო ტრესტის ავტომანქანა აღმოჩნდა, საგზური, თითქოს წესრიგში აქვს, მაგრამ გონში რა უნდა ცარიელს, რასაკვირვებია, საშვარზეა წამოსული.

— საით მიდინართ? — შევიკითხე.

— საგზურში ვანა არ წერია, უფროსო.

— მერე, აქ რას გაჩერებულხართ?

— ვაა, — გაიკვირა, — მანქანამ „სტუკი“

მისცა, ერთ წუთს გავაჩერე.

— გაჩერებას არავინ გიშლით, მაგრამ ამ ტომრიანებს თქვენთან რა უნდოდათ?

— ვაა, — უფრო გაიკვირა, — მე რა ვიცი, რა უნდოდათ. გავაჩერე თუ არა, მოვიდნენ. ალბათ, სადმე წასვლა თუ უნდათ. მაგრამ მე იმისი ჩრტი ვარ, წესრიგი დავარდვიო...

— რა ვიცი, კი ევაქრებოდით და...

— შემეცოდნენ, უფროსო, სურამამდე ცარიელი მოვდივარ, ვიფიქრე, კეთილ საქმეს გავაკეთებ-მეთქი. თან გზაზე მარტოვას არ მომწყინდებოდა.

გულში ჩამეცინა. შემეძლო ავტომანქანის ტარების უფლებაც ჩამომერთმია, მაგრამ, არსებითად, აშუამად არაფერი დაურღვევია. მგზავრებთანადა გზაზე რომ გამეჩერებინა, კიდევ ჰო, ახლა, თუ არ ავუხიბრდები, შეიძლება გავუშვა, მაგრამ ცოტათი შიში მაინც უნდა ვაქამო.

— როგორ არა, — ავდივით მივუგე, — გამიჩნდა აქ მეცენატო ცარიელი მიდიოდა! მაინც რამდენს ართმევდით?

— ცოლ-შვილი გამიწყვეს, ნამდვილად შემეცოდნენ. გლეხები არიან, რადიც-რულაცკები შინ მიაქვთ. მავათ ფულს გამოვართმევდი... ვინა გგონივართ!

ახლა ამის გამოკვევას ხომ არ შევუდგები, ნამდვილად ცოლ-შვილი ჰყავს თუ არა. თუ არა ჰყავს, მაშინ მის ფიცსაც ძალა არა აქვს და თუ ჰყავს, მაშინ ნამდვილად დამიშინებია, ცოლ-შვილიც რომ არ დაინდო.

— კეთილი, — ვუთხარი და საბუთები უკან დავუბრუნე, — მაგრამ გაფრთხილებთ.

საბუთები ასე იოლად რომ მივეცი, ჯერ გაცოდა, შემდეგ სახეზე ღმილმა გადაურბინა, მაგრამ შეძლო თავის შეკავება და სიხარულის დამლავა, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა და უცემციმებდა.

საბუთები რომ ჭიბეში ჩაიღო, მომიბრუნდა:

— უფროსო, ახალი ხარ? — შემეკითხა.

— დღეს პირველად გამოვედი ტრახაზე, — პირდაპირ ვუთხარი, არ დავუშალე.

— მიტომაც ხარ ასეთი ჭრისტიანი, — შემაქო, — თქვენი ძმების სიტყვა მუდამ კანო-

გვიც გზობინაშვილი

პირველი რეისი

ნია, ჩვენსა, კი, ცამდე მართალიც რომ ვიყოთ, ვინ დაგიჭრებს.

— ახლავე მანქანაში ჩაქეი, — უახილად გავბრაზდი. — ახლავე გასწვი, თორემ მავლაპარკისათვის ნამდვილად ჩამოგართმევ საბუთებს.

— მივდივარ, უფროსო, მივდივარ, — შოფერმა ხელები გაშალა, — თორემ ვატყობ, შენთან ლაპარაკი ხეირს არ დამაყრის. ნახვამდის, უფროსო, შენოდენა შვილი შეყვს და მაინც, ხომ ხედავ, უფროსო, გეძახი...

ჩაიფინა, სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა, მოტორი ჩართო, ადგილს მოწყდა და თვალს მივიფარა.

მეც მანქანას მივაშურე, დაძვარი.

მართლაც მოსაგვარებელია ამათი საქმე, დღე და ღამე გავრთიანებული აქვთ პირად მძღოლებს. „ხაზეინს“ გარდა, როგორც თავიანთ უფროსს ეძახიან, „ხაზეიკასაც“ უნდა მოემსახუროს, ბაზარში წაიყვანოს, საპარკმახეროშიც, მეგობრებთან სტუმრად. უცხოლებიც უნდა ატაროს მუხისკისა და შეცხოენების მანქანებლებთან. ხანოვაც მძღოლებს აზღვიანებენ, ბორჯომისა თუ ლიშიანთით სავსე ყუთებს. შაბათი დღე მაგათ არ იციათ და კვირა.

მძღოლი მეოცე საუფუნის პირშოა, ახალი კლასია, თავისებური. მათში განათლებულნიც არიან და უცოდინარნი, კულტურულნიცა და უჭრდელნიც, კეთილნი და ბოროტნი, საქმიანიც და უსაქმურნიც. თითქმის მამაკაცის საქმეა, ქალებს იშვიათად შეხვდებიან. ისე კი არაა საქმე, კინოსურათ „აბეზარაში“ რომ არის.. რა იოლად წყდება ყველაფერი, მძღოლ ქალს თავისი უფროსი დაჰყვას, შემდეგ ერთმანეთი შეუყვარდებათ და ჰარაღე, კინო კოცნით მთავრდება. ეს კი გამიგია, მძღოლი თავისი უფროსის ცოლს ჰკოცნიდეს, მაგრამ მძღოლი ქალი იყოს, ისიც ლამაზი, ჰკვიანი და თავის უფროსს ჰკოცნიდეს, არ მსმენია. კინოში, აღბათ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

მიდი-მოდიან გზაზე მსუბუქი ავტომანქანები, ავტობუსები, საბარკოები.. რუისში ჩემებს მივკითხე, ვისადილე, ცოტა ხნით დავრჩი, პატარები გზამდე წვაიყვანე, გადავკოცნე და გამოვეშვიდობე.

ავტორს იქით, რკინიგზის ხაზი რომ გადავჭერი, ერთად თავშეყრილ რამდენიმე ავტომანქანას მოვკარი თვალი. მძღოლები და მგზავრები მანქანებიდან ჩამოსულან და რაღაცაზე ცხარედ დავობენ. რომ მიუახლოვდი, დაჩუმდნენ.

მე მანქანიდან გადმოვედი და შეკრებილთ მივმართე:

— რა ამბავია?

— უფროსო, — მომვარდა ჩია ტანის კაცი, ტანსაცმელზე ეტყობა მძღოლია.

— აი, მომყავს ჩემი მანქანა, მივდივარ,

საყვირს ვაძლევ, გზა ხსნილია, ცემენტის მლოდავ მანქანას უნდა გავასწრო, კუჭურის დავაყრუე, ჩემმა მზემ, ყურს არ იბერტავს, გზას არ მძღლევს. მე წესიერი მძღოლი ვარ. მოძრაობის წესებს ხომ არ დავარდევ, ჩემმა მზემ, მივდივარ ჩემს გზაზე, ამ დროს..

— რაო! ჩია ტანის შოფერს წინ აეტუზა მხარბეიანი მამაკაცი, — წესი შენ დაარდვი და ახლა მე მხარალებ შენს სიგლახეს?..

ჩია ტანის მძღოლი ერთიანად გაწითლდა, უცებ შევფანე მდგომარეობა. ბევრი არაფერი მომხდარა, ცემენტით დატვირთულ ავტოციტრინს ოდნავ გაუფხავნია „მოსკვინი“, რომელსაც ჩია ტანის მძღოლი უჭდა. ვინ იცის, რომელია დამანაშავე? იმის გამო, რომ ჩია ტანის მძღოლმა წუწუნი და დაბეჭდება დაიწყო, არც ერთი აქ მყოფი მას არ მიუდგება, თუნდაც ცამდე მართალი იყოს. არ უყვართ მძღოლებს მახერდარები. მერედა, ამ „მოსკვირის“ მძღოლი პირდაპირ მე მომვარდა. აბა, რა დიდი ამბავია მისი გავფხავნელი ავტომანქანის გამრთლება. პირდაპირ რომ მოლაპარაკებოდა ცემენტის ავტოციტრინის მძღოლს, გაუკეთებდა, გაუსწორებდა, შეუღებავდა, ისე განუახლებდა, „მოსკვირს“ არაფერი დაჩანდებოდა. ეს კი დამდგარა და წუწუნებდა..

— ამთ ნუ უჭერებ, უფროსო, — მოხრა ჩია ტანის მძღოლმა, — ჩემმა მზემ, ამთ პირი აქვთ შეკრული ჩემს წინააღმდეგ. მე რა ვქნა, ჩემს უფროსს როგორ მივუყვანო დამტვირეული მანქანა.

— თქვენი საგზური მიჩვენეთ, — მივმართე ჩია ტანის მძღოლს.

მეოცე გაწითლდა, დაიბნა. — ჩემი საგზური რად გინდა, უფროსო, — ჯიუტად მომიტო, — საგზურები ამთ უნდა გამოართვა, ამით, ამ ხულიანებსა და ავტომოჭირითებს.

— საგზური მიჩვენეთ! — ახლა უფრო მკაცრად მივმართე.

დიდხანს აფთოტრა ჯიბეებში ხელი, ხან რა ამოიღო და ხან რა. მაინც არ მოვეცი.

ირგვლივ თავშეყრილი მძღოლები ცნობის მოყვარეობით გვიუტრებენ. მე რომ აქ არ ვიყო, იცოცხლებ, ამ ჩია ტანის მძღოლს შვდღეს დააყრან.

ბოლოს, როგორც იქნა, მოწმობა ამოიღო. აღმოჩნდა, რომ ეს „მოსკვინი“ საკუთრივ მისი უფოლა, არავითარი უფროსი მას არ ჰყოლია. აღრე თვით გამომწვევად ექიარა, ეგონა, ავტოინსპექტორი დაზარალებულს მომემხრობაო, ახლა კი წახდა.

ცემენტის ავტოციტრინის მძღოლს რაღაც ვანიშნე, მაშინვე მიიხიხდა, ჩია ტანის მძღოლთან მივიდა და უთხრა:

— ჩანდაბას შენი თვით შენი ბრალი კია ყველაფერი, მაგრამ ახლა ასე უპატრონოდ კო

არ დაგვადებ. ხვალ კასპში მოდი, ჩვენს გა-  
რუში, იაშა იეთხე, თავისუფალი ვარ და მაგ  
მანქანას შეგიკეთებ. ამ უფროსს უმადლდ,   
თორემ კარგად ვციც შენისთანა მახეზღარს  
რაც ეკადრება.

ჩია ტანის მძლოლი საქმის ასე დასასრულს  
სრულიად არ მოელოდა, ახლა მესამედ გაწით-  
ლდა. სახტად დარჩენილმა არ იცის მადლობა  
მე მიიხზრას თუ ცემენტის ავტოცისტერნის  
მძლოლს.

— კეთილი, — დავასკენი, — კონფლიქტი  
ამოწურულად ჩავთვალთ, თორემ აქ რომ  
აქტი შეგიდგინოთ, ვინ იცის, ვინ დაზარალდე-  
ბა, ახლა კი გასწით.

— მაგრამ გამიკეთებს კი... — გონს მოეგო  
ჩია ტანის მძლოლი და წუწუნი დაიწყო, —  
თქვენ რომ წახვალთ, ჩემმა მშემ, ეგენი ხეირს  
არ დამყარია.

— დაგიკეთებ, დაგიკეთებ, — დამშვიდა  
ცემენტის ავტოცისტერნის მძლოლმა, — უფ-  
როსს პარობა მივეცი და არ დავარდევ. მა-  
ვის ხელში არა ვართ, სად გავეცევი.

თავშეყრილი დაიშალნენ.

დღე იწურება. ჩემი პირველი რეისის დღეც  
მთავრდება. როგორ უცებ ჩავები ჩემი საქმი-  
ანობის ორმოტრიალში. ყველაფერი კი ნიბანის  
ქვალობაა, ჩვენი ძვირფასი ბატონ ნიკოლოზ  
ბასილაშვილისა. ასე ზრდის იგი ახალგაზრდა  
ავტოინსპექტორებს.

ავტოინსპექტორი ჩვენი დროის პირშეოა.  
ავტომანქანების მოზღვავებამ საჭირო გახადა  
მათზე მკაცრი მეთვალყურეობის დაწესება.  
აბა, ეტლს, ოთხთვალას, ურემსა და ცხენს რა  
მეთვალყურეობა უნდა. ჩვენი საუკუნე ავტო-  
მანქანებზე ზის, დრო მოვა და იმდენი ავტო-  
მანქანა გვეყოლება, მთელი მსოფლიოს მცხოვ-  
რებლები შიგ მოთავსდებიან. მეოცე საუკუნე  
მანქანის საუკუნეა. დღესდღეობით ავტომან-  
ქანებს კარგის გარდა, ბევრი ცუდიც მოაქვთ:  
ავარია, გაუმართლებელი მსხვერპლი, მხრჩო-  
ლავი ვაზი. მაგრამ მოვა დრო და ჩვენს ტრა-  
სებზე ელექტროავტოები ივლიან, ისინი არ  
გაგვზოლავენ, არ მოგვწყამლავენ.

უცებ წინ წითელ ლენტებმოხვეული მანქა-  
ნების მთელი ქარავანი გამოჩნდა მოჭკრიან,  
ჭორჭილია, ჭორჭილი... ცა ქულად არ მიაჩ-  
ნიათ და დედამიწა ქალამნად. საყვირებით იქ-  
აურობას იკლებენ. მომინდა მომელოცა მათ-  
თვის, ამ გაზაფხულის დღეს მომელოცა ბედ-  
ნიერება, სიხარული... მიკროფონი ჩავრთე და  
ჩავძახე!

— მომილოცავს, მომილოცავს! — შემდეგ  
დავუმატე, — ფრთხილად იარეთ, თქვენე  
გზით იარეთ, დისტანცია დაიკირეთ! ფრთხი-

ლად, ფრთხილად! — და როცა ქარავნის ბო-  
ლო მანქანაც გამისწორდა, ერთხელ კიდევ  
მივძახე, — მომილოცავს, ბედნიერებაში..

ჩემს მილოცვას ყუინით შეხვდნენ, ყველა  
მანქანის საყვირი ააპიანინეს.

საოცრად კარგ ხასიათზე დავეწიე, მთელი  
დღის დაღლილობა სადღაც გაქრა. რომ შეიძ-  
ლებოდაც, მიკროფონში ვიმღერებდი კიდევ:  
მოვდივართ, მოვგინარია,  
მოგვყავს დედალი ხოხობი!..

დედალი ხოხობი წინა მანქანაში ზის, ნე-  
ფის გვერდით. მიდიან და ქვეყანა მიაქვთ.

ახლა ქორწილში ცხენები ავტომახახეხემა  
შეცვალეს. დღეს ცხენებით შორს ვერ წახ-  
ვალ. ვინ იცის, ეგებ ქუთაისიდან თბილისში  
მიდიან. გზაზე შემოაღამდათ, მაგრამ დაბნე-  
ლებამდე დედამიწაში მაინც ჩააღწივენ.

ქსნის ბილთან ავტობუსი დვას. მგზავრები  
წყაროსთან შეგჭოფულან. ბიჭოს, ეს ხომ  
ჩემი გურამია. მანქანა დავამხრებუქე, შევა-  
ჩერე და გადმოვედი. ავტობუსის მძლოლმა  
მანქანიდან აღმაცერად გადმოხედა, ჩემთან  
ხომ არა აქვს საქმეო, მაგრამ მე რომ მგზავ-  
რებისაკენ გავწიე, დამშვიდდა.

— გურამი ჩემსკენ გამოქვანა, მოვიდა და გა-  
დამხეხია.

— შენი ჰირიმე, ვასო, — მიხზრა განსაკუ-  
თრებულნი სიხარულით, — როგორ ჩატარდა  
შენი პირველი რეისი?

— არა უჭირს, — ღიმილით მივუგე, —  
შენი საქმე როგორღა, გიშველა მესხეთის  
პოეტურმა გარემომ, ცად აზიღულმა მთებმა,  
მოაღულუნე მტკვარმა (მისი სიტყვები გავი-  
მეორე).

— მიშველა, მიშველა, — აღტაცება ვერ  
დაფარა: — მოდი, ჩემი ქეთინო გაგაცნო.  
ვაყვივთ თამაყრეკილი ქალიშვილი ცალკე  
იღვა, ჩვენსკენ მოიხიბო, შევამჩნიე, თვალში  
შედებოლი არ ჰქონდა, უმარჯვია გურამსო,  
გავიფიქრე.

— ქეთინო, — მიმართა ქალიშვილს, — გაი-  
ცანი, ეს ჩემი ვასოა, ეს კი, — მე მომმართა,  
— ჩემი ქეთინოა.

ქეთინოს გაცეინა, ხელი გამომწოვდა.  
ერთხანს ვისაუბრეთ. შემდეგ ისინი ავტო-  
ბუსში ჩასხდნენ. წინ გავუშვი და შემდეგ  
მიკროფონში ჩავძახე:

— გურამ და ქეთო, მომილოცავს!  
ავტობუსიდან ხელები დამიქნიეს. ბედნიე-  
რები!..

საშუალო სიჩქარით მივყევი გზას. კარსა-  
ნის შესახვევთან „უიგულს“ მოვკარი თვალი.  
ფერით ბაჟუს მანქანას მივამხვავებ. ვიღაც ქა-  
ლი უჯდა მძლოლს. ის ქალი თამარს ჰგავდა.

ბივი ბომბიჩაიშვილი  
პირველი რეისი

გზიდან მარცხნივ შეუხვევს, ნეტავი სად მიდ-  
ან, იქით კარხანის გარდა სხვა სოფელი არ  
არის. მეც მანქანა მოვებრუნე და მათ გზას და-  
ვეყვი. ნუთუ ბათუ და თამარი!

საკმაო მანძილი დავიჭირე, მაგრამ ისე რომ  
„უიგული“ თვალს არ მიფარებოდა. მაინც და-  
ნეკარგა თვალთახედვიდან. აღბათ, სოფლის  
გზიდანაც გადაუხვია, ჩირგვებს თუ შეაფარეს  
თავი. მანქანა ნელი სვლით წავიყვანე და ურბა-  
დლებმა დავქაბე. თითქოს ქალის ყვირილი მო-  
მესმა. მანქანიდან გადმოვხტი, ახლა გარკვევით  
კავიგონე ქალის კვილი:

— მიშველეთ, მიშველეთ!!! მხეცო, ნადი-  
რო!

აგერ მანქანაც, მოხერხებულ ადგილას კი  
გადაუყუენებია. ყვირილი მანქანიდან ისმის.  
ვაჟი ქალს ეჭაჭგურება. თავზე წავადეკი და  
სამამალა შევძახე:

— რა ამბავია!

გული კი ბავაბუვით მიცემს. აგერ, სადა-  
ცა ბათუ გამოვა, სახელაღწილი თამარიც ვა-  
მლოასლასდება...

მადლობა ღმერთს, ბათუ არ უოფილა,  
ქალიც თამარზე უფროსია. პირველად მანქა-  
ნიდან ქალა გამოხტა და ჩემთან მოიჭრა.

— თქვენი საბუთები! — მივმართე მძღოლს.

სხვა რა გზა ჰქონდა, იკადრა გამოსვლა და  
საბუთები უხმოდ მომარწოდა. დანაშაული იმდენ-  
ად თვალსაჩინოა, ვეღარაფერს ამბობდა. ქალი  
ერთიანად კანკალუბს, ჭერ კიდეც გონს ვერ  
მოსულა. ვაჟს მივმართე:

— ხვალ დილის ათ საათზე რესპუბლიკურ  
ავტონისსპექციაში გამოცხადდებით, — და სა-  
ბუთები ჩიბეში ჩავიდე. შემდეგ ქალს მივმარ-  
თე, — წამობრძანდით.

ტრასაზე რომ გავედით, ქალი თანდათან  
დამშვიდდა. — იცით, — ფრთხილად ვუთხარი,  
— მოგიწევთ მილიციაში ახსნა-განმარტების  
დაწერა.

— მე რა ვიცოდი, — ახლუკუნდა ქალი, —  
სიყვარულს მეფიციბოდა, ასე მხეცურად თუ  
მომეჭქეოდა როგორ მეგონა...

ერთხანს ჩუვად მივდიოდით. სირუმე ქაღმა  
დაარღვია:

— მილიციაში მიგაჯვართ?

— დიახ, ჩვენება უნდა მისცეთ.

კვლავ სირუმე.

— ჩემო ძმაო, — მითხრა ჩურჩულდით  
თქვენი დიდი მადლობელი ვარ... მაგრამ

შეიძლება შინ წამიყვანოთ?

— მოძალადე სასტიკად უნდა დაისაჯოს.

კვლავ სირუმე.

— ერთი თხოვნა შემისრულეთ, ჩემი ამბა-  
ვი მამამ რომ გაიგოს, გაგიუღება. ის ისედაც  
დაისაჯა, ვაკმაროთ...

— მაგრამ მახი საბუთები...

— დაუბრუნეთ.

— არა, — მტკიცედ ვუთხარი, — ამას არ  
ვიზამ.

კვლავ სირუმე.

— თქვენებურად დასაჯეთ, მე კი ძმაო, მაგ  
საქმეში ნუ გამრევთ...

გვერდოდან გავხედე. ცრემლი ლოყაზე  
დაპალუბით უცვიოდა. შემებრალა, გული ჩამ-  
წყდა.

— განა აპატიოთ? — შევეციოხე.

— მე ღღეს ისეთი რამ დავკარგე, — გულ-  
წრფელად მითხრა, — იმედი, მომავალი, რომ  
მისი დასჯა ნუგეშს ვერ მომიტანს... შენი ჭირი-  
მი, შინ წამიყვანე, თორემ გული სადაცაა გა-  
სკდება...

კარგი იქნებოდა იმ მხეცის სამართლიანად  
დასჯა, მაგრამ ქალიშვილი შემეცოდა. დასჯით  
კი მაინც დაისჯება, ისეთ ოქმს შევუდღენ, ეგებ  
ავტომანქანა სულაც ჩამოართვან.

ქალიშვილი შინ მივიყვანე. მანქანიდან  
ძლივს ჩამოვიდა, ფეხები ეკცემა, მინდოდა  
მივშველებოდი, მაგრამ მანიშნა, შინამდე თავად  
მივალა. თავდახრილი წალასლასდა.

საოცრად მომინდა თამარის ნახვა. არა,  
სწორად არ მოვიჭეცა რომ თამარი ბათუს შე-  
ვატოვებ. უნდა მებრძოლა, სიყვარული კბილ-  
ბით უნდა დამეცვა. მე კი გაცვლა ვამჯობნიე.  
ხომ შეიძლება ბათუც იმ მხეცივით მოეჭქეს  
თამარს! ჩემი უმოქმედობით ბათუს ხელს  
ვუწყობ, ვეხმარები. არა, არა...

მანქანა გარკუში დავტოვე. თბილისში ავტო-  
ბუსით ჩავედი.

შუალამე მოახლოებული იყო, რესტორან  
„არაგვთან“ რომ მივედი. დიდი ხნის ლოდინი  
არ დამჭირებია. აი, გამოჩნდნენ თამარი და დე-  
დაჩისი, ხელგადახვეულები მოდიან. მეც მათ  
შესაგებებლად ვაჭრე...



## გურამ სნიკრლაძე

### გოგონას დაბადების დღე

იქ, სადაც გოგონას უყვარდა ყოფნა, სიწყნარე და მყუდროება იყო. ხელისგულისოდენა მშრალი ადვილი ხშირ ლელიანში, ზედ მდინარის პირას, დათვის ბუნავს წააგავდა და ზაფხულის გრძელ, ზანტ ღღებში გარესამყაროსაგან განცალკევებული, სავსე იყო საკეთარი იდუმალი ხმებით. კოლოები და სხვა პატარა მწერები გაბმული წელით ირეოდნენ მზის სხივებში, ლელიანში რომ მეჩხერად აღწევდნენ და ეს ერთფეროვანი ხმა თენთავდა და ამშვიდებდა შლამში ჩაფლულ მორზე ჩამომჯდარ გოგონას. ასე იჯდა ის — მუხლებზე მკლავებზე შემოკდობილი, ლოყით მუხლისთავს დაყრდნობილი და გასცქეროდა მდინარეს. მდინარე დინჯად მოაქანებდა პატარა ტალღებს. ფრთხილი ტლაშუნით ეხეთქებოდა და ნელა არწევდა წყლით გაჟღენთილ, დამძიმებულ მორს. ხოლო ლელიანის ჩუმი შრიალი ერწყმოდა მდინარის დაუსრულებელ, გულგრილ ჩურჩულს, მისდევდა ქვიშით, და იკარგებოდა შუადღის ბუღში გარინდებულ ქალაქისკენ. ამ უსასრულო დინებისა და ბუტბუტისაგან გოგონას გონებას რული ეკიდებოდა. გონება თითქოს ტივტივებდა მღვრიე, გრილ ტალღებზე, საოცრად მსუბუქი და დამყოლი, ნებივრად ირწეოდა სხვა, უსხეულო სამყაროში. დროდადრო ყურს კატარღების კაპასი თუხთოხნი სწვდებოდა, კატარღები წამდაუწუმ

დაშლივინებდნენ მდინარეზე და მოკლედ, გამურული საკვამურებიდან ამოსული შავი ბოლი ზღაზენით მიემართებოდა ცისაკენ. იშვიათად ბარქების ქარავანიც ჩაივლიდა და მათი ბოხი ბლავილი აკრთობდა და აფხიზლებდა გოგონას. ბარქების ბრტყელ, ფართო, გამურულ გემბანებზე კარვები ან ქოხები იდგა, ხოლო იქვე, შინაურულად ფუსფუსებდნენ ქალები. დაყინებით გამოსცქეროდნენ ნაპირს შიშველი ღიპიანი ბავშვები. ხანდახან დიდი გემი გამოჩნდებოდა თეთრი, ლამაზი. ხალხით სავსე. ამ დროს, ირგვლივ გამეფებულ იმყუდროებაში მხიარული მუსიკა შემოიჭრებოდა, შორეული, კანტიკუნტი ძახილი და სიცილ-კისკისი; გემბანები ხალხით იყო დახუნძლული, ვოგონა თვალმოუშორებლად გასცქეროდა, გემი ნელა შორდებოდა, ინისლებოდა. დიდი, თეთრი გემი გოგონასათვის შორეული, წარმტაცი და უცხო იყო, როგორც მშვენიერ უფლისწულზე წაკითხული ზღაპარი; გოგონას მშვიდ, უმანკო ოცნებას თითქოს ფრთა ესხმოდა, თითქოს ნაცადი მეგზური უჩნდებოდა და იჯდა საათობით გოგონა ლელიანში, გასცქეროდა დაცარიელებულ სივრცეს, გასცქეროდა შორეულ ნაპირს. უკაცრიელ ტრამალს, ფერწასულ ცას, სულში კი სამოთხის ჩიტივით ფრთხიალებდა სიმღერა, ხოლო დღე, ზაფხულის გრძელი. მომთენთავი დღე, მძიმედ, ზანტად იწურებოდა, ცას

ფერი და სიღრმე ეძლეოდა, ვაღმა ნაპირი თითქოს ახლოვდებოდა, ტრამალის თავზე მზე ჩნდებოდა და სახეში უჭკრეტდა გოგონას. დღე თავდებოდა.

პატარა ბორცვი ფარავდა ქალაქს, აქედან მხოლოდ ძველი ეკლესიის ყვირთელი გუმბათები და სატელევიზიო ანთა ჩანდა, მაგრამ როგორც კი ბორცვს გადაივლიდა, ერთბაშად ეცემოდა სახეში ნაწრში ქალაქის ბული, უამრავი ხმა ერთბაშად შეიჭრებოდა გონებაში, გამოაფხიზლებდა. ამ წუთიდან მოყოლებული, დრო სწრაფად გადიოდა, დგებოდა საღამო, დამე, მაგრამ ეს დრო განცალკევებული და სწრაფი იყო და გოგონას მისი გახსენება მხოლოდ ნანახი კინოსურათებით თუ შეეძლო. კინოც უყვარდა გოგონას, მაგრამ კინოს ძილისწინა წუთები ერჩივნა, როდესაც თვითონ ხდებოდა, ნანახისა და განცდილის მონაწილე, კეთილშობილი და გმირი ქალიშვილი, თავგანწირული და უბედური, ან ბედნიერი და საყოველთაოდ დაფასებული.

დილა დგებოდა ადრე, მზის ამოსვლამდე. ფანჯრის წინ მღვარ სანახევროდ გამხმარ არყის ხეზე ბელურების გუნდი გამაყრუებლად ყვივებდა, ხოლო სივრცეში ზანტად ტივტივებდა მდინარეს ჩამოყოლილი ნისლი. ფანჯრიდან ჩანდა აღმოსავლეთის ცეცხლმოკიდებული ცა, მძიმე, წითელი მზე, აღმოდებული ღრუბელი. უყვარდა გოგონას მზის ამოსვლა, თითქოს მშვიდი, მეფური ზემი იწყებოდა. მზის ამოსვლისას საუზმოდნენ გოგონა და მისი დედ-მამა: დედა — სქელი, ზოზროხა ქალი. შეშუპებულ ქუთუთოებიანი და მძიმე ღაბაბიანი ზანტად ხუჭავადა უძილო თვალებს და სურვილის გარეშე, უნდილად ღეჭავდა საჭმელს. მამა — პატარა, ჩია კაცი, ერთთავად ცმუტავდა. მოყავისფრო, ღრმა ნოჭებით დაღარულ სახეს შუალამესავით მუქი და მეტყველი თვალები უნათებდა. დარდიანად შესცქეროდა ხან ცოლს, ხან შვილს, წამდაუწყუმ ხელს ჰკრავდა გოგონას და დედამისზე უთი-

თებდა. ეს უკანასკნელი კი ზარმაცად მიაპყრობდა ხოლმე წვირლ, ფეხდაფეხად კარგულ თვალებს; მთელ სახლში გამეფებულ სიჩუმეს დანა-ჩანგლის წყრიალი უფრო აძლიერებდა. გოგონამ იცოდა ეს სიჩუმე, ბავშვობიდან შესისხლბორცებული ჰქონდა ეს მღუმარება, რომელშიც ვახვეული იყო მათი სახლი და ყურს უგდებდა ხმებს, გარედან რომ იჭრებოდნენ და აცოცხლებდნენ ამ პატარა, უტყვე სამყაროს. საუზმე თავდებოდა. გოგონას მამა ფაციფუცით, უაღრესად საქმიანი გამომეტყველებით ეძებდა თავის ძველ ჯვალს აბგას, მზრუნველად დებდა შიგ გაზეთში ვახვეულ საჭმელს, მხარზე მოიგდებდა და კითხვით შეაკტერდებოდა გოგონას. დედა მძიმედ დაძრებოდა, ჯერ იდაყვებით დაეყრდნობოდა მაგიდას, რომელიც მისი სიმძიმის გამო ერთთავად ირწყოდა და ჭრილებდა, მერე წამოიძარებოდა ვასივებული, ფორმადაკარგული, ბაჯბაჯით, ზანტად შეუდგებოდა სუფრის ალაგებს, გოგონა და მისი მამა კი ეზოში იყვნენ უკვე, აუჩქარებლად მიუყვებოდნენ ქვით მოკირწყლულ აღმართს, ქალაქს ეძინა ჯერაც, კანტიკუნტი გამვლელი თუ დაარღვევა სიცარიელეს. ხოლო მეგზოვები იმდენად იყვნენ შერწყმულნი ამ ადრინა დილას, მათი საქმიანობა იმდენად აუცილებელი და ჩვეული იყო ამ დროს, როგორც დილის ნიავის სუსხი. მსუბუქი ნისლი, შემცივებული ჩიტების ყვილ-ხივილი, გემების შორეული ბღავილი. მაგრამ გზადაგზა, ძველი ქალაქის ზშირ მოსახევეებში იგრძნობოდა, როგორ იღვიძებდა ქალაქი, მატულობდა შემხვედრი. აგერ, მერძევე რძის ურიკას მოახრიგინებდა, ეგერ, ქალი ქალს გადასაძახებდა და სანამ გოგონა და მამა მისი მოკლე შუკას მიადწევდნენ, სადაც გოგონას მამის სახელოსნო იყო, უკვე ნამდვილი დღე იდგა. ზაფხულობით გოგონას მამას გარეთ, ტროტუარზე გამოჰქონდა თავისი ხელსაწყოები, პატარა მაგიდა და მოწნული სკამი და აქ,

სუფთა ჰაერზე მეშობდა, დინჯად და საგულდაგულოდ ურაკუნებდა ჩაქუხს ცხრაჯერ დაგლევილ და დაკერებულ წალებს ან ისე გულმოდგინედ და დაკვირვებით ხმარობდა საღვინის და მახათს, გეგონებოდა ოქრომჭედელია და არა მეწაღეო. გოგონა სწრაფად ალაგებდა პატარა სახელოსნოს, მერე ნავსადგურში გარბოდა. ნავსადგურის სუნს შორიდან გრძნობდა. უცნაური, ამალეღვებელი სუნი იყო, მძაფრი, ავი, ნავთის, ადამიანების, შორკული ქვეყნების, ქარიშხლებისა და უსიერი ტყეების სუნი. აქ, ნავსადგურში გოგონა იკარგებოდა, ერწყმოდა მარადიულ ბრბოს, დაბრცილ მოაჯირსა და ატკრივლებულ დროშას. რკინის მსხვილ, მოკლე ბოძალებზე მურა ძაღლებივით მიებათ კატარლები, თუ დიდი გემი იდგა, მაშინ სქელი ბაგირი აბრეშუმის ძაფივით იჭიმებოდა და დროდადრო ისე შესძრავდა ხის ბაქანს, შიშით გული ყელს ებჯინებოდა, გოგონა ნავსადგურში ხშირად ხვდებოდა თავის თანაკლასელებს, უმეტესად ბიჭებს. ისინი შინაურულად და ამავე დროს ლაქუციით შესცქეროდნენ მატროსებს, ტრაპთან დაფუსფუსებდნენ და გემზე შესვლას ლამობდნენ, ანდა ცალკე შექუჩდებოდნენ და მცოდნე იერით საუბრობდნენ ამა თუ იმ გემის ღირსება-ნაკლოვანებებზე, ნაოსნობასა და კაპიტნებზე. ბიჭები გოგონას ამ საუბარში ჩარევის ღირსად არ თვლიდნენ და ისიც, ბედსშერიგებული, ტოვებდა ნავსადგურს. ერთხანს ქალაქში დადიოდა უმიზნოდ, მაგრამ არც ტრამვაში გამომწყვდეული უდიდამო ხალხი და არც ტრელაქტრულა მაღაზიები, თითებგაფარჩხული, უშნოდ გაჭიმული მანქანებით არ იზიდავდა მის თვალს. ზოოლოგიურ მაღაზიასთან თუ შეყოვნდებოდა წამით, მაგრამ აქაც როტოებისა და დათვის ფიტული იმ მანქანებს აგონებდა. ამ წუთიდან მოყოლებული გოგონას გულს შეუტნობელი ბრაზი და სევდა ეუფლებოდა, ბუნდოვნად

გრძნობდა და აღიზიანებდა ის ვაორება, სინამდვილესა და ოცნებას შორის მოგზაურობას რომ ახლავს თან, მაგრამ გზადაგზა ბრაზი იღოდა და ქრებოდა, გოგონა ჩვეულ ადგილს მიეშურებოდა, ჩანთით ნამცხვარი და წივნი მიჰქონდა და აღარ უყურებდა ნაცნობ, მოფუსფუსე ქალაქს. ქალაქი შეუჩინევლად იღოდა, მხოლოდ ძველი ეკლესიის კარიბჭესთან მრავლობდა ხალხი, მაგრამ ეს სხვა ხალხი იყო, დაკონკილი, ხეიბარი მათხოვრები გაღავნის გაყოლებით ჩრდილში ჩამომსხდარიყვნენ, წინ ქულები დაეწყით ან ცხვირსახოცები გაეშალათ და მშვიდად იცქირებოდნენ, ხოლო სუფთა, თავსაფრიანი დედაკაცები ამ მათხოვრებს გულმოდგინედ წვრილ ხურდა ფულს ურიგებდნენ. ეკლესიის გაღავნის შემდეგ ერთი ორი სახლიდა იდგა, ქალაქი აქ თავდებოდა.

მაგრამ იმ დღეს კვირა იყო. კვირათობით კი ზაფხულის ერთფეროვანი, ღუნე დრო ცოცხლდებოდა. დღე ისევ ისე მშვიდად იწყებოდა, ოღონდ ეს სხვაგვარი, უშფოთველი სიმშვიდე იყო, ნებიერი. ქალაქს სახეიმო ელფერი დაჰკრავდა, უკვე ნაშუადღევს მთვარლი სიმღერები გაისმოდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, დინჯი, მეოჯახე ხალხიც გამოეფინებოდა ქუჩებში, დაწყვილებულები, საგულდაგულოდ დაბანილ-დავარცხნილ ბავშვებთან ერთად დინჯად მიედინებოდნენ სანაპირო ბულვარისაკენ, პარკისაკენ, რომელიც უკვე სავსე იყო ბავშვებითა და მოზრდილებით. ისინი, ვინც მოხეტიალე ცირკში შესვლა ვერ მოახერხეს, თავიანთი რიგის მოლოდინში სამეცნიერო-პოპულარულ ლექციას უსმენდნენ, ან ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ (მოზრდილთა ყოველ ჯგუფში იყო ან გარმონიანი, ან გიტარაინი ყმაწვილი და მღეროდნენ), ან სამხედროების სასულე ორკესტრს უსმენდნენ. პარკში მრავლად იყვნენ მატროსები. ისინი თამამად, თი-

გურამ სხირტლაძე  
გოგონას დაბადების დღე

თქმის ბატონკაცურად დააბიჯებდნენ, ლენტინი უკარტუზო ქულები შუბლზე ოდნავ გვერდულად ჩამოეფხატათ და უმეტესობას გვერდზე გამოჩრილი სვავრიელი ქოჩორი მართლაც რომ მეტად ყოჩად იერს აძლევდა. დანარჩენი ახალგაზრდობა სხვათა დასანახავად ქედმაღლურად არიდებდა მათ თვალს, მალულად კი შურით გახედავდნენ, ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანმხლებ ქალიშვილებს აღტაცებულ, კეკლუტ მხერას შეასწრებდნენ თვალს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, წინ კიდევ ცეკვები იყო. პატარა საცეკვაო მოედანზე ტევა აღარ იყო ხოლმე, ვარეთ დარჩენილები ბრმად მიიწევდნენ წინ, იქ კი, მოედანზე, თითქმის მარტო მატროსები და მათი ბედნიერი პარტნიორები ცეკვავდნენ, უფრო სწორად, ერთ ადგილზე ირწყოდნენ, ასე — იდგნენ და ტკეპნიდნენ მიწას. რალა თქმა უნდა, ხანდახან ჩხუბი და კინკლაობა გარდუვალი იყო.

გოგონას ერთხელ უკვე მოესწო ცირკში ყოფნა და ახლა მეორედ იდგა ბილეთების რიგში. ძალიან მიეწონა ცირკი, განსაკუთრებით ის ნომერი, რომელსაც „მკვდარი მარყუტი“ ერქვა. თუმცა არც მასხარები იყვნენ ურიგონი, არც თოკზე მოსიარულე კობტა, ცქვიტი კაცი, უეჭველად მამაცი და დიდი მოარზიყე, რადგან ყოველი ილეთის შესრულებისთანავე მოხდენილად მიუბრუნდებოდა თანაშემწე ქალს, წინ გამოიყვანდა და ჯერ იმას უკრავდა თავს, შემდეგ მაყურებელს, ვითომ ეს რომ არა, არაფერი არ გამომივიდოდაო. თვითონ კი თეთრი, პრიალა შარვალ-პერანგი ეცვა, მზონიავი ყვითელი საყელო და სამაჯურები. მაგრამ „მკვდარი მარყუტი“ სულ სხვა იყო. როცა არენაზე რკინის ბადის მრგვალი ჭასავით ღრმა გალია დადგეს და გამომცხადებელმა შიშნარევი მოლოდინით დაიძახა: — მკვ... დარი მარ... რ...ყუტი! — გოგონას ტანი აებურძგნა და გაინახა. არენაზე დინჯად გამოვიდა უზარმაზარი, ტყავის სამოსში გა-

მოწყობილი კაცი. ხელებზე <sup>ღიღინა</sup> ტყავისავე ხელთათმანები ეცვა, ცალი ხელით (თითქოს თავის მერანს რაინდი მოუძღვისო) მოტოციკლეტს მოაგორებდა, მეორე ხელში ჩაჩქანი ეჭირა, დაღვრემილი და სულერთთა გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სულ სხვაგან იყო ფიქრით და გულით, ეს ამბავი კი არაფერს წარმოადგენდა მისთვის. შავი ბრიალა თვალეში ჰქონდა, შავი ხუჭუჭა თმა. ეს კაცი მძიმედ მოდიოდა, სათამაშოსავით მოაგორებდა ერთბეწო მოტოციკლეტს, ოდნავ დახარა თავი სალმის ნიშნად, მშვიდად შევიდა ამ რკინის გალიაში, მშვიდადვე გამოკეტა კარი, გამაყრუებლად ააგუგუნა მოტოციკლეთი, ზედ ამხედრებულმა მერელა მორიგო თავზე ჩაჩქანი, ნელა ისწორებდა, საგულდაგულოდ იკრავდა თასმებს — აშკარა იყო, სრულიად აშკარა, ეს ჩაჩქანი და თასმები-ღა რჩებოდა ხსნის ერთადერთ იმედულ მარცხის შემთხვევაში — ხოლო მოტოციკლეთი გამაყრუებლად გრუხუნებდა. მერე უცებ მოწყდა ადგილიდან, როგორც გააფთრებული ჩამი, დაბზრილდა, დატრიალდა, ჯერ ქვევით, მიწაზე, მერე ზევით, უფრო, უფრო და აჰა სულ მალა აიჭრა. სასწაული, შვეულ კედელზე დააქროლებდა. ამხელა კაცი თავის მოტოციკლეტს, მერე შეცვალა სწორი წრიული ტრიალი კაცმა, ახლა აღმა-დაღმა დაჰქროდა, აღმა-დაღმა, ზუსტად სწორ კედელზე და ამ დროს, ხმამაღლა დაიძახა რადიომ: ყურადღება! გული კი შეხტა, ბურთოვით შეხტა და სისხლი დაიწურა, ყურადღება, ახლა სპორტის ოსტატი № შეასრულებს „მკვდარ მარყუტს“ ზედ ორმოს კიდეზე — მართვის ოდნავი შეცვლა საბედისწეროა! — და მოტოციკლეტისტმა, ისევ ზომიერი სიჩქარით, სწორი, წრიული მოძრაობა დაიწყო, ნელ-ნელა, ზემოთ, კიდევ, კიდევ და აჰა, ზედ კიდევ დაბზრილდა მოტოციკლეთი, ზედ კიდევ, სასწაული, სასწაული, ფეხები გაშალა ისე რომ ცალი შავი

ჩექმა დატრიალდა გალიის თავზე... სა-  
ოცრად დაღლილი და ნაღვლიანი იდგა  
გმირი აღფრთოვანებული მაცურებლის  
წინაშე, მერე მძიმედ დახარა თავი და  
ღინჯად გავიდა. რამდენი არ უძახეს  
ბისზე, არ გამოვიდა. გოგონა მოუთ-  
მენლად იდგა რიგში; თუმცა კი მეო-  
რედ შესვლაც ეშინოდა, ვერაფრით  
წარმოედგინა, თუ ის კაცი ისევ გაბე-  
დავდა, თუმცა ისე ნაღვლიანად იცქი-  
რებოდა, — ფიქრობდა გოგონა, —  
ალბათ... გოგონას სიბრაღულითა და  
თანაგრძნობით გავესო გული.

გოგონა მეორედ ვეღარ მოხვდა  
ცირკში, კვლდაწყვეტილი მოშორდა  
სალაროს, ნაყინი იყიდა და იქვე,  
გრძელ სკამზე ჩამოჯდა. საღამოვდებო-  
და, ერთბაშად, მიყუჩდა პარკი, მოსე-  
ირნენიც აღარ ჩანდნენ, მხოლოდ ცირ-  
კის ვეება კარავიდან ისმოდა მუსიკა,  
მაგრამ ეს უკვე მიტოვებული სამყა-  
რო იყო გოგონასთვის, არაფრის მიქ-  
მელი. ერთხანს თეთრჩაჩქანიან, მოტო-  
ციკლეტზე ამხედრებულ კაცზე ფიქ-  
რობდა, ნაღვლიანი შავი თვალებით  
რომ იცქირებოდა რკინის გალიიდან,  
მაგრამ გოგონას გონებამ ვერ გადალა-  
ხა რკინის ბადე და დღევანდელი გმი-  
რი მარტოდ დარჩა თავის გამოუცნობ  
სევდასთან ერთად, თანდათანობით ეს  
სახება მიილია, ვანქარდა. ცირკის მუ-  
სიკა უცებ შეწყდა და გოგონამ სულ  
მარტოდ იგრძნო თავი, ხელში შემომ-  
დნარი ნაყინი მიზეზიანად მოისროლა  
და წამოდგა. მზე ჩაღიოდა. საცეკვაო  
მოედანთან, თუმცა ჯერ ადრე იყო,  
რივი იდგა. იქიკის მსურველები დრო-  
ულად იჭერდნენ თადარიგს, იქვე, გვე-  
რღზე ახალგაზრდებს წრე შეეკრათ,  
ორი ყმაწვილი გიტარაზე უკრავდა და  
რამდენიმე წყვილი მთელი მონდომი-  
ბით ტრიალებდა წრეში. ერთ ხანს  
გოგონა აქაც შეჩერდა და მოცეკვავე-  
ებს მიაჩერდა, მაგრამ ეს იმდენად შე-  
კრული წყვილები იყვნენ, იმდენად  
შეკრული წრე იყო, ისე თავდავიწყე-  
ბით იყვნენ ერთმანეთით გართულნი,  
რომ არავის შეუშინებია არც გოგო-

ნას მისვლა, არც მისი ჩუმი წასვლა.  
მტკივნეულად, საოცრად ეულად იგრძ-  
ნო გოგონამ თავი.

●  
მითუმეტეს, რომ დღეს გოგონას  
დაბადების დღე იყო. მთელი დღის გან-  
მავლობაში ამაზე ფიქრობდა გოგონა,  
დილიდანვე, იმ წუთიდან, რაც გაიღ-  
ვიდა და ახლებური, მხიარული, ცოტა  
საზეიმო მოლოდინით შეხვდა ნაცნობ  
განთიადს, ნაცნობ არყის ხეს, ნაცნობ  
ბელურებს. არა, დღეს სხვანაირი დღე  
იყო. ჯერ კიდევ გუშინ დაიწყეს ოჯა-  
ხში სამზადისი, ადრე ასე არ ხლებო-  
და, ახლა კი სასმელიც იყიდა დედამ,  
ბატიც იყიდა გუშინ დედამ ბაზარში,  
და სხვა სანოვავეც ჰქონდათ, დიდი  
ტორტიც მოიტანეს თავისი სანთლე-  
ბით, რომელიც სიბნელეში უნდა აენ-  
თოთ და მერე ერთი სულის შებერვით  
ჩაექროთ. ადრე, იქ, ლელიანში გოგო-  
ნა ფიქრობდა: — „აი, გავხდები თე-  
ქვსმეტის და ყველაფერი შეიცვლე-  
ბა“. რა ყველაფერი — ამას მნიშვნე-  
ლობა არ ჰქონდა, მთავარი ის იყო,  
რომ ყველაფერი შეიცვლება. მაგრამ  
გათენდა ეს დღეც და ისევ ისე გა-  
თენდა, ისევ ისე დარდიანი ზრუნვით  
შესცქეროდა მამა, ისევ ისე უნდილად  
და ბაჯბაჯით საქმიანობდა დედა, ერთი  
ეს იყო, დილაადრიან მოვიდა ლოთი  
ძია კოლია, არაყი და იაფფასიანი კამ-  
ფეტები მოიტანა, როგორც შარშან და  
შარშანწინ, და დათრობა მოიწადინა,  
მაგრამ მამამ ამაყად უჩვენა მთელი  
ხორაგი და გოგონას მეშვეობით გაა-  
გებინა, სალამოს მობრძანებულებით.  
ძია კოლიამ ბუზლუნ-ბუზლუნით წა-  
ილო თავისი არაყი. „კლასელები? —  
ფიქრობდა გოგონა. — კლასელები  
თითქმის არავინ აქ არაა. ისინი, ვინც  
არიან, როგორ მოვლენ, როცა არც  
იციან, რაღა დღეს დაიკარგნენ სუყ-  
ველანი“.

გუარამ სხირტლაძე  
გოგონას დაბადების დღე



ზაფხულის გრძელი ბინდი ნელა მუქდებოდა. გოგონამ შორიდანვე დაინახა სახლთან მდგარი დედ-მამა და გაახსენდა, როგორი საქმიანი სახით შემოუძღვა ამ დილით მამა დედას მის პატარა ოთახში, რა საქმიანად აკოცა მამამ ლოყაზე, ისევ იგრძნო მისი მშრალი, მთრთოლვარე ტუჩები, და ახლავდა მოეჩვენა, — თითქოს დედამ უცნაური გაბრაზებით აკოცა, თითქოს უკბინა... მშობლები შეშფოთებით შეხედნენ გოგონას, ერთმანეთს არ აცდიდნენ გრძნობების გამოხატვას, ის კი არა, დედამ წამოიკივლა კიდეც, მამა კი გამწარებით იქნევდა ხელებს და ხან გვერდიდან ეპოტინებოდა გოგონას, ხან წინ გავარდებოდა, ფეხიც კი წამოჰკრა კიბის საფეხურს, კინაღამ წაიქცა. ფიცრული სახლი გვერდზე იყო ვადადრეცილი და გვერდზე მოქცეული კიბეც საბრალოდ ჰრიალებდა. აივნის მოაჯირზე გადმოყუდებული ძია კოლია იძახდა: — „მოვიდა, მოვიდა!“

სუფრაზე მადისმომგვრელად ელაგა დაბრაწული ბატი, მყავე კიტრი, თევზი. ოთახში თევზის მძაფრი სუნი იდგა. ძია კოლია ხელებს იფშენებდა და წამდაუწყუმ იმეორებდა: — აი, ეს მესმის! — ხოლო სუფრას რომ მიუჯდა, ცალი ხელით მყავე კიტრს დასწვდა, მეორეთი — არაყს. დასხდნენ სამნი, დედა ფეხზე დარჩა, ხმაურით ლაისხა არაყი, მკაცრი სახე ჰქონდა, სამჯერ დაიქნია მუშტი, მერე სამი თითი გაშალა, მაგიდას დაჰკრა ხელი და ჭიქა ერთი მოსმით დაცალა. მკვეთრი მოძრაობები ჰქონდა და მჰახე ხმით წამოიწივლებდა ხოლმე. ის რომ დაჯდა, მამა წამოდგა, ჩქარ-ჩქარა იქნევდა თავს, მდგომარეობის მნიშვნელობა სიცილის ნებას არ აძლევდა და სახე ერთთავად დაუნაოჭდა, უსაზღვრო სინაზით იმზირებოდნენ ფიჭრინი, მუქიშავი თვალები. მამის შემდეგ ძია კოლია წამოდგა დარდიმანდულად: — „აბა, შენ იცი, დიდი გოგო ხარ უკვე,“ — მრავალმნიშვნელოვნად უთხ-

რა, ეშმაკურად მოუჭუტა ცალმთავალი, ერთი ყლუბით გადაჰკრა არაყი, — ბრრ, — ნეტარებით თქვა, ჯერ პურს უყნოსა, მერე კიტრს და ისევ გაივსო ჭიქა. ამ დროს კიბემ გაიჭრიალა, მაგრამ გოგონამ წამოდგომაც ვერ მოასწრო, კარზე რომ ფრთხილი, არეული კაკუნი გაისმა.

— გაიქცეო, გოგონა, შენი სტუმრები არიან, — თქვა ძია კოლიამ.

①

ოთახში ჯგუფად შემოლაგდა ოთხი ბიჭი. წინანი იქვე შეჩერდნენ უხერხულად, უკანანი ზღურბლზე გაიჩხირნენ და უხერხულობა შეიქმნა. ისინი ფართოდ იღიმებოდნენ, ერთთავად გაბადრულები მოუქნელად ინაცვლებდნენ ფეხს, ერთ-ერთს ყუთი ეკავა და დანარჩენებმა ხელის კვრით წინ წამოსწიეს. ყუთიანმა არ იცოდა, რა ექნა და დიდხანს იდგებოდა ასე, გოგონა რომ არ შეშველებოდა. გოგონამ ტავში შემოჰკრა, მადლობაო, ანიშნა, ყუთი ჩამოართვა და პატარა, მრგვალ მაგიდაზე დადო, მერე ყველას სათიხაოდ ჩამოართვა ხელი — ხელის ჩამორთმევისას ბიჭები იღუშებოდნენ და წელში მიიმეოდ იხრებოდნენ, — და სუფრასთან მიიბატიყო. ახლა კი დამწკრივდნენ ბიჭები და რიგრიგობით მონახეს თავიანთი ადგილები. გოგონამ თქვა:

— ესენი მამას მოწაფეები... ჩემი მეგობრები არიან.

ძია კოლიამ ისევ ერთი ყლუბით გადასცალა მთელი ჭიქა, ისევ დაიმანჯა: — „უნდა წავიდე, მაგვიანდება“, — თქვა და ისევ გაივსო, თან კიტრი ჩაახრაჭუნა გემრიელად, ისევ გადაჰკრა. ახლა „ბრრ“ აღარ უთქვამს, „წწაა“, — თქვა „მე წავიდი, მაგვიანდება“. — გაიმეორა და წავიდა. გოგონამ კარამდე მიაცილა, მამა ხელებს შლიდა უარის ნიშნად და გოგონას შესცქეროდა, ხოლო დედა მშვიდად იჯდა, ნაკვიც არ შერხევია სახეზე, მხოლოდ ეს იყო, არაყი მოჰკიდებოდა და სახეაწითლებულს წვრილი, ზანტი თვალები უბრწ-

ყინავდა. გოგონამ ახალმოსულებს დაუწყაო მასპინძლობა, ზიქები ჩამოუბრია, თეფშები და დანა-ჩანგალი გაუწყაო, სათითაოდ მიუთითა საჭმელებზე, ერთს ჰქაიჯ შეუყსო, დანარჩენებმა არ დაანებეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბადრი ღიმილი არ მოშორებიათ სახეზე, ისხდნენ და ფინებივით შესცქეროდნენ გოგონას. მათ ერთად გადააკრეს არაყი, მერე კიდევ და, გამოცოცხლდნენ. ხელებს შლიდნენ, ფორიაქობდნენ და რაღაცას აღგზნებულად თათბირობდნენ. მერე ერთი მათგანი წამოდგა, ყუთი გახსნა და საჩუქარი აჩვენა გოგონას: სათუთად გამოუწოდა და ამაყად შეაჩერდა. ეს ძველებური, წითელტყავგადაკრული პატეფონი იყო, აი ისეთი, თავსახურის შიგნითა მხარეს რომისებური იარლიყი რომ აქვს მიკრული და ზედ ვეება გრამაფონში მყეფარე ჯალი ახატია. ბიჭს კარგა ხანს ეჭირა ასე პატეფონი, მერე გოგონას მშობლებს აჩვენა, ცალ-ცალკე, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მამა სიხარული-საგან ერთთავად ცმუტავდა და თრთოდა, დედამ მშვიდად დახედა. მერე ბიჭმა თავის ამხანაგებსაც აჩვენა სათითაოდ, და მიუხედავად იმისა, რომ ერთად შეიძინეს ნივთი, ყველამ ღიმილით და თავის ქნევით შეათვალა. მერე ბიჭმა ისევ იმ მრგვალ მაგიდაზე დადო პატეფონი, ძალიან ფრთხილად იქცეოდა, გახსნა, მომართა. პატეფონი ჯერ აშიშინდა, მერე უცებ გაივსო ოთახი მხნე მარშის ჰანგებით. ბიჭი თითქმის თითისწვერებზე მიცუნცულდა თავის ადგილას და დაჯდა. ყველანი „სმენაზე“ ისხდნენ. არაბუნებრივად გაჭიმულები, ხელები მუხლებზე ეწყობოთ და ასე შესცქეროდნენ ფირფიტის ტრიალს. თვლებში დაძაბული პატივისცემა გამოხატოდა იმ რაღაცის მიმართ, რასაც პრიალა ფირფიტის სრბოლა იწვევდა, ეს რაღაც ისევ წარმოუდგენლად არსებობდა მათთვის, როგორც ბრძენისთვის უსასრულოდ დიადი... მაგრამ მარში ისევ უცებ გათავდა, როგორც დაიწყა და პატე-

ფონი ჯერ ისევ აშიშინდა, მერე კი, როდესაც ფირფიტა სულ დაილია და მილაკმა ცენტრის რკინაზე დაიწყა ჯახუნი, — ახრიალდა. გოგონას მშობლები და ოთხი ბიჭი კი არც შერხეულან, არც ოთახში შეცვლილა არაფერი, გულისამრევად აღიზიანებდა ყნოსვის დაშაშხული თევზის მძაფრი სუნი, ხოლო ფანჯრის გადაღმა, მოაჯირსა და ხეზე უძრავად ეგდო ყვითელი ჭუჭყიანი სინათლე. მხნე მარში შეიცვალა საზოზლარი ხიხინით — ჩხაკ. ჩხაკ, ჩხაკ... გათავდა. წკრაილით წაიქცა სავსე ჰქაი და სუფრაზე მაშინვე გაიშალა მუქი ლაქა, გოგონა წამოხტა, პატეფონი დახურა და შემობრუნდა, უცებ განთავისუფლდა ყველა, ჯერ გაუბედავად აწრიალდნენ, მერე ისევ აფორიაქდნენ, აკამათდნენ.

მხოლოდ დედა დარჩა ისევ მშვიდად, როგორც იყო, თვალები ისევ უფლავდა, მაგრამ სახის ერთიანი სიწითლე გაუქრა და ახლა, გაფთხობულს, წითელი ლაქები ახნდა ალაგ-ალაგ.



გვიანი ღამე იდგა. კაშკაშა მოვარე კიდევ უფრო აბნელებდა მიძინებულ ქალაქის ბრმა თვალებს. საოცარი, დიდებული სიჩუმე იღვრებოდა უკიდვანო, მუქლაყვარდი ცოდან, ერთ, ალერსიან ჰანგში შერწყმულიყო სამყარო, ხოლო ნაცნობი ქუჩები არეული ნაბიჯებით ეხმინებოდა გოგონას. აგერ ორი მთვრალის სიმღერაც მიახრჩოლა სახეში. გვერდით კი ოთხი ერთგული ბიჭი მიჰყვებოდა, ისინი გარს უვლიდნენ, რიგრიგობით ჩასცქეროდნენ თვალებში და მცირედი სურვილის ამოკითხვას ლამობდნენ, გართობათამაშს სთავაზობდნენ და ასე მეტი არყისა და მონდომებისაგან აქოშინებულები ეხვეოდნენ გარს. დიდ, კეთილ მდინარესაც ეძინა, ნებიერად მოაგორებდა პატარა ტალღებს და არ

გურამ სხირბლაძე  
გოგონას დაბადების დღე

სუგია გოგონას მოსვლა. მხოლოდ ერთთავად გაჩახჩახებული გემი ანათებდა მძიმე ღამეს, მუსიკაც მოესმა იქიდან გოგონას, მხოლოდ ისეთი თამამი არა, როგორც სხვა ღროს, თავშეკავებული სიცილიც მოესმა და ერთხანს გაჩერდა. ასე იდგა ცოტა ხანს, გარშემო კი ბიჭები დახტოდნენ, დრო დადრო რომელიმე მათგანი წამოიზმუვლებდა, ან მკლავზე წაეპოტინებოდა: გოგონა შებრუნდა და გაიქცა. აჰა, თამაში! ერთი ამბით გამოენთნენ ბიჭები. როცა გოგონა გაჩერდა, სულ ხტუნვით შემოურბინეს გარშემო, მერე ნელ-ნელა შეჩერდნენ და ისევ ჩააცქერდნენ თვალებში. გოგონამ დაიყვირა.

— წადით! წადით აქედან!

ისინი კი იდგნენ და თითქმის ტანჯვით შესცქეროდნენ, მტკივნეული გაოცებით, ყველა ძარღვი უთრთოდათ დაძაბულობისაგან, უმწეო სიბრალულმა გული გაუხეთქა გოგონას და ბიჭები მიუხვდნენ. ერთი მათგანი ფრთხილად, ფრთხილად მიუახლოვდა, ყოვლისმთქმელი, წყლიანი თვალებით მიეალერსა და გაღიმება სცადა. გოგონა გაბოროტდა, კარვად გაგებულმა ბრაზმა დააწყნარა და ჩუმად, დამარცვლით თქვა:

— არ წახვალ, ხო?! არ მომშობი ხო?! — და გაართყა. ბიჭი არ წავიდა, არც ცრემლით სახსე თვალები მოუშორებია, არც ხელი აუფარებია.

— რას მიყურებ, რას! — დაიკივლა გოგონამ და კიდეც გაართყა. კიდეც შემობრუნდა და გაიქცა.

ახლა აღარ გაჩერებულა, მიბრბოდა, სანამ შეეძლო. მერე მონუსხულივით ჩაიკეცა, მდინარის ნაპირს არ გასცილებია და როცა წაიქცა, სახე ქვიშაში ჩარგო. ქვიშა ნოტიო, თბილი და ოდნავ მლაშე იყო. მერე წამოჯდა და ნახა, მაინც არაფერი შეცვლილიყო — ისევ ისე მოედინებოდა მდინარე, კეთილი და შორეული მეგობარი, პატარა ტალღები მხიარულად ინთებოდნენ მთვარის კაშკაშა შუქზე. ცა კი, მუქლაყვარდა ცა, იმავე ალერსიან ჰანგად იდგა დედამიწაზე, ხოლო ის უცნაური უცხო ტკივილი, მთელი დღე რომ ენთო სხეულში, სადღაც გულის კუნტულში მოკალათდა და იქ დაიბუღა. ახლა ის ოდნავდა ბუტუტავდა და საკვირველად გარდაქმნილი, ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა მას. გოგონა წყნარად წამოდგა, კაბიდან ქვიშა ჩამოიბერტყა და მორჩილად გაბრუნდა უკან



ა ნ დ ე რ ძ ი

ნეტავ ვიცოდე, რას ვეწვალე, დაწყდნენ აფრები ამ გაშლილ ზღვაში, ახალგაზრდობის ნანატრი წლები ჩამფერფლებია ლექსების თხზვაში.

როცა მარტო ვარ, რა გულსაკლავად შემომესევა შავი ფიქრები, ნუ მომიგონებს ნურაჲინ ავად, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.

ბევრჯერ შებრუნდა ქორონიკონი და ტანჯვაც ხშირად მისგან მრგებია, მაგრამ რა ძალა იყო სტრიქონის, მე რომ შეილივით შემყვარებია.

ჩემს მშობელ მიწას მინდა ვუყურო, ეგზომ ერთგული რომ ვარ მისდამი, და თუ ღირსი ვარ, დე დამეპკუროს ობოლ საფლაგზე ჩუმი ცის ნამი.

ი ს ა ვ ს ი მ ი ა ნ ა ს

ვერ მოვიცილე მწარე ნადველი, ის ჩემს ოცნებას გზა-კვალს უბნევდა, არავინ ჩანდა ჩემი მნახველი, ზღვა იყო წყნარი, ჩამჩურჩულებდა...


მოსწყინებია ზღვასაც თარეში, მიყურებულა თვით ტაფუნი, იღუმალების ამ სიწყნარეში ისმოდა მხოლოდ თევზის დგაფუნი.

და მონაბერი ნელი სიოთი როს ჭავლი ჭავლზე შეირხეოდა, მაშინ თოლიაც ერთი წიოკით მხურვალე მკერდით წყალს ეხებოდა.

გაფითრებული თვალს ვაცეცებდი მივფრინავ მაღლა, ასე მგონია, ჭაბუკობის დროს რა გატაცებით ვისმენდი ტკბილად ზღვის სიმფონიას.

იალქნიანი ზღვაზე გემები ოღნავადაც კი არ ირწოოდა, შორს სადღაც მთებში ახლაც ეგების დასასვენებლად ნისლი წვებოდა.

მიწა გათბა და დადგა დარები, ბედის ვარსკვლავი ისევ ციმციმებს, ჩემო სამშობლოვ, გემუდარები ცხოვრების ჭაპანს, ნუ დამიმპიმებ.



ამ ხელეშმა აგიყვანა მზესთან!..

ჩემი ქვეყნის  
თეთრი მთებით  
ვობები,  
ვარსკვლავები მათობს  
თეთრი ციდან...  
საქართველოს თოვლიანი მთების  
მოფერება მინდა!  
მცხეთას,  
რუსთავს,  
სამგორსა და დიღომს,  
არმაზს,  
ხეთას,  
თბილისსა და ტყვიავს —  
ყველა ლექსის ამღერებულ სტრიქონს —  
საქართველო ჰქვია.  
გარდისფრად რომ მოკრიალდა ზეცა,  
სიცოცხლე რომ ახმიანდა ისევ —  
ამ ხელეშმა აგიყვანა მზესთან  
და უკვდავყო მარადიულ მზისებრ!

მეისრე და მოისარი —  
კაცი — კაცით,  
ღობე — სარით.  
შვილო, როგორ მჭირდებოდი,  
შვილო, დროზე მომესწარი.

შვილო, იცან მოკეთე და  
შვილო, იცან მოსისხარი, —  
ჩვენი ასე მოკეთება  
ამ ახალი დროის არის.

შვილო, როგორ მჭირდებოდი.  
და რა კარგ დროს მომისწარი.



# მხიარული არენა

„გადიოლა ხანი და თითქმის არავითარი შებნა არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიჟემა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა — „როდემდე და სადამდეო“, ხელები გაიშალა, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავის-თავისათვის შეეღა“.

რ. ზაზუაძე.

შინაური მიმოხილვა.  
1879 წ. აპრილი.

ეს დღეც ისე დაიწყო, ვითომ ჩვეულებრივი იყო. არაჩვეულებრივი, რასაკვირველია, არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ქალაქის ცირკში მომხდარ უჩვეულო შემთხვევას. თქვენ, ალბათ, გაიოცებთ და იტყვით: ყოველ ქალაქში ხდება უჩვეულო შემთხვევა და ჩვენი ქალაქი რაღა გამონაკლისია? იმასაც გაიფიქრებთ, ცირკი იმიტომ მოიგონეს, რომ იქ, არენაზე უცნაური ამბები მოხდეს, რა არის ამაში გასაკვირიო? მართალიც ბრძანდებით, მაგრამ...

ჩვენი ქალაქის ცირკში მართლა მოხდა უჩვეულო ამბავი.

ის დღეც ისე დაიწყო, ვითომ ჩვეულებრივი იყო: ამოვიდა ცხრათვალა მზე... (სხვათა შორის, ჩვენს ქალაქში მუდამ ცხრათვალა მზე ამოდის) ბევრჭერ დავეკირვებოვარ და არ შემომჩნევია ერთხელ მაინც შეიდი, რვა ან ათი თვალის ჰქონდეს! მოდა, ამოვიდა ცხრათვალა მზე, გაანათა ქუჩები, ეზოები, შეიქუცა სახლებში, გააღვიძა მოსახლეობა და მათ შორის — გიორგი ქართლიშვილი. კვირა დღე იყო და გიორგის მაინცდამაინც არ უნდოდა ადგომა, მაგრამ რას იზამდა? განრიგით (ეს განრიგად, რაც ცოლი შეირთო, მას შემდეგ, უცვლელად ძალაში რჩებოდა წელიწადის ნებისმიერ დროს!) ბავშვი უნდა წაეყვანა ცირკში. პატარა თამრიკოს კაბა უკვე ჩაცევა, ხარ-

კის წინ იპრანჭებოდა და ასე შემდეგ... ეს არ არის ჩვენთვის მაინცდამაინც საინტერესო. ახლა პირდაპირ გადავხტით იმ ადგილას, როცა ცირკში გიორგიმ პროგრამა იყიდა და გადაშალა.

მკითხველს თავიდანვე უნდა მოვახსენო, რომ ამ პროგრამაში სულ სხვა გვარები ეწევა, ხოლო არენაზე სხვები გამოვლენ... თუ როგორ და რატომ მოხდება ასე, წინასწარ, ვიდრე პირველი ნომერი არ შესრულდება, ვერ მივახვედრებთ. პროგრამით გამოცხადებული ყველა ნომერი კი აუცილებლად შესრულდება. შესაძლოა, ზოგიერთ ცნობისმოყვარე მკითხველს უკვე აინტერესებს კიდევ როგორ არის ორგანიზებული იანი პროგრამა შედგენილი და გაითამაშებენ თუ არა მისთვის საყვარელ ნომერებს. რადგან ასეთი ცნობისმოყვარენი მართლაც შეიძლება არსებობდნენ, გულს არ ღაფუყებთ და პროგრამასაც გადავშლი. მას ასე:

მხიარული არენა

ორ განყოფილება

პირველი განყოფილება

1. პარადი — პროლოგი. — მონაწილეობს მთელი დასი.
2. ანტიპოდები — გიორგი და სვიმონ ქევა-ნიშვილები.

8. მავთულზე მოცეკვავენი. — ვაჟა და არჩილ მარტიროსაშვილები.

4. ორიგინალური ჟანრი. — ალექსანდრე სირბილაძე.

5. ეგზოტიკური ცხოველების მომთინიერებელი — გალინა აბაკელია.

6. ჟონგლიორი. — თიმიურაჲ ქეუახელი.

7. ბალანსი კიბეზე. — გურგენი მცირია, გურამ ჩიჩელაშვილი, გურუ ტვიმბა და „შენ-დაუკა“.

8. აკრობატ ვოლტიორები. — დები კამიკაძეები.

9. ტრიუკების რეკორდული შემსრულებელი — გრიგოლ დადიანი.

10. მუსიკალური ბუფონადა. — ზაზა ასათიანი, თენგივ გამრეკელი და ზოზო ლუღუშაური.

11. ტანმოვარჯიშენი რგოლებზე. — ქორჭიები.

12. ეკვილიბრისტი. — ლალი საბახტარაშვილი.

### მეორე განყოფილება

1. საილუზიო ატრაქციონი „ბახჩისარაის ლეგენდა“.

2. პარადი ეპილოგი.

მთელ საღამოს მანუქვა ჯამბაზი „ჟორა“. მანუქის ინსპექტორი — ვლადიმირ დადეშკელიანი.

დირიჟორი — პეტრე კონიაშვილი.

იმ შემთხვევაში თუ მსახიობი გახდა ავად, დირექციას უფლება აქვს შეცვალოს სხვა ნომრით ან მოხსნას იგი პროგრამიდან.

ზუსტად თორმეტ საათზე შესამე ზარი იხმა.

თამარკო და გიორგი ადგილზე დასდნენ.

სინათლე ჩაქრა. ცირკის შენობა ისე ჩაბნეულა, რომ შეშინებული ბავშვები გაისუსნენ, უცებ იქით თვალისმომკრებლად გაჩირაღდნენ ცირკის არენა ისევ. არენის წრე სახვე იყო წარმოდგენის მონაწილეებით. კულისებში შესასვლელის ორვე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ არენის მუშები, რომლებსაც ცირკში უნიფორმისტებს ეძახიან.

„ახლა მანუქის ინსპექტორი მისასალმებელ ჩხიტყვას იტყვის ლეკსად, — გაიჭქრა გიორგომ. — რა გაუძღვებს ამ სუნში?!“.

უნდა მოგახხენოთ, რომ ეს პროგრამა გიორგიმ თამარკოსთან ერთად ორჭერ უყვი ნახა, მაგრამ... განრიგი განრიგია და თანაც თამარკოს სურვილს მოსიყვარულე მამა წინ როგორ აღუღებოდა!

„თუმცა ეს რა არის? ნომერი შეცვალეს?“

— გიორგი თვალს არ უჭერებდა: პარად პროლოგის მონაწილეთა შორის თავისი მეზობლები შენიშნა... — „სისულელია!“ — ისევ გაიჭქრა გიორგომ, — „ღღეს ისინი მუშაობენ, თანაც ცირკის მსახიობები არ არიან... ესენი

ვინდა არიან?“ — ახლა შეკეპში გამოწვლითულ მოაკრობატო ტიპებს შეხედა. — „რა მომდის?“

გიორგი თვალების ფშვნეტათ წამოდგა, თან ღრმად სუნთქავდა...

— მამიკო, დაჭექი, იწყება! — მოქაჩა თამარკომ მამა.

მანუქის ინსპექტორმა გამოაცხადა: — ღღევანდელი პროგრამის პირველ ნომრად შემოგთავაზებთ...

— გამარჯობა, გინაცვალდი! — მოისმა ამ დროს ინსპექტორის მოპირდაპირე მხრიდან და ბავშვების სიცილ-ხარხარში გამოჩნდა ჯამბაზი; ჯამბაზს ძალიან დიდი თეთრი ფეხსაცმელი ეცვა და კარტოფილივით ცხვირი წითლად შეეღება. ინსპექტორმა ჯამბაზისკენ გაიშვირა ხელი: — ჯამბაზი ჟორა! — რაც შეეძლო ხმამაღლა დასძახა ინსპექტორმა.

ტაში.

— ე! — წამოცდა გიორგის და ისევ წამოღდა.

— მამიკო, მამიკო, ნახე, სულ შენ გგავს! — იძახდა აღტაცებული თამარკო და თან ისევ ქაჩავდა გიორგის, დაჭექო.

— საბურტალოში! ღჟერ-ღჟერობიტ პაჟალსტა... ცინნადალი! — რაღაც სისულელეს უყიროდა ცისფერ ბუტაფორულ ცხენზე „ამხედრებულნი“ ჟორა. ცხენს უკან ყავისფერი სათადარიგო ფეხი ჰქონდა მიმაგრებული მანქანის ბორბალივით. ჯამბაზმა რამდენიმე წრე შემოხაზა მანუქზე და, როგორც იქნა, გავიდა კულისებში.

გიორგი დაჭდა.

მაყურებელთა ფრიალულიც ჩაწყნარდა.

ინსპექტორმა დრო ჩიელთა და გამოაცხადა: — ანტიპოდები!

სინათლე ისევ ჩაქრა.

ორკესტრმა ომანიანი მარში წამოიწყო.

სინათლე რომ აინთო, არენაზე ორი ჯანმრთელი კაცი იდგა და უხერხულად ილიმებოდა. ესენი ანტიპოდები იყვნენ. შედარებით ბრგე ვაჟაკმა მოკიდა ცალი ხელი მეორეს და თვალისდახამამევაში თავზე დაისვა. ზემოთამ თავზე თავი დააღო ქვემოთას და ყირაზე გაიქმია. ორი ერთმანეთზე დაღებულთა თავი ისევ უხერხულად ილიმებოდა. იდგა ასე ორი კაცი, ერთმანეთისათვის სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაში და ილიმებოდნენ. რა აღიმებდათ ნეტავ? ერთს, ქვემოთას, თავი სტიკოდა იმიტომ, რომ ამხელა კაცი უკვე შემელოტებულ თავზე მთელი წონით აწევბოდა. მეორეს, ზემოთას, მთელი სისხლი თვალბებში მისწოლოდა და იმასაც სტიკოდა თავი. მანაც ილიმებოდნენ. მეორე ქვემოთამ ათასგვარი ილეთი გააკეთა, ადწვა, გადაბრუნდა, გადმოიჭრუნდა, მაგრამ ზემოთას არ დაუკარგავს წონასწორობა. ზემოთამ შეატყო, ქვემოთას

რომ გაუქირდა, აღარც თავად შეიძლო მეტის  
გაძლემა და „მოპოა“ დაიძახა. ქვემოთამ ხე-  
ლები გაშალა და ტანზე შემოირტყა. ზემოთა  
ჩამოხტა.

ტაში.  
ზემოთამ ამოსუნთქვა არ აცალა და მძი-  
მე მონიკელებული, კრიალა მილი დაადგა  
თავზე ქვემოთას. მერე მიღს შეახტა და აცოც-  
და. მიღის კენწეროს რომ მიადწია, ისევ თავ-  
ყარაზე დადგა. იყვნენ ასე ერთმანეთის საწი-  
ნაღმდეგო მდგომარეობაში ცირკის მსახიო-  
ბები, ევრეთწოდებული ანტიპოდები და ტაშს  
ელოდნენ...

„გიორგი ქართლისეულის უზარმაზარი ეზო  
სულ იმაზე ლაპარაკობდა, ეს ძმები ასეთი  
საწინააღმდეგო ხასიათისა როგორ გამოვიდ-  
ნენო! ქვეანოშვილებზე მოგახსენებთ. ქვე-  
ანოშვილებს არ იცნობთ? შეუძლებელია. ქა-  
ლაქში ერთხელ მაინც თუ ჩამოსულხართ,  
აუცილებლად შეამჩნევდით თსთუმეტვარსკვ-  
ლავან ტაქს. ეს სვიმონ ქვეანოშვილის მან-  
ქანაა. სვიმონისაა-მეთქი ტყუილად არ მითქ-  
ვამს. მერე შეიტყობთ, რატომაც ვამბობ ასე  
სახელმწიფო მანქანაზე. სვიმონს კიდევ ერთი  
რამ ჰქონდა განსაკუთრებული: დღის გინე-  
ბასავით სწყინდა თუ სახელს დაუძახებდი და  
„ვ“ გამოგჩივებდა; სიმონს, რომ გეთქვა,  
აღარასოდეს დაგიფიქვებდა.

— სიმონაცა ხარ და ქაჩი! — მზად იყო  
პასუხი.

სვიმონის ძმა გიორგი ავტონისებქციანოში მუ-  
შაობდა. ის ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხო-  
ვანი ინსპექტორთაგან, რომელნიც ახალი ნიშნის  
შემოღებისთანავე იქვე არ ჩასაფრდებიან  
ხოლმე. წესრიგის პირველად დამრღვევს არა-  
სოდეს აჭარიმებდა, პირიქით, გააფრთხილებ-  
და, ჭკუას დაარიგებდა, მანქანის ნომერს თა-  
ვისთვის ჩაიწერდა უბის წიგნაკში, სადაც შე-  
საბამისი წესის დამრღვევნი ჰყავდა აღნიშნუ-  
ლი და მერედაც თუ მოხვდებოდი ამ სიაში,  
მერე რაც გეკუთვნოდა — ის დაგემართებო-  
და. სამართლიანი კაცი იყო გიორგი. ამიტომ  
ტალონსაც თუ გაგინებრტადა, არ გეწყინებოდა,  
რადგან დაგარწმუნებდა, დამნაშავე ხარო.  
გახვრტობდა ტალონი კი საბოლოოდ დაგამა-  
ხსოვრებს მოძრაობის წესს და მერე, სიჩქა-  
რისა თუ სხვა რამის გამო, აღარასოდეს და-  
არღვევ კანონს. არ ვიცი, ეს ნამდვილად ასეა  
თუ არა, მანქანა არ მყავს, მაგრამ გიორგი და-  
ბეჭითობით იმეორებდა ამას.

სვიმონი კი არღვევდა და არღვევდა წესებს.  
ერთ „კლეენტს“, როგორც ის მგზავრებს უწო-  
ლებდა, მერეც თუ არ დაემატებოდა, ქალა-  
ქის ბოლოს არაფრით არ გავიდოდა. ხურდა  
თითქმის ყოველთვის „აგიწყვებოდა“; აგრო-  
დრომიდან შეგვიანებულ მგზავრებს ორმაგად  
ახდევინებდა (სამართლიანობა მოითხოვს

აღვნიშნოთ, რომ ამაზე წინასწარ უთანხმდე-  
ბოდა „კლეენტს“; ასე რომ თუ არ გნებავს,  
ნუ მისცემი) თუ ასეთ „კლეენტს“ ვერ იშოვ-  
ნიდა, ცარიელი, დიახ, დიახ, ცარიელი წამო-  
ვიდოდა ქალაქში. ნასვამიც მიუჭდებოდა ხო-  
ლმე საქებს. ახლა, მთლად გატალიბებული  
მთვრალი — არა, მაგრამ მანქანაში აღარ ჩა-  
იჯდომებოდა, ისეთი სუნი იდგა. თან სიგა-  
რტას აბოლებდა, მგზავრებს არცა თხოვდა  
ნებაბრძოლა.

გიორგი კი დასდევდა ასეთ მძღოლებს, ლე-  
ქციებს უკითხავდა, აფრთხილებდა, უჭავრდე-  
ბოდა, მართვის უფლებას ართმევდა, ინსპე-  
ქციანოში იბარებდა.

— თქვენ გირჩევნიათ სვიმონს მიხედოთ!  
— ჩაუნიკარტებდნენ ხოლმე ენამწარე შო-  
ფრები. მერე გინებ-გინებით საქებს მიუჭდე-  
ბოდნენ და მაშინვე ავიწყდებოდათ, რაც მოხ-  
და. როგორც არ უნდა სტყუოდნენ, შოფრებს  
მაინც ეჯავრებოთ ინსპექტორებთან ურთიერ-  
თობა. „წაიდებ რა, ჭარიმა და მორჩილი პატარა  
ბიჭი ხომ არა ვარ, ჭკუას რომ მარიგებს!“ —  
განუშარტადდნენ გზადაგზა „დაზარალებული“  
ტაქსიტები მგზავრებს, — „მაგის ძმაც შო-  
ფერია. იხიცი ტაქსეზე წის. მერე იცი, რო-  
გორ იქცევა? აი, ახლა არ დაჩქერებთ და  
ერთხელ...“ — და მოჰყვებოდნენ მერე სვი-  
მონის საოცარ თავგადასავალს.

ბევრი უჩივის სვიმონს. ერთხელ ტაქსიტის  
პარკის ღირქციამ მრცხვავად ჩამოაქვეითა.  
მერე რა! იმუშავა მისჭილი სამი თვე და ისევ  
დაიწყო თავისებურად. ინსპექციანოშიც ბევრ-  
ჯერ მისულა სვიმონ ქვეანოშვილის სახუთები,  
მაგრამ... გიორგის ძმამო და ჭარიმით კმაყო-  
ფილდებოდნენ. ჭარიმასაც მხოლოდ იმიტომ  
აკადრებდნენ, რომ სახუთი ჩამოეწერათ —  
წომები მიღებულიაო. გიორგის სათრი ჰქონ-  
დათ. ამბობენ, ვითომ გიორგიმ ეს არ იცოდა,  
თორემ გაგყდებოდა, წესის დამრღვევი მისი  
შემწეობით სათანადოდ დაუსჯელი რომ რჩე-  
ბოდა.

დაეიჭრო, მართლა არ იცოდა?

ეგებ არც ეს ამბავი იცოდა: ერთხელ ერთი  
მოძმე რესპუბლიკიდან სატვირთო სამგზავრო  
ავტობუსით ჩვენს ქალაქში პირველად ჩამო-  
სულიყვნენ ახალბედა გლეხები. საკოლმურენო  
მანქანაში უვაჭრიათ, მერე რაღაც წამალი უძე-  
ბნიათ მიძმე ავადმყოფისათვის და ამასობაში,  
მატარებლის გასვლის დროც მოსულა. დიდი  
ხეწნითა და მუდარით გაუჩრებიათ (სვიმონი,  
შექმნილი ვითარება აღუსნიათ და უთხოვიათ,  
რაც შეიძლება სწრაფად მიგვიყვანე რკინი-  
გზის სადგურში, თორემ მატარებელი გავასწ-  
რებსო. სვიმონმა არც აცია, არც აცხელა, ჩას-  
ვა ჩვენი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენ-

თამაზ გოლდრძიშვილი  
მხიარული არნან

ლები მანქანაში. მიიყვანა ყოფილი „მუშტაონის“ საბავშვო რკინიგზაზე, ტაქსიდან ფართოფურცლიანი ჩამორეკა, სადგურის საღაროში ბილეთებიც თვითონ აუღო და ვაგონში ისე შეარბენინა, საწყლები სულს ძლივს ითქვამდნენ. გლეხები ლოცავდნენ, თავს ვაგონის იატაკს ურტყამდნენ, მადლობას უხდებოდნენ და უყვირდნენ, ეს რა დალოცვილი კაცი შეგვხვდაო! სვიმონი კი უხირცხვილოდ უდღიდა, როდის დაიძრებოდა მატარებელი; მერე ცხვირსახოცი ამოიღო და დაუქნია. კმაყოფილ გლეხებს თვალზე ცრემლი მოადგათ, მაგრამ ვაგონის ფანჯრიდან მაინც ემუდარებოდნენ, შენი სახელი ან მისამართი მაინც გვითხარო, პატივი უნდა გვცეთო.

„მუშტაონიდან“ შინ მისვლამდე სიცილით იტყუებოდა სვიმონი. მერე გემრიელად ისადილა და გარაუფი შესვლის დროც მოახლოვდა. თითქმის ნახევარ საათს უამბობდა მძღოლებს ამ ამბავს. ბევრი იცინეს ბიჭებმა. ეს რა კაციაო! — ხელებს უხდებდნენ და სიცილის ცრემლებს იწმენდნენ.

მერე? იმ ავადმყოფს რა დაემართა, იკითხა ვინმემ?

ერთ-ერთ გლეხს მაინც დაემახსოვრებინა მანქანის ნომერი და იჩივლა. კონისიაც შედგა, მაგრამ... გიორგის ძმამ და მიჩქმალეს.

— კაცო, აღარ მოეშები ამ წყროლმან ხულიანობას? — ჰკითხა ცოლმა, შინ რომ დაბრუნდა სვიმონი (მეუღლე სვიმონს პედაგოგი ჰყავდა, უმცროს კლასებში ქართულს ასწავლიდა). — იცოდე, ცუდად დამთავრდება შენი საქმე.

— მორჩი ერთი! პატარა აღუა მნახე. ქეჟას რომ მარებებ?

— დანებე თავი, არა ყოფილა შენი საქმე ტაქსის შოფრობა, სომ ხედავ? სხვა მანქანაზე გადაქეცი.

— მამ, მაგ ქეჟაზე ვარ. ოჯახს შენ შემიწახე?

ამაზე მეუღლე ვერაფერს ეუბნებოდა. სვიმონიც იცოდა ამ წინადადების წონა და რაც არ უნდა მომხდარიყო, ამ ფრანს იფარებდა ხოლმე. ცოლს ერთი გამოსავალიდა რჩებოდა:

— რამდენჯერ უნდა გითხრა, სიმონ...

— წადი, ერთი შენი... სიმონაც: ხარ და... — წამოხტებოდა და უქმელიც რომ ყოფილიყო, მაინც ვარბოდა სვიმონი.

ამობენ, გიორგის ეს ამბავი არ გაუგიაო. შესაძლოა, მართლაც არ გაუგია, არ ეცალა, სულ ტრასაზე იყო. წყნეთის გზაზე ახალი „თიგული“ გაჩერა, მძღოლს უჩიოდა, სიჩქარეს ნუ გადააქარბებ, სწრაფად მანქანა და მერე საქუს ვეღარ დაიმორჩილებო. ბაგებთან „ვოლგის“ შოფერს ტყავი გააძრო: უკანა

სვლით ვერ მოეწონა და ცალი ბორბალი ვაგონში გადაედგო.

— ეს ღლილოები რომ გავირცხებო, ხარ შენა?! — უყვიროდა შოფერს, — იცო, ამას რა მოყვება? ჭერ ღლილოებს გასრასავ, მერე — ბავშვებს და ისე ჩივილი, ვითომ აქ არაფერიაო!

მძღოლს ნამდვილად იყო გოცბული, რადგან არ იცოდა, ღლილო როგორი ყვავილია; არ იცოდა, გასრესილ ყვავილებში ღლილო რომელი იყო; არც ის იცოდა, ღლილოს გარეხა რომ აკრძალულია.

ერთხელ, ძალიან ცხელი ზაფხულის შუაღამეს, უზბეკი ქალი შეხვდა სვიმონ ქვენიშვილს გზაზე. ქალმა ხელი უჭია და გააჩერა. სასტუმრო ვერ ეშოვნა და ახლა ბოლო იმედი ტურბაზე იყო. სვიმონი არ დაიბნა და შესთავაზა, შინ წამომყევი და ჩემი ცოლი საქადრის მასპინძლობას გაგიწევსო. იტრუა, რასაკვირველია! ცოლ-შვილი უკვე გასტუმრებული ჰყავდა აგარაკზე. სტუმარმა იუარა, მაგრამ რადგან ქალაქს არ იცნობდა და აღარც ტრანსპორტი მოძრაობდა, მანქანაში მაინც ჩაუჭდა ტურბაზე მისასვლელი. რასან მანქანაში ჩაუჭდა, სვიმონმა იფიქრა, კარგად მიდის ჩემი საქმეო, აბა პირდაპირ კისერზე ხომ არ ჩამომეკიდებოდაო. მაგრამ ქალმა ყოველ წინადადებაზე ცივი უარი სტკიოდა. გაბრაზდა სვიმონი და ტურბაში მაგივრად ქალი ქალაქკარზე გაიყვანა, ტრიალ მინდორზე დატოვა თავის ჩემოდნიანად და უკან გამობრუნდა. ქალმა მოასწრო მანქანის ნომრის ჩაწერა. უჩივლა. შედგა კომისია, მაგრამ... გიორგის ძმამ და მიჩქმალეს.

ამობენ, გიორგის ეს ამბავი არ გაუგიაო. შესაძლოა, მართლაც არ გაუგია, არ ეცალა, სულ ტრასაზე იყო.

ანტიპოლემმა ნომერი მოათავის და მაცურებელთა ტაშის გრიალში კულისებში გასვლა მოინდომეს. მანეთის ინსპექტორმა უკან შემოაბრუნა მსახიობები. ანტიპოლემი კმაყოფილი სახით შემობრუნდნენ და მაცურებლებს მორცხვად დაუქრეს თავი. მანეთის ინსპექტორმა ხელმოკრედ შემობრუნა ანტიპოლემი, ამჯერად ანტიპოლემმა ნამდვილი, ადამიანური ღმილი შეაფრქვიეს მაცურებლებს და გავიდნენ.

მანეთს ეორა გამოვიდა, ერთ ადგილას დიღბანს წმინდა არენის ირგლივ აღმართული ბარიერი და სულ სხვა ადგილას ჩაქდა ნახერხში. ბავშვებს გაცივანათ. ამასობაში უნიფორმისტებმა დაახლოებით ორნახევარ-სამ მეტრზე მათული გაუჩიეს.

ინსპექტორმა შემდეგი ნომერი გამოაცხადა:

— მოცუკვავინი მავთულზე! „უჟა და არჩილი სულ არ მგავდნენ ერთ-



მანეთს; ერთი დედამისიშვილები იყვნენ, მაგრამ მანც არ ჰგავდნენ. ვაჟა მაღალი, ხმელხმელი, წითურა იყო. არჩილი — დაბალი, ღიბიანი, უანგისფერი და გრძელხელები. გიორგი ქართლიშვილის ეწოში დაბერდნენ, მაგრამ არავინ, ცოლ-შვილმაც კი, არ იცოდა მათი ასავალ-დასავალი. საღდაც „არტელში“ მუშაობდნენ. მაშინ მოღაში იყო ეს სიტყვა. ვინც საკუთარი მანქანით დაგრილებდა, ვისაც საკუთარი აგარაკი ჰქონდა, ვინც ოთხ ან ხუთოთახიან ბინაში იყო გაჭიმული, ვისაც ეს ბინა ანტიკვარული ნივთებით გაქმნდა, ვისაც კედლებში საიდუმლო სუფიები უნიკალური ძეგრფასი ხანგებითა და სამკაულებით აევსო და თან ინსპექტორ მებრესაც რომ გაუკვირდებოდა, ისეთი კოდით ჩაერახა — ყველა არტელში მუშაობდა. ვაჟა და არჩილი რაღა გამოხადისი იყვნენ?! ზოღა, ისინიც არტელში მუშაობდნენ. მთელი ენოს მაცხოვრებლები რაღაც მშობლიური სიბრალულით ეცოდებოდნენ და ამას ვერც მალავდნენ. ყველას, დიდიან-პატარიანად, თქვენობით მიმართავდნენ, გიორგი ქართლიშვილის გარდა. გიორგის, რატომღაც, მარტივად და საღად, უროს ეძახდნენ. ამის უფლები ფრიად შელაშანდარებულ მეგობრებს, რა თქმა უნდა, აქვთ, მაგრამ გიორგი და ძმები მარტიროზაშვილები არც ბავშვობაში, არც ყრმობაში და, მითუმეტეს, არც ახლა, დიდად დახმობებულნი არასოდეს ყოფილან. თანაც გიორგი სვიმონ ქვეანიშვილი ხომ არ იყო, ასე რად მეძახითო, აჭაჭანებულიყო.

მარტიროზაშვილები გიორგიზე უფროსები იყვნენ: ვაჟა — ხუთი წლით, არჩილი — სამით. ბავშვობაში ეს დიდი განსხვავება. ორმოცო-ორმოცდაათი წლის ასაკში კი ვერ გაარჩევ, რომელია უფროსი და რომელი უმცროსი. თუცა ვაჟა ახლაც ოცდაათი წლისას ჰგავს: როგორც მოგახსენეთ, წითელი ფერის თმა აქვს და არ უქაღარავდება.

„სამუშაოსგან“ თავისუფალ დროს ძმები ვერტოფობებულ „დროსტარებაში“ ატარებდნენ. „მეტი რა შეგვრჩებო!“ — ასე ამბობდნენ. ყოველივე კარგი აგისრულდით ისე, როგორც იმათ აუსრულდათ ეს ნათქვამი! მაგრამ ამზე, ბოლოს. ალბათ, დავაინტერესებთ, რას ნიშნავს მარტიროზაშვილების დროსტარება. დიდს — არაფერს. ჩასხდებოდნენ „ვოლგებში“, ჩაისვამდნენ ძმაკაცებსა და უღამაშეს გოგოებს, გავიღოდნენ ქალაქგარეთ და რომელიმე დუქანს „დაკეტავდნენ“. თამადად სულ ერთიდაიგივე კაცი მიჰყავდათ, გვარად — ერისთავი. ამათ დანახვაზე მედუნეები მუჭლუგუნებით ჰყრიდნენ კარში ადგილობრივ მომხმარებლებს. დუქანი ჩაიკეტებოდა თუ არა, იწყებოდა „სიგიჟე“! ვაჟა ჭერ არღანს დატრი-

ალებდა. მაშინ არჩილი მღეროდა, დანარჩენები კი ცეკვავდნენ. როცა დათვრებოდნენ ვაჟა ლულუქსაც შეუბერავდა. იმ ნომერს თავისი ტრადიციული დასაწყისი და ბოლო ჰქონდა: ვაჟა ნახევარლიტრიანი ბოთლით ხელში სკამის სასურგეზე შემოჭდებოდა და მშობლების სადღეგრძელოს იტყუდა. ვაიმ თამაღის ბრალი, რომელიც ვაჟს ამ სადღეგრძელოს დასწრებდა; ღვინით სავსე ბოთლი არ აცდებოდა! სწორედ ამიტომ დაჰყავდათ ერისთავი და კიდევ ერთი რამის გამო, ქვემოთ გაიბმობთ. როცა ვაჟა ამ სადღეგრძელოს სვამდა, ყველამ იცოდა, რომ უკვე სასტიკი მთვრალი იყო. დაღვედა თუ არა სადღეგრძელოს, საიღანაც ვინღდაღა, იქიდან, უნდა გამოსულიყო მედუნეუკეთა დასტა. არჩილს უკვე ხელში უნდა ჰქეროდა „ვაჟას ღულუკი“ და ორი ხელით უნდა მიერთმია ძმისთვის. ვაჟა სკამზე შედგებოდა და გამოაცხადებდა შესასრულებელ ნომერს: „უღაბნოში ობოლი თეთრი აქლემი დაიჭრებს“. მერე დააყოლებდა: შეუბერე! და შეუბერავდა. ყველას უყვრდა, ეს გამხდარი კაცი ლოყებს ასე როგორ ბერავს ან საიღან აქვს „ლასკალას“ ტნორიგით სუნთქვა ასე დაყენებული! ერთი სიტყვით, უყვარდა ვაჟა და თან ცრემლები დაჰაღუბით ჩამოსდიოდა. კარგად უყრავდა, ტყუილად არ ღვრიდა ცრემლს. განიცდიდა. როცა კაცი ასე განიცდიხ, ეს უკვე ნიშნავს რაღაცას. ნიჭიერი კაცი იყო ვაჟა. დაკვრას მორჩებოდა თუ არა, მედუნეუკეთა დასტას მედლოე უნდა შემატებოდა და „კინაზური“ უნდა დაეკრათ. ვაჟა ამ ცეკვასაც სკამიღან ჩამოუსვლელად ასრულებდა. ცეკვის ბოლოს ჭიბეში ხელს ჩაიყოფდა და მოდიოდა ფრიალ-ფრიალით ხუთთუშნიანები და ოცდახუთმანეთიანები. მაგრამ ფულის ასაღებად არავის არ უნდა გადაეღვა ფები. ცეკვის ბოლო ასეთი იყო: ვაჟა ასმანეთიანს დაქმუჭნიდა და თამაღას ესროდა. თამაღას აუცილებლად პირით უნდა დაეჭირა ასიგანცია. ამში უკვე გაწაფული იყო ერისთავი. თუ შემთხვევით ვერ მოახერხებდა და ფული იატაკზე დავარდებოდა, ვაჟა დასძახებდა: „ნაბული, ბიჭი, ნაბულიო“. თამადა მონადირე ძაღლივით დაოთხილი, ყუნსვა-ყუნსოვით დაიწყებდა ფულის „ძებნას“ და როცა ცხვირს მიაღებდა ბურთივით შერულ ასიგანციას, ცალი ფები ზევით უნდა აეწია და უნდა ხმამაღლა დაეყეფა. ამას უკვე შეუცდომლად და დიდად პლასტიურად აკეთებდა ერისთავი. ეს იყო ნაბული, როგორც მონადირენი ამბობენ, ანუ „სტოკია“ — როგორც ვაჟა და არჩილი თამაღასთან ერთად

თამაზ გომეძინიშვილი  
მხიარული არნა



სუმრობდენენ. მონადირე ძალი მართლაც აკეთებს ნაბუღს, ესე იგი ინაბუბა. აქ კი არავინ რჩებოდა განაბული. როგორც კი თამადა ასმანეთიანს ჩაიჭიბავდა, იმწამსვე, ვითომ ხუმრობით, დაესვოდნენ თანამესუფრენი ძირს დაყრილ ფულს და იტაცებდნენ. ამაში სიცილი-კისკის-ხითხით-გასისხლიანებული თვალეზით ის ლამაზი გოგოებიც ეჩივოდნენ. ვაჟა და არჩილი კი იცინოდნენ, იმ ლამაზი გოგონების მონადირეობით აღტაცებულნი. ერთი გოგო ისე ლამაზი იყო, გიორგი ქართლიშვილმა ძლივს მოწყვიტა თვალი. გიორგი ისე შეერვია ამ ამბებს, ხანდახან ენატრებოდა კიდევც, ლამაზ ახალგაზრდა გოგონებთან ერთად ქიფი უყოველთვის უყვარდა გიორგის. მერე გიორგი თეატრშიც მარტიროსაშვილებთან ერთად დადიოდა. პრემიერაზეც იყვნენ ლამაზი გოგონები, პრემიერის შემდეგ კი „ბანკეტი“ იმართებოდა. ერთხელ ვაჟამ და არჩილმა ქართლიშვილი ფელინის „რვანახევარზეც“ კი შეიყვანეს. შესვლა ძალიან ჭირდა. ქალაქის კინემატოგრაფისტებიც კი დარჩნენ გარეთ. ძმებს ზედმეტი ბილეთები ბლომად ჰქონდათ. გიორგი დარტყიანებულივით იყო. სამი დღე არავის ელაპარაკებოდა, ისეთი შთაბეჭდილება გამოჰყვა. ვაჟამ და არჩილმა კი, რასაკვირველია, გემოზე გამოიძინეს: მხოლოდ ტიტველი ქალებისა და ზვეწაკოცნის დროს ჰკრავდნენ მუკლუგუნს ერთმანეთს და აღვიბებდნენ.

— რა ექნა, შორაჟან, სულ საქმეში ვართ და ვიღლებით! — თავს იმართლებდა არჩილი. ერთხელ არჩილი მოულოდნელად ცუდად შეიქნა და მარტიროსაშვილებმა „სასწრაფოს“ გამოუძახეს. ექიმმა წნევა გაუსინჯა, ერთიორი შეკითხვა მისცა და გახადლილიყო, დასაკვანა. ვაჟამ გიორგის ოცდაუთმანეთიანი ჯიბეში ჩაუღო და ექიმს მიეცო, უთხრა. საღარბაზოში, როცა მარტო დარჩნენ, გიორგიმ ექიმს ფული გაუწოდა. ექიმმა ისე შეხედა, სჯობდა შეფურთხებინა.

— ჭერ კიდევ დარჩენილან გიყები? — იკითხა ქეშმარიტად გაკვირვებულმა ვაჟამ, როცა გიორგიმ ფული უკან დაუბრუნა.

გიორგის კი აეკვიტა ეს შემოხედვა და ველარ მოსივნენა.

არჩილს სიცხემ აუწია, ორმოცს აღწევდა. — არაუა?! — თერმომეტრს დახედა და დინჯად თქვა ვაჟამ. — ვინ მოვუყვანო ახლა ანას?

ვინც კი დაუხანებლეს, პროფესორი იყო თუ აკადემიკოსი, ყველას გამოანახვინა დრო და ყველა მოიყვანა. ყველას თვითონ მისცა გაჭამრკელო. უხერხულ მადლობასაც შემწყნარებლური „კარგი ერთით“ პასუხობდა.

— მარტო ის სასწრაფოს ექიმი უყოფილა სულელი? — ჰკითხა გიორგიმ ვაჟას და თვა-

ლი დახუტა, რადგან ისევ ის შემოხედვა ედგა თვალწინ.

— ანას რა ვუყო, კაცო? — გოუდგობოდა ვაჟა.

— ძაფი... ძაფი, ძაფი... — ბუტბუტებდა თუ ბოლავდა არჩილი.

— რამე უნდა ვუშველო, თორემ ბოლომდე ჩამოყაპებს, რაც იცის?! — ღელავდა, თუმცა იღიმებოდა ვაჟა.

ბოლოს, მოსკოვიდან ჩამოაფრინეს კაცი. ექიმი ორი დღით იყო მოვლინებული, მაგრამ იმდენი ქნეს, ცხრა დღე დატოვეს. მეცხრე ნებსზე ვადამყოფს სიცხემ უკლო. მთავ დღეს კი წამოდგა. რა მისცეს და რამდენი, ვერ გეტყვით.

მოსკოველი ექიმი კი გადაირია.

— მაგანაც აიღო? — იკითხა გიორგიმ.

— მამ! მაგას რა, ჭამა არ უნდა?! — ალაპარაკდა ავადმყოფი.

— აბა, ის სასწრაფოს ექიმი... — წამოიწყო გიორგიმ და ისევ დახუტა თვალი, თქვენ უკვე იცით, რატომც.

ეს აკვიტებული შემოხედვა გიორგის აღარ მისცილდა, ხანამ ერთი სიწმარე არ ნახა: ჩვენი ქალაქის ყოველ ქუჩაზე თითო მარტიროსაშვილი დასახლდა. მარტიროსაშვილები ჭერ მორცხვად, ნელ-ნელა, შემდეგ კი სოკოებივით სწრაფად გამრავლდნენ. ის-ის იყო, მთელი საზოგადოება უნდა გამარტიროსაშვილებუთყოფო და თვითონაც თითქმის გაყო-რავებულყოფო რომ... გამოეღვიძა.

— ახლა... არც ისე ცუდ რამეს ვაკეთებთ...

— გაანდო ერთხელ არჩილმა ქართლიშვილს. გიორგი მარტილის სათხოვნელად შევიდა მარტიროსაშვილებთან და მაგიდაზე იმდენი ფული დანიხა, რომ დატყრდა. მხოლოდ კინოში ენახა ერთად ამდენი ფული. არჩილმაც გადაწყვიტა შავი ფიქრები გაქარწყლებინა მეზოლისათვის, — ხალიჩა იცი? ნოხი? ნოხი?

— ვიცი. — მიუგო გიორგიმ, რომელიც ფულს თვალს ვერ აშორებდა და გუნებაში ითვლიდა.

— მაგიდაზე ორმოცდაერთითიან შევიდას სამოცდათორამეტი მანეთია ახლით! — მშვილად წაიბუბუნა არჩილმა და მერე ისევ საქმეზე გადავიდა. — რამდენი ძაფი იქნოვება ხალიჩა, იცი?

— არა.

— ვთქვათ, თოთხმეტით.

— მერე?

— ცამეტით რომ მოიქსოვოს, რა ზედ ვერ დაჯდება თუ არ იყიდი? თუ შეატყობ?

— ვერ შეატყობ!

— ჰოდა, ეგ არის და გორის ციხე.

— გორისა არა, თბილისის, ორთაქალაში რომ არის!

— წაიღე ახლა ეს მარილი და მოუხეი ბა-  
ყაუერი. — გაბრაზდა არჩილი.

— გინდა სიწმარე მოგიყვე? კარგი სიწმა-  
რი ვნახე, ფერადი, მუსიკალური თანხლებით.

— არ მინდა.

— არც, დღეიდან არც შენი მარილი მინდა  
და არც შენი...

— მოიცა, კაცო, რა გეწყინა! — არჩილს  
მანაც არ უნდოდა მეწობლის მომღურება.

— არაფერი.

— მოყვიე, შო, კარგი. — მოეფერა არჩილი.

— არ მინდა, გამიშვი.

— წაიღე, უორაჯან, ეს მარილი და ეს ფუ-  
ლიც გამომართვი. — არჩილმა ხუთთუმინა-

ნი ჩაუტუპა ჯიბეში, — გოგოები წაიყვანე  
კინოში და ნაყინი უყიდე.

გიორგიმ ვერაფრით ვერ თქვა უარი ფულ-  
ზე. მერე მარილი აიღო, ეს რა მალე გავყო-  
რადილო, გაიფიქრა და წასვლა დააპირა, მაგ-

რამ კართან ვაჟა ატუფულიყო. თურმე ყურს  
უგდებდა მეწობლების საუბარს.

— არ გეგონოს ოფლის არ ვლვრიდეთ. არ  
ვმუშაობდეთ, არამ ლუკმას ვჭამდეთ. ჩვენც  
ვიტანჯებით. რა იოლად გავვიმეტე საციხე-

ოდ, უორაჯან. ბეწვის ხიდზე გავდივართ, ყო-  
ველდღე იმ ერთ ძაფზე ვცეკვავთ გაღმო-  
ვარდები და პირდაპირ ლომის ხახაში —  
ტულაში იქ კი რაც დაგროვილი გვაქვს, ისიც  
არ გვიშვებოდა, ისე გაღორდენენ. გესმის? —  
თქვა გაჭავრებულმა ვაჟამ.

— მესმის.

— მაგრამ ამას ვერ მოესწრებით ვერც  
შენ და ვერც შენი მეწობლები. რატომ, იცი?

— არა.

— აი ახლავე მეც გაჩუქებ ფულს და შენ  
უარს ვერ მიტყვი.

— გიტყვი! — გიორგიმ ის ხუთთუმინაიც  
ამოიღო და მარილთან ერთად მაგიდაზე და-  
დო.

— ვერ მიტყვი. — ვაჟა დამშვიდებით მი-  
უახლოვდა მაგიდას, აიღო მარილი, დაკმუჭ-  
ნული ხუთთუმინაიც გაასწორა, ხელით ნელ-

ნელა კარგად გაათოვდა, ზედ ხუთი ასმანე-  
თიანი დაალო და თავაწიანად გაუწოდა გი-  
ორგის. — აიღე, უორაჯან, და რაც აქ ნახე,  
ფულზე გეუბნები, არავისთან წამოგცდეს,  
არ არის საჭირო.

გიორგი ფულს დააშტერდა და გაფითრდა.

— აიღე, აიღე, ზაფხული მოდის და ცოლ-  
შვილი ავარაჯზე გაისტუმრე.

გიორგი გაღურჯდა.

— ვერ მოესწრებით-მეთქი გეუბნები, რად-  
გან იმ კაცთან დავი-დაუბახეში ყოველდღე  
სამ მაგდენს ვაგებ. იმან კი შაში-ბეში რომ  
თერთმეტიდა, ისიც კი არ იცის, რადგან ორივე  
ხელზე მხოლოდ ათი თითი აქვს. — ვაჟამ  
შვიდვად გაიარ-გამოიარა, — მე რომ ის გოგო

შემომხარჯა გახოსვ? გახოსვ. აჩიკომ კაცს  
მანქანა რომ დააჯახა და ფეხი მოტეხა, გახ-  
ოსვს? ესეც გემხსოვრება, რა დაგავიწყებს,  
შენც იმ მანქანაში არ იჯექი? ორივე შემთხ-  
ვევა ხულ თასს რვაასი მანეთი დაგვიჯდა.  
ბირყვებით! ასი ათასი რომ დაეთანებინა, არ  
მიცემდით? მაგრამ ვევაჭრეთ და ამ ფხად  
დავიყოლიეთ.

გიორგი კვდებოდა.

მარტიროსაშვილებმა მოახულიერეს და  
ხელში ატატებულნი შეიყვანეს თავის ერთო-  
თახიან ბინაში. გიორგიმ მორეც დილით რომ  
გამოიღვიძა, უკვე უორა იყო...

მავთულზე მოცეკვავებმა ჩინური ქოლგები  
დახურეს და სათითაოდ გადმოხტნენ პატარა  
ბაქნიდან. იგრილა ტაშმა. ბევრს ცდილობ-  
და, მაგრამ ვერაფრით ვერ შემობრუნა მანე-  
ჟის ინსპექტორმა მავთულზე მოცეკვავენი.  
ეტყობა, სადღაც ერქარბოდათ და სასწრა-  
ფოდ გავიდნენ კულისებში; გზადაგზა გრიმსა  
და პარკის იხსნიდნენ.

პაუზა ჯამბაზა უორამ შეავსო. გამოიტანა  
თოკი, არენის შუაგულში ნახერხზე გაჭიმა  
და ზედ გადი-გამოდიოდა. თან წონასწორო-  
ბას იცავდა. ხელში დახურული, საკმაოდ  
დიდი ალაგ-ალაგ დაფლეთილი, ალაგ-ალაგ  
ფერადფერად ნაჭრებით დაკრებულნი შავი  
ქოლგა ეჭირა. „უკუმართმალაყი!“ — ამა-  
ყად გამოაცხადა უორამ. დირიფორ კონიაშვი-  
ლის ნიშანზე ბარაბანზე დამკვრელმა ისეთი  
ბრაბარუხი ატეხა, ბავშვებმა უურბებზე ხე-  
ლები აიფარეს. უორა ახტა, შემოტრიალდა  
და პირისპით ისე დაეხერტა, რომ ნახერხი  
თვალ-უურში და ჯიბეებშიც კი ჩაეყარა. ნირი  
არ წახდენია. წამოდგა და ის-ის იყო, ხელ-  
მეორედ უნდა გაეკეთებინა მალაყი, რომ უკ-  
ნიდან ვიღაცა წამოეპარა და წყლით სავსე  
ვედრო თავზე გადმოაპირქვავდა. უორა გაიწუ-  
წა, ცას ახედა და ქოლგა გაშალა, რა დროს  
წვიმა იყო.

მავთურბლები ახარხარდნენ.

სინათლე ჩაქრა.

პროფეტორის მკვეთრმა შექმა მანეთის  
ინსპექტორი განათა.

— ორიგინალური უანრი! — გამოაცხადა  
ინსპექტორმა.

უნიფორმისტებმა ფარდა სასწრაფოდ გა-  
დახსნეს.

კულისებიდან გამოვიდა შავ სმოკინგში გა-  
მოწყობილი კაცი; მსახიობს მაღალი თეთრი  
ცილინდრი ეხურა და თეთრივე პერანგი და  
ხელთათმანები ეცვა. მხრებზე შავი პრიალა  
წამოსახამი მიემაგრებინა. რამდენჯერაც აიქ-  
ნევიდა სახის წინ წამოსახამს, იმდენჯერ

თამაზ გოდერძიშვილი  
მხიარული ბრძანა



ეცვლებოდა ფერი ცილინდრს, პერანგსაც და ხელთათმენსაც. ბოლოს, წითლად შედგება ყველაფერი... „ახლა ფულს აღარ ნომრავენ! ახლა ღებავენ! და ჩაგაყოფინებენ თუ არა სათანადო სითხეში ხელს, წითლად შეგედებება თითები!“

სულ სამი წელია, რაც ალექსანდრე სირბილად გიორგი ქართლიშვილის ეზოში გადმოსახლდა ბათუმიდან. ამბობდნენ, „იჭადა“.

— სულ ექვსი თვე! — განუმარტა გიორგის ალექსანდრემ. — ისაც ტყუილად.

— ეგ როგორ შეიძლება? — გაოცდა გიორგი.

— ახლავე გაიმბობთ, ჩემო ბატონო. ახლა სხვა დრო დადგა, ეს ილღით აღარავის გამოადგება, თორემ თავის დროზე ასეთი რჩევა ორმოცდაათი ათასი ღირდა. — სირბილადეს სადღაც, გულის კუნჭულში თბილად ჩაედგარა სისხლი და საამო გახსენებამ კეთილი ღიმილი აუთამაშა ეშმაკ და გამკრიახ თვალეზში. — გაინტერესებთ, გიორგი ბატონო, თუ თქვენც დანარჩენებივით, ჩვენ მეზობლებზე მოგახსენებთ, რეციდივისტი გგონივართ?

გიორგის უხერხულად გაედინა.

— აბა, ახლა ყველაფერს მოგაყვებით და მეზობლები გამიჩერებ, თუ ღმერთი გწამს. პენსიაში გავდილი და მოხვენება მეც მინდა.

გიორგი და ალექსანდრე ეზოში ისხდნენ, ჩრდილში, გრძელ მერხზე. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა.

— მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობაც ისე გავატარე, სულ ჩემი უფროსი ძმის გამოხატვა-ტანსაცემელი მეცვა. ჩაცმა-დახურვა და ქამარსაც არც მიტაცებდა, ჩემო გიორგი, აბა ბედნიერი მეგონა თავი. სკოლა, ჩემო ბატონო, შემდეგ მოსკოვის ინსტიტუტი, ბატონო ჩემო, ფრიალდზე დავამთავრე და ისევ აქარას დავუბრუნდი. მართალია, ინსტიტუტში ასპირანტურა შემომთავაზეს, მაგრამ ჩემს საწყალ მშობლებს ჩემს გარდა კიდევ ხუთი ჩემნაირი შეჭყურებდა პირდაუჩენილი და უფრო ამიტომ ჩამოვედი. რაც თავი მახსოვს, მამაჩემი სულ მოწინავე იყო, დედა — დღაზე გამოკრული ორდენოსანი მერჩიე, მაგრამ ნამეტანი მქამე-ლები ვიყავით და ექვს ვაჟკაცს მარცხ ვერ აუღიოდა ოჯახის შემოსავალი. ჩემი უფროსი ძმა დაქორწინდა, მალე გამოგვეყო და თვითონაც ოთხი ბიჭის მამა გახდა. მშობლებს ცალი ხელი მისკენ ჰქონდათ გაშვებული. ჩემმა მომდევნო ძმებმაც მოსკოვსა და ლენინგრადში ისურვეს სწავლის გაგრძელება. ამაში, რასაკვირველია, ცუდი არაფერია, მაგრამ თითოს ას-ასა მანეთი ხომ უნდოდა თვეში? ხომ უნდოდა, გიორგი ბატონო?

— რას ეყოფოდა?!

— გავწყდით ხალხი, მაგრამ უსწავლელს ხომ არ დატოვებდით?! მანინ ჩვენს მხარეში ჩემ-

ნაირი რუსული ცოტამ იცოდა და დავწინააღმდეგებდი ნელ-ნელა. ბოლოს იმ ადგილზე დამინიწეს, საიდანაც პენსიაში გავდილი. იმ ადგილზე დამინიწეს თუ არა, მეორე დღეს ბიძაჩემის ცოლის ძმა მეწვია და მთხოვა: შენთან მომწყვე სადმე საწყობშიო. ვუპასუხე, ნათესავებს ვერ მივიღებ, რას იტყვის ხალხი-მეთქი. აბა მაგ ადგილზე შენ ვერ ივარგებ და მალე გაგათავისუფლებენ, დაიხსაოვრე ჩემი სიტყვებითო. გავიდა დრო. ხომ არ გეძინება, გიორგი ბატონო?

— ჭირ არა.

— ჰოდა, გავიდა დრო, მაგრამ მაღლობის მეტი არავის არაფერი უტყვამს. მეც ვშრომობდი ჩემთვის, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი. ერთ-ერთმა კაცმა, არ გინდა ახლა შენ, ჩემო ბატონო. იმისი სახელი და გვარი, დამიძახა და მითხრა: აღარ ვაქები, შე კაცო, ახლა ჩვენთვისაც გაიმეტე რამეო. რომ შემატყო, ძალიან გაიკვირდა, ხუმრობაში გადაიტანა და ძალიან ძნელი საქმე დამავადა. გავაკეთე. მერე კიდევ უარესი საქმე გამიჩინა და ორი თვის შემდეგ ჭირ კომისია გამომიგზავნა, მერე ოცი-შუაღ მოჰყოლოდა. კომისიამ და რევიზიამ ვერაფერი მინახეს, რაღაც წვრილმანი შეიტანეს საბოლოო დასკვნაში. გამომიძახა ისევ იმ ტიპმა და მიუვირა: ეს რა მუშაობააო! ჩაგაშლია საქმე და ეგ არისო! ახე, ჩემო ძეო, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთო! აღარ ვიცოდა, რა მექნა. არც ის ვიცოდი, რა დავაშავე. მეორე დღეს ისევ მეწვია ბიძაჩემის ცოლის ძმა. აი, ხომ გითხარი, მალე მოგაწვებიან-მეთქი, აგისარულდო? ასრულებით კი ამისრულდა, მაგრამ რა უნდა ვქნა, არ ვიცო-მეთქი. უსუსტად ასე მივუღე იმ ბიცოლაჩემის ძმას. რა უნდა ქნა, შე სულელიო, და ათასში ერთხელ რაღაცა უნდა გაუჭახხროო. თან ხელით ასე მანიშნა, ფულს რომ გულისხმობენ ხოლმე, ისე. საიდან-მეთქი? საიდან და ყველაფერი შენ ხელში არ არის, შენ არ ანაწილებო? ვინც შენამდე მაგ ადგილზე მოუშაობდა, იმითმ ვწავიდა, ამბობენ, ფულის შესანახი ადგილი აღარა ჰქონდაო, თორემ ნებით ამ ადგილს ვინ დაგითმობდა?! მერე მე რა მოუშაო ვარ-მეთქი? — ისევ გავოცდი. ისე უნდა მითქვი, როგორც შენი წინამორბედიო. კი, მაგრამ ასეთს რას აკეთებდა ის ბედნიერი-მეთქი? რას აკეთებდა და... ერთი ფანჯარი და ქაღალდი მომეცო, მთხოვა ბიცოლაჩემის ძმამ. მერე ადგა და ჩამომიწერა: ეს რომ გასცი, ამდენი უნდა გამოართვა, ეს რომ გასცი — ამდენიო. ეს ამდენი ღირსო, ეს კი — ამდენიო. საკუთარ თვალეზს არ ვუჭერებდი, ისეთი ციფრები წაწერა ქაღალდზე. კი, მაგრამ ეს ხომ ისედაც ეკუთვნით და ამაში როგორ გამოვართვა ფული-მეთქი? მანის კი ძალიან შევეცოდი იმ ბიძაჩემის ცოლის ძმას და პირდაპირ მი-თხრა, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე:



იმ წარმოებას ყველაფერი ეს თუ არ ექნება, საქმეს ვერ გააკეთებენ. საქმეს თუ ვეღარ გააკეთებენ, წარმოების ხელმძღვანელები ფულსაც ვეღარ იშვინებენ და მშვიდობის დარჩებან. გაუქვინაწერ, იუარა, არა გვაქვს, ჭერ არ მიგვიღია-თქო და შერე იმათ იციან. კარგი ერთი, რა ხისულელეს მირჩევ-მეთქი! კი, ღმერთს გეფიცები, ჩემო ბატონო, მაშინ მართლა ხისულელე მეგონა ქრთამის აღება. ქრთამს რა ამაღებინებდა?!

— ახლა?

— ახლაც ასე მგონია, მაგრამ უკვე გვიან არის. ჰო, სად გავჩერდი? გამახსენდა. როცა მიდიოდა ის ჩემი ბიოკლას ძმა, კიდეც დამარჩავა: ამდენ ფულს რომ აიღებს, არ ვალორღე, ნუ დანაწინებ და ნახევარი იმ კაცს მიუტანე, სამსახურიდან დათხოვნილი რომ გემშურება. ნუ გეშინია, ყელამდე დაგრჩება მაინცო. პირველ მაძიებელს მე გამოგავაგვანი, ჩემი სახელით მოვა და არ შეგეშინდეს, ინდო... წავიდა ის ჩემი აღმასწავლებელი და დამტოვა საშინელ ფიქრებთან მარტო. ერთი კვირის შემდეგ მართლაც მოვიდა ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მანქანა მოსოვა: — ვაგიგე, ახალი „კოლხოზნიკები“ მიგიღიათ და ერთი უნდა გამომიყოთო. — უკვე გავანაწილეთ-მეთქი. — წამოხდა. — მე, ჩემო ბატონო, ბიოკლათქველის ძმამ გამოგავაგვანა და დაგვმარებაო, დამაიფედა. — გავანაწილე, ჩემო ძმაო, დაგავიანდა-მეთქი. — რატომღაც უფრო მაგარად დავედგი. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩიბიდან შეკრული დასტა ამიოღო და მაგდის უჭრაში ჩამიღო. — ხვალ გამოვივლიო, — მითხრა, — სეზონი იწყება და ცოტა ციტრუსი მაქვს რუსეთში გასაყიდად გასაზიდი, თორემ ასე არ დაგაჩქარებდითო. წავიდა. გამოვადე უჭრა და რას ვხედავ: ათასი მანეთი! ვიფიქრე: ამ კოლმეურნეობაზე მაინც მქონდა ეს ოხერი მანქანა განაწილებული და არაფერი დაშავდება თუ ამ გადამუდველს ნაქურდალს გავუყოფ-მეთქი. ფული ჩიბემი ჩავიდე. შინ მისვლა ვერ მოვაწვარი იმ ჩემი ბიძის ცოლის მძასს! — რა ჰქენო! — მეოხთა... ა, ბატონო-მეთქი, — ვუპასუხე, — აგერა-მეთქი — და ჩიბიდან ფული ამოვიღე. აი, მაშინ გაგუფა კაცი. — თავს იღუპავ, ოჯახს ღუპავ, ნათესაებს წყალში გვეყრიო? — გათვრდა. — კაცო, დავინომრბავენ მაგ ფულს და ციმიბირი აქეთ დაგირჩებენო. ძალიან შეგეშინდა. შეგეშინდა, მაგრამ... იოლად ნაშოვნი ამხელა ფულის გემო უკვე პირში მქონდა. ჭერ არ მინახავს კაცი, გემრიელი ლუკმა გადმოეფურთხებინოს. თქვენ გინახავთ, გიორგი ბატონო?

— არა.

— დიდი ხნით შეგწყვიტე ძველის მიღება. გზას ვეძებდი, ხერხს... თანაც ისეთს, რომელიც მარტო მე მეცოდინებოდა. ეს ხერხი უნდა

ყოფილიყო ახალი. ეს ხერხი არ უნდა ყოფილიყო ვინმესაგან გადმოღებული, რადგან „ობებში“ ყველაფერი იცის. „ობებში“ ვერ მოატყუებ. ორიგინალური რაიმე უნდა მიმეფიქრებინა. ბევრი ვიწვალე, ვერაფერი მოვიფიქრე. მერე მოვიდა, რასაკვირველია, ისევ ის ოჯახასუენებული ბიოკლაჩემის ძმა. — ვიცი, რა გასაჭირიც გადავს და მე მყავს ერთი კაცი, ორიათას მანეთად საათიფეთ აგრივობს ყველაფერიხს... — სამსახურში უნდა მივლი-მეთქი? — არა, ქუასს დაგარიგებხო. — როგორ, ქუასს დარიგებაში ორი ათასი მივცე-მეთქი? სადა მაქვს შე კაცო, ხომ იცი, რამდენიც მქონდა, უკვე იმასაც მოვუღე ბოლო. — დაგადის ის კაცი, რადგან იცის, საქმეში ხარო. — არა-მეთქი. — რა ძუნწის ყოფილხარ, გადაუვები შენ მაგ სიძუნწესო, — მიწინასწარმეტყველა და გამშორდა ის ჩემი კეთილისმსურველი. შეგებულება ავიღე და ლიკანის სანატორიუმში წავიდე მოსაფიქრებლად. ორი კვირის მერე არ დამეპირებია. მოვიფიქრე! მოვიფიქრე! ისეთი ხერხი, „ფოკუსს“ რომ ჰგავდა და სამსახურში დავბრუნდი. რაიონის ხელმძღვანელობამ ჭერ შემიცოლა, რაა, შე კაცო, დაგვხევაო. მერე კი ისევ მომდგნენ და ტყავი გამაძვრეს. საბოლოო სიტყვა მაინც ჩემი იყო და ისე დავაიმიღე ის კაცი, თურმე გუთი ვეგონე. ვეკარბის ბოლოს გამომიტყდა, დედამოკას დუქანში რომ ეჭვიფობდით დავიწყე! ჭერ ძველი სახლი დავანგრეი და ახალი, სამსართულიანი ჩავიდეგე ეზოში. მერე მწვანე კონცხზე ვიყიდე ადგილი და იქაც ავიშენე სახლი. „ამერიკის ასი საუკეთესო აგარაკი“, — გინახია, გიორგი ჩემო, ეს ურნალი? ალბათ, არა. იქიდან ავიღე პროექტი და ზუსტად ისეთი სახლი ავიშენე, მილიონერ ტრენტინიანს რომ აქვს აკოპულყოში. მერე მანქანა ვიყიდე. მერე ბაკურიანში ერთი ძველი მეგობრის ეზოში, ფინური სახლი ჩავდეგი, მეგობარს ორიათასი ვაჩუქე ამ საქმეში. ერთი სიტყვით, თანამოქალაქეთა თვალწინ გავსუქდი და გავმდიდრდი. დავდიოდი სამსახურში ცხრიდან ექვსამდე, ხანდახან შვილზე, რვაზე, ათზეც ვამოვსულვარ. დავალავე, ჩავაწვიე, ჩავაკრიალე ყველაფერი. ყველა ფიქრობდა: ქრთამს იღებს, ალბათ, თორემ ასე უცებ როგორ გამდიდრდებოდაო, მაგრამ შარს ვერ მომდებდი. დამიშინეს და დამიშინეს რვეინებში. არაფერი გამოვიდა იმ კაცმა მერე მომთხოვა: ამბობენ, ქრთამს იღებო. — ვიღებ, აბა როგორ მომაქვს შენთან ის ფულები-მეთქი, — ვუთხარი, — მაგრამ შენს წილს კაპიკი არ მოემატება-მეთქი. გიჩვენებ სერისო! — დამემუჭრა. გავბრაზდი. მასზე უფროსს ორჯერ მეტი მივეცი და მოვახსენიე სამსახურიდან.

თამაზ გოდარძიშვილი  
მხიარული არმან

მერე ვიფიქრე: ახლა ეყოფათ, დაძინენ-მეთქი და ყველას შევეუწყვიტე მეგობრული ძველნი, სწორედ მაშინ მომადგა დრევიციტური საქონლით დატვირთული შემადგენლობა და ეპი — გადააუტრეპა ალექსანდრემ.

— მერე?

— უფრო მეტი უნდა ამეღო! უფრო ძვირად უნდა დამეფასებინა!

— კარგია, ბატონო ალექსანდრე, ახლაც ნანობთ?!

— ვნანობ და მერე როგორ! მაინც დამიჭირებს და... მაგრამ არ იტყვი, რაზე?

— ქრთამზე, რაზე დაგიქერდნენ!

— არა, ჩემო გიორგი ბატონო, ქრთამზე ვერ დამიჭირებს. ვერც დამიჭერდნენ ვერასოდეს. იცი, რას მიშვებდოდნენ? თვე არ გავიდოდლა, ოჯახში არ „მწვეოდნენ“. დანაშაულის ფულით ხომ ამავხეს. მაინც ვერ დამიჭირებს. შემრჩა ხახვივით ყველაფერი. ჭერ ერთი საქმოდ იშვიათად მიდიოდა იმათთან კაცი, ჩემთვის ფული რომ უნდა მოეტანა. იმ კაცს ხომ ჩემგან რაიმე ისეთი უნდა წოდო, მერე რომ ამოეკანა? ამიტომ ყველა ჩუმად იყო. მაგრამ, ხომ იცი, ბატონო ჩემო, ქვეყნად მაინც არიან შურიანები. ბოლოს ძალიან გამწარდა „ობეხე!“ გამწარდებოდა, აბა რა! ხელფასი უნდა დაერბინებინათ. სწორედ იმ დროს მიადგა ჩემგან აღდრ საქმოდ გატყავებული კაცი და მოახსენა — ალექსანდრე სირბილაძემ ამა და ამ საქმეში ამდენილაამდენი მთხოვა. და დღესათვის დამიბარაო. მთელი „ობეხეს“ ხელფასი რომ დათვალეს, მაინც არ გამოვლიდა იმდენი, მაგრამ მაინც დამინომარეს და მომიტანა იმ კაცმა. შემოვიდა, ხელში მომცა უზარმაზარი შეკვრა და შებრუნდა. ერთი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, „ობეხეს“ უფროსი რომ შემოვარდა უჭირილით, ახლა ხომ მაინც ჩავარდიო!

— რაშია-მეთქი საქმე! — ვკითხე მშვიდად. — ფული რა უყავიო! — რა ფული მეთქი? — ახლა ამ კაცმა რომ მოგიტანაო. — დიახ, ამ წუთში ხელში მივეციო. — დაუღასტურა კაცმა. — არაფერი არ მოუტანია, პკითხეთ ერთი ხად წაიღო-მეთქი. გამჩხრიკეს. გადასაქოტეს მთელი კაბინები. მერე ექვით შეტარათ, შეტარულები ხომ არ არიანო და ის კაციც განჩრიკეს. ამაზე იმ კაცმა ისე ინერვიულა, რომ გაუფნვა დემარტა დიდი ტვინში! მერე ნაღმსაძიებო აპარატებით, საინჟინრო ჯარებს რომა აქვთ, გიორგი ბატონო, ხომ იცით? ე, იმ აპარატურით განისწეს კედლები სანტიმეტრ-სანტიმეტრ. ვერაფერი ვერ იპოვნეს და წავიდნენ. განყოფილებაში რომ დაბრუნდნენ, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, უხელოფასოდ რომ დარჩნენ და შინ მომადგნენ. წამიყვანეს. თუ არ გვეტყვი, რას აკეთებ, არ გავიშვებთო. — უმიწვოვად დამატვირთების უფლება არავის არა აქვს-მეთქი, — მივუგე.

უკვე ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა და კოლექსის რომელი მუხლის რომელი პარაგრაფით თუ ქვეპარაგრაფი უნდა მომეშველებინა. უკვე ვიცოდი, რას უფროსმა: არაფერი არ ვიცი, სანამ არ გვეტყვი, სად გააქრე ჩვენი ხელფასი, არსად არ გავიშვებ, აქვე ამოგალობო. გავრუმდი, რას იზამდნენ, ისინიც გარუმდნენ: ვისხედით ასე ჩუმად ნახევარი წელი. ბოლოს მაინც გატყდა განყოფილების უფროსი. — მითხარი, რას აკეთებ და, პაკიოსან სიტყვას გაძღვე, გაგიშვებო. გაგიშვებ კი არა, საერთოდ არაფერში შემოგედევებო. თორემ თბილისიდან შემომითვალეს, მაგ ერთ მექრთამე კაცს ბოლო ვერ უნდა მოუღოთო! ეს კი იმას ნიშნავს, მალე ნიჩაბზე დამდებენ და... კაცი არა ხარ? არ გეცოდები? მეც მყავს ცოლ-შვილიო. სულელი ვარ, შემეცოდა. მაგრამ მეც არ მქონდა სხვა გზა. სიმდიდრე სხადც იყო შენახული, ჩემს მტკა. არავინ იცოდა. შვილები პატარები იყვნენ, ცოლი — სულელი. უჩრემოდ რა უნდა გავეთებინა პაპალას, გიორგი ბატონო, ხომ ხედავ, რა ბედენა მერობელიცა გყავს?

— გასაკეთებელი არაფერი აქვს. ისე... ხარჭვა კარგი იცის.

— აქვს დასახარკავი და იმითკომ. აბა, ჩველზე ციხეში!

— გამოგეშვა?

— გამომიშვა.

— აღარ შემოგედავა?

— არა. სიტყვის კაცი აღმოჩნდა განყოფილების უფროსი. ოლოდ დამაწვა: პენსიაშეგადიო.

— შენც გამოხვედი?

— ნუ გამოხვალ, თუ კაცი ხარ! თანაც აქ, ბატონო ჩემო, ეს ბინა მქონდა უკვე წყელი.

— როგორ, ჩვენს სახლში?!

— დიახ, თქვენს ყოფილ უფროსს მივაშვე შვილითას ხუთასი.

— იაფი დაგჯდომია.

— შენც ჭმურობ, გიორგი ბატონო, მაგრამ ძალიან იაფია შეიღანხვერად სამოთახიანი ბინა. ვინაც ვუთხარი, სასაცილოდ არ ეყოფონათ, ვმალავდი, რაც გადავიხადე ამ თქვენ დირექტორს ვუნახავდი ნამუსს.

— მერე?

— გადმოვედი და ვცხოვრობ ტბილად ნელ-ნელა ვხარჯავ, რაც ვიშვოვ. ცოცხლა დამჩა, მაგრამ, არც მე მიწერიდა დიდი დღე.

— წავიდეთ ახლა, დავიძინოთ, ბატონო ალექსანდრე.

— როგორ, ქრთამს როგორ ვიდებდი, არ გაინტერესებს?!

— ჭერ არ ვითქვია?

— ნუ ვეყვარს, ჩემო ბატონო გიორგი, კაცის გამახარავება. შენ ხომ ყველაზე პაკიოსანი კაცი ხარ მთელს ენოში!



— არა! მე უორა ვარ...

— უორა ხარ, აბა რა? გიორგი — უორა

— ერთიადიგვიფა...

— არა... მე... უორა ვარ! შენ კი მარტი-  
როსწავილი!

— ეგლა მაკლია. ეგენი, ორივე ერთად.  
გესმის, ჩემო გიორგი ბატონო, ორივე ერთად.  
სამოცდაერთში ფული რომ შეიცვალა ათი  
ერთზე, მილიონებდაც კი ვეღარ ღარჩ-  
ნენ.

— რას ამბობ!

— რაც ჩვენ მაგათ ვუგზავნეთ ქირის დეპეშე-  
ბი, რაც ჩვენ მაგათ დავცინეთ...

— მაშინაც იცნობდით?

— კი. ჩვენისთანა ხალხი ერთმანეთს იც-  
ნობს. ზოგს შორიდან ვიცნობდ, ზოგს —  
ახლოს, გამარჯობით და ასე შემდეგ. ჰოდა,  
მათქმევინე ახლა, ჩემო ბატონო, რა ფოკუს-  
სიც გამოვიგონე.

— გისმენ.

— ახლა აღარ გამოვადგება, თორემ ორია-  
თასი კი არა, ორასი ათასი ღირს ეს რჩევა.  
ხომ ვიცოდი, როცა უნდა მოეტანათ? დავს-  
ვამდი ჩემს პატარა ღუტას ჩემი კაბინეტის  
ფანჯრის ახლოს. კაბინეტი მესამე სართულზე  
ქონდა და ფანჯრები ეწოში გადიოდა. ფანჯა-  
რასი დავატანინე საკმაოდ მოწრდილი სარკმე-  
ლი, „ფორტოჩკას“ რომ ეძახის უველა. წარმო-  
უდგენლად ბევრს ვვარჯიშობდი. ჩემი კაბინე-  
ტის რომელ წერტილში უნდა მოგვეცა ფული,  
რომ მობრუნდებოდი თუ არა, იმ „ფორტოჩ-  
კიდან“ არ მესროდა და პირდაპირ ჩემი ღუტუ-  
ნის ფეხებთან არ დამეგდო! ღუტა აიღებდა  
წუნარად და მიქონდა იმ ჩემი ბიძის ცოლის  
ძმასთან სახლში. ღუტუნია რომ ნახო ქუჩაში,  
თუ იფიქრებ, რომ ნახევარი მილიონი უდევს  
ჩანთაში ძველით?

— არა.

— ჰოდა, ასე.

— საოცარია!

— ახლა აღარ გამოვადგება ეს ორიგინა-  
ლური ფოკუსი, ჩემო გიორგი, ახლა აღარ  
ნომრავენ. ახლა რაღაც ეშმაკით ღებავენ და  
ჩაგაფოფინებენ თუ არა სათანადო სითხეში  
ჩეღს, წითლად შეგედებება სწორედ ის თი-  
თები, ფულს რომ მოჰკიდებ, აბა...“

ეგზოტიკური ცხოველების მომთვინიერე-  
ბელმა, საკმაოდ ლამაზმა და მოხდენილმა  
ქალმა, თავისი ნომერი ტაშის გრილში დაამ-  
თავრა. მერე შეიდმეტრიანი ანაკონდა მელიის  
ძვირფასი ბეწვით უელზე შემოიხვია და  
გავის რხევით კულისებისკენ გაეშურა. მანეთის  
ინსპექტორმა უკან შემოაბრუნა მომთვინი-  
ერებელი. მომთვინიერებელი ძალიან დაღლი-  
ლი იყო და უსიხარულად შემოაბრუნდა,  
ხალხს მადლობა გადაუხადა და ის-ის იყო  
უკან უნდა გაბრუნებულიყო, რომ ფარდა

გაღიხნა და ბეჭემოთი გამოგორდა. ბეჭე-  
მოს ზურგზე ორბი ეჯდა. საოცრების მო-  
ლოდინში ხალხი გაჩუმდა. მომთვინიერებელ-  
მა მძიმე ანაკონდა უელიდან მოიხსნა და ასის-  
ტიტეს გადაუგლო

— შურა, — უთხრა მერე ორბს, — არა  
გრცხვენია? წაიდ ახლავე შენს გალიაში, თო-  
რემ მოგხვდებია!

მომთვინიერებელმა რკინის ჭოსს დაავლო  
ხელი. ორბი, დიდი ფრთების ტულაშუნით,  
შეფრინდა კულისებში.

ისევ იგრიალა ტაშმა.

მომთვინიერებელიც შებრუნდა კულისები-  
სკენ, მაგრამ ინსპექტორმა აიძულა დაბრუნე-  
ბულიყო. ბეჭემოთი არენის შუაგულში იჯდა.  
მომთვინიერებელი ბეჭემოსთს მიუახლოვდა და  
ჭკითხა:

— გშია?

— ჰოოოო... — დაადო უწარმაწარი ხხა  
ბეჭემოთმა. მომთვინიერებელმა რაღაც ჩაუ-  
დლო პირში.

ისევ იგრიალა ტაშმა. ეგზოტიკური ცხოვე-  
ლების მომთვინიერებელი მტკიცე ნაბიჯით  
წავიდა კულისებისკენ. მანეთის ინსპექტორმა  
გზა დაუთმო. ბეჭემოთი მორჩილად მიყვებო-  
და უკან პატრონს და გემრიელად ილუკმებო-  
და...

„გალინა აბაკელია მესამე სართულზე ცხო-  
ვრობდა გიორგის ეწოში; ოროთახიანი ბინა  
ქონდა, სანიმუშოდ დაწვრილებული და  
ანტიკვარული, ძველის-ძველი ნივთებით გა-  
მოქედილი. ვიდრე ახალ სახლს ააშენებდნენ,  
ამ ადგილას პატარ-პატარა ქობახები იდგა.  
ერთ-ერთ ასეთ ქობში ქონდა დაქირავებული  
უფანჯრო ოთახი გალინა აბაკელიას; შემდგომში  
იმ ოთახის პატრონი გახდა. ბოროტი ენები  
ამბობდნენ, სახლის პატრონს ჰყვარობდა და  
სულ მუქთად ჩაიგდო ოთახი ხელშიო. არ  
ვიცი, რამდენად მართალი იყო ეს ამბავი, მაგ-  
რამ ფაქტი ჭიუტია. ცოტა ხნის შემდეგ, ამ  
პატარა ოთახს მეორე, უფრო მოწრდილი  
ოთახი მიუმატა. სახლის პატრონი ქვრივი კა-  
ცი იყო, მეორე ცოლი შერთო და იმასთან  
გადასახლდა. თავისი ბინა კი გალინას უწა-  
დებდა. ნოტარიუსთან დამოწმებული საბუთი  
ახლაც დაუთოებულ თერთეულის ქვეშ უდევს  
გალინას, თუმცა აღარ სჭირდება.

როგორც კი ხუხულების ნგრევა დაიწყეს,  
გალინამ საგარანტო ორდერი აიღო და იკი-  
თხა: რამდენ ხანში ააშენებენ ამ სახლსაო?  
უთხრეს, სამ წელიწადშიო. ბინის ხელმეო-  
რედ დაქირავება აღარ ისურვა გალინამ. უკა-  
ნასკენელი ღამე სახლის პატრონთან ერთად  
გაატარა ძველ და საყვარელ ქობში. მერე სა-

თამაზ გომეზიშვილი  
მხიარული არნაბ

მასი მანეთი მასესხეო, სთხოვა. სახლის პატრონმა ასესხა. მერე გიორგისაც სთხოვა ორანი მანეთი, მაგრამ მხოლოდ ორმოცდაათი მანეთი მიიღო. გიორგისთან შესული დანახვებს მეზობლებმა და აფრინდა ახალი ქორი: გიორგი ქართლისვილის ცოლ-შვილი აგარაჯზე ჰყავს ვასტუმრებული და გალინასთან ცხოვრობსო. ბევრი ირწმუნებოდა გიორგი, ხუთი თუმანი ვასესხეო, მაგრამ ვინ დაუჭერებდა? გიორგი თვითონაც ვერ იყო დამაჭერებელი ამ დროს, კარგად ვერ გამოუღდიოდა კამათის ეს სცენა მეზობლის ენაპარტალა ქალებთან. ასე იყო თუ ისე, გალინამ ცოტადღენი ფული ისესხა, ცოტაც დაგროვებოდა ჰქონდა და გზას გაუდგა. სახლის ასაშენებლად საჭირო სამი წელი სხვადასხვა ქალაქებში გაატარა აბაკელიამ. თბილისიდან პირდაპირ ერევანს გაემგზავრა. ერევნიდან ბაქოში ამოჰყო თავი. იქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გაემგზავრა და, შერონი, კისლოვოდსკში, უელენწოვოდსკში თუ ესენტუკში ცხოვრობდა.

ლამაზი, მოხდენილი ქალი იყო გალინა აბაკელია. მოგზაურობა ოცდაოთხი წლისამ დაიწყო. ვიდრე სასომხეთსა და აზერბაიჯანში ცხოვრობდა, გასუქდა, სამოცდაოთხმეტ კილონი იწონიდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რომ გალდასახლდა, შარკოს შხაპების მიღება დაიწყო, ოცი კილო დაიკლო და მალე ისევ დაიბრუნა ძველებურად მომხიბლავი იერი.

თბილისში ბევრი ქორი ჩამოჰყვა. უკან არავინ გამოიდებია და ჰორი ვინ ჩამოიტანა, არავინ იცის. სწორედ ამიტომ არის საინტერესო ჩვენს ქალაქში ცხოვრება! ყველაფერი უცნაურად და მოულოდნელად ხდება. ერთხელ შეწერილი სახელის გადარქმევას კი ათეულობით წელი სჭირდება. ჩვენს ქალაქში კონსერვატორები ქარბობენ: არ უყვართ აზრის წამდაუწუმ შეცვლა, რადგან ახალს თავიდან უნდა მიჩვიონ. მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, აკი თვითონვე მოიგონეს.

ერევანში გამოჩენილ ლინგვისტს გელამ ქორიანს დაუმეგობრდა თურმე გალინა აბაკელია. გელამს ძალიან შეუყვარდა. რამდენიმე თვეში ცოლს გაშორდა და მრავალსართულიან სახლში ოროთახიანი ბინა დაუქირავა. გალინა სანიმუშოდ იქცეოდა, ოჯახში სისუფთავე, წესრიგი და გემრიელი ტოლმის სუნე მუდამ იდგა. გელამმა პარიზიდან „შენლის“ ტანსაცმელი ჩამოუტანა, კანადიდან ძვირფასი ბეწვის ქურკი, არაბეთიდან — სამკაულები. მაგრამ ერთ-ერთი გამგზავრების შემდეგ მეზობლებმა გელამს ასეთი ქორი დაახვედრეს: ისაკიანისა და ჩიგარანაინის ქუჩების გადაკვეთზე ხარაზი ერვანდა რომ ზის, უფასოდ უკერავს გალინას საბოგბსო. საბოგბე, მართლაც, საჭიროზე მეტი აღმოაჩინდა გალინას — თორმეტი წყვილი! მართალია, ძალიან ლამაზი საბოგბე იყო, მაგრამ თორმეტი

წყვილის შესაკერი ფული გელამს არ დაუტოვებია და უშუშევარ ქალს ვინ მისცა? ერევანში კი ისეთი კაცი არ იყო, კამიკი შერჩინა ვინმესათვის. ერთხელ გელამს ლანა დაუყერა და თუმანი რომ გამოართვა, მადლობით, უთხრა. ეს იმას ნიშნავდა, ხურდას ნუ ელო. ნეტავ მაშინ თუ უყვარავდა გალინას საბოგბე? ერთი სიტყვით, გელამს გული გაუტყდა. ბევრი იფიქრა, ბევრი იტანჯა, ღამეებიც თეთრად აიენა, ბოლოს ცოლყოფილს მიაკითხა და პატიება სთხოვა. ოჯახმა მიიღო გამოჩენილი ლინგვისტი. წაჩხუბება მაინც არ ინდომა გელამმა. გამოსახოვარ საღამოსავით მოუწყო გალინას და ყველაფერი წუნარად აუხსნა. გალინამ უთხრა: ძალიან დიდი მადლობელი ვარ შენი, გელამ, მაგრამ ბარემ ცოტა ფულიც მასესხე, თბილისში დაბრუნდები თუ არა, გამოგიგზავნიო. გელამი ინტერესებს ელოდა და რადგან ასე მშვიდად დასრულდა ყველაფერი, ისე გაეხარდა, უღაპარაკოდ მისცა ფული. — დაბრუნებაზე არც იფიქრო. — ასე დააყოლა. — როგორ გეკადრება, ვინ გავინვივარ, შენ ფულს რატომ შევინარჩუნებო? — თვალები აუცრემლდა ქალს. გელამმა დააწუნარა: როგორც ვინდა, ისე მოიქეციო, — ასე უთხრა, კეპი დაიხურა და პირდაპირ შინისაკენ წავიდა. მართალია, ამ ქალაქში კიდევ ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, ზოგიერთი მთხოვნელზე უფრო მეტიც იყო. მაგრამ გალინამ მაინც არ არჩია დარჩენა. ჩემოდნები ჩაალაგა და ბევრი არ უფიქრია, შიგ ბაქოში გადასახლდა.

ბაქოშიც მალე გამოუჩნდა თაყვანისმცემელი — ქერმი იაღონ ოღლი. ქერიმის მამა კასპის ზღვაზე თევზსა რეწვდა და ხიზოლაღას აშენებდა. გალინას უთხრეს, ოჯახი ოქროთი აქვთ სახსეო. ქერმი იაღონ ოღლი უცოლო კაცი იყო და სამი თვის შემდეგ ცოლად შეირთო გალინა. ქერმი იაღონ ოღლის მამამ დიდი ქორწილი გადარეგდა; უამრავი საჩუქარი, დიდძალი ოქრო-ვერცხლი და ფული მისცა შვილებს. მალე აირია ოჯახი. ქერიმის დედა ვერ შეეგუა გალინას, თუმცა აბაკელიამ აქაც დიდი გამჭრიახობა და ნიქი გამოიჩინა და სამი გავარჩიების შემდეგ ყველაზე გემრიელ და სურნელოვან თევზსა სარწავდა; იგივე გულმოდგინებით უვლიდა ოჯახს და კმაყოფილი იყო, მაგრამ დედამიილი მაინც პოულობდა საბავს, წვილ-კვილი რომ აეტეხა. გალინა დინჯად, დიდი მოთმინებითა და შეუპოვრობით ამზადებდა კომფლექტისათვის ქერიმს. ეს დღეც მალე დადგა. მამამ, საკმაოდ ჩანმრთელმა და ღონიერმა კაცმა, გემრიელად დაჟეჟა ვაჟი-შვილ-რძალი და სახლიდან ისე გააგდო, აბაზიც არ მიუცია. ქერიმმა და გალინამ ბინა დაიქირავეს. ქმარს ხელში აღნებოდა ფაშვანა, ფუფუნებას მიჩვეული ცოლი... ბოლოს ვეღარ მოითმინა, საყვარელ არსებას ფული რომ შე-

მოაკლდა და მეუღლის რჩევით ისევ მამას მი-  
ადგა სათხოვნელად. მამამ ისევ დუფუცა და უკან  
გამოაგდო ქერმი. ეს ამბავი რომ გაიგო, გალი-  
ნამ მამაში განცხადება შეიტანა განქორწინების  
თაობაზე და სასამართლოზე ისეთი სიბინძურ-  
ე თქვა, იმ წამსვე გააშორეს ცოლ-ქმარი.  
ქერმიმ გაოგნებულ იყო ორი რამის გამო; პირველი: ასეთი სიტყვები რომ წარმოთქვა  
გალინამ. მეორე: ამასობაში დავაროვილი ფულა  
და ძვირფასი ნივთები ასე სწრაფად რომ „გა-  
თავდა და გაიყიდა“. ქერმიმ წესიერად აღწერი-  
ლი ახალდავარდა იყო და, მიუხედავად უკვლავ-  
რისა, მინც გააცილა აეროდრომზე ჩემოდნე-  
ბით დატვირთული ცოლყოფილი. გალინა ბიღე-  
თის ფულს ეძებდა ჩანთის ჯიბეში. ქერმიმ და-  
სწრო, ბიღეთი აუღო, ნიშნობის ბეჭედი მოიხ-  
სნა, მისცა და უთხრა: როცა გავიქირდება, გა-  
ყიდეო. გალინას გული ამოუჭდა, იტირა. ქე-  
რმიმც გადმოუყარა ცრემლი. მართალი უნდა  
თქვას: ქერიმს ძალიან უყვარდა ლამაზი ცოლი.

ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებზე გალინა  
აბაკელია, როგორც ვთქვით, კვლავ დაიბრუნა  
ძველებური მომხიბლაობა და მოხდენილობა.  
დამსვენებელთა ხარჯზე გაატარა რამდენიმე  
თვე და თბილისიდან ყოფილმა სახლის პატ-  
რონმა აცნობა კიდევ, სახლი აშენდა და ჩა-  
მობრძანდნო. მინერალური წყლებიდან გალინა  
აბაკელია თვითმფრინავით გადმოფრინდა. ერ-  
თი პატარა ჩემოდნით წასული, რვა უზარმა-  
ზარი ჩემოდნით დატვირთული დაბრუნდა.  
სახლის პატრონი ძველი მარკის „მოსკვიჩით“  
დახვდა. ჩემოდნები ძლივს ჩაიტანა მანქანაში.  
როცა ბინაში შედგა ფეხი, გალინა შემობრუნ-  
და და სახლის პატრონს მიახალა: — ჩემოდ-  
ნებს რომ ამოვიღავ, შენი ფეხი არ ვნახო ამ  
ოთახშიო. — ბატონი ბრძანდებოთო. — მიუ-  
გო სახლის პატრონმა.

ბოლო ჩემოდანი ქოშინით ამოიტანა სახლის  
პატრონმა, ყოფილმა კერძო მესაკუთრემ.  
გალინას გულ-მკერდი გაელედა და უკვე ია-  
ტაკს წმენდდა: სისუფთავე უყვარდა აბაკელიას  
ქალს. სახლის პატრონი გალინას მიუახლოვდა  
და გადელდა საკინძეში ხელი ჩაუყუტა. სახლის  
პატრონს ოქროს უზარმაზარი ჭვარი მოხვდა  
ხელში. სახლის პატრონმა ჭერ ჭვარის სიმიძე  
შეაფასა, მერე ხელი უშვა გულსაკიდს და უკვე  
გაოფლიანებულ ძუძულზე წაეპოტინა აბაკელიას  
მომხიბლავ ასულს. გალინა იატაკზე იჯდა. სახ-  
ლის პატრონმა მუხლზე დაიჩოქა. გალინას  
რატომღაც გული აუჩუყდა და ნაზად აკოცა  
ვენებპორეულ და ამ სამი წლის განმავლობაში  
უკვე საქმაოდ მოტეხილ ყოფილ კერძო მესა-  
კუთრეს. სახლის პატრონი კანკალებდა...

— ახლა კი წადი შენს გალიაში, თორემ ცო-  
ლისაგან მოგხვდება! — უთხრა გალინამ სახ-  
ლის პატრონს. კაცი წამოდგა, მუხლზე მტვერი

ვალაქშიწინდა და თვალცრემლიანი გაშორდა.  
ოროთახიანი ბინის ულამაზეს დიასახლისს.  
ამბობენ, ამ სამი წლის განმავლობაში დავ-  
როვილი ფულთი ცხოვრობსო ახლაც აბაკელიას  
ქალი. შესაძლოა, მართალიც იყოს, რადგან ერთ-  
ერთ სამინისტროში მოიწყო პირად მდივანდ  
და ას ოცი მანეთი როგორ ეყოფა თვეში ისეთი  
გემოვნებისა და, რაც მთავარია, მოთხოვნილე-  
ბის ქალს, როგორც უმშვენიერესი გალინა  
აბაკელიაა!..“

— მამიკო! — გამოაფხიზლა გიორგი თამრი-  
კოს წკრიალა ხმამ. — ეს ბიძია რაღას გააკე-  
თებს?! დამავიწყდა... მგონი, წინა წარმოდგე-  
ნაში არ მონაწილეობდა, არა?

— ეს არც მე მახსოვს, ვინ არის. ცირკის  
დირექციას უფლება აქვს შევცავოს ან დაუ-  
მატოს ნომერი. ცოტაც მოითმინე და მანეთის  
ინსპექტორი გამოაცხადებს.

ვლადიმერ დადემუქელიანამაც არ დააყოვნა:

— ჟონგლიორი ბურთით!

ჟონგლიორის ფეხბურთის ხალიანი ბურთი  
ეჭირა თავს ზემოთ აღმართულ ხელებში. ორ-  
კესტრმა მარშისმავარი ნელი მანვის შესრუ-  
ლება დაიწყო. ჟონგლიორმა ბურთს ხელი უშ-  
ვა და თავზე აათამაშა. მუსიკის რიტმის აჩქა-  
რებასთან ერთად, ჟონგლიორმაც ააჩქარა მოძ-  
რაობა. ჭერ ნელა, ტატიოთ დაიწყო ბურთის  
თამაში. შემდეგ ისე აჩქარდა, ძველი კინო-  
ფირი გაახუნდებოდა კაცს. მართლაც საოც-  
რად მუშაობდა ბურთთან ჟონგლიორი! თან, ხან  
მალაყზე გადადიოდა, ხან წვეთოდა, ხან ჭდე-  
ბოდა. მაგრამ ბურთი არც ერთხელ არ ჩამო-  
ვარდნიდა ხალიჩაზე... იგრიალა ტაშმა...

„იგრიალა ტაშმა. სცენაზე რეჟისორი გამო-  
ვიდა მხედრული ნაბიჯით, მთავარი როლის  
შემსრულებელს მიეჭრა და გადააკოცა. მერე  
თიფოროც დაიწყო ტაშის ცემა. მერე რეჟი-  
სორმა და მთავარი როლის შემსრულებელმა  
დარცხენილი თიფურაჟ ჭკუასელი ძლივს  
„შემოათრეს“ სცენაზე. თიფურაჟს პრემიერი-  
სათვის საგანგებოდ შეკერილი შავი კოსტუმი  
ცცვა და, დიდი სიხვის მიუხედავად, მათაც გა-  
ეჭირა ყელში. ტაში გაძლიერდა. იდგა თვალ-  
ცრემლიანი ავტორი და ბედნიერად იღიმე-  
ბოდა.

ყველაფერი პატარა მოთხრობით დაიწყო.  
ეს მოთხრობა თიფურაჟ ჭკუასელმა ნაცნობი  
მსახრობის რჩევით, პიესად გადააკეთა. ეს პიესა  
პირველად სწორედ იმ სოფელში დაიდგა,  
საიდანაც თიფურაჟი იყო ჩამოსული. ეწვენათ  
თეატრმცოდნეებს: რატომ დღედაქალაქის თეატ-  
რებში არ შეიბერტყეს უფრო? ისეთი რტენ-  
იები დაიწერა, რომ მალე დღედაქალაქშიც გა-  
მოაკრეს ანონსი. თიფურაჟ ჭკუასელმა თბილი-  
სისათვის განახლებული ვარიანტი წარმოადგინა

თამაჟ გოდერძიშვილი  
მხიარული არიან



და განსხვავების მონორარი აიღო. პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, უფრო მეტი რომ არ ვთქვათ.

მეორე დღეს კინორეისორი ესტუმრა დრამატურგ თეიმურაზ ჭკუასელს. ითათბირეს, იკამათეს, იგაჟრეს, იმუშავეს და კინორეისორის თანავტორობით სცენარის წარადგინეს სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის.

ის პრემიერა კი, საიდანაც ამბის თხრობა დაიწყო, ქუთაისის მუსიკალური კომედიის თეატრში შედგა. ერთ-ერთმა კომპოზიტორმა თავისი ძველი სიმღერები ახალ ტექსტს მიუსადაგა, სიმღერებისთვის თვითონ დაწერა ლექსები, და რამდენიმე საცეკვაო ნომერი სავანგებოდ შეთხზა.

ვიღრე ფილმს გადაიღებენ და ეკრანზე გამოჩნდება, თეიმურაზ ჭკუასელს შურნალ-გაზეთებში ასე ინსენიებენ: პროზაიკოსი, დრამატურგი, სცენარისტი და ლიბრეტისტი.

ამობენ, მუსიკალური კომედია, თეიმურაზის მოთხრობის საფუძველზე რომ შეიქმნა, ოდესისა და ნოვოჩერკასკის მუსიკალურ თეატრებშიც იდგმებაო.

თეიმურაზ ჭკუასელი „გადაიღალა“... ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს. ახალ ნაწარმოებს ელიან მისგან... ის კი სდუმს.

როცა გიორგი ქართლიშვილმა თეიმურაზ ჭკუასელისაგან ბარათი მიიღო, ძალიან გაუკვირდა. ნეტა რა საქმე უნდა ჰქონდესო, — გაიფიქრა, — ბარათი რადა შუაშია, ვერ მოვიდაო? გიორგი და თეიმურაზი სკოლაში ერთად სწავლობდნენ. „აქვე“ — ეწერა კონვერტზე. გიორგიმ კონვერტი გახსნა და ორი ბილეთი ამოიღო. „აქვე რომ გეპარებოდა, მოდი დღეს ამა და ამ თეატრში და ნახე რისი დამწერია ამ სტრიქონების ავტორიო“. მხოლოდ ეს ერთი წინადადება ეწერა ბარათში.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, გიორგის ტაშის დაკვრა არ უნდოდა, მაგრამ ირგვლივ თეიმურაზის ნათესავები ისხდნენ და შერცხვა. მხოლოდ ერთი გარემოებით იყო კმაყოფილი გიორგი: დიდი ხანია მერხის მგობრები არ ენახა და თეატრში ყველა უკლებლივ მოინახულა, მათი მეუღლეებიც გაიცნო. ერთი სიტყვით, სიმაწვილე გაიხსენა. ეს კი ყოველთვის საამოა და გულის ამჩაუყუებელი. შერე, მცირეოდენი დრო რომ გავიდა, უკვე აღარ ახსოვდა, რით იყო კმაყოფილი: სპექტაკლით თუ მოწაფეობასთან შეხვედრით. მცირე ყოყმანის შემდეგ ტაში გიორგიმაც დასცხო; ბანკეტზეც გემრიელად გამოთვრა და რაც შეეძლო, აქო თეიმურაზიცა და სპექტაკლიც...“

დადლილი უონგლიორი კულისებისაკენ იქაჩებოდა. მანეთის ინსპექტორი, რასაკვირველია, არ უშვებდა.

უონგლიორი უირაზე დადგა, ბურთი ფეხებით ააგდო და საქდომით აკენწლა. ასე კენწვლა-

კენწვლით გავიდა კულისებში. ბავშვებმაც იცინეს, ისიამოვნეს და თვითონაც კმაყოფილნი იყვნენ, რადგან ბურთი არც ერთხელ არ დავარდნია ხალიჩაზე.

უონგლიორის შემდეგ არენაზე უორა გამოჩნდა. უორას ბურთის თამაში უნდოდა, მაგრამ ინსპექტორი არ უშვებდა. უორა იქაჩებოდა, უონგლიორზე ნაკლები კი არა ვარო! ბოლოს, მკაუტრებელთა მხარდაჭერის გამო, დაუთმეს უორას ბურთი და მოედანიც. უორა გამოქანდა, მაგრამ ვერ მოწომა, ბურთს დააბიჯა, ამოტრიალდა და ხალიჩაზე მოადინა ზღართანი. ყველას კი არ შეუძლია ბურთის თამაში რაც არ უნდა იყოს, ბურთი მარგალია! ბავშვები ხარხარებდნენ.

შემდეგ ნომერში, რომელსაც „ბალანსი კიბუზე“ ერქვა, ოთხი კაცი მონაწილეობდა. მეტად საშიში ნომერი იყო; საშიში, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობისათვის, რადგან ბალანსის დარღვევა და დიდი სიმაღლიდან ოთხივეს ჩამოვარდნა ერთი იქნებოდა. ცირკის მსახიობები ამ ნომერს დაზღვევის გარეშე აკეთებენ. თავს რატომ არ იცვენ, ვერ მოვახსენებთ. თუ შეეკითხებით, უცნაურ პასუხს მიიღებთ: ტრადიციაა განა ყველა ტრადიცია მისაღებია? ძლიერ დახარა, თუმაც ილიმები, ცხრამეტრიანი კიბის კენწვროში ვიდაცის თავზე ცალი ფეხით. ეს კიბე ორი მეტრის სიმაღლის მაგიდაზე დგას, (ესე იგი, სულ თერთმეტი მეტრია!) და უცებ ჩამოვარდი სული ჩამოგყვება? ტრადიციაო. რა ტრადიცია, რის ტრადიციაა შეიბიწვლე დამზღვევი ქამარი და რამსიმაღლეზეც გნებავს, აძვირი, გინდა — ცალი, — გინდა — ორი ფეხით, თუ გინდა, თავყირა. ორი კიბე ერთმანეთის პარალელური და არის შედგმული მაგიდაზე და ოთხი კაცის ბედი ჰკიდა ცირკის თალამდე აყუდებულ ამ კიბეებზე. ერთ-ერთმა თუ დაარღვია წონასწორობა, რომელსაც ცირკში უცხო ენაზე ბალანს ეძახიან, მორჩა და გათავდა თქვენი ნომერი და ზოგჯერ უფრო მეტიც.

„გურგენი მცირიამ რომ დაურტყა, მართლა გაუკვირდა გიორგი ქართლიშვილს. შაბათი დღე იყო და გიორგი ცოლ-შვილთან აპირებდა ასვლას კიეთში, მაგრამ... ასეთი კაცი რომ დაგირტყავს, მოდი და უთხარი უარი! დილაოგა ახლა უწვირად ახსოვს გიორგის:

- „ლო, ალო, გიორგი ხარ?”
- გიორგი გახლავართ!
- რა იყო, ბიჭო, ვერ მიცანი? თუმცა საიდან მიცნობდი, ტელიფონით პირველად ვსაუბრობო. გურგენი ვარ, მცირია.
- აა!
- პატარა საქმე მაქვს: ჩემს ბინაში სამე ბიჭი მყავდა დაბარებული და ცოლ-შვილი დამადგა თავზე. უმცროსი მამაძალი გამხდარა ავად და... შენ მარტო ხარ, ვიცი. ჩემი ფანჯრი-

დან გზედავ. ახლაც გზედავ, ყურმილი მარცხენა ხელში გიპირავს...

— ვა!

— ნუ გაგივირდებია, სამი წელია შენს პირდაპირ დიდი შენობა რომ არის, იქ გადმოვივდი მენუსთერ სართულზე, ოთხთხიანში.

— მომილოცავს!

— ერთი სიტყვით, შენი კეთილი გულის აზბაე რომ ვიცო, უარს არ მტყუვი.

— რას ამბობ, კაცო!

— ოლონდ, შენ ქვემოთ, ეზოში უნდა იჯდე, ვიდრე ჩვენ მოვილაპარაკებთ.

— კი, ბატონო.

— გამალობოთ, შენი ჰირიმე.

— რომელ საათზე მოხვალთ?

— ზუსტად ერთ საათში.

— კი, ბატონო.

გურგენმა ყურმილი დაკილა.

— ვა! — ისევ წამოსცდა გიორგის. მერე გაიღიქრა: „ეს რა ხდება? ძველი მეგობრები მიბრუნდებიან! ამხელა თანამდებობის კაცი ჩემს ბინაში აწყობს თათბირს!“

„მოთათბირენი“ რომ მოვიდნენ, გიორგი სულ დაიბნა: თათბირის მონაწილეთა შემადგენლობა:მ დაბნა. გურგენ მცირია, ხომ იცით, ამხელა თანამდებობის კაცი ვახლავთ. მეორე ნიკო სულხანიშვილის სახელობის კამერული გუნდის ლობტარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გურამ ჩეჩელაშვილი იყო. მესამე — ვალდა სანაპიროს მეტსრე და მეთვრე გურგენის ნებული სამრეწველო და სასურსათო მალაზიების დირექტორი. გიორგიმ ნამდვილი სახელი არ იცოდა, არც გვარი: ზედმეტსახელად კი „შენდაუკას“ ეძახდნენ (რესტორნებსა და ღუმულებში მეზურნეებს სულ მწვანე ხუთთუშნიანებს ესროდა და თან „შენ დაუკას“ უძახდა). მეოთხე უტნობი იყო. მოთათბირენი გულთბილად შეხვდნენ გიორგის, კეთილ მასპინძელს. გურგენის სამსახურის მანქანის შოფერმა. რამდენიმე ბოთლი შამპანური პირდაპირ მაცივარში შეაწყო ისე, რომ გიორგისათვის ნებართვა არც უთხოვია.

— წავიდე? — ჰკითხა შოფერმა გურგენს.

— წადი, წადი.

შოფერი არავის გამოთხოვებია, ისე გაიძურწა ოთახიდან.

— ნეტა ვინმემ დაგინახა? — ჰკითხა გურგენმა გიორგის ზუმრებაანარევი ცნობისმოყვარეობით.

— არა. ყველა აგარაკზეა. — დაარწმუნა გიორგიმ.

— თუ ძმა ხარ, ისეთი ვინმე რომ შენიშნო, ამოიბინე, არ დაგეზაროს.

— მაღელ მორჩებო?

— ოთხ საათში... ან უფრო ადრე... ოთხი საათი ნამდვილად! ნუ გეწყინება, თუ ძმა ხარ.

— არა, კაცო, ათასი ერთხელ რამეს მხოლოდ ისიც ვერ შეგიბრუნდებოდა?

— აი, გარედ რომ დაგხვი, იმაზე გეუბნები.

— კარგი, კაცო!

— მერე გიტყვი ყველაფერს.

ამასობაში მეოთხემ ჰიბებიდან კარტის ხელუხლებელი დასტები ამოიღო, დაახლოებთ ოცი ცალი.

— ვინ არის ეგ კაცი? — ჰკითხა გიორგიმ გურგენს, რადგან ყველაფერი უკვე ნათელი იყო.

— გუჩუ ტვიზა. — გაეცინა გურგენს. — ჩემი კოლეგაა, ოლონდ სოხუში.

— კარგი ერთი!

— აბა! — გაეცინა გურგენსა და ბროლივით ჩაწყვიწყებული კბილები გამოაჩინა.

— თამაქოს არ ეწევი? — ჰკითხა გიორგიმ, — რა თითარი კბილები გაქვს?!

— არა.

— აბა, ჩავედი... ნუ გეადრებია, არსად არ წავალ.

თამაქა ზუსტად ოთხი საათის შემდეგ დამთავრდა. ამასობაში ეზოში სამმა მილიციელმა და ორმა საექვო ტიპმა გაიარა. ეს, რაღა თქმა უნდა, შემთხვევით მოხდა. ასეთ შემთხვევას კი არ შეუძლია წონასწორობის დარღვევა. სადაზღაპოდან პირველი გურგენი გამოვიდა, მეორე — ლაურეატი, მესამე — შენდაუკა, ბოლოს — ტვიზა. ტვიზა თოვლივით თითარი იყო. თუმცა ვიდრე ეზოს კარამდე მივიდოდა, რადიენჭერმე ზომილორითი გაუწითლდა შემელოტებული თავი. „მოთათბირენი“ ისე დაიშალნენ, თითქოს ერთმანეთს არ იცნობდნენ. გიორგიმ შინ აირბინა და სასწრაფოდ გააღო ფანჯრები, რადგან პაპიროსის კვამლი ჭანლივით იდგა და ბინდებულში ძლივს მოჩანდა ავეჯი. ბნელდებოდა. გიორგიმ სინათლე აანთო. მაცივრის კარი ღია იყო, მაგრამ არც ერთი ბოთლი არ აკლდა. ეტყობა, მაცივარი გამოაღეს, მაგრამ მაშინვე ისეთი რამე მოხდა, შამპანურის ვახსხნელად ალარ ეცალათ. მრგვალ მაგიდაზე უამრავი კარტი ეყარა, პიანინოზე კი — ფული! გიორგიმ დათვალა: შვიდასი მანეთი იყო... გიორგიმ ეზოში ჩაიხედა, თუმცა იცოდა, ვერავის ვეღარ დაინახავდა. მერე პიანინოს პედალთან რაღაცა ქაღალდი იპოვა. ქაღალდზე, უამრავი ექვსნიშნა ციფრების ქვეშ, წითელი მეღნით ეწერა: „ესეც შენ, გიორგი! გურგენი“. გიორგიმ ფული ჰიბეში ჩაიღო და კარი გადაკეტა. გურგენთან აირბინა, მაგრამ შინ არ დახვდა. ცოლმა უთხრა, თათბირეაო. გიორგიმ ტელეფონის ნომერი გამოართვა, მერე თავისი დაუტოვა და სთხოვა, თქვენი მეუღლე რომ დაბრუნდება, დამირეკოსო. მთელ ღამეს

თამაქა გოლდერძიშვილი  
მხიარული პრინა



ცლოდა, არავინ დარეკა, დილით ისევ თვითონ აირჩია დარეკვა.

— გიორგი ხარ! — იცნო გურგენმა, — ამ დილით მივლინებაში მივდივარ... ახლაზეთში... გურუ ტვიმბასთან. როცა ჩამოვალ, დაგირეკავ. ჩვენს პრემიას, ალბათ, მიიღებდი. სამუშაო ძალიან კარგად შეგისრულდება, ჩემო გიორგი. აი, ცოლი მადგას თავზე და მაჩქარებს, ვიგვიანდებო, თორემ უფრო მეტს გეტყვოდი. აბა, კარგად. დაგირეკავ.

გურგენმა ყურმილი დაკიდა. როცა გიორგიმ ევროში გადაიხედა, გურგენი უკვე შავ „ვოლგაში“ ჯდებოდა.

გიორგი ქართლიშვილი გურგენს ზუსტად ოთხი თვის შემდეგ შეხვდა, ისიც ქუჩაში. ისევ შავ „ვოლგაში“ ჯდებოდა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა გურგენმა ისე, ვითომც აქ არაფერიყო.

— ვარ, რა! — უპასუხა ასევე უღარდელად გიორგიმ.

— კაცო, იცი ვინ გარდაცვილია? — გურგენმა გაზეთის მეოთხე გვერდი გადაშალა. „გურუ ტვიმბა“ — ეწერა შავი არშით შემორკალულ ნეკროლოგს სათურად. სურათზე გურუ ტვიმბა ზუსტად ისეთი იყო, საღარბოზოდან რომ გამოვიდა გათვრებული... — საწყალი! — თავს ამოთიქით იქნევდა გურგენი.

— რა მოუვიდა?

— ინფარქტი. მიოკარდის ინფარქტი.

— საწყალი... რა ახალგაზრდა იყო...

— აბა, აბა... წავიდი, მეჩქარება, გიორგის ვინაცვალე... — და გაიქცა, რასაკვირველია, თავისი შავი „ვოლგისაკენ“. შოფერმა შორიდან აუწია ხელი გიორგის და მერე მხედრული საღამი მისცა. გიორგიც გაეტიმა და მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიტანა. გაეცინათ...

ყველაფერი „შენდაუკა“ წამოსცდა. რესტორანში შეხვდა გიორგის. „შენდაუკა“ საქმოდ შეწარბოშებული იყო.

— რესტორანში რომ არ ვიყოთ და ეს ქალები არ მახლდეს, შუაზე გახლებიყავი, შენი... — შეპირდა „შენდაუკა“ გიორგის და შეაჩანჩადა.

— რა გინდა?

— შენ იმრუშე იმ ტვიმბასთან, არა?

— მე რა შუაში ვარ?

— აბა, ვინ მიუტანა ამბავი? ჩვენ ხომ ოთხნი ვიყავით?!

— მე რა ვიცი?!

„შენდაუკა“ უცებ მოგეო გონს...

— უკაცრავად... — „შენდაუკამ“ მარჯვენა ფეხი მარცხენას გადაადო და მარჯვენა ხელი გულზე მიიფარა, — დიდი ბოდიში, ჩვენ ბოდიშიც...

მერე ცალ-ცალკე იქიფეს. „შენდაუკამ“ გიორგის დანახარჯიც გადაიხდა და შინ მანქანით მიაცილა. გზაში უამბო: მოლეთ („შენდაუ-

კა“ სიტყვაში „მოკლეთ“ ბგერა კანს რატომღაც სტოვებდა). იმ ხანებში თბილისში კარტს ვერ იშოვნო. მე საწყობში მუდამ მქონდა ჩვენი ბიჭებისათვის. „პალასა“ ისე წავიდა, რომ მე, გურგენს და ჩიტლაშვილს ნახ-ნახე-ვარი მილიონი გვექონდა თითო მთავრულად. კარტის მოთამაშენი, ალბათ, მეტი რომ გამოჩნდეს, ძველი კურსით ანგარიშობენ ფულს. ამიტომ „შენდაუკამ“ განმარტა: ძველით არ გეგონოს, ახლით შენთვის გასაგები რომ იყოს, იმიტომ ვლანარკობ ასე. ტვიმბას კი სამი წელი იქნება, არ წაეგო. ყველგან დაუხურავს პოკერი. წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა, რა მაყუთი ექნებოდა დაგროვებული მოლეთ, გაუგია ჩვენი ამბავი და დაგეგა: თქვენ, სამივე ხომ არ მომეთათბირებოთ. ჩვენც დავუნიშნეთ პენსიონი. მოლეთ, საქალაქთმშობრისო შეხვედრა შენს მოედანზე მოეწყო. ისე, გურგენმა კარგად გაითამაშა, არა? ვითომ იმის სახლში არ შეიძლებოდა სასტუმროში თამაშისა შეგვეგინა და... მაგრამ მანამ, იცი, რა ამბავი ჩავუწყვეთ იმ შენ ტვიმბას? აცხონოს ღმერთმა ხომ ვითხარი, კარტს თბილისში ვერ იშოვნო-მეთქი. მე კი მქონდა ოციოდე ცალი. ავდექი, ყოველი კარტი დავნიშნე, მერე ისევ დასტებდა შეგვიკარა და ერთ-ერთ მაღაზიაში მივიტანე. გამყიდველს ანუ, როგორც თქვენ ეძახით, ნოქარს ხუთთუშიანი ვაჩუქე და ვუთხარი: როცა დანიხავ მანქანიდან გაღმოვიდე, მასში ამოაწე დახლზე-მეთქი. მოლეთ, მთელი თბილისი შემოვიარეთ ოთხივემ; ტვიმბაც, რასაკვირველია, ჩვენთან იყო. ძალიან კარგ ხასიათზე გახლდათ და სულ ანგობდა: ეს რომ მცოდნოდა, კარტს ვერ ვიშოვნო, იქიდან ჩამოვიტანდიო, თუ მეღმობოდითო. ისეც თქვენი დედაქალაქიო. ამაზე ჩვენც ბევრი ვიცინეთ, რადგან მოწინააღმდეგეს თავისივე იარაღით ვინ გაუი შეებრძოლება?! ნაღვი ამბავია, არა? მოლეთ, ბოლოს, ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, იმ მაღაზიას მივადექით. გაღმოვიდით თუ არა მანქანიდან, გურგენმა თქვა: აქაც თუ არ არის, ჩავვლია შეხვედრა და ეს არისო. ტვიმბა პირველი შეიქრა მაღაზიაში, რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული საბოლოო გამარჯვებაში. არისო! — გამოვარდა გახარებული. — მერე გეყიდა, შუ კაცო! — უთხრა მაესტრო ჩეჩელაშვილმა. ტვიმბა შებრუნდა და სულ იყიდა, რაც კარტი იყო. მოლეთ, თვითონვე შეიბა ეყვანი. ახლა, ისე ხომ მაგარია არა, ჩვენი გურგენი და ამ დანიშნული კარტით რა იქნებოდა! ყველამ „წავაგეთ“. მარტო გურგენი დარჩა მოგებული. თანაც მეორე დღესვე თან წაიყვანა ტვიმბა, ვალის გადასახდელად. ტვიმბა ფულს თან არ ატარებდა. ეს ყველამ ვიცოდით. გურგენი დილით გადაფრინდა იაკ-ორ-მოციო. მშვენიერი თვითმფრინავია, არა, რას იტყვი? დილით გადაფრინდა და ვახშად უკვე

წითელ ხიდზე ვიყავით. იქ გავინაწილეთ ერთი ჩემოდანი ფული. მოკლეთ, თითოეულს შეიდას ორმოცდაათი ათასი გვერგო. ოპერაციამ მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ რა გინდა! ვილ-ცას მიუტანია ამბავი ამ ერთი-ორი კვირის წინ. დარეკა: კარგი რამეები უოფილხართო! — უთხრა გურგენს და დაუკიდა ურმილი. მერე ჩაწვა. გულმა მიუკაჟუნა. ინფარქტიაო, უთქვამთ, მაგრამ ამ დღეებში წამომდგარა. მერე ისევ ჩაწოლდა. მოკლეთ, გაზეთში ნახეთ?

— ვნახე.

— შენ დააყე, — უთხრა „შენდაუკამ“ შოფერს, — მოვედით.

მანქანა გაჩერდა.

— საქმე ისე იყო აწყობილი, რომ... ზუსტად. ახა კარგად, ჩემო გიორგი — ილიმბოდა „შენდაუკა“. „შენდაუკას“ ძალიან კეთილი ღიმილი ჰქონდა. თითქოს ცა გაისხნაო, როცა გაილიმბოდა. — ნახვამდის!

გიორგი მანქანიდან გადმოვიდა და კარი ისე მაგრად მოიჭაბუნა, რომ მინებმა ზრიალი დაიწყეს.

— ნელა, ნელა, თუ ძმა ხარ! — შეშინდა შოფერი.

— ვინ არის შენი ძმა! — მივარდა გიორგი „შენდაუკას“ — ვინ არის შენი ძმა? შე კაციმკვლელიო თქვენი ფეხი აღარ ვნახო ჩემს ოჯახში! ესე გადმეცი! იმ შენ მეტრო ჩინელა-შვილს და იმ შენ გურგენსაც! კაცისმკვლელები ხართ და მეტი არაფერი!!

— ფული კარგად ავიღა, გიორგიჯანი! — ისევ გაეღმა „შენდაუკას“ — ახლა გაჩუმიდი, თორემ რიგიანად, მამა-პაპურად დაგვეყვ... — გადმოდი, გადმოდი, შე კანიბალი! გადმოდი!

„შენდაუკამ“ ხმა ჩაიკმინდა, რადგან არ იცოდა რას ნიშნავს სიტყვა კანიბალი და მხრები აიჩქრა.

მეზობლებმა გადმოხედეს, ჩამოვიდნენ, ხელში აიყვანეს და შინ აიტანეს გიორგი. კარი რომ გააღო და ცოლ-შვილი დაინახა, გიორგის გული აუჩუყდა და პატარა ბავშვივით მორთო ღრიალი... „მოკლეთ“, მიხვდა!

როცა ოთხივე აკრობატი კიბის თავს მოექცა, მანეთზე უორა გამოჩნდა. უორა ფეხაკრეფით მიუახლოვდა მაგიდას და გაითამაშა სცენა, ვითომ ხელი უნდოდა ეკრა კიბეებისათვის, მაგრამ ამ ზუმრობაზე არავის ვაძინებია. პირიქით, ბავშვები შეშფოთდნენ. კულისებში კი მანეთის ინსპექტორმა კედელზე მიაყუდა და შუაზე გახლჩნდა კიდეც ასეთი სულელური იმპროვიზაციისათვის, ისევ იმ აკრობატებს რომ არ ეშვოდათ. აკრობატები ახალგაზრდები იყვნენ და თავის იმედი ჰქონდათ. უორა კი თვითონვე იყო გაკვირვებული, ეს რა დამემართა, ასეთი რამ არასოდეს გამიფიქრებიაო და ასე შემიძგ, ასე და ამგვარად იმართლებდა თავს.

მანეთის ინსპექტორი დაპირდა: კიდეც ერთხელ „გინგლია“ ასე და ხუთი თუმნით დაგაჭარბებო. უორა თავს არც იმართლებდა, იმწამსვე მიხვდა, დანინებო რომ იყო. აკრობატებმა კი აპატეს. მათ ერთგული ჯამბაზი სჭირდებოდათ და მაშინვე აპატეს.

სინათლე ჩაქრა. როცა ცირკში სინათლე ქრება, ისეთი წყველიადა, გეგონება ნათურა ჭერ არ გამოგონებია ლოდინის. სიბნელის გამო უხალხმბა მანეთის ინსპექტორმა მკროფონში უნაძახა: აკრობატ-ვოლტიუორებო!

არენის შუაგულში სინათლის პატარა, მაგრამ მკვეთრი წრე აინთო. წრეში მართლაც საოცრად მომხიბლავი ქალი იდგა, თითქმის შიშველი. ამ ლამაზი ქალის გარგნობას აღარ აღვეწრთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მამიკოებო აღედღნენ და სავარლებზე აქრიალდნენ. ქალს ხელში გრძელი შოლტი ეკავა. მსახიობმა აცალა, მაყურებლები გონს მოსულიყვნენ, მერე მკვირვად შეტრული სხეული შოლტით მოიქნია, შოლტიც მოიქნია და ისეთი ტკაცანა გაისმა, ბავშვებმა ყურებზე მიიფარეს ხელები. ტკაცანთან ერთად სინათლე ჩართეს, იქაურობა ააბრღვლილეს, თითქოს იმიტომ, რომ უკეთესად დაგვევალიერებინათ ეს საოცარი ქალი. კულისებთან თერთი ცხენები გამოცვივდნენ ჩორთით. ცხენებს ორი მსახიობი ქალი გამოჰყვა. ზოპი — დაიყვირა ლამაზმა და დაიწყო ამ ორმა ვოლტიუორმა მუშაობა (ცირკში ნომრის შესრულებას რატომღაც მუშაობა ჰქვია). რა არ გაკეთეს! ცხენზე ცალი ფეხით შეხტომა, უკუმართმალაყით გადმოხტომა, მალაყი ცხენზე, ერთი ცხენიდან მეორეზე ჭერ ცალი ფეხით, მერე მალაყით გადახტომა და ასე შემდეგ. ნომერი ძალზე რთული იყო და ყოველი იღეთის შესრულება დიდ ნებისყოფას, დაკვირვებასა და ძალთა დამბავს მოითხოვდა. ოფელში გაიღვარნენ საწყულები. მარტო ისინი კი არა, მგონი, ცხენებიც დაილაღნენ. ცხენები კი, მოგეხსენებათ, ფრიალ გამძღენი არიან. ის ლამაზი გოგონა კი იდგა და შოლტს ატაკუნუნებდა. მერე ამასაც აღარ აკეთებდა, მხოლოდ „ჰოპს“ ჰყვიროდა. მერე — „ჰოპსაც“ აღარ ჰყვიროდა, მხოლოდ ხელსა შლიდა. მერე ხელბსაც აღარა შლიდა. ცხენები თავბრულდამხვევი სისწრაფით უკვლიდნენ გარს მანეთს. ასეთივე სისწრაფით მუშაობდნენ მსახიობი ქალები, აკრობატ-ვოლტიუორებად წოდებულნი...

გიორგის ვეღარ მოეთოკა მოგონებების გულა. რახან ერთხელ მოხსნა გულას პირი, ზღაბრული სისწრაფით მოფრინავდა იქიდან დაგუბებული, ჩაბოღმილი, უკვე ხავსმოღებული,

თამაზ გოღდამიძე  
მხიარული ბრენა

მაგრამ საბოლოო თავისუფლების ლოდინში  
ჭერ კიდევ კარგად შენახული ნაფიქრალი.

„ლიანა, ცირუ და მაგლო კამიკაძეები...  
ლიანა უფროსი და გახლავთ, ფეიქარი, საქ-  
სოვი ფაბრიკის კომიკაშორის კომიტეტის წევ-  
რი, ხანიშუშო ახალგაზრდა, ყოველი გაზეთის,  
რადიოსა თუ ტელევიზიის რედაქციების სასურ-  
ველი სტუმარი. გეგმას ყოველთვიურად ას სა-  
მოცდათი — ორასი პროცენტით სრულდება. პო,  
მართლა, ოცდაცამეტი წლისაა, გაუთხოვარი,  
ოდნავ უხეში მიზრამოხრით. უცნობთაგან ყვე-  
ლას ჰგონია, რომ პარიკს ატარებს, ისეთი ლამა-  
ზი თმა აქვს წელამდე ჩამოშლილი.

ცირუ, ცისფერთვალა ცირუ, სტამბის კო-  
რექტორი, ლიტერატურაზე უმიმდლო შეყვარე-  
ბული, ჰქვიანი, კეთილი ცირუ. ვინმე თუ ავად  
გახდა, ცირუ შეცვლის, თუ რაიმე საჩქაროა,  
ცირუს დავალეთო, თუ — სახალისიმგებლოა,  
ცირუს მეტი ვინ შეძლებსო. ცირუ ყველაფერს  
შეუცდომლად აკეთებს, მარტვე გოგონაა. რამ-  
დენი წელია მუშაობს და კორექტურა არ გა-  
პარვია. საოცარია, პირდაპირ! ცირუ უკვე ოც-  
დაცხრა წლისაა. ერთი ბიჭი უყვარდა და ახლაც  
უყვარს და სხვაზე როგორ ფიქროს? ამიტომ  
ხშირად ამბობს: შინაბერა ცირუს თუ კითხუ-  
ლობ, მე გახლავართო. ამას რადაცნაობა, ხუმ-  
რობანარევი კილოთი ამბობს, მაგრამ ამ კილოს  
ისეთი სევდა ურევია, გულს დაგიოთქავთ.

მაგლო, ულამაზესი მაგლო, საოცარი მაგლო,  
მოწინეული გოგონა ოცდარობი წლისა. ეს არის  
და ეს. მეტს ვერაფერს დავუმატებთ. მაგლოს  
ლიანას შვიც, აბრეშუმივით რბილი თმა აქვს.  
ცირუს ლამაზი ცისფერი, ნუშის თვალები და  
განუშეორებლად აწყობილი სხეული.

როცა დედა მოუკვდათ, მამამ სხვა ქალი  
შეირთო და თბილისიდან ჭავჭავთში გადასახ-  
ლდა, კოლმენტურნობაში მუშაობდა ბუღალტ-  
რად. ალიმენტს ზუსტად უზღავნიდა ბავშვებს,  
ვიღრე თვარამეტი წლის არ შესრულდა მაგლო.  
მერე გარდაიცვალა. ოჯახის უფროსი ყოველ-  
თვის ცირუ იყო, რადგან ლიანას არ ეცალა.  
ლიანამ თხოთმეტი წლისამ დაიწყო მუშაობა  
და ოჯახს არჩენდა. მაგლო მას ცირუ ამოუდგა  
მხარში. მაგლომ სკოლა დაამთავრა და დებმა  
გადასწყვიტეს უმაღლესში მიგბარებინათ. რე-  
პეტიტორი დაუქირავეს და ინგლისურს ასწავ-  
ლიდნენ. ვერ მოხვდა. ინგლისური კი ჩააბა-  
რა, მაგრამ ქართულში ჩაიჭრა. მერე თეატრა-  
ლურში აბარებდა ორ წელიწადს ზედინედ.  
სხვადასხვა მსახიობებთან ემზადებოდა მეტყვე-  
ლებასა და მსახიობის ოსტატობაში. ლამაზი  
მაგლო მსახიობ კაცთან ნახონ და არაფერი  
თქვან ვინ გგონიათ თქვენ კამიკაძეების მე-  
ზობლები? ყრუნი არიან თუ ბლუნი? პირველად  
გიორგის მოუტანეს ეს ამბავი. გიორგიმ იუარა,  
ასე არ ზრდიან დებიო. ქორის? ოქტანმა ჩაიღიმა  
და შეებრალა გიორგი, ეს გულუბრყვილო კაცი.

გიორგის, ცოცხა გამეღვენებული სჯობს, დიდი  
ხანია შემწინეული მყავდა კამიკაძეების უმცირეს-  
სი და (მართლაც ძალიან ლამაზი და მოხდ-  
ნელი იყო ბავშვობიდანვე მაგლო). მაგრამ რაც  
უთხრებს, არ იჭრებდა. არც ახლა სჯერა. ერთი  
რამ კი ავიკრვებს: ყოველ წელს სხვადასხვა  
პედაგოგებთან ემზადება, ამდენს მეცადინეობს,  
საწყალი დები ამდენ ფულს ახარჯებენ, მაგრამ  
ვერა და ვერ ეწყობა უმაღლესში. და ასე  
გრძელდება უკვე ექვსი წელიწადი... მაგლო დი-  
ლით გვიან დგება. მაგიდაზე გამზადებულ სა-  
უშმეს შეექცევა. მერე ტულეტის დიდსარკიან  
მაგიდასთან დაჯდება და იცქირება უძირო ცის-  
ფერ თვალდნო. ეს განცხრობა, მართლა გან-  
ცხრობაა. რა კარგი სიტუაცია მოუძებნიათ ამის  
გამოსახატავად ქართველებს! მერე მეცადინეო-  
ბის, მასწავლებელთან მიდის. ხშირად მუკრავ-  
თან შეივლის ხოლმე, რადგან მაგლო ლამაზი  
გოგონაა და შესაფერისად უნდა იყოს ჩაცმული.  
ეს დებმა დაადგინეს. მაგლო უნდას ჰგავს, ამი-  
ტომ დები ყურმოკრილ მონებივით ემსახურე-  
ბიან. მაგლომაც რა ქნას?! მეცადინეობს, რაც  
შეუძლია, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ვერ ეღირო-  
სა სტუდენტობის. გადაიღალა. დებმა ერთდრო-  
ულად აიღეს შევებულება, შევებულების ფული  
მაგლოს მისცეს და სოქაში გაუშვეს სანატორი-  
უმში დასასვენებლად. თვითონ კი რემონტი  
გაკეთეს, დაწყრილ-დაასუფთავეს თავისი  
ორთახიანი ბინა. მაგრად იმუშავეს. იმ ერთ  
თვეში ყველაფერი მოასწრეს და როცა მაგლო  
დაბრუნდა, ისდა დარჩენოდა, გაქათათებულ  
ბაზანაში ჩაწოლილიყო და მგზავრობით მო-  
თენთილს სხეულის სილაღე და სიმკვირცხლე  
აღედგინა.

ასე გადის დრო. დები არავის არაფერს უშა-  
ვებენ, პირიქით, უწოში ყველა მათი მადლოე-  
რია. კარგი გოგოები არიანო.

დრო კი გადის...“

შემდეგი ნომერი დიდი სიამაყით გამოაცხადა,  
მანეთის ინსპექტორმა. მოდი და ნუ იამაყებ,  
როცა შენს პროგრამაში ტრიუქების რეკორ-  
დული შემსრულებელი მონაწილეობს! ეს ერ-  
თადერთი მსახიობია მთელ საბჭოთა კავშირში,  
და, შესაძლოა, მსოფლიოშიც; უნიკალური, უნი-  
კიერესი და საოცარი. ძაღების უმინიშნელო  
დაძაბებით მას შეუძლია ნებისმიერი, უსაშვე-  
ლოდ განზივრებელი მასურბელცი კი გააყე-  
ყეოს და თუ მოინდომა, მასინ ხომ არა აქვს  
საზღვარი მის შესაძლებლობებს! როგორც ყო-  
ველ გენიალურ აღმამიანს, ამ მსახიობსაც ახა-  
სიათებს უცნაური თავისებურება: არ უყვარს  
როცა განსაკუთრებით გამოაცხადებ. არც ის  
უყვარს, საპატიო პირველი ან უფრო საპატიო  
ბოლო ნომერი იყოს პროგრამისა. მისი გამოს-  
ვლა უნდა იქდეს შუაში, ვითომ სხვათა შო-  
რის, და ასევე სხვათა შორის უნდა გამოაც-  
ხადონ, უბრალოდ, ყოველგვარი ტიტულების



გარემო და საღად. ტიტულები კი, იცოცხლეთ, ბევრი დაუგროვდა!

უნიფორმისტები, აქამდე უხალისოდ რომ ემსახურებოდნენ მსახიობებს, უკლებლივ შეიკრიბნენ მანეთთან. ხალხი გაისუსა.

ტრიუკების რეკორდული შემსრულებელი ტაშის გრიალში გამოვიდა გაჩახახებულ არენაზე. არენაზე თეთრი ფიცრები იყო დაგებული. იქაურობა ისე ბრლდვიალდება, რომ თმის ერთ ღეროსაც კი შეამჩნევდით, ვინმეს შემთხვევით რომ დაეგდო. ეს იმას ნიშნავდა, რომ არტისტის ხელოვნება ხელის სისწრაფეზე კი არა, ნაღდ ნიჭზე იყო დამოკიდებული. მსახიობმა უნიფორმისტებს ანიშნა არენაზე დადებული ფოლადის მსხვილი და მრგვალი ღერო ორ ადგილზე გადაეხერხათ. ვიდრე უნიფორმისტები საქმეს მოთავაზებდნენ, მსახიობის ნიშანზე ინსპექტორმა დადემკელიანმა იკითხა: სახლის გრემელტარიანი ვასალები ხომ არავის გიადვთ ჭიბშია? სამი კაცი აღმოჩნდა ასეთი პირველ რიგებში. ინსპექტორმა სამივე მაყურებელი მანეთზე მიიწვია. შემდეგ სთხოვა, ერთმანეთის ვასალები ენახათ. სამივე ამოიღო, დაათვალიერა, დაიმახსოვრა და ისევ ჭიბში ჩაიღო ვასალები. ტრიუკების რეკორდული შემსრულებელი ჭერ ერთთან იდგა დაახლოებით ორ-სამ წუთს, მერე — მეორესთან და შემდეგ — მესამესთან. როცა მსახიობი მაყურებლებს მოშორდა, ინსპექტორმა ცდის პირებს სთხოვა, ამოეღათ, რაც ჭიბში ედოთ. სამივე ვასალები მოღუნული იყო! ის კი არა ერთ-ერთ მათგანს იქვე, იმ ჭიბშივე ლითონის მანეთიანი ჩარჩენოდა და ისიც ისე მოღუნულიყო, ქაღალდისა ეგონებოდა კაცს! მაყურებლები ახმაურდნენ. უნიფორმისტებმა, გაოცებულნი რომ იქნევდნენ თავებს აქეთ-იქით, სამივე ვასალები გრდემლზე გააწორეს. ფულს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. ფულის პატრონმა, ინსპექტორ დადემკელიანის რჩევით, მონეტა ტრიუკების შემსრულებელს მიუტანა. ტრიუკების რეკორდულმა შემსრულებელმა ხელის გულზე დაადებინა ფული და შემდეგ ორი ნაბიჯით მოშორდა მაყურებელს, მონეტას დააკერდა. ფული ნელ-ნელა გასწორდა. მაყურებელს ხელი აეწვა და მონეტა ხელიდან გაუვარდა. გასწორებულმა მონეტამ ქათქათა იატაკზე წყარუნი გააღინა და დაბზრაილდა. — რეშკა! — საიღინდაც დაიყვინრა ჯამბაზმა უორამ. მერე ფულთან მიიჩინა, დახედა, ხელი დასტაცა და კულისენისაკენ მოუსვა. მონეტის პატრონმა წამოახველა. შეცბა, ისედაც საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს არენაზე. მანეთის ინსპექტორმა უორამ შეაჩერა:

— მოიცა, მოიცა, მოიცა, შე ცუდლუტო რატომ სტრუბო. უორა? ჩვენ ყველამ კარგად დავინახეთ, რომ „რეშკა“ კი არა „არიოლი“ იყო.

უორამ ხელოვნურად დამორცხვა ისე, როგორც ყველა ჯამბაზი და ყველა მსახიობი დამორცხვებს ხოლმე: ხელები ერთმანეთს გადააქდო, შეაბრუნა და ბარძაყების გასწვრივ გაქან-გამოაქანა; თან თავი დახარა და ცალი ფეხის წვერს ისე ამოძრავებდა, თითქოს პაპიროსის ნაწვევი გასრისაო. მანეთის ინსპექტორმა ფული მაყურებელს დაუბრუნა. გადარეულმა მაყურებელმა ჩაქუჩით გასწორებული, მაგრამ მანაც ოდნავ მრუდვ ვასალები და უჩაქუჩოდ ბრწყინავლად აღდგენილი ფული ჭიბში ჩაიღო და თავის ადგილს მიაშურა. ის ისე ბარბაცებდა, ალბათ, აღბნანს ვერ მოიცილებდა ამ შთაბეჭდილებას. ამასობაში უნიფორმისტებმა, როგორც იყო, სამ ნაწილად გადახერხეს ფოლადის ღერო. ინსპექტორის დაქინებული თხოვნით, ცნობისმოყვარე მაყურებლებმა შეამოწმეს, ჰქონდა თუ არა ღრუ იმ ფოლადის ღეროს. ღერო ბრჭყვიალა ლითონისგან ისე მჭიდროდ ჩამოეხსათ, ერთ ნაჩერტსაც ვერ უშაჟიდით. ტრიუკების რეკორდული შემსრულებელი გადახერხილ ღეროს ნაწილებს დასწვდა და ერთმანეთს მიაღო. შემდეგ გადახერხილ ადგილებს ხელები შემოაქდო და დაიძაბა. მაყურებელთა თვალწინ საოცრება მოხდა: ჭერ ტრიუკების შემსრულებელი გაწითლდა, მერე ღეროები. ცოცაც და ნომერი დამთავრდა. შედუდებული ღერო ჰაერში შეისროლა მსახიობმა. შეიარაღებული თვალითაც კი ვერ შეამჩნევდით ნაკერს! ღერო მაყურებლებს ხელიდან ტელში გადაქონდა. ავირდებოდნენ და შიშისაღი თავზარდაცემულნი, ტაშის დაკვრასაც ვერ ბედავდნენ.

„გრიგოლ დადიანი, ქართლიშვილების შორეული ნათესავი, თბილისში და არა მარტო თბილისში ცნობილი დასტაქარი გახსენდა გიორგის.

გრიგოლ დადიანი ქალაქის გარეუბანში ორსართულიან სახლში ცხოვრობს. პირველ სართულზე სამუშაო და დასასვენებელი ოთახები აქვს — სამუშაოდ — სამი ოთახი, დასასვენებლად — ორი. ყოველ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს. ერთში მიწნაობებს აკეთებს, მეორეში — ნეგრო-პათოლოგიური კლიენტურა შეგუავს, მესამეში — ფსიქურად შეშლილნი ან დაქვეითებულნი. სამივე ოთახი შესაბამისადაა აქვს გაკეთილი მანქანებითა და ხელნაწყოებით. სამედლიცნო ინსტრუმენტებითა და ფიგებოთ სავსე შუშის თეთრი კარავებით. იატაკზე თეთრი, ქათქათა ლინოლეუმი ავია. ისეთი სისუფთავეა, ერბო აიკრიფება. ერთ დასასვენებელ ოთახში სამუშაო საათებში შემთხვევით მოსულ მეგობრებსა და ნათესავებს იღებს, მეორეში — მართლა ისვენებს. იღლება და ამა რა ქანს!

თამაზ გოღობაძის მიხედვით  
მხიარული ბრძენი



დღე არ გავა, ოცი-ოცდახუთი ავადმყოფი არ მიიღოს. მოსაცდელში ყოველთვის არიან ვიღაცები, უფრო სწორედ, ავადმყოფები, რიგის მოლოდინში ერთმანეთის დავალებების ჩაობასა და მიწეხს რომ ირკვევდნენ. ყოველ ავადმყოფს აქვს ეგრეთწოდებული სარეკომენდაციო ბარათი, თორემ ყველა მსურველს როგორ აუვიდოდა ექიმი! კაცმა რომ თქვას, არ არის იოლი ინსტიტუტში ექვსსაათიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ, შინაც არ დაისვენო და ისევ ავადმყოფებს ემსახურო. თუმცა აღამაინის კეთილდღეობისათვის სექუთარ თავს როგორ დაწოვავს პაციონსანი მივლყობსი?

ფულს ექიმი ავადმყოფებისაგან არ იღებდა. ყველას და ყველაფერს არჩენს! როგორ? უბრალოდ... აი ასე: ღოთები ერთ ოთახში უწევს. ღოთებს მოსაცდელში წოგს — დედა, წოგს — მამა, წოგს — მუდულად უცდის. ამიტომ ღოთებს სხვა გზა არა აქვთ და ექიმის ნება-სურვილს ემორჩილებიან.

— თქვენ გძინავთ... თქვენ გძინავთ... აქ სიწყნარა, აბა, მშვიდად, ღრმად ისუნთქეთ. თქვენ გძინავთ...

ღოთები არხინად წვანან ღოგინებზე. როცა ექიმი დარწმუნდება, რომ ყველას სძინავს, ცნობისმოყვარე მეგობარი ან კორესპონდენტი შემოჰყავს მოსაცდელთან. ხანდახან სენსის დაწყებამდეც შემოჰყავს ხოლმე, მაგრამ ღოთებს რცხვენიათ წედმეტი მოწმისა და მაშინ სენსის ისე ეფექტური აღარ არის.

ექიმი ერთ-ერთ მძინარეს უახლოვდება და ეუბნება:

— აბა, ასწიე მარცხენა ფეხი! პაციენტი მარცხენა ფეხს ასწევს. კმაყოფილი ექიმი დამსწრე პიროვნებს ამაყად გადახედავს, მერე ავადმყოფს მიუბრუნდება და შთამაგონებელის კილოთი ეტყვის:

— ახლა მეორე ფეხიც ასწიე, გენაცვალე!

ბრძანება შესრულებულია ამის შემდეგ ექიმი დამსწრეს მიმართავს: — ასე შეიძლება იყოს დიდხანს, რამდენიმე დღესაც კი. თუ ჰიპნოზიდან არ გამოიყვან, არავითარ შემთხვევაში არ დაიღლები. — ექიმი მაგნიტოფონს მიუახლოვდა, დილაკს დაჰქირა თითი. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა: „ალკოჰოლის სისტემატური მიღება მაგნე ჩვევა. ის აწიანებს ნერვულ სისტემას, მომავდინებლად მოქმედებს გონებრივ თუ ფიზიკურ პოტენციაზე. — ექიმმა ნორმალურ დონეზე დააყენა ბგერის ხმოვანება. — დღის შემდეგ თქვენ აღარ მიეკარებით არც ღულს, არც ღვიძლს, არც კონიაკს, არც არაყს. ერთი ულუპიც კი ალკოჰოლიანი სასმელისა გულს ავირევთ, მოგწამლავთ და, შესაძლოა, სიკვდილიც გამოიწვიოს“.

როცა მაგნიტოფონში ექიმის შთამაგონებელი ხმა გაისმა, ერთმა ავადმყოფმა ხველა ატეხა. როცა ითქვა სიტყვა „არაყი“, იმავე ავადმყოფს

გული აერია. დანარჩენები იშმუშნებოდნენ. ერთიც იფურთხებოდა.

სამ თვეში გრიგოლ დადიანის ყველა ალკოჰოლის მოყვარული პაციენტი გადაეჩვია სმას.

ფულს ავადმყოფებისაგან ექიმი არ იღებდა. მეორე ოთახში:

— აბა, მოთხარი, რა გაწუხებს? — ექიმმა ავადმყოფს თვალი გაუსწორა. ავადმყოფმა ვერ გაუძლო დადიანის შემოხედვას, თავი დახარა, მაგრამ კითხვაზე მაინც უპასუხა:

— აი, მივედი სამსახურიდან შინ. ტელევიზორი ჩართული დამხვდა. დიქტორი ბოხი ხმით საუბრობდა. ვთხოვე, ცოტა ჩუმად ილაპარაკე-მეთქი. არ დამიჯერა. განვმარტე: ხომ არ გეჩხუბები, ვთხოვე, რა იქნება, ამისრულო, რასაც გემუდარებო-მეთქი. სამსახურიდან დაღლილი მოვედი. საკუთარ სახლში ხომ შეიძლება, რომ მოისვენოს კაცმა-მეთქი. მაინც თავისას განაგრძობდა. ავდექი და ძირს დავახეთქი...

— დიქტორი? — არ გავიმა ექიმს.

— არა, ტელევიზორი. — სერიოზულად უპასუხა პაციენტმა.

— ყოჩაღ! აბა, წამოწევი.

ავადმყოფი ჩამოჯდა.

— წამოწევი, წამოწევი და დაიძინე. მშვიდად... დაიძინე. შენ კიდევ არ დაწოლილხარ?

— არ მეძინება. — ავადმყოფი გაუძალიანდა, მაგრამ მაინც წამოწვა. რბილი საწვდარგარეთული ავეჯი ედგა ექიმს ოთახში.

— დაიძინე... თუ არ ამყვები, თუ თვითონ არ გინდა გამოჯანმრთელდე, მხოლოდ მე და მედიცინა ვერაფერს გავაწყობთ. აბა, დაიძინე... გძინავს?

— არა. — მკვახედ მიუგო ავადმყოფმა.

— რაიმეზე ფიქრობ?

— დიას.

— რაზე?

— დიქტორზე.

— რას ფიქრობ?

— სჭობდა დიქტორი დამენტექტინი, ტელევიზორში ხუთას ორმოცდაათი მანეთი მივეცი. ცოტა ნოჰარსაც ვაჩუქეთ, ცოტა ტექნიკოსს. ასე, ექვსსამდე თუ ექვსას ოცდახუთ მანეთამდე დავვიჭადა სულ.

— გძინავს?

— არა...

— დაიძინე... დაიძინე... დაიძინე... დამშვიდდი. გძინავს! გძინავს! გძინავს! — უბრძანა ექიმმა და ავადმყოფს თვალზე გავაღებდა ხელი. ავადმყოფმა ფშვინვა ატეხა.

ეს ავადმყოფი სამოცდაათრამეტ დღეში მოარჩინა გრიგოლ დადიანმა და შესაბამისი სხატუაიც დაბეჭდა „მაცნეში“.

ფულს ავადმყოფებისაგან ექიმი არ იღებდა. მესამე ოთახში:

— რა გტკივთ?

— რადიკულიტი მაწუხებს, ექიმო!

— აბა, წამოწეკი. ასე. ახლა ადექი. კარგია დაიხარე. კარგია. ხელეზის ფეხის წვერთან მიტანა შეგიძლია?

— არ შემიძლია, ბატონო...

— აი აქ გტკივა, ხომ? — ექიმმა კუდუსუნის არეში მოუთხოვნა ავადმყოფს.

— ზუსტად. — უპასუხა თუ არა ავადმყოფმა, ექიმმა ხელის მოძრაობა შეწყვიტა და დაახლოებით ერთი სანტიმეტრით მოაშორა მტკვანი მტკივნეულ ადგილს. ექიმი დაიძაბა.

— გრძნობთ რაიმეს?

— არა.

— არც ახლა? — გრივად დადიანს დაძაბულობისაგან თვალები გაღმოეკარკლა.

— არა! — შეშინდა ავადმყოფი.

— ჩემი ხელიდან სითბო უნდა გადმოდიოდეს თქვენ სხეულში.

— ვერა ვგრძნობ, ბატონო!

— არც ახლა? — გაიკვირვა ექიმმა.

— არა.

— ახლა? — გამარჯვებულის კილოთი მიუგო დადიანმა.

— კი... გადმოდის... მგონი... კი, ახლა ნამდვილად ვგრძნობ, ბატონო, ძვლები გამიხურდა. სამ კვირაში განიკურნა რადიკულიტი! ფულს ექიმი ავადმყოფებისაგან არ იღებდა. და ისევ თავიდან.

— რა გტკივთ?

— კიბო გაქვსო, მოსკოვში მითბრეს. რაღა დავნილოთ, უნდა იცოდეთ, შეგნებულნი ადამიანი ბრძანდებით; ახლა დიავნოვს აღარავის ვუმაღავთ, ასეთი ბრძანება მივიღეთ და წესადაც შემოვიღეთო.

— საშვილოსნოსი?

— დიახ, ბატონო, როგორ მიხვდით? ექიმს გაეცინა.

— მერე, არ ამოგჭრეს? ამ შემთხვევაში, საშვილოსნოსთან ერთად სულ უმტკივნეულოდ ამოღის სიმსივნე. ნუ გეწყინებთ, და თქვენ ისეთ ასაკში ხართ, შვილი აღარ გეყოლებათ.

— ჭეშმარიტად, ბატონო, მაგრამ უკვე გვიან არისო.

— მართლა?

— დიახ, ბატონო.

— არა მგონია! აი ეს წამალი სვით და ჩემთან იარეთ სამშაბათობით.

— ბატონი ბრძანდებით.

— ბატონი კი არა, ექიმი ვარ. აბა, გაიხადეთ. ავადმყოფი დამორჩილდა ექიმის ნებას. ექიმმა ცალი ხელი მუცელზე დაადო ავადმყოფს, მეორე კი — წელზე. ავადმყოფი შეხტა.

— რა დაგემართათ? — გულუბრყვილოდ იკითხა ექიმმა.

— რალაცამ დამიარა ტანში. ბატონო, ასე იყვნენ დაახლოებით ხუთ წუთს.

— მოძრაობს?

— რა?

— არაფერი მოძრაობს ჩემს ხელებს შორის?

— როგორ არა, თითქოს დენი მივლისო.

— შემდეგ სამშაბათს მოზრძანდებით. ჩაიცვითო. — ექიმმა ხელები გადაიბანა.

კიბო გაქრა ზუსტად ორ თვეში.

ფულს ავადმყოფებისაგან ექიმი არ იღებდა.

— შენზე ამბობენ, ფულს არ იღებო. მართალია? — ჰკითხა ერთხელ გრივოლ დადიანს გიორგი ქართლიშვილმა ერთ-ერთ დასახვეწებულ ოთახში ქადრაკის თამაშის დროს.

— აღარ ვიღებ, მართალია. — იხუმრა ექიმმა, გაიცინა, მაგრამ მალე დასერიოზულდა, — ხელფასი მყოფის. ფული კი არასდროს ამიღია. — შემდეგ შორეული ნათესავი მეორე სასართულზე მიიწვია სახადლო ოთახში.

მაგიდაზე ძალიან ლამაზი სუფრა გადაეფარებინათ, ასევე ლამაზი თეფშები დაეღაგებინათ და ასეთივე ლამაზი ცოლ-შვილი ემსახურებოდა დაღლილ ჯადოქარს.

— ეგებ შენ მაინც მომარჩინო, ჩემო გრიშა, — უთხრა სადილობის დროს გიორგიმ ექიმს, — მეჩვენება, რომ თანდათან მარტიროვასვიდის ვემსგავსები ან სვიმონ ქვეჯიშვილისა და სხვათა მშა ვარ. არა, ნაღდი მშა კი არა... აი, ვიცო, რაც უნდა უთხრა, მაგრამ ვერ ვეუბნები. ვიცო, როგორ უნდა მოვიტყე, მაგრამ არ შემიძლია. თითქოს სულ ერთია, რაც მოხდება...

— კარგი, ერთი. შენ მაინც იმასხვეწე, ნუ გიყვარს უცნაური ხუმრობა, გიორგი, რა გიგავს მარტიროვასვიდის? მართლა იმან გაგავაწინა ამასწინათ ცოლ-შვილი აგარაკზე?

— ვინ გითხრა?

— თვითონ.

— შენი პაციენტია?

— ჰო, ცოტა შინებთ აქვს.

— რისი ეშინია?

— გული აწუხებს.


— ნეტა გული მაწუხებდეს! აი აქ მტკივა. — გიორგიმ თავზე დაიდო ხელი, — ახლა ვიცო, შენც რომ მატყუებ, ფულს აღარ ვიღებო, მაგრამ ვერაფერს გეუბნები.

— შენ მართლა ავად უნდა იყო! — დიმილნარევი დვარძლით გამოსცრა ექიმმა.

— გეუბნები... არ მიჭერებ და რა ვქნა?!

კარგი სადილის, უნაკლო ატმოსფეროს, მშვენიერი ღვინისა თუ კიდევ რალაცისაგან გიორგი ქართლიშვილს ცრემლები მოადგა თვალეზზე. ყოვლისშემძლე დასტაქარი გრივოლ დადიანი წამოადგა, ფანჯარასთან მივიდა და რაფას დაეყრდნო. ეს მისი საუყარელი ადგილი იყო. ამ ფანჯარასთან იჭდა, თავისუფალი დრო თუ ჰქონდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომელი-

თამაშ გოღერძიშვილი  
მხნარული ბრძანა



დაიკედელში თუ ფანჯარასთან საიდუმლო სე-  
იფი აქვსო. სიფი გაგვივებულ კალატოს ამა-  
შენებინა. მერე დიდხანს უშუქრნაო, თურმე  
მორჩენა შეეძლო, მაგრამ აღარ მოარჩინაო.  
ამბობენ, ის გაგვივებული კალატოში კედელში  
ჩატანებულ ოქროს წოდებსა და ბრილიანტბე-  
ზე აბოდებსო სიშვავის დროს. მაგრამ ვინ და-  
უჭერებს?! ჩვენთან ვის მოწმედ ვერ დაიყენებ,  
კანონი კრძალავს“.

წარმოდგენის დამდგმელ რეჟისორს სანიმუ-  
შოდ ჰქონდა შედგენილი პროგრამა. დამახულ  
ნომრებს, როგორც წესი, მხიარული, გასარ-  
თობი, თითქმის სულელური ნომერი მოჰყვებო-  
და. მაგრამ გიორგი ქართლიშვილის თავში ახლა  
ისეთი გრიგალი ტრიალებდა, სულიერად  
არც ერთი ნომერი აღარ გამოიყურებოდა.

მანეთის ინსპექტორმა მუსიკალური ბუფონა-  
და გამოაცხადა. გიორგის ძალიან უნდოდა დას-  
ვენება, გაიფიქრა კიდევ; ახლა მაინც ამო-  
ვისუნთქავო, მაგრამ ჭერის გაახსენდა, ბუფონი  
მეთვრამეტე საუკუნის იტალიაში კომიკური  
პერსონაჟი რომ იყო (რა არ გაგახსენდება შენ-  
დაუნებურად!), მერე ის — ბუფონადა მკვეთრ  
კომიკურ, სასუმარო სიტუაციებზე გაგებული ნო-  
მერი რომ იყო და რატომღაც, თუმცა ასევე  
სავსებით ძალდაუტანებლად, მანეთუ გამოსუ-  
ლი მუსიკალური სმენითა და ნიჭით დაჯილდო-  
ებული სამი არტეისტი, თავის სამ მეზობელს,  
ასევე მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზ-  
რებს მამსგავსა. მშ ასე, მანეთუ იდგნენ  
კომპოზიტორი ზაზა ასათიანი, დირიჟორი  
თენგიზ გამრეკელი და მუსიკალური კრიტი-  
კოსი ზოზო ლუღუშაური. გიორგი სამივეს ბი-  
ჭებს ეძახდა. შუგრება ასეთი ჩვეულება და  
ასი წლისაც რომ გახდეს, მაინც ბიჭებს დაუძა-  
ხებ. ამ სამმა ახალგაზრდამ კონსერვატორია  
ისე დაამთავრა, მნიშვნელოვანი... მნიშვნელოვანი  
კი არა, აღნიშვნის ღირსიც არაფერი გაუ-  
კეთებიათ. მერე დაცოლშვილდნენ. დაცოლ-  
შვილდნენ თუ არა, დირიჟორმა, მხოლოდ დიდი  
თეატრის ორკესტრის დირიჟორმა რომ სურ-  
და, თითქმის ყველა სახალხო სახლის ორკესტ-  
რები აიყვანა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ხალ-  
ხური საკრავები იყო, კლასიკური თუ საესტ-  
რადო შემადგენლობები. უზრუნველ ცხოვრე-  
ბას მიჩვეულს, ცოლ-შვილი მძიმე ტვირთი  
ეგონა და მათ შესანახად ძალღონეს არ იშურებ-  
და. კომპოზიტორმა, მანამ მხოლოდ სხვების  
ობებებს, ორატორიებსა და სიმფონიებს რომ  
აძაგებდა, ფილარმონიის საწაფხულო ბრიგა-  
დების მუსიკალური ხელმძღვანელობა იკისრა  
და სიმღერის ტექსტის წერასაც არ უკადრი-  
სიბდა. მუსიკალური კრიტიკოსი კი, რადგან  
ტალანტის შესაფერი სამუშაო ვერ ეშოვნა,  
უშუქრავდა ყოფნას რომ ამჯობინებდა, მუსი-  
კალურ სასწავლებელში ჩატარებულ გაკვეთი-  
ლების მერე რეპეტატორობასაც არ თაკილობ-

და. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ეს ნანა  
გიორგი ქართლიშვილის კონსერვატორია მუცხეთაში  
ზედრი რამ, რაც გიორგიმ არ იცოდა, გაიგო და  
კარგად დაიმახსოვრა. ბევრი სიმღერა შეის-  
წავლა; კარგი სმენა ჰქონდა და კონსერვატო-  
რიადამთავრებულთა ტრიოს ბანს ეუბნებოდა.  
ყველას უჭვირდა გიორგის მახსოვრობა, ნიჭი,  
და რაც მთავარია, მუსიკალობა! ერთი სიტუ-  
ვით, გიორგი ქართლიშვილი უშტეკვეთულად  
ჩაჭდა კვარტეტში. ბოლოს ისე გაიწვია, რომ  
ყველას ისიც კონსერვატორიადამთავრებული  
ეგონა. რას არ მღეროდნენ: გურული კრიმანჭუ-  
ლიდან რომ მოყვებოდნენ, ფრანგულ, უნგრულ,  
ამერიკულ ხალხურ სიმღერებს დადაბადდნენ  
და ვაგნერი, პალეტრინიანი და მიცარტო  
ამთვრებდნენ. მსმენელთა გასაოცებლად ეს-  
ტონელი კომპოზიტორის ველიო ტორმისის „ბა-  
ლადა მარიაამაზეც“ კი ისწავლეს. ქართველებს  
ქიეთის დროს სად სკალით ამდენი, მაგრამ  
იყო საზოგადოება, რომელზედაც ეს პროგრამა  
დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

გიორგი ქართლიშვილი ვერაფრით ვერ მიხ-  
ვდა, სად როდის დაიწყო ამ სამეულმა ქა-  
ლაქის მუსიკალური ცხოვრების ოკუპაცია. მე-  
ზობლები შემთხვევად ჩამოცილდნენ ქართ-  
ლიშვილს. ჭერ იყო და, დაბადების დღეებზე  
აღარ დაჰყავდათ, მერე არც გიორგის აკით-  
ხავდნენ საოჯახო დღესასწაულებზე.

ერთ მშვენიერ დღეს, გიორგიმ რომელიღაც  
ყურნალში წაიკითხა მუსიკისმცოდნე ზოზო ლუ-  
ღუშაურის სტატია, რომელშიაც ცამდეს იყო  
აუჯანილი ზაზა ასათიანის პირველი სიმფონია,  
სახალხო სიმფონიურ ორკესტრს რომ შეესრუ-  
ლებინა თენგიზ გამრეკელის დირიჟორობით.  
მართალი უნდა ითქვას, გიორგის გულწრფელად  
გაუხარდა. სავანებოდ ჩაუხაფრდა ბიჭებს და  
სათითოდ მიულოცა: ერთს — ბრწყინვალე  
სიმფონია, მეორეს — უზადო ოსტატობა, მესა-  
მეს — ყოვლისშემძლე, მხვეილი კალამი. ბი-  
ჭებმა ჭება შეიფერეს, მაგრამ გიორგი თავად  
ისე იყო მეზობლების გამარჯვებულ ადვოკა-  
ტული, რომ ამისათვის ყურადღება არ მიუქ-  
ცევია.

რამდენიმე თვის შემდეგ, ამჯერად ცენტრა-  
ლურ გაზეთში, გიორგიმ წაიკითხა მუსიკის-  
მცოდნე ზოზო ლუღუშაურის ვრცელი წერილი,  
რომელიც აქებდა ზაზა ასათიანის მეორე სიმ-  
ფონიას მუსიკალური სასწავლებლების გაერ-  
თანებული სიმფონიური ორკესტრის შესრუ-  
ლებით. დირიჟორი ისევ თენგიზ გამრეკელი  
იყო.

გიორგი ქართლიშვილს ისევ გაუხარდა მე-  
ზობლების წარმატება, ისევ ჩაუხაფრდა და ისევ  
მიულოცა ბიჭებს. ბიჭებმა, ამჯერად, ისეთი  
გულცივი თავაზიანობა გამოიჩინეს, რომ გიორგი  
შეწუხდა.

უხსტად ერთი წლის შემდეგ, გიორგიმ ფან-

ჭრიდან დაინახა თენგიზი, ზოზო და ზაზა. დიდი ხანია, ერთად არ ენახა. ზოზოსა და ზაზას ხანდახან ხედავდა, თენგიზი აკლდა თვალში. ასე უთხრეს, ეკორინეში სწავლობს დოქტორანტურაში პროფესორ ვაკანაიანთან. მეზობლებს ახალგაზრდობა გაეხსენებინათ და ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ. ვიღერ გიორგი ჩვიდა, ბიჭებს შევე მოემთავრებინათ ვარჯიში და გრძელ უეცრად ისხდნენ ჩრდილში. გიორგი მეზობლებს მიუახლოვდა და მიესალმა, სამივე ძველებურად, მხოლოდ მათთვის ცნობილი ენით ლაპარაკობდნენ. ეს ენა გიორგისაც ესმოდა, რადგან სტუდენტობის, ესე იგი კვარტეტის მძაფრი მოღვაწეობის დროს წარმოიშვა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — უთხრა თანატოლებს გახარებულმა გიორგიმ.

— გაუმარჯოს! — ყველას მაგივრად უპასუხა თენგიზმა და დაწყებული გამოკითხვა განაგრძო, — უხუცესი რას შერბა?

— სვამს. — მიუგო კომპოზიტორმა.

— ძალიან? — ისევ იკითხა თენგიზმა და გიორგის ანიშნა, ჩამოჭეიო.

— ისე, რომ ვერა წერს. გიორგი ჩამოჭდა.

— უნიჭიერები? — ისევ იკითხა ღირიჟორმა და ოფლი შეიმშრალა.

— აღმინისტრაციული საქმეებით გაერთო... — უპასუხა მუსიკისმცოდნემ.

— კარიერით დაინტერესდა. — განმარტა კომპოზიტორმა.

— ეს იგი ვეღარ წერს? — ეს აინტერესებდა ღირიჟორს.

— საღა სცალია. მაგრამ მაინც ახერხებს... — ორატორია დაწერა.

— როგორია?

— ძალიან კარგი. — დაუფარავი შურით უპასუხა კომპოზიტორმა.

ღირიჟორს გაეცინა.

— გენიოსი, გენიოსი როგორღა მყავს?

— ნადირობს.

— ინადიროს, ნერვები ექნება მშვიდად.

— ისეთი კვარტეტი დაწერა, რომ, ალბათ, პრემიას აიკიდებს. — თქვა ისევ შურით გაფითრებულმა კომპოზიტორმა.

ღირიჟორს ისევ გაეცინა და კომპოზიტორს მიუბრუნდა:

— შენ რატომ დეღავ? შენ ნუ გეშინია. ჩამოვალ და დედას ვუტყვი! ხალხის საყვარელი საღადა?

— თუჯაობს.

— ისევ თუჯაობს? აბა, როდის წერს?

— გზაში ასწრებს, მაგრამ ახლა მხოლოდ სიმღერებზე გადავიდა.

— მაშ, არ ყოფილა ჩვენს გზაზე.

— მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია. გაუტყდება ანკეი ან ქიები გაუთავდება და ერთ

თვეში ისეთ სიმფონიას სდლიწავს, შენი მერე წონებულო!

— მერე, შენ რას მიკეთებ? უყიდე ანკეი, წაერთვი მტკვრის ნაპირას და მსუქანი ქიები შეუგროვე.

— არც უმაგისობაა.

— აბა, ვინღა წერს ამ სახელგანთქმულ ქართულ მუსიკას?

— ახალგაზრდები წამოვიდნენ... შემდეგი თაობა!

— იმათთვის ორკესტრს სად სცალია? სულ გამოყუყუჩებულხარ უჩემოდ. იმათთვის არც ორკესტრს სცალია, არც თენგიზ გამარტელს, არც ზოზო ლუღუშაურს და არც შურნალ-გაზეთებს. ყველაფერი გასაგებია? შიდი, გიორგი გოლში დადექი, პენალტს დაგირტყამ.

— მაგრა არ დაარტყა, იცოდე. — გიორგი კარისკენ წავიდა.

დღის ვარჯიში გაგრძელდა.

კიდეც ერთი წლის შემდეგ გიორგიმ შურნალი „საქართველოს მუსიკა“ გადაშალა და რას ხედავს?! ორი დიდი ფოტოსურათი — ზაზა და თენგიზი. „გულახდილი დიალოგები“ — ასეთი სათაური მქონდა სტატიას. ზაზას აზრით, თენგიზისნაირი ღირიჟორი ჯერ არ დაბადებულა. თენგიზის აზრით, ზაზას მეოთხე სიმფონია თანამედროვე მუსიკალური აზროვნების გვირგვინია. შემდეგ გვერდზე ზოზოს სტატია დაებეჭდათ. აქ განიხილული იყო ზაზას მეოთხე სიმფონია (ზოზო ახალი ქართული მუსიკის განთიადს რომ უწოდებდა) და ცაში იყო აუვანილი თენგიზი, ასეთი შედეგის გენიალური ინტერპრეტატორი. გიორგიმ დინჯად აუღელვებლად წაიკითხა სტატია. მერე მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს.

ამჯერად არ ჩასაფრებია მეზობლებს გიორგი, ისე შეხვდნენ, შემთხვევით. გაბნეწილი ბიჭები რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

— გამარჯობათ! — შეუძახა გიორგიმ, რადგან ჩუმად რომ ეთქვა, ვერც გაიგონებდნენ. მოკამათებები ერთხანს შეჩერდნენ, მერე ისევ განაგრძეს კამათი.

— ერთი რამე მიკვირს, — უთხრა გიორგიმ ზოზოს, ხელკავი გამოსდო და ცოტა განზე გაიყვანა, ვითომ საიდუმლო უნდა გაეცნო, მაგრამ დანარჩენების გასაგონად განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა, — შურნალის აპრილის ნომერში ერთი ვრცელი მოთხრობა წავიკითხე, მაისის ნომერში კი კრიტიკოსი წერდა: აპრილის ნომერში ესა და ეს მოთხრობა წავიკითხე და ახლა ჩემს აზრს მოგახსენებთო. დავიჭერო აპრილის ნომერი რომ ვამოვიდა, მაისისა ჩაშვებული არ იყო?

თამაზ გოლდარქიშვილი  
მხიარული არმან



— რა? — იკითხა ზოზომ და თვალი გაუხსროდა გიორგის.

— ალბათ, ჩაწყობილი საქმეა, არა? — ისევ გულუბრყვილოდ იკითხა გიორგომ.

ზოზომ ჭიბიდან ძროხის მოზრდილი, წითლად შეღებილი კოჭი ამოიღო და გიორგის გაუწოდა.

— ამა, გამომართვი, შინ წადი და თიამაშე! — ზოზო ბიჭებთან დაბრუნდა.

კომპოზიტორი ზაზა ასათიანი დაღლილ გენიოსს, დირიჟორ თენგივ გამრეკლს ეხვეწებოდა, დედარჩემს უგემირიელსი ტოლმა შეახვია ვაჟის ფოთოლში და წამო, გემოთო.

ისევ ჩაქრა სინათლე. ისევ წყვედიადი გამეფდა. სინათლის სვეტმა მოწითალო ზავერდის გატრეცილ ფარდასთან შავ ფრაკში გამოწყობილი დაღმეყელიანი იპოვნა. დაღმეყელიანის ხელში ვერცხლისფრად ელავდა მიგრეთისი.

— გიმნასტები რგოლებზე! უკაცრავად... — შეცბა მანეთის ინსპექტორი, მაგრამ უკვე ვიან იყო. დირიჟორმა კონიაშვილმა ხელები ენერგიულად აამძრავა და ორკესტრმა ცეცხლოვანი მარში დააგუგუნა. ამ სმალურში ძლივს გაისმა მანეთის ინსპექტორის შესწორება: — ტამბაკარჯიშენი რგოლებზე!

სინათლის სვეტმა ინსპექტორ დაღმეყელიანიდან ცირკის თაღისკენ წაყოლია მასურებელთა შერა. თაღიდან ნელ-ნელა ეშვებოდა ორი ნაცრისფერი რგოლი. როცა რგოლები არენას მოუახლოვდა, იქ უკვე იდგნენ თეორ, ბრქვეილა ფირფიტებით გაწყობილ წამოსასხამში ქერათმიანი ქალი და შავებში გამოწვართული გიგანტი ტანმოვარჯიშე. სინათლის ამ სვეტმა ნათელი თითქოს მთელი დარბაზის ნათურებს წაუქიდაო. ისევ უცებ აბრღვეილდა იქაურთა. ქალმა წამსვე მოიშორა წამოსასხამი და თითქმის შიშველი (შიშველი იმიტომ, რომ მერქდა და სასირცხვოს შესაპნისი ტანსაცმლის პირობითი ნიშნები ძლივს უფარავდა). დაიბ, თითქმის შიშველი რგოლებს დაეკიდა. რგოლები თაღისკენ აიზიდა. ეს ფერიას ვაგრენასა მგავდა. ქალს თოკის კიბეზე მიჰყვებოდა შავი ტანმოვარჯიშე. თაღიდან ერთი ორი მერქრის მოშორებით რგოლებზე დაკიდული მშვენება შეჩერდა. მერქ აიძალა, ფეხები მოხერხებულად გაუყარა რგოლებში და წამოვდა. ქალმა მშვენებრი ხელი შავთ შემოსილი ტანმოვარჯიშისკენ გაიშვირა. საკელოდ ჩამორჩენილ შოხანს წითელი ფერის სინათლის სვეტი მოაცილენდა თოკის კიბეზე. შოხანმაც გაიშვირა კუნთიანი ხელი ქალისკენ. ყოველივე ეს პროცენტებში დადგმულ „რომეოსა და ჯულიეტას“ ცნობილ აივნის მიზანსცენას წააგავდა. მუსიკაც მარშიდან ლირიულ მელოდიაში გადაიდვარა და აკუნესდა. კაცი რომ მიუახლოვდა, ქალი მუხლებით დაეკიდა და... ამხელა გიგანტი ხელებით გამოსტაცა კიბეს. კაცი, დამწვდვი

სარტყელი წინასწარ წელზე რომ შემოიფარებოდა, ენაქტური ტრიალით ქალს დაეკიდა! მასურებლებმა ამოიგინეს.

„გიორგის თანამოსამსახურემ და კოლეგამ მალაქია ქორქიამ ვარდო ცოლად რომ შეირთო ქართლიშვილის სამსახურში ყველას გაუჭირდა: ეს ლაშაი ქალი ამ პროვინციულ დეგენერატს რამ გააყოლაო! მანამ არც ვარდოზე და, მით უმეტეს, არც მალაქიაზე კაციშვილს ხმა არ ამოუღია. თუმცა, ცოლვა გამუდვანებული სკობს, და ვარდოზე ყოველთვის ლაპარაკობდნენ. ალბათ, ყველა დაწესებულებაში არის ასეთი ქალი, პირველ ქალად წოდებული. ის ყველას უნდა, ყველას მოსწონს? მას ყველა თავისას ეურტყურება, ჰპირდა, ყველა თავისებურად ეიბრუტება. დანარჩენი ქალები მასზე უკორობენ. ზოგმა იხივ კი იცის, საეჭვო წარსული რომ ჰქონდა. ამას დანარჩენი ქალები კაცების გასაგონად ჰყუებიან ხოლმე. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გიორგის სამსახურში შინც ასე მკვეთრად არის გაყოფილი უნაწესი სქესი: ვარდო და დანარჩენი ქალები.

გათხვებამდე ვარდო უმცროს ეკონომისტად მუშაობდა, მალაქია კი ერთ-ერთი განყოფილების ინჟინერი გახლდათ. ისე მოხდა, რომ ამ ქორწილზე ბევრმა თანამშრომელმა პირველად ნახა ერთმანეთი. აღმოჩნდა, რომ არც ისე ბაზაიანები ყოფილან განყოფილების გამგეები და დირექტორის მოადგილეები. ყველა გააოცა თავად დირექტორის რბილმა ხმამ, იუმორით აღსავსე სადღეგრძელოებმა, პეწიანმა ქცევამ. ერთი სიტყვით, დირექტორი თანამშრომელთა კერპად იქცა ამ ქორწილში. როცა ქიეფი დროზად გადაიქცა, იქნებოდა ასე ღამის სამი საათი, თამადამ შესვენება გამოაცხადა და ახალგაზრდებმა იცეკვს. ჭერკსა ცეკვადდნენ. დირექტორმაც იცეკვა. მიუხედავად წლოვანების (დირექტორი ასე ორმოცდაათ წლამდე იქნებოდა), ის საქმის ცოდნით ცეკვავდა, თანაც სწორად. როცა დირექტორი მალაქიასა და ვარდოს მიუახლოვდა, ნეფემ, ჩვეულებისამებრ, ხელები ძირს დაუშვა და კედელი აეკრა. ვარდო კი ცეკვას განაგრძობდა. დირექტორმა უხერხულ მდგომარეობაში არ დატოვა პატარაი და გაეცეკვა. ამ დროს ჭერკი ნელი ტანგოთი შეიცვალა და ვარდომ კისერზე შემოხვია ხელი დირექტორს. დირექტორი არ დაიბნა და გამოყვანილ წელზე შემოაქრო დედოფალს ორივე ხელი. მალაქია ქორქიას არაერთი გამოპარვია. იდგა კედელთან ატუსუული და რადაცას ფიქრობდა, ფიქრობდა სწრაფად, გონიერი გამოთვლელი მანქანის სისწრაფით. ვიდრე ტანგო დამთავრდებოდა, განყოფილების ინჟინერს უკვე შუად ჰქონდა მასუბი; მაგრამ ვიდრე ტანგო დამთავრდებოდა, დირექტორსა და ვარდოს შორისაც გაიმართა ხუმრობანარევი დილოგა:

— არ მეგონა ჩვენი დაწესებულებაში ასეთი გოგონებიც თუ მუშაობდნენ! — გაიკვირვა ღირექტორმა, — ხვალეც დავწერ ბრძანებას. ქორწინებას ავკრძალავ! თუმცა უკვე დავაგვიანე, არა?

— თავზიანობით ნათქვამი ქათინაურიც კი სიამოვნებს ქალს. — უპასუხა კეკელუცად ვარდომ და მრავალმნიშვნელოვანი პაუსის შემდეგ ასევე მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, — გათხოვილ ქალს...

— არა, მაინც ავკრძალავ ჩვენი დაწესებულების თანამშრომელთა შორის ქორწინებას!

— შეიბრალებთ ჩვენი გოგოები!

— თუ არსებული ქორწინებანი გავუქმო? როგორც მირჩევთ, ისე მოვიტყევი. — ღირექტორი არც ისე მოვარდამ იყო, როგორც სურდა, ამ წუთას ყოფილიყო. თუმცა შეზარხოშებული მამაკაცის ხელები უფრო ძნელი დასაოკებელია.

— უკაცრავად, — მიუფო ვარდომ ღირექტორს. — მეუღლეს მისწყინდა კედელთან დგომა.

— პირიქით, მე მამაკითხ, ქორწინების პირველსავე დღეს ასეთი დაუდევრობა რომ გამოვიჩინე და რამდენიმე წუთით გაგაშორეთ ქპარს.

ვარდომ მალაქიას დაუბრუნდა. ცეკვა გაგრძელდა და, ალბათ, ახალგაზრდები დილამდე აღარ შეუშვებდნენ ხელს ჩახუტებულ გოგონებს, თამადას რომ არ ეყოჩაღა და ძალით არ გაეშველებინა. ღრეობა გაგრძელდა. ვილაცხები წავიდ-წამოვიდნენ, ვილაცხებმა ადგილები შეიცვალეს. ქორჭიებმა ღირექტორს, ვიღაც ცეკვავედა, სუფრა განუახლებს, მაგრამ კოვნი ნაყარში ჩაუვარდათ: ღირექტორი ნეფე-პატარაძალთან გადაჯდა. ახლა იქ გაუშალეს შესაფერი სუფრა ღირექტორს. ღირექტორმა სმა დაიწყო და მალაქიასაც აძალებდა. „არ შეიძლება, ტრადიციით ნეფე არ სვამსო“, რომ ეუბნებოდნენ, „რა ტრადიცია, რის ტრადიციაო!“, — გაიძახოდა. მართლაც, განა ყოველნაირი ტრადიცია მისაღებია? ერთი სიტყვით, ღირექტორმა ისე დაათრო მალაქია ქორქია (განყოფილების ინჟინერი ხელმძღვანელს უარს ხომ ვერ ტყუილდა!), რომ ნეფე სკამიდან ჩამოვარდა. ვიღაც სხვა მოქვიფენი ამას დაინახავდნენ, მიხვდებოდნენ რაც მოხდა და რაიმეს მოიფიქრებდნენ, ვარდომ და ღირექტორმა ქორქია დასასვენებლად დასაძინებელ ოთახში შეიყვანეს. როცა მარტო დარჩნენ, ღირექტორმა ვერ მოიშინა, ვარდოს წაემოტინა და მაშინვე მიიღო სილა მარცხენა ყბაში. ოთახიდან რომ გამოდოდა, ღირექტორს მოეჩვენა, რომ მალაქია ქორქიას ცალი თვალი დაქუცტილი ჰქონდა. კარი რომ მიიხურა და შემობრუნდა, ღირექტორი გიორგი ქართლიშვილს დაეჭახა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა შემცხარამ ღირექტორმა.

— მინდოდა მოგხმარებოდი. — წაილულულა გიორგიმ.

— ყოჩაღ! თუ მოხმარება გინდა, პალტო მამოვინენ და გამაცილე.

გიორგი და ღირექტორი ერთად წვაიდნენ შინ.

რამდენიმე თვის შემდეგ გიორგიმ თვალი მოკრა ღირექტორის მანქანას, რომელშიაც ძალიან ნაცნობი ქალი იჯდა. მანქანამ ისე სწრაფად ჩაუქრობა, რომ ქართლიშვილმა კარგად ვერ დაინახა ვინ იყო. მაგრამ ძალიან ეცნაურა ქალის პროფილი და ხალიანი ქურთუკი. კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ განყოფილების გამგე პენსიაზე გავიდა და მის ადგილზე მალაქია ქორქია დანიშნეს. გიორგი ქართლიშვილი ახლა მალაქია ქორქიას ხელმძღვანელობით მუშაობდა. ცოტა ხანში ღირექტორმა რაღაც წვეულება გადაიხადა და მხოლოდ მოადგილეები და განყოფილების უფროსები მიიწვია მეუღლეებითურთ. შუა ჭეიფში მალაქია ქორქია შეუძლოდ შეეწა და შინ წასვლა გადაწყვიტა. ვარდომ წამოგდა, წასახველად მოემზადა, მაგრამ ღირექტორი არც ერთს არ უშვებდა. ქორქიამ ნება დართო ცოლს, რომ დარჩენილიყო, თვითონ კი ძლივს ჩადიოდა კიბეზე. „არ შეწყინება, პირიქით, რამდენ ხანსაც გუნჯავს, დარჩიო“, — ამშვიდებდა შეწუხებულ ვარდოს.

იმ საღამოს ვარდომ ქორქია და ღირექტორის ცოლი ძალიან დამეგობრდნენ. შემდგომში ღირექტორის მეუღლე ისე აზრფერს იყიდა ან შეიკრავდა, ვარდოსათვის რჩევა არ ეკითხებოდა. რაც მართალია, მართალია — ვარდომ გეოვინებისა ქალი იყო.

ვარდომ შინ ღირექტორმა გაცილა.

ქორჭიებმა და ღირექტორმა ოჯახობით შეუბუღებდა ერთად გაატარეს ბიჭვინთაში. საგზურები შედგათთან ფასებში დაწესებულების ადგილკომმა გამოუყო ოთხივეს. ბიჭვინთაში შემთხვევით ერთი თანამშრომელიც ისვენებდა და გადარეული ჩამოვიდა. მას პირველად ენახა ისეთი უნაკლო ქალი, როგორიც ვარდომ ქორქია აღმოჩნდა პლუაზე. სადაც ვარდომ ქორქია იწვა მზის აბჯანების მისაღებად, იქ ისე მომძლავრდებოდა მამაკაცთა სქესი, რომ ახსნა-განმარტება ზედმეტი იყო. ღირექტორი, თურმე, ფეხქვეშ ეცებოდა განყოფილების გამგესაც და მის მშვიდნიერ მეუღლესაც.

მზით ვარუჯული ღირექტორი და ქორჭიები, ახალი ჩამოსულები იყვნენ ბიჭვინთიდან, როცა გიორგი ქართლიშვილის სამწლიანმა ჯაფამ უცებ საოცარი შედეგი გამოიღო. ცდა დამთარდა და გამოიკრვა, რომ გიორგის რაციონალიზატო-

თამაზს გოღვარძიშვილი მხიარული არნა



რული წინადადება რომცდაათათას მანეთ მოგებას იძლეოდა წელიწადში. გამარჯვების ელდით თავბრულახვეული გიორგი ქართლი- შვილი ამ ქალღღებით სირბილით გავარდა კაზინეტისკენ და მდივანი ქალის დაუკითხავად შეიღო კარი, შემთხვევით დაუკეტავი რომ დარ- ჩნოდა დირექტორს. რაც იქ ნახა, არასდროს არავისთვის უთქვამს გიორგის. კაზინტიდან გიორგი ქართლიშვილი და ვარდო ქორქია ერთად გამოვიდნენ და გაფითრებულ მდივან ქალს ისე ჩაუარეს, ზედ არ შეუხედავთ. სია- მხუთი კი არ მოხვლიათ, უბრალოდ, შერცხვათ. ეუხებრულეზობლად ერთმანეთისათვის თვალეზში შეეხებნათ.

რამდენიმე თვის შემდეგ, დირექტორის ერთ- ერთი მოადგილე ადგილკომის აქტიური და ენერგიული ჩარევის შედეგად პენსიაზე გავიდა და დირექტორის მოადგილედ მალაქია ქორქია დანიშნეს. განყოფილების უფროსის ადგილი რომ განთავისუფლდა, ატყდა ტელეფონების რეკვა და პროტექციები. დირექტორი ყველას ერთდარიგვე პასუხს აძლევდა: მაგ ადგილზე დიდი ხანია იმავე განყოფილებას ერთ-ერთი ინჟინერი მყავს ამორჩეულიო. მართალია, გიორგი ქართლიშვილი დიდი წინააღმდეგი იყო განყოფილების გამგეობისა, აღმინსტრატორი ვერა ვარო, მუშაობას ვერ ავაწყობო, მაგრამ დირექტორი და ახლად გამომცხვარი მოადგილე დაპირდნენ: რამ შეგავინა, საუკეთესო სპეცი- ალისტი ხარ, თანაც ჩვენ აქ არა ვართო! და თითქმის ძალით დანიშნეს ქორქიას ადგილზე. გიორგი ქართლიშვილის ხელფასს ასი მანეთი მოემატა.

თანამდებობათა აღნიშნულმა გადაადგილებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თანამშრომ- ლეებში. მალაქია ქორქიას დაწინაურებას თუ სხვადასხვა მიზეზი მაინც გააჩნდა, ქართლი- შვილის აღწევება ვერაფრით ვერ ახსენს. უკე- ლაზე დაუპირტალა და ცნობისმოყვარე ინტრი- განებმაც კი. კიდევ მეტი, როცა დირექტორი ტრესტის მმართველად დაწინაურეს, თავისი ჯაცანა და განთავისუფლებულ ადგილზე ქორ- ქია დაინიშნინა. ახლა გიორგი ქართლიშვილი განყოფილების გამგეა იმ დაწესებულებაში, რომელსაც ქორქია დირექტორობს.

ვარდომ თავი დაანება სამსახურს და შინ დაქდა. ცოლი არ შეიძლება ქმრის ხელქვეი- თად მუშაობდეს. თანაც შვილი არ ეძლეოდა და მკურნალობდა. მალაქია ქორქია შეიფერა თანამდებობა. ამბობენ, ყოფილ დირექტორისა (ახლა ტრესტის მმართველისა) და ვარდოს ურ- თიერთობაზე არაფერი იცისო, ცოლის პატიოს- ნებაში ეკვიცი კი არ ეპარებოა. როცა ამას გიორგი ქართლიშვილს ეუხებებთან, ახსენდება, როგორ უთვალთვალებდა დირექტორის ბინი- დან გამოსულ ვარდოს ქორქია და როგორ მის- დევდა ძაღლივით შორიანოს. მერე ელიმება,

თუმცა სერიოზულად დანადგლიანებულმა ბოხს: „ნეტარ არიან მოაწმუნენი!“

ღამურასავით თვედაღმა დაკიდებულმა მშვე- ნიერმა ტანმოვარჯიშემ კბილებით დიპირა ორი პატარა რგოლი. უზარმაზარი შაოსანი ამ რგო- ლებს დაეკადა და თარაზულად გაიქიმა. ქალმა ხელი ჰქრა პარტნიორს და დაატრიალა. კაცი ისე დატრიალდა, თავსა და ფეხებს ვეღარ გა- არჩევდით. ამ ბრაილ-სწრაილით დაუშენნ ძირს ტანმოვარჯიშენი რგოლებზე. არენას რამ- დენიმე მეტრზე რომ მიუახლოვდნენ, მათქნ ჯამბაში უორა გამოიქცა. უორას გამოსვლა შე- უფვიანდა და მის დანახვზე პატარა მაყურებ- ლეებში ურიაშული ატყდა.

— შეაჩერეთ, შეაჩერეთ! — ჰყვიროდა უორა. ტანმოვარჯიშენი შეაჩერეს. შაოსანმა თარა- ზული მდგომარეობა შევეულით შეიცვალა და უორას ღმილით ჩამოხედა. ჯამბაში დრო იხეტოდა და ფეხებზე დაეკიდა ტანმოვარჯიშე კაცს. ქალმა ორივეს გაუძლო. ისევ ზევით ასწიეს ქალი, კაციცა და უორაც. ერთი მეტ- რითაც არ იქნებოდნენ მიწას მოცილებული, რომ ჯამბაში დააკეცივნა და მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაიყო ცხვირსახოცის ამოსაღებად. მარცხენა ჯიბეში ცხვირსახოცი არ აღმოჩნდა. ჯამბაში ახლა მარცხენათი დაეკიდა შაოსანს და მარჯვენა ჩაიყო უძირო ჯიბეში. ცხვირსა- ხოცი იქაც არ აღმოჩნდა. ახლა ორივე ხელი ერთდროულად ჩაიყო ჯიბეებში და ბავშვების სიცილ-ხარხარში ისეთი ტყაპანი მოაღინა ნა- ხერხში, რომ უნიფორმისტებმა ძლივს წამოა- ყენეს. „დიედა!“ — აღრიალდა ჯამბაში, ორი- ვე თვალადან ცრემლებმა შედრევიანი ამოაფრ- კვე და კულისებისკენ გაქანდა. რგოლებზე ტანმოვარჯიშენი ხანგრძლივი ტაშით დააჭილ- დოვა მადლიერმა მაყურებელმა.

ეკვილიბრისტი მართლაც საოცარი სიზუსტით იცავდა წონასწორობას. მახიობმა მაგიაზე ღლიონის მოზრდილი ცილინდრი დააწვინა, ზედ შეხტა და ექვსი ვერცხლისფრად შეღებილი მოელვარე გირჩი აათამაშა. მერე ცილინდრს კუბი დაადო და ამაღლდა. ცილინდრი კუბა- რა წაგიდას შორის წინ და უჯან მოძრაობდა, მაგრამ ეკვილიბრისტი იდგა კუბზე და უღარ- დელად ათამაშებდა გირჩებს. სამი თუ ოთხი თვის წინანდელ პროგრამაში, გიორგის გახ- სენდა, უონგლორის არენის ხალიჩაზე უპირდა ოთხიოდე გირჩის ტრაილი, ეს კი ნელ-ნელა უნატებდა საკუნებს. კუბს ლითონის ბურთი და- ადო, ბურთს — ფიცარი, ფიცარზე ტაშტი და- დო, ტაშტში ვედრო ჩადგა, შემდეგ ვედროში ჩახტა და ისევ ათამაშა ექვსივე გირჩი. ცი- ლინდრი მაგიაზე დაგორავდა, ცილინდრზე კუბი ქანაობდა, კუბზე ბურთი გორავდა, ბურ- თზე ფიცარი მოძრაობდა, ფიცრიდან ტაშტში და ტაშტიდან მალღ ვედროში ჩახტომა არ გინდოდა? ის კი იდგა უღარდელად და ექვს

კირჩხ ათამაშებდა. ეკვლიბირისტს წარმოუდგენელი ნიჭი ჰქონდა, ნებისმიერ მომენტში წონასწორობა დაეცვა. და არა მარტო დაეცვა, არამედ თანდათან მავდიდლან ორიოდ მეტრზეც ამაღლებულიყო.

„ლალი საბახტარიშვილი საქნაოდ ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერი იყო მთელს საქართველოში და არა მარტო საქართველოში. მისი სტატიები მოძმე რესპუბლიკებშიც იბეჭდებოდა სითანადო უფრანალ-გაზეთებში. რამდენჯერმე შესთავაზეს, თქვენი რომელიმე შრომა უცხო ენაზე თარგმნეთ და იუნესკოს გავუზავნოთო, მაგრამ ლალი თავს იკავებდა. სხვები ვერ ბედავდნენ მისი სტატიების თარგმნას, რადგან საბახტარიშვილმა ინგლისურიც კარგად იცოდა, გერმანულიცა და ფრანგულიც. აი, ასეთი თავმდაბალი მეცნიერი იყო ლალი.

საბახტარიშვილები და ქართლიშვილები მეზობლები იყვნენ, ახალ სახლში ერთად შესახლდნენ. საბახტარიშვილმა მამინეც გამოიჩინა თავმდაბლობა: შეთავაზებულ მეთხმე სართულზე უარი თქვა და პირველ სართულზე მოზინადრეს გადაუცვალა ოთხოთახიანი ბინა. ამბობდნენ, დღე და ღამე რადაც ცდაზე მუშაობს და სარდაფიც ლაბორატორია მოიწყობს. ასე იყო თუ ისე, საბახტარიშვილების ოჯახს მართლაც ზნორად მოადგებოდა ხოლმე საბარგო „მოსკვიჩი“ და კურდღლები მოჰყავდა. ზოგიერთი უღარდელი მეზობელი იმახსაც ამბობდა, თავს რას აკლავს, განყოფილების გამგის თანამდებობა უკვე აქვს და რაზე ირჭებო? მაგრამ ასეთმა ვაი-მეზობლებმაც კი უნდა იცოდნენ, რომ ჭეშმარიტი მეცნიერისათვის მიღწეული მიჯნა არ არსებობს და ვიღერ უოწებისა და კალამის განძრევა შეუძლია, უველამ ღუნდა იზრომოს მომავლის საკეთილდღეოდ. „შეუძლებლის საზღვრს განზე გადასადგმეოდა“. ეს, განსაკუთრებით, ეხება საბახტარიშვილისნაირ მეცნიერებს. ლალი სიცოცხლის წარმოშობისა და განვითარების პრობლემებზე მუშაობდა. მაგრამ მასთან ერთად ინსტიტუტში კიდევ იყო პრობლემებზე მომუშავე რამდენიმე განყოფილება, რომელთაც დირექტორი არანაკლებ უურადღებას აქცევდა. ამიტომ ლალი საბახტარიშვილს ერთადერთი მიზანიდა ჰქონდა: როგორმე ცალკე გამოეყო და თავისი განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტი შეექმნა. ინსტიტუტის შექმნა, მოგეხსენებათ, არ არის იოლი საქმე და ლალიმაც რკინის ქალმანები ჩაიცვა, რკინის ჯოხი დაიჭირა და შეუდგა აღმართს. ჭერ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა; დაიცვა ბრძოლით, მოწინააღმდეგეებთან ცხარე კამათში. ერთხანს ბეწვზე ეკიდა დისერტაციის ბედი, მაგრამ გამოძვრა. მართალია, კენჭისყრის დროს შავი საქნაოდ გამოერია, მაგრამ რამდენიმე მოწინააღმდეგე აუცილებელიც არის, როცა ასეთ პრობლემაზე მუშაობი გიორგი

ქართლიშვილი დაცვას ესწრებოდა და რომ გეძიებოდა, გინერებდათ კიდევაც, ვინ ჩაუჭედო შავი კენჭი. თუმცა, გიორგისეე გასაკვირველად, იმ შავმა ტიპებმა ყველაზე მეტად იმხიარულეს ბანკეტზე და ყველაზე გულთბილი სადღეგრძელოებიც წარმოიქვეს. ამავე ბანკეტზე ჩააწვეთეს ყურში უხუცეს მეცნიერებს, რომ საბახტარიშვილი ნომერ პირველ პრობლემაზე მუშაობს და ყოველნაირი ხელისშეწყობა არისო საქნრო. უხუცესებს უკვე აღარადერი აინტერესებდათ. ახალგაზრდებმა კი ვერ გაიგეს, რაზე მუშაობდა დისერტანტი. ლალიმ მარდად აუარა გვერდი მხოლოდ თავის საკუთარ კარიერაზე ჩაფიქრებულ საშუალო და გავლენიან თაობას, ახალგაზრდებისგან და უხუცესისაგან მრავალი საინტერესო რეცენზია შექრინა, თავისი ნაშრომის ანოტაციაც დაურთო და იურიდიულად უნაკლო დოკუმენტი შექმნა. თავდაპირველად ამ წამოწყებას სერიოზულად არავინ უყურებდა. ცოტაც და სხვა ქალადღების გვერდით დაიკავენდა ადგილს ინსტიტუტის შექმნის საქმეც არკივში, მაგრამ ლალიმ კვლავ იმარჯვა, სხვადასხვა მაგალითი მოიშვილია და საქმეც დაიძრა. ეს დოკუმენტი გადადიოდა ხელიდან ხელში, როგორც ნიმუში ლოგიკურად დასაბუთებული აზრისა უადრესად საქნრო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე საქართველოში. საქმეს საბუთები ემატებოდა, რადგან ზოგნი ხელისმომწერთა ავტორიტეტის შიშით, ზოგნიც საქმეში ჩაუხუნდაობის გამო ხელს უწყობდნენ წამოწყებულ მამულიშვილურ საქმესა და იდესა. საბუთებო სამსახურმა უჩვეულო შრომისმოყვარეობა გამოიჩინა და დასაარსებელი ინსტიტუტისათვის ეთოდენ საქნრო სახსრებიც გამოიხაზა. როცა ყველა საბუთი მზად იყო, რეფერენტმა სხდომაზე გაიტანა საკითხი. სხდომას, როგორც სამეცნიერო კომიტეტის მუდმივი წევრი და წარმომადგენელი, ესწრებოდა აკადემიკოსი ერგემლიძე. ერგემლიძე თავმჯდომარემ გვერდით მოიხვია. როცა დღის წესრიგში დაასახელეს ინსტიტუტის ჩამოყალიბების საკითხი, ერგემლიძეც ექვიც არ შეპარვია, რომ დირექტორად დაინიშნავდნენ. ერგემლიძე საქნროდ პოპულარული მეცნიერი იყო, თავმჯდომარესთან და რეფერენტთანაც დაახლოებული და დიდი ხანია ისიც უინსტიტუტოდ იყო, როდესაც მის კოლეგებს ზოგს თავისი საავადმყოფო, ზოგს — საკვლევინსტიტუტი, ზოგსაც — კათედრა ჰქონდა. ერგემლიძის მაინც უკვირდა თავმჯდომარის საურპრიზი, რადგან დასაარსებელი ინსტიტუტა ზუსტად არ იყო იმ პროფილისა, რომელსაც აკადემიკოსი ემსახურებოდა. როცა წინასწარ არავინ არაფერი მიულოცა, ერგემლიძე ექვიებმა შეიპყრეს. წინათვრძნობამ არ უღალატა.

თამაზ გოდამიშვილი  
მხიარული არმანა



დღის წესრიგში ინსტიტუტის საკითხი რომ დადგა, სხდომათა დარბაზში ლალი საბახტარიშვილი შემოიყვანა.

ლალი საბახტარიშვილი ლამაზი, მოკლე და ნათელი მოხსენება გააკეთა. — ეს ბოლო ოცდაათი — ორმოცი წელია, — დიწყო მან — მეცხოველეობაში შემინვენი ძირითადი გარდაქმნები ნაკლებადბროლეუქტული ხორცის მომცემი საქონლის გაუმჯობესებაში. შექმნილი და გამოყვანილია მაღალპროდუქტული სამაჟულო ჯიშები სასოფლო-სამეურნეო საქონლისა, რომლებიც კარგად შეეგუნენ ადგილობრივ კლიმატურ პირობებს. ჩვენი მიერ დამუშავებული მეთოდები, დასაარსებელი ინსტიტუტი მთელი ძალით რომ ამუშავდება, საშუალებას მოგვცემს მკვეთრად დავაჩქაროთ გენეტიურად მათი გაუმჯობესება.

შედეგ საბახტარიშვილი ბულა-მწარმოებელზე ილაპარაკა. ბოლოს თქვა: — უნდა დავსძინო, რომ პრინციპში ზემოდაჩამოყალიბებული ამოცანა საზღვარგარეთის ზოგიერთ ლაბორატორიაში თითქმის ამოხსნილია. ჩვენი ინსტიტუტის მიზანია სასწრაფოდ დამუშაოს წარმოებისათვის გამოსადეგი და შესასრულებლად უზარალო და იოლი ჩვენი მეთოდი. ამ მეთოდის დაწერვა, ისეთივე მოვლენა იქნება მესაქონლეობაში, როგორც იყო პრაქტიკაში წარმატებით დაწერგილი მეთოდი ზელოვნური განყოფიერებისა.

საბახტარიშვილი დაჯდა. შეკითხვები არ იყო. თავმჯდომარემ დიდი სიამოვნებით წარუდგინა სხდომას ინსტიტუტის დირექტორად მისი კანდიდატურა.

— კი, მაგრამ რა ხდება აქ? — იკითხა გაცივებულმა ერგემლიძემ.

სხდომა ახუბუნდა. — ვის ნიშნავთ დირექტორად? — ისევ იკითხა ერგემლიძემ და დამატა, — ამის დირექტორობით უნდა იმუშაოს ინსტიტუტის შტაბში? ბატონო თავმჯდომარე, გადადეთ საკითხი.

საბახტარიშვილი გაფითრდა.

— რა დროს გადადებთ, — უჩურჩულა რევერენტმა ერგემლიძეს, — საკითხი ყველაგან შეთანხმებულია.

— იქაც? — იკითხა ისევ კითხვადიკეულმა ერგემლიძემ.

— იქაც. — მშვიდად უპასუხა რევერენტმა. საბახტარიშვილი ყველაფერი გაიგონა და შევბო: ამოისუნთქა.

— ახ, ერთ რამეს მოგიყვებით, — არ დაცხრა ერგემლიძე აკადემიკოსი, — შარშანწინ მოკლევი ფორუმი რომ გქონდა, ხომ გახსოვ? კეთილი და პატიოსანი. ლალი საბახტარიშვილის მოხსენება ვერ ვავიდა, მაგრამ იმდენი იჩაღიჩა, მოკლე ინფორმაცია მინე მიწოდეს ფორუმს. იტალიელი რომა პეტრუჩი, ხომ გახსოვთ? კეთილი და პატიოსანი.

შრომის მოკლე ინფორმაციით დაინტერესებულმა პეტრუჩიმ მოისურვა საბახტარიშვილთან საუბარი. მერე აუხსნა თავისი მეთოდი და უთხრა: „ჩვენ დიდი წარმატება ვვაქვს. სპეციალურ სინჯარაში ადამიანის ნაყოფს უკვე ორ თვემდე ვზრდითო“ „ჩვენც მივაღწიეთ ზოგიერთ რამესო“, — შეტრიაბა საბახტარიშვილი. „მინც რასო? — შეეითხა პეტრუჩი — თქვენც ადამიანზე მუშაობთო?“ — გაუკვირდებოდა ახა რა, რადგან ასეთი ცნობა არსად წაუკითხავს და არც არსაიდან მიუღია. „არა, ადამიანზე არა, კურდღელზეო!“ — სცადა მდგომარეობის გაუმწიფებება საბახტარიშვილმა. „მერბის რას მიაღწიეთო?“ — ისევ ჰკითხა ახლა უფრო დაინტერესებულმა მეცნიერმა. „სინჯარაში კურდღლის რვა კვირის ნაყოფს ვზრდითო!“ — დარწმუნებით მიუგო საბახტარიშვილმა. ამაზე პეტრუჩიმ ბევრი იცინა, მხარზე ხელი დაჰკრა ამ მეცნიერს და უთხრა: „ყოჩაღ! კარგი ახალგაზრდა ხარო!“ — და წაიდა.

ერგემლიძე გაწუმდა. დარბაზიც გასუსული იყო. თავმჯდომარე და რევერენტი გაცივებულნი შეპურებდნენ ერგემლიძეს და ფიჭრობდნენ, რამ გააბოროტა ეს თვინიერი აკადემიკოსიო.

— კი, მაგრამ რას გაწუმებულხართ? — ახლა მთლად გამძინვარდა ერგემლიძე, — ნუთუ არც თქვენ იცით, რომ კურდღელი ოცდაათ დღეში იზადება!

ბოლო წინადადება მუშტარასავით იფეთქა დარბაზში.

ეკვილიბრისტი ჩამოხტა. საენები რახუნით დაცვივდა ჭრ მაგიდაზე, შემდეგ არენაზე. კულისებოიდან ყორა გამოიქცა, მაგიდაზე შეტდა, მაგრამ რადაცას წამოიქცა და მაგიდასთან ერთად იმანც ნახერხში მოადინა ზღართან. ეკვილიბრისტმა ზრახით შეხედა. როცა ჯამბაზი წამოვდა, შარვალი საჯლომზე გახეული ჰქონდა. ეტყობა, ეკვილიბრისტს მაყურებელთათვის შეეუმწინველი განმსაზღვრელები ჰქონდა ჩამაგრებული, მაგიდიდან ცილინდრი რომ არ გადაცორებულიყო. ალბათ, ამ განმსაზღვრელებს წამოვცო ჯამბაზი, რომელსაც თვითონვე უყვირდა, შარვალი რომ გაიხსოვ. ამას ყორა ისე ბუნებრივად აკეთებდა, რომ ბავშვები სიცილისაგან იგუდებოდნენ, ხოლო ეკვილიბრისტი, მანეთის ინსპექტორი და უნიფორმისტები უკმაყოფილოდ იდგნენ და ჯამბაზს შესცქეროდნენ.

გიორგი ქართლიშვილი ერთხელ შემთხვევით მოხვდა ლაბორატორიად წოდებულ საბახტარიშვილის სარდაფში. სარდაფში მშვენიერი შარანი იყო. ერთ მხარეს ოთხი ქვევრი ჩაეყარათ, მოპირდაპირე კედელთან, რიყის ქვის ულამაზეს ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. სამაფეხა სკამებზემოდებული ტაბლაზე, რა გინდა.

სულს და გულს, არ ელაგა მარანში გემრიელი, მაღისაღმძვრელი სუნი იდგა. სარდაფიდან რომ ამოდიოდა, გიორგი მეზობელს შეხვდა.

— სახანტარიშვილის ლაბორატორიაში შეგიშვებ?! — გაიოცა მეზობელმა, რადგან იქ შესული არავინ უნახავს.

— ზო. — უბასუბა გიორგიმ.

— მერე?

— რა, მერე?

— რა ნახე?

— არაფერი.

— თუცა შენ რას მიხვდებოდი, იმხელა ცდებს ატარებს ეგ ნიჭიერი კაცი! — მეზობელმა მიატოვა გიორგი და გზა განაგრძო.

გიორგის უნდოდა სიმართლე ტყვიასავით დაეხალა ზურგში მეზობლისათვის, მაგრამ ზურგში სროლა რა ვაჟაკის საქმეაო, გაიფიქრა და სიტყვა კბილებით მიაწწწკვა ენას. რაც არ უნდა იყოს, ლალი სახანტარიშვილიც კაცი იყო და ღვიზის სმა და კურდღლის საცივი, ალბათ, ძალიან უყვარდა!

მანეთის ინსპექტორმა „ანტრაქტი“ გამოაცხადა. ჭამბაზი, რასაკვირველია, არ ჩამორჩა ინსპექტორს და მყურებლებს შეახსენა, რომ „ანტრაქტი“ სხვათა სიტყვა და ქართულ ენაზე „შესვენებას“ ნიშნავს, თანაც მხოლოდ თხუთმეტი წუთით.

გაოგნებული გიორგი ბუფეტისკენ მივლოდა. თამრიკო ძლივს მიყვებოდა მამას. იჩქარეს, მაგრამ მაინც დააგვიანდათ. ბუფეტში გრძელი რიგი იდგა. ვიღერ რიგი მოუწევდა, გიორგიმ უცნობს სიგარეტი სთხოვა და გააბოლა. ნიკოტინმა ოდნავ გაუბრუნა აღწვნიებული გონება და დაწყნარდა. მერე ბავშვს შოკოლადი და ლიმონათი უყიდა. ერთი ქიქა შუშუნა ლიმონათი დიდი სიამოვნებით დალია, გული გაიგრილა, მთლიანად გამოფხიზლდა. როცა გამოფხიზლდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როგორი ცნობის-მოყვარეობით აცქერდებოდნენ ყველანი — დიდიან პატარიანად. გიორგიმ სხვებისათვის შეუჩინველად სარკეში შეათვალიერა საქუთარი თავი: ყველაფერი წესრიგზე ჰქონდა. ჰალსტუხიც კი ასე სწორედ და ლამაზად არასოდეს შეიქცა.

— მამიკო, იცი რატომ გყურებენ?

— არ ვიცი, შვილო.

— მე ვიცი.

— რატომ? — ჰკითხა მამამ, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა, რადგან მიხვდა რაშიაც იყო საქმე, — გინდა კიდევ გაყიდო შოკოლადი?

— მინდა.

გიორგი ხელმეორედ ჩაღვა რიგში. რიგი ამჭერად ნაკლები იყო. გიორგიმ ორასი გრამი „დათუნა“ იყიდა. ვიღერ თამრიკოსთან მიიტანდა, პატარა ბიჭუნა წამოეწია და სთხოვა:

— ძია უორა, ძია უორა, მომეცი რა ერთი კამფეტო!

გიორგიმ დაუფიქრებლად გაუწოდა პატარა პარკი.

— მეც მინდა! მომეცი რა, ძია უორა! — ახლა მეორე მოვარდა.

— მეც მინდა...

— მეც მინდა...

— ძია უორა კამფეტს არიგებსო! — გავარდა ხმა ცირკში.

კამფეტს არიგებსო და მოაწყდნენ ბავშვები გიორგის. გიორგი დახლონ მივიდა და ახლა ლარნაკიდან იღებდა „დათუნას“. როცა ლარნაკი დატარებდა, ბავშვები მოეშვენ და მხოლოდ მაშინ გააჟყდნენ უფროსებს, რომლებიც ამაოდ სთხოვდნენ: მესამე ზარი უკვე იყო და იწყება, წვადეთ, სირცხვილიაო.

— რამდენი უნდა მოვართათ? — ჰკითხა გიორგიმ დახლიდარს.

დახლიდარმა გიორგის შეხედა, სიცილი წახკვდა, გაოცებულმა ტაში შემოჰგრა და დააყოლა:

— სამი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი.

— ინებეთ.

ისევ გაისმა ზარი.

— დაიწყე, იჩქარეთ, — ურჩია დახლიდარმა, ყურებამდე პირლიამ, და ისევ შემოჰგრა ტაში. გიორგიმ თამრიკოს მოკიდა ხელი და დარბაზისკენ გააქცია.

მანეთზე უკვე იდგა ინსპექტორი და ხმამაღლა გაჟყვიროდა:

— საილუზიო ატრაქციონი „ბახჩისარაის ლეგენდა“!

ორკეტრმა საზეიმო მარში დასცხო. გატრეცული ფარდა გადაიხსნა. მხედრული ნაბიჯით გამოვიდნენ უნიფორმისტები და გასასვლელში აქეთ-იქით ჩამწყრივდნენ. სინათლის სვეტმა კულისტბიდან მანეთის ცენტრამდე გამოაცილა ატრაქციონის ხელმძღვანელი, რომელსაც მხრებზე თეთრი აბრეშუმის წამოსასხამი მოეგლო და თავზე ღვირფასი ქვებით დაშვებებული თეთრივე ჩაღმა ეხურა. ღვირფასი თვლები ისე ბრჭყვიალებდა, მყურებელი თვალს ვერ უსწორებდა.

სინათლე აინთო და მანეთის შუაგულში მოწყობილი შადრევანამაც იფეთქა. წყალი პატარა კოკიდან იღვრებოდა. ატრაქციონის ხელმძღვანელმა კოკაში ჩაშკო ხელი და უღამაზესი გრძელკანიანი ქალი ამოჰგრიანა. მერე ისევ ჩაშკო ხელი და ისევ ბაბთიანი ქალი ამოჰგრიანა, ისიც გრძელკანიანი. და ასე შემდეგ, ვიღერ მანეთსაც და კოკის შადრევანსაც ორმწყრივად არ შემოადგნენ გარშემო ქალები. მერე ატრაქციონის ხელმძღვანელმა ამ პატარა წყლით სავსე კოკიდან მტრედები ამოაფრინა, თანაც იმდენი, რომ ცირკის გუმბათი დაიფარა.

თამაზ გოდერაძის მიხედვით

მხიარული არნა



გუმბათზე რომ ვერ მოთავსდნენ, მტრელები მაყურებელთა დარბაზშიც ჩამოსხდნენ აქა-იქ. გაცეხულმა მაყურებელმა ტაშით დააჭიდოვდა ატრაქციონის ხელმძღვანელი. ატრაქციონის ხელმძღვანელმა წამოსასხამი მოიხსნა, ჰაერში შეაფრიალა და არენიდან შადრევანთან ერთად, ქალებიც გაქარნენ. დარჩენენ მხოლოდ ასისტენტები, რომლებსაც ახლა გრძელი კაბების ნაცვლად საბანაო კოსტიუმები ეცვათ.

ტაშო.  
ასისტენტმა ქალებმა წყლით სავსე მოწოდებო, ხაშს ხომ ხარშავენ იმხელა, ქვაბი გამოიტანეს. ატრაქციონის ხელმძღვანელმა ხელი აიქნია და სცენაზე ანტიპოდები შემოვიდნენ.

— სვიმონი გიორგი! — ვედარ მოითმინა და წამოიყვია გიორგი ქართლისკენ.  
ანტიპოდებმა ამოხედეს გიორგის, ხელი დაუქნიეს, მაგრამ მეტი აღარ დასცალდათ, რადგან ატრაქციონის ხელმძღვანელმა ქვაბში ჩატენა ორივე.

როცა ხუფი ასადეს და გადმოაპირქვავეს, ქვაბიდან რამდენიმე წვეთი წყალი გადმოიღვარა მხოლოდ. ატრაქციონის ხელმძღვანელმა ხელები გაშალა.

ხანგრძლივი ტაშო.  
მერე არენაზე მავთულზე მოცეკვავენი გამოიყვანეს. ვაჟა და არჩილ მარტიროსაშვილები ვერცხლისფერ ბირთვში მოთავსეს და ვაგორჩეს. ბირთვმა ჭერ ერთი წინწალი აისხოტა. მერე — მეორე, ბოლოს წყლად დაიღვარა და შესაბამის ადგილას ნახერხი დაასველა მხოლოდ. მავთულზე მოცეკვავენი კი არ ჩანდნენ.

ისევ იგრიალა ტაშმა.  
ტაში მიმცხრალი არ უყო, როცა არენის შუაგულში ორიგინალური უნარის შემსრულებელი გამოჩნდა. ალექსანდრე სირხილაძე შავ კუბში ჩასვეს, ზედ დიდი ბოქლოში დაადეს, კაუჭზე გამოსდეს და ცირკის თაღისკენ აწიღეს. ატრაქციონის ხელმძღვანელმა უწარმაწარო დამბახა დააძრო. სახსლტს თითო დაპირა თუ არა, დამბახის ლულიდან წყლის წვრილი ნაკადი კუბისაკენ გაფრინდა. მოხვდა თუ არა წყალი კუბს, კუბი გაიშალა და იქიდან მხოლოდ ერთი მსხვილი ძვალადა გადმოვარდა.

— ვაი, ვაი! საწყალი! საწყალი კაცი! — ეცა ძვალს უორა და გულში ჩაიხუტა. თან თვალეზიდან იმანაც გამოუშვა წყლის ორი მსხვილი სვეტი.

ბავშვებს გეცინათ.  
მქუხარე ტაშო.

ჭერი ენოტიკური ცხოველების მომთვინებრებელზე მიდგა. ხელმძღვანელმა გალინა აბაკელიანე თოთრი, გამჭვირაველ ქსოვილი გადააფარა, მერე თავზე ხელი დაადო და რამდენიმე წუთს იდგა ასე. როცა ქსოვილი მოხდა, მომთვინებელის ადგილზე უონგლიორი იდგა და ბურბის ათამაშებდა. ატრაქციონის ხელმძღვანელმა

ნელმა ქსოვილი ახლა თეიმურაზ ქუყასადი დააფარა. ეს ქსოვილი წყლად გადაიქცა და დაიღვარა. არენაზე მხოლოდ ბურთი გორავდა. მქუხარე ხანგრძლივი ტაშო.

ტაშის გრიალში კულისებიდან არენის ცენტრისკენ კიბეზე ბალანსის შემსრულებლები გამოვიდნენ. ისინი მზიარულად მოაბიჭებდნენ, უდარდელად... ჭერ გურგენი მოდიოდა — მცირია, მერე — „შენდაუჯა“, მესამე გურამ ჩეჩელაშვილი იყო... ატრაქციონის ხელმძღვანელი მეოთხესაც ელოდა, მაგრამ დაყოვნება აღარ ინება და საივებს დიდი ქოლგა გადააფარა. ქოლგას ქალები შემოეხვივნენ და ლარნაკებიდან წყალი დაასხეს. ქოლგა დაიწია, დიწია და არენაზე გაბრტყელდა. როცა ქოლგა ისევ ედნავ ამოიბურთა, ატრაქციონის ხელმძღვანელმა ხელი სტაცა და ახალა. არენის ცენტრში აქრობატი ვოლტიჟორები იდგნენ. არც ისინი დარჩენილან დიდხანს მანუჭე. დები კამიკაძეები ერთ წაშში იქცნენ წვიმის წვეთებად და ერთ-ერთი ასისტენტი ქალის მხრებზე აკაფდნენ.

გაცეხულმა მაყურებელმა ტაშის ცემას იატაკზე ფეხის ბრახუნიც ააყოლა.

ატრაქციონის ხელმძღვანელი ეშხში შევიდა. ტრიუკების რეკორდული შემსრულებელი ისე მოდიოდა მისკენ, თითქოს ატრაქციონის ხელმძღვანელი მისი შეგირდი ყოფილიყო. ატრაქციონის ხელმძღვანელმა გრიგოლ დადიანს არენის შუაგულში მოხვლაც კი არ აცალა, ისე გადააქცია ერთ ვედროს ტექნიკურ წყლად და ნახერხზე გადააქცია.

ასევე იქცნენ თითო ბოთლ დაბეჭდილ „ბორჯომად“ მუსიკალური ბუფონადის ბრიგადის წევრები: ზაზა ასათიანი, თენგივ გამარჯეელი და ზოზო ლულუბაური. ყოველივე; ისე სწრაფად ხეუოდა, რომ გაცეხული მაყურებელი მხოლოდ შეუვირებას ასწრებდა.

ტანწოვარჯოშენი რგოლებზე ცირკის თაღიდან ჩანოვრინდნენ თუ არა, ატრაქციონის ხელმძღვანელმა ვარდო ქორქია „საეროს“ ბოთლში ჩაასხა, მალაქია კი — „აღთერულასაში“.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშო.

ევილიბრისტი ნელ-ნელა დაპატარავდა, ეპატარავდა და იატაკის მოსარეცხ ტილოზე გადაიღვარა. ატრაქციონის ხელმძღვანელმა ტილო ქალებს გააწურინა და ცოტა ხნით ისევ გამოჩნდა ლალი საბახტარიშვილის სახე. მერე ისევ ტილოში ჩაშტა.

ამ დროს მანუქის ინსპექტორმა ჯამბაზი უორა შემოიყვანა. უორა უძალიანდებოდა ინსპექტორს, მაგრამ პროგრამის წაშყვანს ქეროში ჩაველო ხელი.

— არ მინდა... დეიდა... დეიდა... — ტიროდა ჯამბაზი უორა და ყურებიდანაც ცრემლებს აფრქვევდა. ატრაქციონის ხელმძღვანელმა უორა ბოთლში ჩაასხა, მაგრამ ჯამბაზი ვედროდან

ამოცრა. ახლა ვედროში გააქრო წყალი ატრაქციონის ხელმძღვანელმა. შორა ვედროდან გადმოგორდა და წყლის ბურთად იქცა. ბურთი არენაზე დაეცა და წყლის შხეფებდა გასკდა. შორა ცირკის თაღზე აღმოჩნდა. ვიდრე შორას დაუშვებდნენ, ატრაქციონის ხელმძღვანელმა წყლის დამბაჩა ესროლა. წყლის სვეტი პანდურით მოხვდა ჯამბაზს საჭდომში და როცა ყველას ეგონა, წვიმის წვეთებით მყურებელს გადაესხმევო, შორამ არენის შუაგულში მოაღინა ზღართან. ატრაქციონის ხელმძღვანელმა უმწეოდ გაშალა ხელები. თან ისე გაიღიმა, მიხვდებოდი: ამასაც ადვილად გავაქრობდი, ნომერი ასე რომ არ იყოს ჩაფიქრებულიო.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში ოვაციაში გადაიზარდა.

კონიაშიღმა წარმოდგენის დამამთავრებელი მარში დაუკრა. უნიფორმისტებმა კულისების ფარდა გადაწიეს. იქიდან სირბილით უნდა გამოცვნილიყვენ დღევანდელი წარმოდგენის მონაწილენი, მაგრამ მხოლოდ ბეჭემოთი გამოუმწეულდა.

ხალხმა ტაშს უმატა. ატრაქციონის ხელმძღვანელმა მანეთის ინსპექტორს გადახედა. დადემკელიანმა მხრები აიჩჩა. კონიაშიღმა მარში გაიმეორა. არენაზე არავინ გამოსულა. ახლა კი ადელდა ატრაქციონის ხელმძღვანელი და თავის დაკვრით კულისებში შევიდა. მანეთის ინსპექტორი ვლადიმირ დადემკელიანი მსახიობთა საპირფარეშო-

ებში დარბოდა და დასკვნითი პარადის მონაწილეებს ეძებდა.

— სად არიან? — იკითხა ატრაქციონის ხელმძღვანელმა.

— რა ვიცი! ხედავთ, ტანსაცმელი ჰკიდა. არც ერთი მონაწილე. გრიმი, პარიკი და სხვა ინვენტარი არც ერთ საპირფარეშოში არ არის.

ატრაქციონის ხელმძღვანელს ფერი ეცვალა.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ზვალ როგორ ჩავატარო სპექტაკლი?! — თავში ხელს იცემდა მანეთის ინსპექტორი.

— ნუთუ მართლა გავაქრე?! — კითხვზე კითხვითვე უპასუხა ატრაქციონის ხელმძღვანელმა.

მანეთის ინსპექტორი გაშეშდა.

კონიაშიღი ისევ და ისევ იმეორებდა მარშს. მაყურებელი ტაშსა სცემდა: მაყურებელს უნდოდა პატივი ეცა ყოველი მსახიობისათვის, წარმოდგენის ყველა მონაწილისათვის, რომლებმაც დღეს ასეთ ხელოვნებას აზიარეს. ამიტომ ისინი თავს არ იშურებდნენ, ტაშსა სცემდნენ და წასვლას არ აპირებდნენ. მსახიობები კი არ ჩანდნენ. მანეთის შუაგულში წყლით ალაგ-ალაგ დასველებულ ხალიჩაზე ჯამბაზი შორა იდგა და ოთხივე მხრივ თავს უკრავდა მაღლიერ ხალხს.

უცებ ცირკის პატარა თალი გადაიხსნა და ცისფერი, შუადღის მზით განათებული უკიდვანო ზეცა გამოჩნდა. მტრედები აფრთხილდნენ, ფრთების ტულაშუნით აიშალნენ და თავისუფალ, უსასრულო სივრცეს მიაშურეს.

ნიავეა დაჰკრა.



# შ ვ ი ნ ზ დ ი კ ა

ველის ჩიტია ერთგვარი, მთაში შვინტლიკას ეძახიან. მუცელი თეთრი აქვს, ფრთები და ზურგი—ყავისფერი, ნისკარტი—შავი. კლდე-ლორღიანი ადგილები უყვარს, ხრიოკი, მოშიშვლებული. მიწის პირზე იცის ფრენა. შემოჯდება ლოდზე, ბუქნავს და წალმა-უკუღმა ბრუნავს. ყოველ ჩაბუქნევაზე ფრთებს შეიქნევს და „შვიტ!“ — დაიძახებს. უცებ თვალთაგან დაგვეკარგება, ის კი ამ დროს მიწას გაკრული მიფრინავს სხვა ლოღისაკენ. ახლა იქ მოჰყვება ბუქნასა და შვიტ-შვიტს.

რადაც საოცარი მსგავსება იყო ამ ჩიტსა და ბუვრიანელ ქალს თინას შორის, ზედმეტ სახელად შვინტლიკას რომ ეძახდნენ. წანწალა ქალი იყო, მეზობელა, მსუბუქი. მისგან სახელი ჰქონდა გატეხილი ბუვრიანას, ძველი დროიდან ხმასახელიან სოფელს. წინათ აქაური ხალხი ჯიშ-ჩამომავლობით იყო ცნობილი: ქალები ტანდანი და მეოჯახენი, სინდის-ნამუსიანნი, ვაჟები — მკლავმავარი, მეომარი და მონადირენი. მათი საგმირო საქმეები მალიმალ გადაუქუხებდა ხოლმე მთას. მეღექსენი მათ კლდის ვეფხვებსა და მთა-წვერთ მონავარდემხარკვერიან არწივებს აღარებდნენ. შერცხვენასა და უბატიურს ვინ შებედავდა; მოსაკვეთს მოიკვეთავდნენ, მოსაკლავს მოჰკლავდნენ. ახლა კი... ძველებური სული ისე გამჭრალიყო სადღაც, რომ ამ ერთი დედაკაცისათვის ვე-

რაფერი მოეხერხებინათ. მარტოლა თავჩაქინდრულნი ბუტბუტებდნენ: იმისთანა ყოფნა დაიქცეს, მეწისქვილეს ის ვერ უთხრა—მსხვილდა ფქვავ, წმინდად დაფქვიო.

ეს შვინტლიკა, ერთი ზამთარათ ივანე ცხოვრობდა ბუვრიანაში, იმისი ქვრივი იყო. თვითონ ივანე ჰკვასაჯითხავი კაცი იყო, მშრომელი, დინჯი, ხმაამოუღებელი. სამი ბიჭი ომში დაეღუპა, ქალები დაათხოვა, ცოლი მოუკვდა და დარჩა მარტოკა. გულის ჯავრს თავდაუზოგავი შრომითა და უზომოდ არაყის სმით იქარებდა.

— ცოდო ხარ ხელმარტოდ, ქვრივი ვინმე მოგვენახაო. — ურჩევდნენ მეზობლები, მაგრამ ივანე დაცოლშვილებასე აღარ ფიქრობდა. მეზობლებმაც იფიქრეს, იმ დაკარგული ცოლ-შვილის მერე იქნებ სხვა აღარ უნდაო, აღარც მაინცდამაინც ხანს არისო, და თავი მიაწებეს.

ერთ დღესაც, ჩვეულებრივ, ყველერბო წაიღო ივანემ დუშეთის ბაზარზე გასაყიდად და იქიდან მობრუნებულმა ეს შვინტლიკა კი საიდანღაც მოიყვანა. არა, შვინტლიკა კი არა—თინა. მაშინ შვინტლიკაობისა არაფერი ემჩნეოდა.

— რა ვიცი, ბაზარში იყო, პამიდორსა ჰყიდდა და წამოვიყვანეო, — ჯუმჯუმებდა ივანე.

სოფელი ერთურთს შეასკდა: რა ქნა ამ ბერმა კაცმაო, ეს ვინ მოიყვანა, შვი-

ლად შეჰფერისო; თუ ცოლს მოიყვანდა, ქერივი მაინც ვინმე მოეყვანაო. ვინ იცის, ვინ არის, რა ჯიმ-ჩამომავლობა აქვსო. ერთიც ვნახოთ და ამ სიბერეში გაამწაროსო, რა ძალა ედგაო. ეგ რომ წმინდა წყლისა იყოს, ეგეთი ლამაზი და ახალგაზრდა ამ ბებერს არ გამოუდგებოდაო, რაღაცა ხინჯი ექნებაო.

გაუგებარი რა დარჩენილა და ისიც მალე გაიგეს, სამი ქმრის ხელში გამოვლილი ყოფილა, სამივეს დალატისათვის გაუგდიაო.

— მერე რაო, — სხვები იცავდნენ, — მაგისთანა ქალებიც ხშირად კარგი მეოჯახეები დგებიანო, ქმარ-შვილს იქით თავსაც აღარსაით გაიბრუნებენო.

— ღმერთმა ქნასო.

მართლაც ძალიან დაუტკრიალდა თინა ივანეს ოჯახს. ჯერ შინ არ იყო შესული და საქმეს ეცა: ხვეტა და ფხიკა ჩანაგვიანებული იატაკი, დაასუფთავა სახლის კედელ-ყურე, მკვარტლი და აბლბუდა ჩამოწმინდა, ჩამოფხიკა; დააწკრილა ჩაობებული ჯამ-ჭურჭელი, დააქათათა უქალობით ჩაჭუჭყულ-ჩაზინთული საგებ-სახურავი; დარეცხა, რაც დაირეცხებოდა, რაც არ დაირეცხებოდა, გადაყარა და ახალი შეიძინა. ივანეს ტანთ გამოუცვალა, პირი მოაპარსინა, მოალამაზა.

— ეს რა ანგელოზი შემოფრინდა ჩემ ოჯახში, კაცი მეორედ დავიბადეო! — იძახდა გახარებული ივანე.

— ეგრეა, ნამდვილად ეგრეაო, — უდასტურებდნენ მეზობლები.

ახლა კარ-მიდამოს როგორ უცვალა ფერი თინამ! ეზო მაგარი ღობით შემოაღობინა ივანეს, შამბი ნოთიბეს, დაბარეს და ბუვრიანაში სულ რომ არ გაეგონათ, ისეთი მწვანილეული და ბოსტნეული დათესეს. მერე იმ მწვანილეებით რომ საჭმელები შეიანელა თინამ, სულ საჭმლის უნახავი გახდა ხალხი; ხალხს მართლაც პირის ვემო გააგებინა.

— აბა ჩვენ რომ მარჩის ჩავაყრით მარტო, აი როგორ სდომებია საჭმელს გაკეთებაო! — იძახდნენ ბუვრიანელები. თესლი ფინას გამოართვეს და თვითონ

ნაც ბაღჩა-ბოსტნები მოიწყვეს. ყვავილების თესვა არ გაეგონათ, ისიც პირველად თინასაგან გაიგეს. ააყვავა და დაამშვენა კარ-მიდამო. მოკლედ, ივანეს პატარძალი და ივანეს პატარძალი ივანეს პატარძლის მეტი სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ ბუვრიანელებსაცა და მეზობელ სოფლელებსაც. მისი ქებისა და კარგი ქალობის ამბავს ჰყვებოდა ყველა. ყველას თინას სახელი ეკერა პირზე. ზოგიერთი კი მაინც არ ჩქარობდა: ახალი ცოცხის ამბავიაო, მოიცადეთ, ზოგიც მერე ვნახოთო.

ხალხის გადარევა და ივანეს სიხარული მაშინ უნდა გენახათ, როცა თინამ ტყუილი ბიჭი გააჩინა. ივანე თავის ჭკუაზე აღარ იყო, სიხარულსაგან ხან ტიროდა და ხან იცინოდა.

— ეს რას მოვესწარო, — იძახდა, — ჩემზე უბედური კაცი არ იყო ქვეყანაზე და ახლა კი, ნამდვილად, ყველაზე ბედნიერი კაცი ვარო.

უხვად დაიხარჯა ძეობაზე, გული განსნა და ხელიც გაშალა. აღარაფერი ეზოგებოდა. სტუმრებს, მეზობლებს თავს დასტრიალებდა, ყველას უცინოდა, ყველას ეფერებოდა: თქვენდ მოკვდეს ივანეო, დღიეთო, ჭამეთო, იმხიარულეთო! ბიჭები დამილოცეთ. თქვენი ჭირიმეთ, უღელი ბიჭიო, მაგათ ენაცვალოს ბებერი მამაო!

— რას ამბობ, კაცო, შენზე იმას ვინდა იტყვის ბებერიო, ჯეილებს აჯობეო, — სიცილით ეოხუნჯებოდნენ კაცები.

— კი, თქვენი ჭირიმეთ, ნამდვილად გავახალგაზრდადი, გულიც ახალგაზრდული გამიხდა და ისა მგონია, ცაში ავფრინდებო... რა ხატი და რა ღმერთი, ხატიცა და ანგელოზებიც ესენი არიანო, დღეიდან ამათზე უნდა ვილოცოო.

მართლაც გაახალგაზრდავდა ივანე, ახალგაზრდული ხალისით შეება საქმეს, დაღლას აღარა გრძნობდა. ტყე-ველთ

ვიგი ხორნაშული  
შვინბლიაა

ნაჯაფი მოვიდოდა და ახლა თინას შეამ-  
ველებდა ხელს: ძროხებს დაუწვევლიდა,  
წყალს მოუტანდა, შეშას დაუჭრიდა,  
კარტოფილს დაუთლიდა; ეფერებოდა,  
ელოლიავებოდა, ფხჩქვეშ ეგებოდა.  
პირველ ხანებში არა, მაგრამ მერე და  
მერე თინამაც შეიფერა. წამდაუწუმ  
ბავშვით საქმავდა ივანეს. რასაც ეტ-  
ყოდა, იმას აკეთებდა ისიც, მონა-მორ-  
ჩილივით თვალბეჭდში შესკვებოდა. მის  
ყოველ სურვილს უსიტყვოდ ასრულე-  
ბდა. მალე ოჯახის სრულ ბატონ-პატრო-  
ნად და მბრძანებლად იქცა თინა. მის  
დაუქითხავად ველარაფერს ბედავდა  
ივანე, უთინაოდ პასუხს ვერავის მის-  
ცემდა: ვკითხავ თინასა და ვნახოთ, რას  
იტყვისო... თინამ ასე თქვაო... თინამ  
უარი თქვაო... თინამ მითხრაო... მოკ-  
ლედი, თავისი აღარც აზრი ჰქონდა და  
აღარც სურვილი. ცოლისადმი ასეთი  
მონური მორჩილება და მთლად ცოლის  
ჰკუთხი სიარული, არ მოსწონდათ მთიე-  
ლებს, ჩუმჩუმად დასცნობდნენ კიდევც,  
მაგრამ თვითონაც რაღაც გაუგებარი  
რიდი და კრძალვა ჰქონდათ თინასი.  
ქალები ზომ ყველაფერს თინას ეკით-  
ხებოდნენ და კაცებიც ხალისით იღებ-  
დნენ მის რჩევადარბევას.

გაუდიოდა თინას და კიდევ უფრო  
გაამაყდა. მეტისმეტად შეეჩვია სხვე-  
ბისთვის ჰკუთხი დარიგებას, ჰკუთხი სწავ-  
ლებას. სადაც ეკითხებოდნენ და არ  
ეკითხებოდნენ, უტარო კოვზივით ყველ-  
გან ეჩრებოდა.

პირველ ხანებში თუ ოჯახის მეტი  
არაფერი ახსოვდა, ახლა სხვა ამბების-  
თვისაც მოიცალა. ლხინ-ჭეიფებში ვერ  
მიჰყავდათ ხოლმე—სადა მცალიანო, რა  
მელხეინება, ქვეყნის საქმე მაქვსო. ახლა  
კი, როცა მოშინაურდა, ოჯახში ფეხი  
მოიკიდა და გულიც საგულეს იგრძნო,  
თავი ასწია, გაიხედ-გამოიხედა, ნელ-  
ნელა გავიდ-გამოვიდა და მერე მისვლა-  
მოსვლასაც მოუხშირა. ბავშვებს ივანეს  
მოუყრიდა, თვითონ გამოაპრანჭებოდა  
და, ჰიიდა!

თავიდანვე მოხდენილი ქალი იყო  
თინა, თვალადი, ტანადი, თეთრი, მაგ-

რამ მოუველეობისაგან ფერმკრთალე-  
გალეული. ახლა კი, შეილენის განჭვინისა  
და კარგი პატივის წყალობით, მკერდი  
გავესო, გავა გაუბრტყელდა, ფერი და  
ხორცი შეემატა, ლოყები აუყირმიზნა,  
ყელი თამამად შეიღერა.

ივანე კი დღითიდღე ბერდებოდა,  
ფლახვდებოდა, შეუფერებელი ხდებო-  
და თინასი. ამას თვითონ ივანეც გრძნო-  
ბდა და შიში იპყრობდა: დღეს არა,  
ხვალ მხარს ამკრავსო; ბებრული მკლა-  
ვით აღვირს ვედარ მოვზიდავ და თავ-  
ლორი ცხენივით თავს გამატაცებსო.

და მართლაც ერთ მშვენიერ ზაფ-  
ხულს, სადამოხანს ნინიას ქალმა გადა-  
სძახა მეზობელს:

— ჰაი, მარიამო, გამოიარე აქა!

მოვიდა მარიამი და იმან იქიდან ჩა-  
მოაწყო ხელები ღობეზე.

— აბა, რომ გეუბნებოდით, ეგ ივანეს  
პატარძალა არ იქნება ქრისტიანიო, არც  
ახლა დამიჯერებთ?

— რა არი?

— რა არი და მაიმუნობა... ა, ეხლა  
მოვდივარ ახოებიდან, ღორისთვის აღ-  
გილის გადასაცვლელად გადავედი, ცო-  
ტა ხანს ჩრდილში ჩამოვკეპი და ვხედავ,  
წისქვილისაყენ შემოიარა ივანეს ცოლ-  
მა. თან ქოლგას მათუტუტურებდა. ზემო-  
დან ეს მაიმუნი, წიწილათ იოსები ან-  
კესით ჩამოუყვა ხევსა და მურყინანებ-  
ბში შეეფარა, მაშინვე რაღაცა ფიქრმა  
გამკრა: ამ შუაღლეში რა დროს კალმა-  
ხაობისააო. თვალი მივაღედნე, აბა ერთი  
სად წავა, რას იზამსო. ამდენი დროც არ  
გასულა, რაც მე დაგიძახე და მართლა  
იმ წისქვილში არ შეძვრა ისიცა! რა ხა-  
ნია იქა ვზივარ და ეხლალა ძლივს გა-  
თავთავადდენენ.

— რას ამბობ, ქალო, ეს ჩვენი იოსე-  
ბა?

— ჰო, ჰო, ეგა, ეგ ღნავი!

— ფუი, აღარც მეზობლობა, აღარც  
სინდის-ნამუსი! ფუი, ღმერთო, შენ დამ-  
წერე ჭვარი, რამ გადააუკულმართა ეს  
ხალხი!

— არა, მე რომ ვამბობდი, წმინდა  
წყლისა არ იქნებაო და არაო, პირში

მებმოდით, ანდე, ეგეც თქვენი სანაქებო რძალი!

— არა, კაცო, მაშინვე ეტყობოდა, რაც იქნებოდა.

ჯერ კიდევ ნინიას ქალის ნათქვამზე ქოთქოთობდა სოფელი, რომ მესამე თუ მეოთხე დღეს ახლა მუშტათ ხთისოსთან ნახეს თხლიანებში. ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი. მერე კი სულ ახალ-ახლებსა ჰყვებოდნენ და აღარც არაფერი უკვირდათ.

ივანეს ბებერ თვალს არ გამოჰპარვია ცოლის გაქსუება, მაგრამ განგებ იბრმავებდა თვალს. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ უკვე დადგა დრო, ბებერი ქმრის მიწიხვლისა; არც იმას ეუბნებოდა თინას, წყაროზე წასულს რად გილამდებო, ქორწილში წასულს რად გითენდებო, წისქვილში წასულს რად გიზამთრდებო.

ივანეს ძმა-ძმისწულები ბრაზისაგან კბილებს აკრაჰუნებდნენ, ითმენდნენ, მაგრამ ველარ მოითმინეს, როცა გულრუხელ მეგარმონესთან თინას ჩანადინარი გაიგეს. ის მეგარმონე სადღა არ ჰყვებოდა თურმე: ბუვრიანელ თინასთანა ქალი არ შემხვედრიაო, თვითონ ამიძღვა გრიგოლთ საბძელში და მიელი ღამე არ დაიძინა და არც მე დამაძინაო. აღდგენ და უთხრეს ივანეს: ამ შენ ცოლ თინაზე ცუდ რალაცეებსა ჰყვებიან და გააფრთხილე, ცოტა წესზე მოიქცეს, ხალხ-ქვეყანაში ნუ მოგვაყვივლებს, სოფელს ნუ შეგვირცხვენსო. მეტი გზა აღარა ჰქონდა ივანეს, როგორც იყო, შეებდა თინას:

— შენი ქირიმე, შენზე რალაცა გამაგონეს და მოერიდე, ხომ იცი, ხალხი რანაირია, ცოტასაც გააბევრებენო...

— რაო? — შეიცხადა თინამ.

— რა ვიცი, აბა, გულრუხელ მეგარმონეს რალაცეები ულაპარაკნიაო.

— ვინ გულრუხელი, რა მეგარმონე, მეგარმონესთან რალა მესაქმებოდა! ვინა მნახა, სადა და როდისაო! — შებტა და შემოტრიალდა თინა. — მოიყვანე აბა ერთი და პირზე დამადგეს, ვინ დედამა ასეთ ისეთმა მოგიყარა ენები! მაშ,

კაცს ველარ უნდა დაველაპარაკო ამათი შიშითა. ვაიმე, დედავ, დედავ, ეს რა ხალხში ჩავვარდი, დათვები, მხეცები! მე რომ არა, დღესაც ისევ სოროებში ისხდებოდნენ, საქმლის გაკეთებაც კიდევ მე ვასწავლე და, აბა, უყურე შენ ახლა ამათ, მადლობის მაგიერი? შური! შურისგანა სკდებიან, შე საწყალო, შენა, შურთ ჩვენი. სხვას რომ ველარაფერსა გვრჩებიან, ცილისწამებით უნდათ აგვირვი-დაგვირიონო.

ენა ჰქონდა თინას, ენა ჰქონდა, რომ კაცს ენით დააბამდა და ენით აუშვებდა. მოლესილი ენა ჰქონდა და ყბა ძალოს ქონით მოპოხილი. დღელამე რომ ექაქანა, არ დაიღლებოდა. ახლა როგორა ლაპარაკობდა — თეთრს შავად მოაჩვენებდა კაცსა და შავს — თეთრად. ეგერა — საქმე ტალახიანიო, სიტყვა ბრაქიანიო.

ალალი, მართალი გული ჰქონდა ივანეს, ყველაფერს უცებ დაიჯერებდა. თინასიც დაიჯერა და გულში ინანა კიდევ, რად ვუთხარი, რად ვაწყყინეო.

— არა, მე განა არ ვიცი ხალხის ამბავი, არც არა დამჯერებია, ჩემგან საწყენად არაფერი მიიღოო.

მეორე დღეს თივის სახვეტზე იყო ცოლ-ქმარი. შუადღის ხანს, როცა მზემ დააჭირა და ნათიბი გაფიცდა, ტყის პირას ჩრდილში წამოწვენენ. ივანეს ჩაეძინა. გამოეღვიძა და სადღაა თინა! იფიქრა, ალბათ გაიარაო და ისევ ჩასთვლიმა. კიდევ გაახილა თვალი და კიდევ არ ჩანდა თინა, წამოდგა, გაიხედ-გამოიხედა და ხედავს, ხაწირი ჩუჩუნებს. მივიდა და... წიწილათ იოსები და თინა! ფუო! — მიაფურთხა ივანემ და უცებ გამობრუნდა. — დაჯხოცავთო! — მერე იყვირა და ფიწლის მოსატანად გაჯანჯალდა. ამასობაში ისინიც წამოცვივდნენ, იოსები ტყეში შევარდა, თინამ ტანსაცმელი შეისწორა და ქმრისკენ გამოემართა. ივანემ დააგდო ფიწალი, დაჯ-

გიგი ხორნაშული  
შინძლია



და და ტირილი დაიწყო. მივიდა თინა, გვერდით მიუჯდა.

— რა იყო, კაცო, რა მოგივიდა არ შეიძლება მეზობელს დაველაპარაკო?! ივანე უხმოდ იწმენდა ცრემლებს, თინამ განაგრძო:

— კარგი, კარგი, შე ბეჩაო, შენა, რას იცრემლები, გამოჩერჩეტი, ჰკვა გამოგელიაო...

ივანე უცებ მარცხენათი წასწვდა თმაში და თავისკენ ვადმოხარა, მარჯვენა ხელი ტორივით დასცხო ბებრულად, გლახურად.

— შე უნამუსოვ, შენა, კიდევ ხმას იღებ, კიდევ მე ვარ ჩერჩეტი! რა გიყო, როგორ მოგკლა, შე ძაღლის შვილო, შენა! — დათვითა ბუზნიდა ივანე და მოქნეულ ხელს ძალას არ ატანდა. მაინც ვერ იმეტებდა. ურტყამდა, მაგრამ კი არ ურტყამდა, უცაცუნებდა, თითქო ეფერებო. თან ისევ ცრემლები ჩამოსდიოდა და ლულულუღებდა:

— რაღა გიყო, შე მკვლარძაღლო, შენზე აღარაფერმა გასჭრა. გაგავდო, როგორ გაგავდო, სად გაგავდო, ან ბალებს რა ვუყო? კაცი ვარ. კაცის გული მაქვს, განა შენსავით ძაღლის ჯიშისა ვარ. უნამუსოვ, შემარცხვინე, ქუდი მომხადე, ხალხში გამოსავალი დამილიე!

თინა გაიტვრინა. არად აგდებდა ივანეს ბაგუნსა და ცრემლებს. მერე უცებ მკლავეები ჩამოხვია კისერზე.

— ჩემი საწყალი ბებრუტუნა, მტირალა, — აჩურჩულდა თინა და ივანეც დადნა.

ამის შემდეგ მთლად ხელ-ფეხა გაეხსნა თინას, აღარც არავისი შიში ჰქონდა და აღარც რიდი. ივანემაც რაკი ერთხელ ხელი შეაჩვია, მერე მალმალე უბაგუნებდა. ერთხელაც თინამ აღარ დაუთმო და შეშის ნაჭერი სდრუზა ბეჭებში. მუჭარაც დაუწყო: აჰა, ბებერო ქოფაკო, ნახავ თუ არ ჩაგაძაღლო!

— ცოლი ქმარსა სცემდესო! ვის გაუგონია, ვის უნახავს მთაში ასეთი ამბავიო! ფუი, ეს რას მოვესწართო, ეს რა ვიხილეთო! — გაიძახოდნენ სოფლელები. მაინც ვერ გაიმეტა ივანემ, იქნე-

ბა ისევ მშვილობიანად როგორმე იკრივდებოდა, იქნება გონს მოვიდესო.

ივანემ ვერ გაიმეტა და... ერთ საღამოსაც დიდი წიოკი და აურზაური ისმოდა ივანეს სახლიდან. ხედავდნენ მეზობლები, როგორ მისდევდა ხან ივანე თინას და ხან თინა ივანეს. ჩარევაც სცადეს, არაფერი გამოუვიდათ. მეორე დღეს კი ხმა გავარდა სოფელში, ზამთრათ ივანე ძალიან ფინთად არისო. მიცვივდნენ ბიძაშვილები.

— რას იტყიებ, კაცო, რა დაგემართაო! — ეკითხებოდნენ, თორემ ისე კი ეჭვიც არ ებარებოდათ, თინასაგან იყო ავად.

— რა ვიცი, რა ჩამიძვრა, ამ გულმუცელში რაღაცა მგლეჯავსო; შულამისას გულის რევამ გამაღვიძა და მას მერე სულ ყელთავებზე კვიდივარო.

— შეგაცივდებოდაო.

ადგნენ და ხან დუღაგულის ყვავილი მოუღულეს, ხან თავშავა. აბა! ივანეს არაფერი ეწამლა, არაფერმა უშეღავათა. თანდათან უფრო უარესად გახდა. — არიქათ, კაცი გველუბება, ექიმთან წავიყვანოთო! — შეფუცხუნდნენ, როცა დანახეს, კაცი ხელიდან ეცლებოდათ, საკაცე შეუკრეს, ზედ დააწვინეს და წამოიყვანეს. მანქანის გზამდე, არავამდე უნდა ჩაეყვანათ და იქიდან კი შემხვედრი მანქანით — საავადმყოფოში.

სოფლის ბოლოს დალია სული. სანამ ისევ შინ მოასვენებდნენ. საზარლად გასივდა მკვლარი. აღარც სახე ეტყობოდა, აღარც თავი და კისერი. თმა სიმსივნეში ჩაეკარგა და გვამი რუმბს დაემსგავსა.

„დიდება შენდა, ღმერთო, ასეთი არაფერი გვინახიაო“, — თავებს იქნევდნენ დაზაფრული მეზობლები. ვიღაცამ თქვა, მოწამლულს სცოდნია ეგრე დასივბაო. ცოლის ოინები იქნებო, ეჭვობდნენ, სიმართლის გამგები კი ვინ იყო — ექთანნი ცოცხლებისათვისაც ძლივს ამოკვავდათ ათასში ერთხელ, მკვდრისათვის ვინღა ამოიყვანდა.

თმების გლეჯვითა და წივილ-კივილით

ქვეყანა შეძრა თინამ; ვითომ ასეთი მოყვარული ცოლი ქმარს სასიკვდილოდ როგორ გავიმეტებდიო. არავის სჯეროდა მისი არც ცრემლისა და არც მოთქმისა, მაგრამ თინას ეს სულაც არ აღარდებდა: სათქმელად ხომ ექნებოდა, ქმარი ასე და ასე დაეგითრეთ.

ქმარი დამარხა და მერე სულ თავი აიშვა. აღარც სახლ-კარი უღონებდა გულს, აღარც შვილები. ყველაფერი ღვთისა და თითისტოლა ბავშვების ანაბარა მიაგდო. თუ სადღე რამე თავყრილობას დაიგულებდა ხალხისას — ქორწილ-ნათლობებს, საღმრთოს, ნაღს, ქელებს — გადაიცვამდა თავის ერთადერთ წითელ კაბას და აღდგომის კვერცხივით გამოლუვდებოდა. იქ ვინმეს თვალს დაადგამდა, აეტორღილებოდა და მერე საბძლისკენ სადმე წაუძღვებოდა.

ვინღა არ იკვებოდა თინას წაწლობას. შექეფიანებული ვინც შეუშღერებდა: „ქალო წითელკაბიანო, შენთან წოლა მწაფიანო...“, თინა იმ ღამეს იმისი იყო.

ერთი ყველასათვის გაუგებარი უბედურება კი იყო თინას თავს: ვიღაცას დაუწაწლდებოდა, იყო ერთი მიღვენ-მოღვენაში, იმისთვის არაუერს იშურებდა; აღარ იცოდა, რა შეეკერა, რა მოექსოვა, რა ეჩუქებინა. ზოგ ცხოვრება-ქონებიანს სულაც არ სჭირდებოდა მისი ნაცოდვილარი, მაგრამ არა, თინა თუ ერთი თავს მოიგიჟიანებდა, თავის შვილებს უკანასკნელ ლუკმას გამოაცლიდა პირიდან და წაწალს თავისი ხელით ჩაუდებდა პირში.

აბა ასეთ ლუკმას ვინ რა გემოს ჩაატანდა, მშვიერი ბავშვების პირიდან გამოცილილი ლუკმას. შვინტილიკას შვილები კი ნახევარზე პანტა-მაჯალოსა და ბალახ-ბულახზე იყვნენ. რამდენჯერ ტყეში დაკარგულები ბიძას და ბიძაშვილებს ღამით უძებნიათ, მოუყვანიათ, დაუბურებიათ. ეუბნებოდნენ კიდევ თინას, — შინ რომ ბავშვი გიტყროდეს, ტაბლას გარეთ რა უნღაო, — მაგრამ თინა თავისას არ იშლიდა. მახლმა, ხთისიამ ერთხელაც დაუტია:

— ქალო, ბოზობას რომ გადაწყვიტ, ამ შვილებსაც ცოტა ყურადღება მიაქციეო! ჩემი ძმის ქონებას წაწლებს ატან, ბალები შიმშილისაგან გადაწყვეტილ-დაწოკებულები ტყედრეში დაწაწალებენო!

— მე ვიცი ჩემი ბალებისა, თქვენ არავინ რას გეკითხებათო! — კაპასობდა თინა.

ჰოდა, მოიგიჟიანებდა თავს თინა, წაწლობისთვის აღარაფერი ეზოგებოდა, ცდილობდა მეტი სიყვარული დაემსახურებინა, მაგრამ ყოველთვის საწინააღმდეგო გამოსდიოდა. სამი თვის ან ხუთი თვის შემდეგ წაწალი თინას ჩამოსცილდებოდა და რატომღაც მისი მლანძღველი და მაგინებელი ხდებოდა. თვალით დასანახად აღარ უამდათ, ყურით გაგონება აღარ უნდოდათ მისი სახელისა. დადიოდნენ და თინას ამპებზე ხალხს აცინებდნენ.

თავის მხრივ არც თინა იშურებდა სალანძღავ სიტყვებს გაორგულებული წაწლის მიმართ: წავიდეს ეგ გაფუჭებული, ეგ მაიმუნიო, მაგასთან დალაპარაკებაც არ უნდა მეკადრაო. ეგენი ყველანი ევეთები არიანო: მაგისმა დამ ნაბჭვარი გააჩინაო, მაგისი მამა ყაჩაღობაში ჩააძაღლესო, ბიძაშვილი არი და ბენდიანი ჰყავსო. და ვინ მოთვლის, რა საშინელებას აღარ გამოუგონებდა იმას, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ყველაზე საყვარელ ადამიანად მიაჩნდა და რომლის „კეთილ გულსა თუ კარგ კაცობაზე“ ლაპარაკით ხალხს ტვინს ულაყებდა.

ყველასაგან ათვალწუნებული თინა, ვითომც აქ არაფერიო, მეზობლებთან თამამად მიდი-მოდოდა. ზან ერთის კარზე იდგა ყელშეღერებული, წელში გადრეცილი, გაუთავებლად რაღაცას ყბედობდა, ვიღაცის სიცუდეს ჰკიცხავდა. ცოტა ხანი და ახლა სხვის კარზე აყაყანდებოდა. ერთხელ ვიღაცამა თქვა, ნამდვილი „შვინტილიკააო“ და იმ დღი-

**გიგი სორნაული**  
ვეინხლინა



დან სკოლის მასწავლებლის მეტი, ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახდა. მანამდეც ეძახდნენ რალაც ზედმეტ სახელებს: ქვენაურიო, წითელკაბიანიო, მაგრამ შვინტლიკა უფრო ზედგამოჭრით მოეგო.

ძმათა სახლები — ზამთარათ ივანესი და ხთისიასი — ახლოახლოს იდგა. საქარმიდამოები ტყრუშული ღობით ჰქონდათ შუაზე ჩასაზღვრული. ეს ღობე ერთ ადგილას გადასახლომ-გადმოსახლომად ჩატკეპნილი იყო, ჩადაბლებული.

სანამ ივანე ცოცხალი იყო, ძმარძლები, ბიძაშვილები ერთმანეთთან ხშირად გადად-გადმოდიოდნენ. სულ ერთად იყვნენ და ლუქმასაც კი უერთმანეთოდ არა ჭამდნენ. იყვნენ ერთ სიმეტკბილობაში.

მოკვდა ივანე, შვიტლიკამ თავი აიშვა და საერთოც აღარაფერი ჰქონდათ. ხთისიას დედაკაცმა ჯაგები მოათრია და გადასავლელი ჩაჯავა. თავის მხრივ არც შვინტლიკამ დააკლო: არც მე არაფერში მჭირდებოდა, — თვითონაც ჯაგი დაამატა ღობეს. ერთმანეთისას აღარც ავსკითხულობდნენ და აღარც კარგს, პირსუკან კი გიყვარდეს, ისინი ერთმანეთს ლანძღავდნენ, მაგრამ შვინტლიკასთან ლანძღვაში და ლაპარაკში რა გაუვიდოდათ. რას არ გამოუფიქრებდა, რა ჭორს არ გაუვრცელებდა. ერთხელ, მაზლის-შვილებმა გამქურდესო, ატყდა, ივანეს ქამარ-ხანჯალი მომპარესო. ამაზე დაქამდაგლიჯეს ერთურთი, მერე ის ქამარ-ხანჯალი აფშოველ კაცს, შვინტლიკას ნაწაწლარს უნახეს წელზე. ისიც ეთქვა შვინტლიკამ მაჩუქაო. შვინტლიკამ იუარა: მე კი არ ვაჩუქე, მაზლის შვილებმა მომპარეს და იმას მიჰყიდეს, ჩემი აქედან ვაგდება უნდათ, ჩემი ეზო-კარის დაპატრონება და ხრიკებს მიწყობენო.

— არაო, გაანებეთ თავიო! — დაამოშმინა ხთისიამ შვილები, — სინდის-ნამუს გარეცხილი ქალია, მაგასთან ვერაფერს გააწყობთო.

გაანებეს თავი და გაანებეს. მარტო ხანდახან, როცა შვინტლიკა შინ არ იყო,

იმის მშვიერ ბალებს, თავისი შვილებს, დაუძახებდა ხთისიას ცოლი და საჭმელს აჭმევდა. როცა თიბვის დრო მოვიდა, ხთისიას შვილები, ნიკო და ლევანი გადავიდნენ ბიძის ეზოში და აყვირებული შამბნარი მოთიბეს. შვინტლიკას ხმა არ ამოუღია.

მეორე წელსაც დადგა თიბვის დრო. სისხამი დილა იყო. ხთისია და მისი შვილები თავის კარზე ცელებს ამზადებდნენ, მთაში მიდიოდნენ სათიბად. ნიკომ დაინახა პირველად, შვინტლიკას ეზოს ვილაც თიბავდა.

— ეჭე, ვინა სთიბს ამ ეზოს? — შესძახა გაცეხულმა.

ვილაცა თეთრპურანგაიანი გულდაგულ უსვამდა ცელს. აიჯაგრნენ მამა-შვილები.

— წიწილათ იოსებს რალაცა ჰგავს! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა. ლევანმა და ცელი მიაგლო.

— უყურე შენ ამას! მიდიო, უთხარიო, დაიკარგოს მანდედანი! — ბრაზისაგან ხმა აუკანკალდა ხთისიას. მიდიოთ, ამის თქმა აღარ უნდოდა. ქმები ღობესთან მიიჭრნენ.

— ბიჭო, რად სთიბ მაგ ეზოს?! — უყვორა ლევანმა.

— როგორ თუ რად ვთიბ, თივა მინდა და ვთიბ! — დიდგულზე დაუხვდა იოსები. აღრეც წალაპარაკებულები იყვნენ შვინტლიკას თაობაზე. თავისით არც შემოვიდოდა აქ იოსები, იცოდა ხთისია და ხთისიას შვილები არ მოუთმენდნენ. მაგრამ რაკი შვინტლიკამ უთხრა, გათიბეო, უკან აღარ დაიხია, არა თქვან, შეეშინდაო. შვინტლიკა კი სწორედ მაზლის და მაზლის შვილების ჯიბრით აკეთებდა ამას.

— მერე ვინ გათიბინებს, რო სთიბ?! — ხმას აუწია ლევანმა.

— ვისიც არის, ის მათიბინებს! — ხმას აუწია იოსებმაც.

ლევანს ბრაზი მოაწვა, ცოტა ხანს უხმოდ უბღვეროდა იოსებს.

— შენ ის შეგვრჩეს, რაც მიჰქარე და ეხლა ზედმეტებში ნუ მიდიხარ, გირჩენია, კარგით გახვიდე მანდედანი!

— რას მიზამთ, რომ არ გავიდე?! —  
იოსებმა თიბვა განაგრძო.

— მოშორდით მანდედანა, თქვე მაი-  
მუნებო, თქვენა, ჩემ ეზოზე ვინ გაუფ-  
როსებთ, მე ვისაც მინდა, იმას გავათიბ-  
ინებ! — სახლიდან საიდანღაც აწიწინდა  
შვინტილია.

— კაცო, ნუ ხდი ხათაბალას, გაანებე  
ეზოს თავი! — მთელი ხმით დაუღრიალა  
ლევანმა.

— რას ღრიალებ, რო ღრიალებ! —  
შემობრუნდა იოსები, — არ გამოვალ!

— ოხ, შენი!... შეჰყვირა ლევანმა და  
ღობეს გადაევლო. იოსებმა ცელი მიაგ-  
ლო და ეცნენ ერთმანეთს. ჯერ მჭიდები  
დაუბაგუნეს ერთურთს, მერე შეძიგვი-  
ლავდნენ. იგრძნო ლევანმა, იოსები  
დასძლევადა, ჯიბიდან ცალი ხელით ამო-  
იღო დანა, კბილით გახსნა და თავზე  
გადმოუსვა. ბასრმა დანამ ცელგამოკ-  
რული ქუჩივით ჩამოაბნია ქოჩორი და  
სისხლმაც ითქრიალა.

— დამქერი! — იყვირა იოსებმა, იძ-  
რო ქამარზე შებმული დანა და ახლა  
იმან ჩამოუსერა თავ-ყბა. სისხლმა ჩა-  
მოუტბორა ლევანს ყელ-კისერი. ნიკომ  
იოსების ცელი დაამტვრია, ხელში შერ-  
ჩენილი ტარის ნატეხი იოსებს დასცხო  
მკლავში და დანა გააგდებინა. ტკივი-  
ლისაგან დაკეცილს, ახლა ლევანმა შე-  
მოჰკრა და ჭინჭარში ჩააგორა.

— ძმია ვარ ძმისა! დედას გიტირებთ,  
ზამთარანო! — გაისმა ყვირილი. მოიხე-  
დეს და იოსების ძმა ბეწიწური მოვარდა  
ხელდაშინანი. მოვარდა ხთისიაც ხმალ-  
შიშველა: ბეწიწური აღრევე დაენახა და  
გზის მოსაპრელად გამოქცეულიყო. იდა-  
ყვიდანა და მაჯიდან იქნევდნენ, საკეჰ-  
ნავად. თავში უწვდინა ხთისიამ. ბეწი-  
წურმა არად ჩააგდო ჭრილობა. ახლა  
ყბის თავზე დაჰკრა ხთისიამ. გამწარდა  
ბეწიწური და მთელი ძალით დაუქნია,  
სასიკვდილოდ. ხთისია მარჯვედ უფარე-  
ბდა თან აფრთხილებდა:

— დინჯად, ბალღო, წესზე მოიქნე!  
განზე მღგომმა ნიკომ რა დაინახა  
ჩხუბის წესს გადავიდა ბეწიწური, აწე-  
ულ მარჯვენაში შემოჰკრა ცელის ტარი

და მისმა დაშნამაც ღორღებზე გაიწკ-  
რიალა.

— რატო იქნევ სასიკვდილოს, ჰა, შე  
ფურო, შენ, ახი არ არის, რო ტვინი  
გაგასხმეინოს კაცმა! — შეუყვირა ნიკომ  
და კიდევ მოუღერა ცელის ტარი.

მოკვივდნენ მეზობლები, ბიძაშვილე-  
ბი. ზოგი გასაშველებლად მობზოდა,  
ზოგი მისაშველებლად. ატყდა ერთი  
წიოკი, ხევწნა, მუდარა, ჭავრობა.

— კარგით, სუთ, გეყოფათო, სირც-  
ხვილიაო, ხომ არ უნდა ჩახოცოთ ერთ-  
ურთითო, გონთ მოდით, კაცები არა ხარ-  
თო, ვის გაუგონია მეზობელ-ბიძაშვი-  
ლობაში ხმალ-ხანჭლობაო, ძაღლთა-  
მჰამლობაო. ეს სულ ამ უნამუსოს ბრა-  
ლიაო, მაგ ასეთ-ისეთისაო. რა გახდა, ეგ  
ველარ მოვაშორეთ აქაურობასა, არია  
გადარია სოფელიო, რას აკეთებსო, რას  
შვრება, ეგ გველაძუა, ეგაო!

— მორჩაო! — ჩაილაპარაკა ხევის-  
ბერმა ბახამ, — მეტის მოთმენა აღარ  
შეიძლებაო.



მარიამობა დღეს, იმ ჩხუბიდან ერთი  
თვის მერე, ბუფრიანელები თავისი სა-  
ლოცავის, კევზორის წმინდა გიორგის  
კარზე შეიყარნენ. ყველა აქ იყო, ქალი-  
ცა და კაციც, დიდიცა და პატარაც.  
ქალ-ღიაცები საჯარეს ისხდნენ, ხატის  
ბოლოზე, თელებით მოჯარულ ვაკე აღ-  
გილას, კაცები ხატის კარს მიგროვილი-  
ყვნენ. დღეს აქ სოფელს, გარდა დღეო-  
ბის ჩატარებისა, კიდევ ორი რამ ჰქონ-  
და გასაკეთები: ნახუბრების შერიგება  
და შვინტილიას მოკვეთა. მწვანეზე ჩა-  
მომსხდარი კაცები „პრიმას“ აბოლებ-  
დნენ. ელოდებოდნენ ხევსბერ ბახას,  
რომელსაც ჩოქითა და პირჯვრისწერით,  
სანთლების ნთებითა და ლოცვით უნდა  
გამოესვენა ხატის დროშა.

ბახამ ზარს ჩამოჰკრა. ყველანი ფეხზე  
წამოიშალნენ, ქულები მოიხადეს, პირით  
ხატისკენ შებრუნდნენ და პირჯვარი გა-

გიმი ხორნაული  
შვინთაიკა

დაიწერეს. სანამ ბახა მძიმ-მძიმედ რეკავდა ზარს, უფროსები გამუდმებით ბუტბუტებდნენ, ხატს ოჯახის მფარველობასა და კაც-საქონლის სიმრთელეს ევედრებოდნენ.

ახალგაზრდებმაც გადაიწერეს პირჯვარი, მაგრამ ჩურჩულით არაფერს ჩურჩულებდნენ. მათ პირჯვრის წერაში არ ჩანდა მამაპაპური გულმოდგინება. ამასაც, რასაც აკეთებდნენ, აკეთებდნენ ნაძალადევად, უფროსების სათვალფროდ, მათ დასანახად. ღმერთი არ სწამდათ, და რომ არ სწამდათ, ეს უფროსებმაც კარგად იცოდნენ. ადრე და ადრე სწყინდათ კიდევ უფროსებს: ურწმუნო შვილისა რალა იმედი უნდა გქონდეს, მოვა და ყელს გამოგჭრისო, ურწმუნო კაცის კაცობა სადა თქმულაო. ახლა კი მათი ურწმუნობაც თითქო ისე აღარ აწუხებდათ, წყენას აღარ იმჩნევდნენ. და იმისი გრძნობა, რომ მამებმა, თუ პაპებმა იცოდნენ მათი ურწმუნობა, შვილებს ხატის წესების შესრულების დროს ერთგვარად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ორ ცეცხლს შუა იყვნენ: გადაიწერდნენ პირჯვარს, ვიღაცა გულში იტყოდა—შენმა მზემომ! არ გადაიწერდნენ და კიდევ უარესი. და ეს ერთგვარი, აუცილებლად შესასრულებელი პირობითობა იყო, ხატში მისვლისას რომ ბოჰკავდა ურწმუნო მლოცველს. უხერხულობის გრძნობა იპყრობდა სიყალბის ჩადენისა და კიდევ, უცოდინრობა ამ წესის შესრულებსა: არ იცოდნენ, როგორ უნდა გადაეწერათ პირჯვარი: მარცხნიდან მარჯვნივ, თუ მარჯვნიდან — მარცხნივ, რამდენჯერ უნდა გადაეწერათ, არც ლოცვა იცოდნენ და არც წესი.

არც მაინცდამაინც უფროსებს ემჩნეოდა ის წინაპრული თავგადაკლული მორწმუნეობა. ისინიც უფრო მოვალეობით ასრულებდნენ ხატის სამსახურს. და ამისთვის ხანდახან ვერც კი იცლიდნენ. საქმე კიჰართლაც ბევრი ჰქონდათ, თავისი თუ კოლექტივისა. ხატს თითქო დაჰკარგვოდა ძველებური ძალა, ანგელოზებს თითქოს მიეტოვებინათ თავისი

ძველი საბრძანისი. კერაჩამქრალ, მიტოვებულ ნასახლარს ჰგავდა, ვინაიდან დროს ასე ძლიერი, ერთგულთათვის უსაზღვრო იმედისა და ძილის მიმნიჭებელი, ხოლო ორგულთათვის რისხვის-დამტეხი „ჯვარი“. წინაპართათვის მხოლოდ ეს პატარა ნიში კი არ იყო ხატის საბრძანისი, არამედ მთაც ხატის საბრძანისი იყო, მთაც წმინდა იყო და ეს ნიშიც მთასავით ვეებერთელა, მთასავით ბუმბერაზი და მთასავით ზვიადი ჩანდა. აქ, ამ წმინდა მთაზე, იმედითა და ძრწოლვით ამოდიოდნენ სასწაულებისა და საოცრების მომლოდინენი. ამ ნიშს შესცქეროდნენ, როგორც ზესკენელ-ქვესკენელთან დამაკავშირებელ სადგურს, როგორც იღუმალებათა სამყაროში გადასახედს. ამ ნიშში ქადაგებისბრები ღმერთს ხვდებოდნენ, ესაუბრებოდნენ და მერე ხალხს გამოუცხადებდნენ მის ნება-სურვილს. აქედან იგებდნენ ღმერთს რა სურდა თავის ყმათავან, რა მოსწონდა მათი, ან რა არ მოსწონდა. აქ მოსულნი თვითონაც დროებით ერწყმოდნენ ამ მითითურ, ჯადოსნურ სამყაროს.

ახლა კი, გაძარცვული და ნახევრად მივიწყებული, სახურავაბალახებული, ხავსმოკიდებული, შავფერი ნიში, მიტოვებულ სასაფლაოს უფრო მოაგონებდა კაცს. აქ მოსულ ხალხსაც იმდენივე კრძალვის გრძნობა თუ უჩნდებოდა გულში მის მიმართ, რამდენიც უჩნდებოდა შებინდებისას სასაფლაოსთან გავლილ მგზავრს.

ბახამ დროშა სასანთლესთან მიიყუდა, კელაპტარი ანთო, კიდევ გადაიწერა პირჯვარი, წამოდგა, ხალხისაკენ შებრუნდა და მთელი ხმით, ქალებსაც როგორ გაეგონათ, დაიძახა:

— წყალობათ ხატისა, ხალხნო!

— შენ იყოს მწყალობელი, შენის თავისა! — გაისმა პასუხად არეული ხმები.

— საკლავები მორეკეთო, — თქვა ბახამ. ქუდმოხდილმა ხელში ანთებულ სანთელი დაიჭირა და „დიდება“ წამოიწყო, მოიხსენია საქართველოს მთისა

და ბარის სალოცავები, მთლად საქართველოს სალოცავები. საკლავებს თავები დაჰკრა; მერე ქადა-სანთლებს მიხედა, თითოეული ოჯახი შეავედრა დედა მარიამს. ბიჭებმა თავთავისი ზედაშე ჩამოატარეს.

ბახამა თქვა და ნაჩხუბართა საქმის გარჩევა დაიწყო. ბიჭებმა კრილობები ქერის მარცვლებით დაზომეს. ლევანის სახის კრილობა მეტი აღმოჩნდა ხუთი მარცვლით და ხუთი ძროხა დაეკისრა ოსებს, კრილობის მიმყენებელს. „ხუთ ძროხას საიდან მოუყვანს, როცა ორ ძროხას მეტის ყოლების ნებს არ გვაძლევნო.“ ადგნენ და ძროხები სპილენძზე გადაიყვანეს: ძროხა ოთხი გირვანქა სპილენძი ღირდაო, სპილენძი ეხლა სამი მანეთი ღირსო. ხუთი ძროხა თხუთმეტი მანეთი გამოვიდა.

— მივცემო, — თქვა ოსებმა.

უფროსებმა სავსე თავებით დალოცეს შერიგებულნი. მათაც ერთურთი გადაკოცნეს.

— აბა, საჩხუბარი ჩვენ რა გვქონდა, ივანეს ცოლის მაიმუნობა რომ არაო.

— დაუძახეთო, — ჩაილაპარაკა ბახამ.

პატარა ბიჭს წამოკრა ხელი გოგიამ, ჩაირბინეო. შვიტლიკას ქადასანთლები უკან წააღებინა ბახამ და მამის დაწყებული ქოთქოთი კიდევ ისმოდა საჯარეს. ქოთქოთით მოდგა სამამაცო მიჯნასთან.

— ჰო, აბა, რა გინდათ?!

ცოტა ხანს ბრაზიანად მიაჩერდა ბახამ. უცებ გაიფიქრა, რომ ამ ქალის მოკვეთა კი არა, ხიდის ყურზე გაყვანა იყო საქირო და ჩაქოლვა.

— სოფელმა შენი მოკვეთა გადავწყვიტეთ.

— ძალიანაც არ მადარდოთ!

— მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. სანამ შენ შენს ჰკვავებ იყავ, სოფელსაც უყვარდი, პატივსაც გცემდით, ვაფასებდით. მას მერე კი, რაც შენი უნამუსობით ზამთართ თავს ლაფი დაასხი, ჩვენი სოფელი მთელ საარავგოზე მოსთხარე და მოაყიდე, აღარ გვინდინარ! რანაირად აღარ ვეცადეთ, კარგითაც. ცუდითაც, შენზე არაფერმა გასჭრა! რა

ხარ, რის ჯიშისა ხარ?! ეს მთები კი გადავ-გადმოვა, გასწორდება, შენი გასწორება არ იქნება! შენი ცუდობით, შენი ენით და შენი ქცევით ხალხიც არიე და გადარიე, ერთურთს გადაჰკიდე!

— მე რად გადავკიდე, ძაღლ-ციცეები სულ ეგრე ღერდენ ერთურთს! — ბახას ბუხუნა ხმას შიგადაშიგ ერთვოდა შვინტლიკას წიკვინი. — მე გადმომაბრალეთ, ჰო, თქვენი სიმურჯლე!

— ქალო...

— მე რაღა ვარ მოსაკვეთი! მოსაკვეთი მე კი არა, ეგვენი არიან ეგ ჩემი მაიმუნი მახლ-მახლიშვილები! განა არ ვიცი, რის მუტლისტიკვილიც აქვთ — ჩემი ეზო-კარი უნდათ, ეგვენი გაქეზებნით, ეგვენი ვერ შეესწრებიან! ერთი არ მინდა, ღობეს გადმოაღვან ფეხი და იმ ჩემ ეზო-კარს მაგათ საფლავად ვაქცევ! თავად ქურდები და თავად ბოზები!

— ქალო, ჩაიწყვიტე ხმა, შე!.. — დაუყვირა ბახამ და შავად ჩამოხურულ წარბებზე შემბრაზით აუელვარდა თვალები. კაცებიდან ხმა არავის გაუღია, საჯარედან კი მოაწყველა ხთისიას დიაცმა.

— სოფელ-ქვეყანა მოწმე მახლ-მახლიშვილებთან სამღურავისა არაფერი გეტქმის, — განაგრძო ბახამ, — ათასჯერ გითხრეს: ოლომც ნუ შეგვარცხვენ და გინდა აქ ვინმე მოიყვანე, გინდა გათხოვდი, სხვაგან წადი, ამ ბაღლებსაც ჩვენ დავზრდით, სახლ-კარსაც შეუნახავთ!

— მერე მაგათ ვინ ეკითხება ან ჩემსას, ან ჩემი შვილებისას! მე როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ!

— ჰოდა, როგორც შენ გინდა ისე რომ ცხოვრობ, მაგიტომ უნდა მოგიკვეთოთ!

— მერე რაღას უყურებთ, მომიკვეთეთ! ხა-ხა-ხა-ხა! თქვენ რა ხართ. თქვე დათვებო, თქვენი ხატი რა უნდა იყოს, თქვენი მოკვეთილი! მოკვეთილები არა ხართ, აბა რა ხართ!

---

გიმი ზორნაშლი  
შვინტლიკა

— სუ, შე უნამუსოვ შენა! — მთელი ხმით დაუღრიალა ბახამ, — ფუ, შენი ჯიში დაიქცა, შენი! — ბებრულად მიბრუნდა-მობრუნდა, — ხალხნო! ააცეთ თასები, სანთლები აანთეთ!

კაცებმა ცალ ხელში სავესე თასები დაიჭირეს, ცალში — ანთებული სანთლები. ბახამ ზანზალიყებასამული დროშა შეაქრიალა:

— ხალხნო! რისხავდეს ჩვენი სალოცავი თინა წითლაშვილსა!

— ამინ! — შესძახეს ერთხმად.

— იპ-იპ-იპ, ჭირი და გაწყვეტა თქვენა! — ბზმუკუნებდა შვინტლიკა.

— წმინდა გიორგიმ დალახტოს და დაშამათოს, ვინც დღეის იქით მაგას უმეზობლოს, სახლი ეწვოდეს და ცეცხლი ჩაუქროს, პური შიოდეს და პური მიაწოდოს, წყალი სწყუროდეს და წყალი მიაწოდოს, წინ შეხვდეს და ხელის მომართვა უთხრას!

— ამინ!

— ვინც სოფლის პირი გატეხოს, ასე ჩაქრეს მისი ოჯახი! — ბახამ სანთელი თასში ჩაშრიტა. სხვებმაც იგივე გააკეთეს.

— ასე დაიღვაროს მისი ოჯახი! — დაღვარა ბახამ თასი და სხვებმაც დაღვარეს.

— თქვენი ოჯახი დაიღვაროს, თქვენი, თქვენი თქვენი! — ანჩხლობდა შვინტლიკა.

— ქალო, რა ორღობის ძაღლივით კბილებს გვიკრეჭავ, წადი. დაიკარგე აქედანა! — უყვირა პავლემ, შეშის ნატეხს წამოაელო ხელი და შვინტლიკას სტყორცნა.

მაშინ კი ყველა ქვასა და ხეს წაეტანა. დედაკაცებიც უკან მიიღვედნენ და ესროდნენ, რაც ხელში მოხვდათ. შვინტლიკა თავდაღმე მითახთანებდა, დროდადრო შეჩერდებოდა, უკან მოიხედავდა, ყბებს დაუბრეცავდა, დაეჭყანებოდა უკან ადევნებულ ხალხს და ანიშნებდა: აი, თქვენი მოკვეთა, აი, თქვენი ნასროლი ქვებით!

ვილაცის ზუსტი ნატყორცნი ბეჭებმა მოხვდა შვინტლიკას. ტკივილისაგან

ცოფმორეული შემობრუნდა და შვინტლების ქნევით დამუქრა:

— აი, ქალი არ ვიყო, თუ დედაბუღიანად არ გადაგბუგოთ! ეხლავე ცეცხლს მივცემ თქვენს საბძელ-კალოებსაო!

ცოტაზეც კიდევ ჩასდიეს და მერე ხატისკარსვე შემობრუნდნენ, ილანძღებოდნენ, ეცინებოდათ. ვილაცამ გაიხსენა შვინტლიკას მუქარა „ცეცხლს მივცემ თქვენს საბძელ-კალოებსაო“ და შეფიქრიანდნენ: რას გაიგებ, მაგ სულელისაგან ყველაფერი მოსალოდნელიაო. ჩვენ ვიკითხოთ, თივითა და ჩალით გამოტენილი საბძლები ვისაცა გვაქვს, თორემ მაგას რაში ენადვლება თავისი გამოფხეკილ-გამოცარიელებული სახლ-საბძელიო.

— ვერც ეგრე იოლად ვაბედავსო, — ზოგმა თქვა, — თვითონაც იმ ცეცხლში ჩაიბუღებო.



შვინტლიკას მოკვეთის დროს თითქოს რაღაცა მიძინებულმა ძალამ იფეთქაო ხალხში. წუთით შეიკრა სოფელი. ერთი ფიქრი ჰქონდათ და ერთი პირი. იმ დროს ყველას ბრაზი და ზიზღი მოჰკვარა შვინტლიკას საქციელმა, ქვების სროლით მისდევდნენ ისინიც კი, ვისაც აქამდე გულთან არ მიუშვია სოფლის საწუხარი. ეს იმ დღეს, იმ წუთებში. მეორე, მესამე დღეს კი ზოგ-ზოგებს შვინტლიკასთან შეხვედრისა თვითონვე რატომღაც ერცხვინებოდა. წინ შეგოხვედრილს თვალი ვერ აარიდეს, უსალმოდაც ვერ გასცდნენ. ჩუმად ესალმებოდნენ, მაღლულად. თავის გასამართლებლად კი შინაურობაში ამასაც ამბობდნენ:

— ეჰ, კარგით ერთი, რაღა დროს მოკვეთაზე ლაპარაკია, განა ისევე ძველი დროაო. თუ მოვიკვეთეთ, მაშინ სოფლიდანაც უნდა გაგვეგლო, სახლ-კარი გადაგვეწვა. ამის ნებას ვინ მოგვცემსო! ერთს ვაკეთებთ, მეორეს აღარა, ეგრე რა გამოვო! თუ მოკვეთა იყო, მაშინ წიწილათ იოსებიც უნდა მოგვეკვეთათ! ჯერჯერობით მხოლოდ ერთეულები

ფიქრობდნენ ასე. უმეტესობა კი მოკვეთის წესს მტკიცედ იცავდა. შვინტლიკას არ ესალმებოდნენ და სიახლოვესაც არ იკარებდნენ, თავყრილობაში არსად აჭაჭანებდნენ. ეს იქ, სადაც თვითონ ეკითხებოდათ, მაგრამ ვის ჰქონდა იმის უფლება, კოლექტივის კრებაზე არ მიეშვა შვინტლიკა. მისი მოკვეთის მერე ორჯერ იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელში, ორჯერ ჩატარდა კოლმეურნეობის კრება და ორჯერვე საუფროსოში იჯდა შვინტლიკა.

თამარ მასწავლებელს დილით არ ეცალა და სამხრობის ხანსა და რეკარების ზარი. მშობლებმა პირჯვარი გადაიწერეს, ბავშვებმა კი სკოლისაკენ მოუსვენეს. ძველად ბუფრიანის სკოლის ადგილას პატარა საყდარი მდგარიყო, მერე, პირველად მოსულ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ეს საყდარი დაეგზრევიდნენ და იმავე მასალით სკოლა აშენებინა. საყდარის ზარიც სკოლის ზარად დაეკიდათ. ამიტომ უფროსები სკოლის ზარის რეკვაზე უნებურად პირჯვარს იწერდნენ ხოლმე. და ეს, ალბათ, იმიტომაც არ ეთაკილებოდათ, რაკი სკოლაც მათი შვილების სწავლების ადგილი, ერთგვარად წმინდა ადგილად ესახებოდათ. თამარ მასწავლებელსაც ღვთის მსახურივით უზომო მოწიწებით ეპყრობოდნენ. ბაბა და სხვა კაცები ქუდეებს მხოლოდ ხატში ლოცვისას და თამარ მასწავლებელთან საუბრისას იხდიდნენ. ხატის ნიშნით რიდი ჰქონდათ სკოლისა, მეცადინეობის დროს ვინ გაბედავდა იქ ფეხის შედგმას შვინტლიკას მეტი.

სკოლის შენობა სულ ორთახიანი იყო. პატარა ოთახში თამარ მასწავლებელი ცხოვრობდა, დიდში დაფა ეკიდა, ექვსი მერხი და ერთი მაგიდა იდგა. სკოლა ოთხწლადი იყო და მონაცვლეობდა ორ-ორი კლასი: ერთ წელს რომ პირველ-მესამე კლასები იყო, მეორე წელს-მეორე და მეოთხე. ეს ორი კლასი ერთ-დროულად მეცადინეობდა. ერთ მხარეს, — სამ მერხზე, ერთი კლასი იჯდა, მეორე მხარეს, მეორე სამ მერხზე-მეო-

რე კლასი. იმ წელს მეორე და მეოთხე კლასები იყო. თამარ მასწავლებელმა მეორეკლასელებს მაგალითები დაუწერა დაფაზე — ვადაიწერეთ და გამოიყვანეთო. მერე მეოთხეკლასელებს მოხედა და ისტორიის გაკვეთილის გამოკითხვა დაიწყო.

უცებ კარი შემოაჯახუნა შვინტლიკამ. უეცარმა ხმაურმა შეაკრთო ყველა. თამარ მასწავლებელმა მწყრალად შეხედა, მაგრამ არაფერი უთხრა—რა აზრი ჰქონდა ტყუილ ლაპარაკს. განა ერთხელა და ორჯერ სთხოვა: მეცადინეობის დროს ხელს ნუ შემიშლიო, მაგრამ შვინტლიკა დამცინავად ქირქირებდა: ნეტავი შენა, მგელ-დათვის შვილები მაინც ვერაფერს ისწავლიანო!

— თამარ, ამა გამომართვი! — გაზეთები და ქალაღში შეხვეული რაღაც გამოუწოდა.

— ამოვიდა სოლომონი? — ჰკითხა თამარმა და მთელი კვირისა გაზეთები ჩამოართვა. — ეს ქალაღში შეხვეული რაღაა?

— არ ვიცი, საბჭოს თავმჯდომარეს გამოუტანებია.

გახსნეს, გაშალეს და აფიშა აღმოჩნდა. თეთრ ქალაღზე დიდი წითელი ასოებით ეწერა: „19 მარტს კოლია მალაკელიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კვება და მისთან დაკავშირებული პრობლემები“.

— აბა, ბიჭებო, გამოვაკრათ, — მეოთხეკლასელებს გადახედა თამარ მასწავლებელმა.

ბიჭებიცა და გოგონებიც უცებ წამოიშალნენ. სწორედ გაკვეთილის დროს გარეთ გამოსვლა და მასწავლებლისაგან რაიმე სხვით დასაქმება, რაღაცა გაურკვეველ, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ბავშვებს. სვიმანმა სულ სირბილ-სირბილით ჩამოიტანა შინიდან ჩაქუჩი და ლურსმნები, კიბე გზის მხარის კედელზე მიაყუდეს და გაკვრა დაიწყეს. თამარ

მასწავლებელი და შინტლოკა განზე გადგნენ, რათა შეეხედათ, სწორედ აკრავდნენ თუ არა. ბოლო ლურსმნებიც ჩააქვდა სვიმანმა.

— ეხლა ჩამაივლის მამაშენი და ჩაბუღბუღებს! — გადაიხარხარა შინტლოკამ.

— „შ“... — უკანმოუხედავად წაიშინა კიბეზე ასულმა ბიჭმა. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ეს „შ“ „შინტლოკას“ ნიშნავდა.

— ბალო, შ-ს მოგცემ შენა და შავს მიწას შეგაქმევ თუ გამოვიუსუენ ეს ლოდი, იქნება ტვინი კედელზე შეგასხმენი!

— სვიმან! — შენიშენა მისცა თამარ მასწავლებელმა.

— რატომ მილანძავს მამას, მასწავლებელი! — გაბრაზდა სვიმანი.

„რვა კლასი მაქვს დამთავრებულიო“, იკვებოდა ხოლმე შინტლოკა და თავი განათლებულს; გამოსულ ქალად მოჰქონდა. „მოკვეთისა კი არა, მეტის ღირსი ვარ, მაგათ რომ თავი გავუყადრეო“, — ეტყოდა ხოლმე თამარს. თამარს ძალიანადაც არ სიამოვნებდა შინტლოკასთან მეგობრობა და სიახლოვე, მაგრამ რას იზამდა. ებრალებოდა. სოფლისაგან მოძულებული, გაუბედურებული ქალი. ებრალებოდა და ეშინოდა კიდევ მისი შემომდურებისა — იცოდა, ერთი მისი წყენინება და ქვეყნის ჭუჭყსა და სიბინძურეს დაბერტყავდა თავზე. შინტლოკა ყოველნაირად ცდილობდა განათლებულ, კულტურულ ქალად მოეჩვენებინა ყველასათვის თავი. ამას განსაკუთრებით თამართან ცდილობდა. სულ არაფერზე უცებ ჩამოუგდებდა ოდესღაც წაკითხულ წიგნზე საუბარს, რომლისა აღარც სათაური ახსოვდა და აღარც შინაარსი. რაღაცა კინოზეც დაიწყებდა ლაპარაკს, რაღაცა კაბების მოდებზეც და ყველაფერში იმდენ უგემოვნობასა და უცოდინრობას ამჟღავნებდა, რომ თამარი უხერხულობისაგან წითლდებოდა. შინტლოკას მაგივრად რატომღაც თვითონ წითლდებოდა, მისი საცოდაობით იწვოდა, როცა ახსენდე.

ბოდა ახალ მოდებზე მოლაპარაკე ქალის მშვიერ-ტიტველი შვილები.

ჩამოსულის შეხედრა-დაბინავება სოფლის ბრიგადირს, ყუდიასა, და თამარ მასწავლებელს ჰქონდათ შემონათვალისაბჰოს თავმჯდომარისაგან — აბა თქვენ იცითო! ისინიც ფაციფუტობდნენ. ხინკლის თადარიგი დაიჭირეს, ყუდიამ ზვარა დაკლა, ლუდი და არაყი მოიმარაგა.

სალამონხანს შემოჩნდნენ სოფლის ბოლოზე. გრძელპალტოიანი, მაღალ-მაღალი კაცი მოუძღვოდა სოლომონს. ცალხელში პორთფელი ეჭირა, ცალით გრძელ ლობიოს სარს მოიბჯენდა. ტუფლ-კალოშიან ფეხებს ვანგან მოათხვლაპუნებდა თოვლჭყაპში. მასპინძლები შარაზე გამოეგებნენ. — აჰ, ბატონი კოლია მოდისო, — თქვა თამარ მასწავლებელმა.

— მოვეკდი, ქალბატონო თამარ! — ხმამაღლა დაიძახა კოლიამ და ოფლიანი შუბლი თეთრი ცხვირსახოცით შეიმშრალა.

დამხვდურებმა გაუღიმეს, მიესალმნენ. კოლიამ სათითაოდ ჩამოართვა ყველას ხელი.

— ცუდი გზებია, ან კი როგორ იართ! — გაუზვიადა ყუდიამ.

— უჰ, ნულარ იტყვიო, ეს რომ მცოდნეყო, აქ რა წამომიყვანდა!

მოიხედეს და უცებ შინტლოკაც იქ არ დაერქო მოკობტაულ-მოპრანჭული! პალტოს შიგნიდან თავისი წითელი კაბის საყულო მოუჩანდა, ფეხებზე ბოტები ჩაეცვა. მისა და მასწავლებლის მეტს არც არვის ჰქონდა ბოტები მთელ სოფელში. ძველი ნაცნობივით შესცინა კოლიას, ხელი ჩამოართვა და შეიცხადა:

— უიმე, როგორ დაიღლებოდი, ბიჭო, ჯოჯოხეთის გზა-ჭალაა. სად არის გადმოკარგული ეს სოფელტიალა!

— მართალი ვითხროთ, ასე არ დავდლილვარ ჩემ სიცოცხლეში, მაგრამ არაფერია! — გულიანად შესცინა კოლიამ და მოუტირდებლად ჩააყოლა თვალი შინტლოკას.

— წავიდეთ შინ! — დინჯად ჩაილაპარაკა ყუდიამ.

— კი ბატონო, ოღონდ დღესვე როგორმე შევეკრიბოთ ხალხი თუ შეიძლება, ხელო აღრიანად ვარ წასასვლელია და...

— როგორ არ შეიძლება, ბაღლი ჩამოუვლის.

— ო, ძალიან კარგი. მაშინ... ახლა რომელი საათია? — კოლიამ საათს დახედა, — ექვსის ნახევარი, ხომ... შვიდი საათისათვის...

— კარგით, როგორც თქვენ იტყვი. წავიდეთ შინ. თამარ მასწავლებელი, წამოდი!

თამარ მასწავლებელს რაღად უნდოდა დაპატიჟება, იგივე მასპინძელი იყო, მაგრამ მისი მიპატიჟებით ყუდიას შვინტლიკასთვის უნდოდა ეგრძნობინა: შენ ნუ წამოხვალაო.

— წამობრძანდით, წავიდეთ! — ქალებს შეხედა კოლიამ.

— არა, აბა, მე კი რაღა მინდა! — იუარა შვინტლიკამ.

— როგორ გეკადრებათ, წამობრძანდით, წამობრძანდით! — ბუკებზე ხელი მოსდო კოლიამ და ყუდიას ჭიშკარში შევიდნენ. რა უნდა ექნა ყუდიას? სტუმარ კაცს იმას ხომ ვერ ეტყოდა კოლექტივის ბრიგადირი: ეგ ქალი ჩვენგან მოკვეთილია და შინ ვერ შემოვუშვებო. ველარც არაფერი თქვა, ველარც არაფერი ქნა და შვინტლიკა შინ შეუსვა. გატყდა და დაირღვა სოფლის პირი.

შვიდი საათისათვის დიდა თუ პატარა სოფლის სკოლაში მოგროვდა. ტელეგრიეკამოხვეული კაცები წადმა-უქუღმა ჩამოსხდნენ მერხებზე, „პრიმას“ აბოლებდნენ. ქალ-დედაკაცებმა თან მოიყოლეს სამფეხა სკამები და კართან ჩასხდნენ. ბებიებმა პირდაპირ იატაკზე, სკამიანების წინ მორთხეს ფეხი, აგუზგუზებული ღუმლის სიახლოვეს, ბალოები მუხლებზე ჩამოისხეს.

მასწავლებლის მავიდისათვის წითელი

ქსოვილი გადაეფარებინათ. ზედ ნავთის ლამპა ფიფხინებდა.

შორიდანვე მოისმა კოლას ხმამაღალი, მხიარული ლაპარაკი და შვინტლიკას კისკისი. „თითოროლო ჭიქასა“ და შვინტლიკას ეშხს, ჩანდა, მთლად გადაევიწყებინა დაღლილობა.

კოლია ხალხს მიესალმა, ხელი თითქმის ყველას ჩამოართვა და მერე — ყველაო? — იკითხა.

— არა, ნინიას ქალი და ჭრელია გვაკლია! — კუთხიდან უპასუხა გოგიამ.

ნინიას ქალს ზედმეტ სახელად სწორედ გოგიას დედას ეძახდნენ. ჭრელი კი, პაპა ჭრელი, ძალიან გადაბერებული მარტოხელა მოხუცი იყო. თავის კარებზე ძლივს დაჩუქუნებდა. ამიტომაც ჩუმმა დიმილმა გადაურბინა სახეებს.

— დაველოდოთ, დაველოდოთ! — შემწყყნარებლური კილოთი თქვა კოლიამ, პალტო გაიხადა და თამარსა და შვინტლიკასთან ერთად ღუმელთან ჩამოჯდა. ხალხისკენ ზურგშექცევით დაჯდა, რათა უფრო თავისუფლად ესაუბრა. ჩამოჯდა შვინტლიკაც და უხერხულობისაგან შეიშმუშნენ კაცებიცა და დედაკაცებიც: ისედაც შემოკლებულ-შემღერებული კაბა კიდევ უფრო შეემოკლებინა და შიშველმა მუხლისთავებმა თეთრად გამოანათა. თამარ მასწავლებელიც კი შეცბა: — ქალო, ეს რა გიქნია, როგორ შეგიმოკლებიაო, — უჩუქრჩულა.

— რა ვქნაო, — თავი იმართლა შვინტლიკამ, — ასეთი მოდააო!

აჩუქრჩულდნენ დედაკაცები, მაგრამ როცა შვინტლიკამ ფეხი ფეხზე შემოიდო, მთლად დაცოფდნენ, სულ ფუი, ფუის იძახდნენ. კაცები უხერხულობისაგან ერთმანეთს შეაჩერდნენ თვალებში, მერე პაპიროსს დაუწყეს თითით ფერფლის ყრეინება და იატაკს ჩააჩერდნენ. შვინტლიკასაკენ გაბედვისა რცხვენოდათ.

მოსუქებულსა და მკერდათქვირე-

გივი ზორნაული  
შვინტლიკა

ბულ შეინტილიკას კაი ხანია ვაწრო ჰქონდა ეს წითელი კაბა. ისე შემოეტყვიდა და შემრეტმასნა ტანზე, იტყოდა კაცი, საცაა შემოასკდებო. თითოეული კუნთიც კი ემჩნეოდა. რამდენჯერ ურჩიეს კიდევ, დაგიბატარავდა, ქალო, ეგ კაბა, ხომ ხედავ, აღარ გარგია, სხვა შეიკერეო, სხვა რამე ჩაიცვიო. აჰა, სხვისა თუ არ გრცხვენია, თავო მაინც შეიბრალოე, რაზე ეწამები, ხომ ხედავ, სუნთქვაც კი გიჭირსო. ისედაც ძველი იყო კაბა, ბევრ ადგილას ვამოძენძილო, დალაქავებული, მაგრამ მაინც ვერ თმობდა. მიზეზად ისღა ჰქონდა: ჩემი ქორწინების კაბაა და ვერ შეველევიო.

შეინტილიკა თვალბში შესტქეროდა კოლიას და გულიანად კისკისებდა. შეიძლება სულაც ისეთ სასაცილოს არაფერს უამბობდა კოლია, მაგრამ შეინტილიკამ კაცდახედულ იცოდა სიცილი. თუ ვინმე თვალში მოსდიოდა, იმის სულ უბრალო ნათქვამზეც კი ჩაბეირდებოდა და გადაფიჩინდებოდა. ახლ რომ კოლიას სამებლად იცინოდა ასე გულდაგულ, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ თამარ მასწავლებელს მაინცდამაინც არ ეცინებოდა; ის კი არა, შიგდაშიგ უხერხულადაც აპარებდა თვალს ხალხისაკენ.

უინისაგან ატაცებული კოლია და შეინტილიკა მეტისმეტად გაერთნენ.

ხალხიც მიავიწყდათ და მოხსენებაც.

— ვაჰ-ჰა-ჰა-ჰა-სკამის საზურგეს გადააწვა შეინტილიკა და ჰერს შეხარხარა, მერე წინ დაიქნია ტანი და მუხლზე სამჯერ დაირტყა ხელი, — კარგი, ბიჭო, რა ჰყოფილხარ, ნუ მომკალ სიცილითა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ისე მეტისმეტად ავივლდა შეინტილიკა, რომ კოლიაც კი შეუხერხულდა. უცებ შემობრუნდა ხალხისკენ. დამცინავ სახეებს რომ წააწყდა, დამილი ჩამოისხიბა.

— მოვიდა ყველა?

— ნინიას ქალი არ... — წამოიწყო კუთხიდან ისევ გოგიამ.

— კაცო, ვინ არის ეს ნინიას ქალი,

სად არის აქამდე? — შეაწყვეტინა კოლიამ.

— რა ვიცი, ძროხები მყავს დასაქამკრებელი, დავაქამკრებ და ჩამოვივლიო!

— რა მყავსო? — სიტყვა „დაქამკრება“ ვერ გაიგო კოლიამ.

— ძროხები მყავს მისახელიო, — განუმარტა თამარმა.

— რას ჰგავს ეს, ამხანაგებო! — იყვირა უცებ ბატონმა კოლიამ, მუშტი დაჰკრა მაგიდას და ზეზე წამოიჭრა. ლამფის შუშა გულის გამაწვრილებლად შეტორტმანდა. თვითონვე შეაშველა ხელი. — დაუძახეთ მოვიდეს ახლავე!

— აბა, ბალებო, გაიქეციო! — ბალებს მოუბრუნდა პავლე, ნინიას ქალის ქმარი, — უთხარით, მოდი დროზეო, რა გააჭირა საქმე თავის ძროხებით!

ბიჭია და გაგა წამოხტნენ. სირბილით გამოვიდნენ სკოლის ეზოდან და ნინიას ქალიც შემოხვდა სიბნელეში.

— ეგეც ნინიას ქალი! — დაიძახა გოგიამ.

— სადა ხარ, ქალო, ამდენ ხანს, ორ ძროხას რა მოწველა უნდა?! —

ვითომ შეუბუზღუნდნენ დედაკაცები. კოლიამ მოიხედა და ფეხზე წამოდგა.

— რატომ გვალოდინებთ, ქალბატონო?!

— მე რას ვალოდინებთ, რას მელიო?

— ქალბატონო, ჩვენ...

— კარგი ერთი, შენ გახარებას, რა ქალბატონო, რის ქალბატონო, მე რისიღა ქალბატონი ვარ!

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ქალბატონო! ჩვეჭ აქ მოცილილები ხომ არა გგონივართ?!

— არა მგონიხართ.

ბატონ კოლიას სიბრაზისაგან ფერი დაეკარგა, ხელები უმწეოდ გაშალა და თამარ მასწავლებელს გადახედა — რა უნდა ველაპარაკო.

— ჩაიგდე ენა, ქალო, რას გაილექსე, რა საქმე გააჭირე! — უყვირა ცოლს მოთმინებადაკარგულმა პავლემ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონი კოლია ჯერ ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და ლამფას ჩააჩერდა, მერე ხელები უკან შემოიწყო და ჭერს შეაჩერდა. მერე კვლავ მაგიდას დაეყრდნო. ხმის ამოღებას კი ვეღარ ახერხებდა.

— ამხანაგებო... — როგორც იქნა დაიწყო ბატონმა კოლიამ, მაგრამ მეტისმეტად ხმადაბლა მოუყვიდა. ჩაახვეველა, წელში გასწორდა და რიხიანად ამოხმამალდა:

— ამხანაგებო, თქვენთვის ცნობილია თუ რას ნიშნავს მსხვილფეხა პირუტყვი და მათი კვება... ამჟამად ამ საკითხს ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში... ფრთებს შლის მეცხოველეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი ინტენსიფიკაცია და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის პრობლემა. ეს კი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სამეურნეობათაშორისო, სარაიონთაშორისო კოოპერაციის გზით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და მრეწველობის ვერტიკალური ინტეგრაციის განვითარების გზით...

მიაყარა და მიაყარა ბატონმა კოლიამ, უცხო სიტყვებისა და აზრების კორიანტელი დააყენა. ბოლოს, როგორც იქნა, მორჩა. ყუდიას გადაწყვეტილი ჰქონდა თავისთან წაეყვანა სტუმარი, მაგრამ თინას გავაცილებ და ესლავე მოვლო, ითხოვა. ვააცილა და აღარ მოვიდა, იქ დარჩა.

მეორე დღეს ყუდია დადარაჯებულ იყო. თვალი სულ შინტლიკას სახლისკენ ეჭირა — როდის გამოჩნდება ბატონი კოლიაო. უნდოდა შინ შემოეპატიყენინა, „წესიერად“ ეკმია პური. ჩანდა, დღეს აღარა ჩქარობდა წინა დღეს მოჩქარე სტუმარი. ძლივს სადღაც გამოჩნდა. ყუდიაც გამოეგება.

— მე თინასთან ვჭამე უკვე და ერთი ორი ჭიქაცა ვხუხეო, — კარგ გუნებაზე ჩანდა კოლია.

— უჰ, არა, რას ამბობთ, პურუტყველს ვერ გაგიშვებთ, ცოტა ხნით შევიდეთო, — ხელი გამოსდო მკლავში ყუდიამ... არაყს ხომ უთქვამს: მოჩქარისთვის ხელი მომაკიდებნეთო, ე. ი. მოჩქარემ ერთი ჭიქა დალიოს და მერე აღარ აჩქარდებაო. აღარც ბატონ კოლიას ეჩქარებოდა. ყუდიამ მეზობლებსაც გასძახა-გამოსძახა. მალე ორთქლავარდნილ ხინკლიან ხონჩას შემოუსხდნენ. პანტის წინწანაქარმა გუნება კიდევ უფრო გაუხალისა კოლიას, ენა ამოადგმევინა. ის მკაცრად შეკრული შუბლის ჯვარი ახლა მთლად გადასტკიცინებოდა. მოდიმარ ტუჩებსაც ერთად ვეღარ უყრიდა თავს: ძალიან მომეწონა თქვენი სოფელიო, ხშირ-ხშირად უნდა ამოვიდე აქ ლექციების წასაკითხადო. კიდევ რამდენიმე ჭიქის შემდეგ უფრო გამოაშკარავდა ბატონი კოლია: შარვლის ტოტებს მაღლა იწევდა და ჭრელ წინდებს უჩვენებდა თანამესუფრეთ: შეხედეთ, შეხედეთ რა კარგი წინდები, მაჩუქა წაწალმაო. ეს რა წაწალი გავიჩინეო. შიგდაშიგ აქ ნასწავლ სიმღერასაც ლიდინებდა: „ქალოო, წითელ კაბიიანო, შენთააან წოლა მწადიიიანოო...

შვინტლიკაზე სხვათა ქილიკსა და დაციწვას მიჩვეულნი იყვნენ ბუფრიანელები, აღარ სწყინდათ. მით უმეტეს ასეთი საპატიო სტუმრისაგან წყენას ვინ დაიმჩნევდა. ის კი არა, ხუმრობაში მხარიც კი აუბეს, კაფია ვაგრიხეს:

პავლე: — ეს სტუმარი იმას ამბობს, კაცო, რომაო:

ბუფრიანასამც მამყოფა,  
სამსახურ ვამიჩინაო.

თევდორე:

ეგ თავმჯდომარედ დავიხვათ.  
მდევნად დავუხვათ თინაო.

ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, გულიანად იცინოდა ბატონი კოლიაც.

გივი ხორნაშული  
გვინებლიკა

უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— თუ შეიძლება, ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგათავაზოთ!

— როგორ არ შეიძლება, კი ბატონო, კი, შენი ჰირიმე! — შეაგება ყველამ ერთხმად და მერე დადუმდნენ. ბატონი კოლია ფეხზე წამოდგა, ჭიქა აიღო და სიცილისაგან მოცრემლებული თვალეზით ჩააჩერდა ნისლისფერ არაყს.

— ამხანაგებო, ჩემო მთიელო ძმებო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ძალიან მსიამოვნებს თქვენთან ყოფნა და დროსტარება, ასე ვთქვათ-ღრეობა. მე მიყვარს მთა, მიყვარს მთის ლალი შეილები. მე ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიყავი განმსჯელებული მთიელების მიმართ. მიყვარს თქვენი გულღიაობა, თქვენი პოეტური ნიჭი, თქვენი, ასე ვთქვათ, კაცური კაცობა. რა სჯობს ამ სიკარგეს! — სახეგაბადრულმა თვალი მოავლო ყველას, — ამ ურთიერთსიყვარულს, კეთილ გრძნობას. მაგრამ ნუ მიწყენთ თუ პატარა საყვედურს გეტყვით ზოგიერთი ძველი, მანე, დრომოკმული ადათ-წესების შემონახვისათვის. თურმე ეს თინა წითლაშვილი მოგიკვეთიათ! კი მაგრამ, ამხანაგებო, ნუ დაივიწყებთ რომ ახლა სხვა დროა! თქვენ იქნებ სისხლის აღებაც მოინდომოთ? ამის უფლებას...

— ძმას ნურავინ მომიკლავს და არ მოვიინდომებ! — წამოიძახა ვილაცამ.

— დააცადეთ კაცს ლაპარაკი! — შეუწყრა ყუღია.

— ამის უფლებას, — არ დაივიწყა სიტყვა კოლიამ, — ჩვენ არავინ მოგვცემს, ამხანაგებო! თვითნებურად გასამართლება ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია. თუ ვინმე რამეს დააშავებს, აგერ მილიცია, ჩემო ბატონო, აგერ სასამართლო! ისე კი, სადღაც სირცხვილიც კია სოფლისათვის, ერთი ქალი ვერ შეინახოს. დაუშვათ და არ იქცევა ისე, როგორც საჭიროა, ამიტომ ჩვენ ხელი კი არ უნდა ვკრათ, პირიქით! გვერდში უნდა ამოუვადგეთ, დავეხმაროთ... ეს

მსურდა მეთქვა... მაშ, მოდი, ჩვენს ურთიერთსიყვარულს, ურთიერთგაგებას გაუმარჯოს!

ბატონმა კოლიამ ძირამდე გამოცალა ჭიქა და დაჯდა. სუფრასთან მსხდომთ ერთდროულად წამოავლეს ჭიქებს ხელი და ერთხმად აზუზუნდნენ: — აბა, როგორც ბატონმა კოლიამ დაასურათა, ჩვენს ერთუბრთის სიყვარულს გაუმარჯოს, კარგად ვიყოთ, გულმზიარულად, ავი საქმე გვაშოროს, კეთილი მოგვიმარჯოსო!

ბატონი კოლიას ამ შთაბეჭედებელი სიტყვის შემდეგ კიდევ უფრო გაუფერულდა მოკვეთის ამბავი, ძალადაკარგულ, უაზრო ამბად ეჩვენათ და თავისი თავი კი რაღაცა უაზრობის დამცველებად. რა სოფელი, რის სოფელი, რა სოფლის სახელი, რა სვინდის-ნამუსი, ყველამ თავის თავს მოუაროსო. რაზე ვილაცას ველანძღვინებთ, რაზე სანერვიულს ვიჩენთ, ასემც უწინათ... მეორე დღესვე დასწრებაზე იყვნენ შვინტლიკასთან, ებოდიშებოდნენ: რას ვიზამდით, რაკი სოფელმა მოილაპარაკა, სოფელს ვერ გამოვაკლდით, თორემ მართლაც რაღა დროს მოკვეთაზე ლაპარაკია, ვისი რა საქმეა, ვინ როგორ მოიქცევაო.

ჰოდა, ასე რიგრიგობით ყველა შეურიგდა შვინტლიკას ბახასა და და მაზღმაზღოშვილებს მეტი. — არცა მჭირდებიანო, დათვებიო, შეუგნებლებიო მაგათთან დალაპარაკებას თუ ვიკადრებო! მაშინაც მიეჭარე, როცა თავი გავუყადრეო! — ვილაცის კარზე გაპკიოდა წელში გადრეცილი შვინტლიკა. მერე სხვისი ეზო-კარიდან ისმოდა მისი ხმა, — ჩემი მოშორება უნდათ ამ სოფლიდან, ვნახოთ, ვინ ვის მოიშორებსო! ისეთი დღე უნდა ვაყარო, თავბედს იწყველიდნენ, სინსილას დავუღვევო!

ბახამ და ხთისიამ გადაწყვიტეს ავადაც მოშვებოდნენ და კარგადაც, გადაგვიდებს ვინმეს, ხათაბალას რამეს აგვიტეხსო. თანაც — გივი მიუშვი ნებასო, თვით შეეყრება სნებასო. სხვებმა

თქვეს: ნათქვამია ძველთაგან, სულელ-  
სა და უნამუსოს აქე და ერიდო, ჩვენც  
ვაქოთ და ვერიდოთო. ზოგნი სხვანაი-  
რი ფიქრითაც, გამორჩენის იმედიტაც  
ეპირფერებოდნენ შვიტლიკას, საქებაარ-  
სა და საამებელს არაფერს იშურებდ-  
ნენ. განსაკუთრებით მთვრალმა კაცებ-  
მა იცოდნენ გულის ამოჩუყება, სიყვა-  
რულის მტკიცება, ხელის ხვევნა, ლომ-  
ნა... ამაზე გაცოფებული ხან ერთი დე-  
დაკაცი წამორიშხნიდა შვინტლიკას.  
ხან—მეორე. ის კი, ვითომც აქ არაფერ-  
იო, ყურსაც არ იპარტყუნებდა: თვი-  
თონა ხართ გარყვნილებიო! — მიუგ-  
დებდა და თან გულიგულში ღიღინებდა:

მაღლა ღმერთი თარს უკრავდა,  
დაბლა კაცი — დანღურაკხა...  
მე ჩემ თავს ვასიამოვნებ,  
რას დავეძებ სამღურავსაო.

ამ ამბების შემდეგ მთლად აიწყვიტა  
შვინტლიკამ. რა სინდისი, რის ნამუსი,  
რომელი შვილი და ოჯახი. გამოლუვდე-  
ბოდა თავისი წითელი კაბით სოფლის  
შარაზე და ხან აღმა მიქენაობდა,  
ხან — დაღმა.

ბუვრიანელები კი, ჩუმი ბოდმისაგან  
თავჩაქინდრულნი, ისევ და ისევ ბუტ-  
ბუტებდნენ: ნეტა, აღარ იქნება მეწის-  
ქვილეს ის ვუთხრათ, მსხვეალადა ფქვავ,  
წმინდად დაფქვიო.



## პეპე გიგაშვილი

# ბელკასთან ნადირობის გახსენება

ბელკას, ძია ალიოშას, ერთი ძმაცაი  
ჰყავდა — თხორევესკი, პოლონელი,  
საშინელი ლოთი. ჩაასხამდა არაყს  
აღუმინის კათხაში, ჩაათლიდა ბო-  
ლოკს, ჩააჭრიდა წიწაკას და პურს ატ-  
ანდა. ჩემი ბორშჩიაო, — ამბობდა. მა-  
ღალი, გამხმარი, შავი კაცი იყო, კბი-  
ლები სულ ჩამოძვალი და გამოქმული  
ჰქონდა. პურს არაყში აწობდა და ისე  
ლოღინდა ხოლმე.

ეს თხორევესკიც ნადირობდა, მხო-  
ლოდ ბელკასავით მრეწავი არ იყო,  
ერთი ამერიკული „ვილისი“ ჰყავდა.  
სამუშაოს შემდეგ უცებ გავარდებოდა  
ხოლმე თხორევესკი კუმისის ტბაზე  
გრიშკა ოვსიანიკოვთან. ჩაჭდებოდნენ  
გრიშკას მოწყობილ საფრებში და ურ-  
ტყამდნენ ბატებს საღამოს გადაფრენი-  
სას. გრიშკას შიგ ტბაში, ლელეგში,  
სამ ადვილას კარგად გაფისული კას-  
რები ჰქონდა ჩადგმული. შევიდოდნენ  
ბრტყელძირა ნავით, გადასხდებოდნენ  
კასრებში, ნავი კი გრიშკას ცოლს გამო-  
ჰყავდა უკან; მერე, ღამით, ნადირობის  
დამთავრების შემდეგ, ისევ გრიშკას  
ცოლი ჩამოუვლიდა მონადირეებს და  
გამოიყვანდა ნაპირზე.

ეს გრიშკა კარგი მუტრუკი ბიძა იყო,  
შტანგისტის გარეგნობა ჰქონდა, მზე-  
ზე გარუჯული, სუფთა, ბავშვივით პირ-  
მრგვალი. მისი „ხატა“ იქვე, ტბისპირა  
გორაკებში იდგა. ამ ტბაზე ნადირო-  
ბის ინსპექტორად იყო და თან პატარა  
საკარმიდამო მეურნეობაცა ჰქონდა.  
მასთან ერთად ცხოვრობდნენ მისი  
ცოლი და ცოლისდა.

გრიშკას წყვილი მწვეარი ჰყავდა —

„პულია“ და „ლებელი“. მოკლებწევი-  
ანი და ძალიან ღამაზები იყვნენ. თვე-  
თონ ამტკიცებდა, ქართული ჯიშისანი  
არიანო... არ ვიცი, არსებობს თუ არა  
ასეთი ჯიში. საიდან იშოვნა, ისიც არ  
ვიცი. ერთხელ ვუყურე, როგორ დაი-  
ჭირა და დაახჩო „პულიამ“ მელა, მა-  
გრამ უნიშნოდ ვერ გადაჩჩა: მელამ  
მოასწრო და ცხვირი ჩამოფხოჭა, სა-  
მუდამოდ შერჩა ნაჭდევი ცხვირზე...

ჰოდა, ერთხელ ბელკამ თხორევესკი  
შეიპირა, შენი ვილისით ჩათმაში წავი-  
დეთო. იქ კაკებით სავესე რამდენიმე  
ხევი ეგულებოდა, რომელიღაც ქალაქ-  
გარე რესტორნის დირექტორთან საქ-  
მე უკვე ჩაწყობილი ჰქონდა ნანადირე-  
ვის შესყიდვაზე და მისი თქმით, დას-  
ტა-დასტა ფული ელოდა.

მივდიოდით სამინ: ბელკა, თხორევე-  
სკი და მე. მე ჯერ კიდევ მეშვიდე კლა-  
სში ვიყავი, როცა ბელკას მივეკედლე.  
მასთან ვმოულობდი ხოლმე საფანტ-  
სა და სხვა წვრილმანს, რასაც თითონ  
ამზადებდა. შეეჩვიე და მერე გავუ-  
შინაურდი კიდევ. ერთი შუშაბანდიანი  
პატარა ოთახი ჰქონდა. მარტოხელა  
იყო, იმავე ეზოში, მხოლოდ ცალკე  
ოთახში, დედამისი ცხოვრობდა. ბელკა  
ყოფილი ფეხბურთელი იყო: ომამდე  
თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობ-  
და, ნაომარი იყო. ომის შემდეგ ნადი-  
რობით ცხოვრობდა, მაშინ ჯერ კიდევ  
არსებობდა მრეწავობა. „დეზერტი-  
რის“ ბაზარზე ერთი რიგი იყო, სადაც  
ნანადირევი იყიდებოდა.

ბელკას პატარა ოთახი მოდური ავე-  
ჯითა და ღიღი ხალიჩით ჰქონდა მორ-

თული. შუშაბანდში კი სანადირო და სათევზაო იარაღ-მოწყობილობა ეყარა. ყოველთვის მარცხებდა მასრების უზარმაზარი გროვები. მასრებს ბელკა საკვირველი სისწრაფით ტენიდა. მისთვის ყოველი ვაზნა თითო იხვი იყო, ყოველი ტყუილად დამწვარი ვაზნა — ზარალი. როცა არ ნადირობდა, გადაბმით ლოთობდა. ოთახი მუდამ ანგრეული და ნავებით საესე ჰქონდა, თუ ათასში ერთხელ დედამისი არ მიუღაგებდა. ერთხელ გალუწილი მთვრალი ღამით ორბოში ჩავარდა და ტვინის შერყევა მიიღო. დიდხანს იწვა საავადმყოფოში და ძალიან უჭირდა. ამ ამბავმა დაჩაგრა ბელკა. მორჩენის შემდეგ ისე ხშირად ვეღარ ნადირობდა. მანქანით მგზავრობაც თავს ატკიებდა. ძნელი დრო იყო ბელკასთვის. ეს ყველაფერი მერე მოხდა, თორემ ჩათმაში გამგზავრებას რომ ვაპირებდით, მშვენიერ თორბაში იყო.

ერთი ბებერი ძუქნა ჰყავდა — „ბალმა“, წითელი სეტერი. მშვიდა, კარგად გაწვრთნილი ძაღლი. გარეგნობით უშნო იყო, მაგრამ კარგად ნადირობდა, თუმცა მარტო მწყერზე და კაპაზე დაჰყავდა.

კარგად რომ გავუშინაურდი ბელკას, დაეუწყე ხვეწნა, სანადიროდ წამიყვანე-მეთქი, ცივ უარზე იდგა, მიჯავრდებოდა და მლანძღავდა, შენ სკოლას მოუარეო. საქმე ის იყო, რომ ბელკა ყოველთვის სამი-ოთხი დღით მიდიოდა და სკოლის ვაცდენა მომიწევდა. თუმცა ეს არ მადარდებდა, ისედაც ნახევარჯერ „შუტალოზე“ ვიყავი და კუს ტბის ზემოთ, ფერდობში დავდევი. ხოლმე გნოლებს. მოხერხებულ დროს კი ხან შიომღვიმში, ხან წითელი ხიდის გადაღმა გორებში, ან ყარაიაში ვნადირობდი. ეს იყო ჩემი სანადირო ადგილები. ამას ემატებოდა ტაბახმელას ზემოთა და წყნეთის ახლომახლო ტყეები, როცა ტყის ქათმის დრო დადგებოდა....

კარგა ხნის ღიჭინის შემდეგ, როგორც იყო, დამეთანხმა ბელკა და თან

ასეთი პირობა დამიძღო: წაგიყვან, ვაზნებსაც მოგცემ. რასაც მოკლავ, იქიდან ხუთი იხვი შენ წაიღე, დანარჩენი ჩემთვის ინადირო. მაგრამ თუ ტყუილად დაწვი ვაზნები, მეორეჯერ აღარ წაგიყვანო....

მე ხმა არ ამომიღია. ძალიანაც მაწყობდა ეს ამბავი, მაგრამ ჯერ არასოდეს ხუთი იხვი ერთად არ მომეკლა და ვფიქრობდი: პირველ ნადირობაზე, რა თქმა უნდა, ვერ მოვკლავ, მეორეზე კი აღარ წამიყვანს და, რაღა გამოვიდამეთქი...

იხვზე იშვიათად ვნადირობდი, იმ დროისათვის ჩემთვის ყველაზე საამაყო იყო კაპაზე ნადირობა. იხვზე და ბატზე კი მხოლოდ ერთი ორჯერ ვინადირე, ისიც შემთხვევით, ჯანდარის ტბაზე. ასე რომ ჯერჯერობით „მულაში“ მაინც ვერ ამეღო, ამიტომ ვენვერიულობდი წასვლაზე...

პირველად აღვიბედში წავედიო. იქ, უზარმაზარ ტბებსა და ჭობებში მართლაც უამრავი ფრინველი ირეოდა. გაცივებული ვუყურებდი წყლიან მინდორში გაბნეულ ბატის გუნდებს. გარშემო ყველგან თეთრ ლაქებად ჩანდნენ წყალში დაყუდებული ყანჩები. სველი ბალახიდან წამდაუწყუმ ყიპყიპით ფრინდებოდნენ ჭყიამპოები. გუბეები მოფენილი იყო მელოტების შავი წერტილებით. აქა-იქ დაბიჯებდნენ ჩემთვის ჯერ უცნობი ლიანები და წინტლები. ცაში განუწყვეტლივ დაფრინავდნენ იხვებისა და კაპარების გუნდები. პირდაღებული ვაცეცებდი თვლებს და შინაგანად მთლად ვკანკალებდი. იმდენად აღტყინებული ვიყავი, იქ რომ ბელკა არ ყოფილიყო, მაშინვე უთავებოლო სროლას ავტეხნი.

ბელკა წყნარად ალაგებდა თავის ქონებას და ანაწილებდა ლეღის კარავში. ყველაფერი რომ დაბინავა, ნაჯახი აიღო და ბუჩქებში გადავედიო. ბლომად აჩეხა ხმელი, დაღვარჭნილი ტოტები და მაზიდვინა კარვისაკენ. რო-

**ვაჟა ზივარული**  
ბაქალანთა ნაღროვის გახანება

გორც მერე აღმოჩნდა, ეს ბუჩქნარი რალაც ეთეროვან ზეთს შეიცავდა და მისი ტოტები ლუტჯი ალით იწვოდა. საწვავი რომ მოვიმარაგეთ, ბელკამ ვაზნების ამოლაგება დაიწყო, თავის ხელით შეკერილი ორი დიდი, ოცდაათიანი სავაზნე თითონ აიკიდა. ცალკე ოცდაათი ვაზნა მე გადმომითვალა. თოფი ააწყო, ფეხსაცმელი გაიხადა, „პარტიანეები“ დაიხვია და მაღალი რეზინის ჩექმებიც ჩაიცვა. მე რეზინის ჩექმები სახლიდანვე მეცვა, ვიდრე და ვუყურებდი როგორ ემზადებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავეძარით, საღამოს ვადაფრენისათვის უკვე ადგილებზე ვიდრეკით...

დადგა დაისი, ჩამობინდდა. ცა გამუქდა და მოწითალო-მოლურჯო ფერისა გახდა. ყველაფერი გაირინდა. ლელის ძირებში უკვე სულ ჩაბნელდა, ლაქაშებში ისმოდა მელოტების ძილისწინა გადაძახილი;—„ლიიპ!.. ლიიპ!.. ლიიპ!..“ ამ ხმებშიაც იგრძნობოდა დაღლილობა და ძილისწინა დამშვიდება. ერთი მელოტა ზანტად გამოცურდა შამბებდინან: ბნელ წყალში გაურკვეველი ანარეკლი შეინძრა. დაძახული ვუყურებდი, ჯერ თითონაც არ ვიცოდი ვესროლი თუ არა. თუ კარგად გამოჩნდებოდა, ვიცოდი, ცდუნებას ვერ გავუძლებდი. და ამ დროს დაიწყო საკვირველი ფეერია.. ჯერ ჰაერში გაჩნდა რალაც შემამოფოთებელი ბგერა, რომელიც სწრაფად იზრდებოდა. უცნაური სტვენა, ერთობლივ შრიალში გადასული, სწრაფად ახლოვდებოდა, როგორც ზღვის მოქცევა, რომელმაც თავზე უნდა გადაგიაროს და ამ დროს გადაიჭროლეს უხილავი შუქის ანარეკლით განათებულმა ლანდებმა და შრი-ალთან ერთად ჩაინთქნენ სიბნელეში...

ეს პირველი საპაერო თავდასხმა იმდენად ანაზღეული და შემამოფოთებელი იყო, რომ ვერც კი აღვიქვი ჩემგან მოშორებით, ლელიანიდან ამოვარდნილი ცეცხლის ენა და დაყოვნებით მოსული მოგუდული დარტყმა: „ბამ!..“—

ეს ბელკამ „დააქოთავა“ პირველი დი...

ამის შემდეგ დაიწყო განუწყვეტილი მგზავრობა, ქარავანი ქარავანს მიჰყვებოდა უხილავ საპაერო ტრასაზე. ბნელ ცაში გაისმოდა სწრაფი სივსივი და სტვენა, ჩაიჭროლებდნენ მწკრივად დაწყობილი ლანდები და გაქრებოდნენ სიბნელეში. რამდენიმე წამის შემდეგ ბელკას მხრიდან ისმოდა: „ბამ!.. ბამ!..“ მე კი ვიდრეც ცას ნერვიულად მიშტერებული ყოველი ახალი ქარავნის მოლოდინში და სროლას ვერ ვბედავდი. ბოლოს, ერთხელ, როცა შრიალი გაძლიერდა და უეცრად სიბნელიდან უზარმაზარი თეთრი ლანდები გამოქანდნენ, ჩემდა უნებურად შევავდე თოფი, ვხეტქე ზუსტად ბოლოდან მესამესა და მეოთხეს შუა, სიცარიელეში, და დავინახე, როგორ გადმობზრუნდა ბოლოდან მესამე, ყურის გამხვრეტა შხუილით წამოვიდა ქვევით და თბლშანი გაადინა დამპალ წყალში, მე უკვე მისკენ მივდგაფუნებდი და ისეთი გამხეცებული ვებდღვენი, თითქოს გაქცევას აპირებდა. ეს იყო დიდი, მძიმე ნაცრისფერი ბატი. ვერაფრით ვერ მოვირგე დასაკიდებელ თასმებზე, კარგა ხანს ვწვალობდი და ამ დროს ჩემს თავზე განუწყვეტელი სივსივითა და სტვენით გადადიოდნენ სულ ახალი და ახალი გუნდები. ისევე ჩემს ადგილზე დავდექი და დავიწყე სროლა, ყოველ: გასროლის შემდეგ ვხედავდი, როგორ მოდიოდა დაგორგვილი ფრინველი და მესმოდა თბლშანი წყალში, და როცა ატყინებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და მთელ სხეულში გაჩნდა ადფრთოვანებული სიმღერა: „მე ვისვრი აუცდენლად!..“ სწორედ მაშინ დავიწყე აცდენა; ავაცდინე ოთხი ზედიზედ და ამ დროს ცაც დადუმდა და კიდევ უფრო გაშავდა... დაძახული ვაშტერდებოდი ჩამუქებულ ცას და ტკივილამდე ვნატრობდი კიდევ ერთი გუნდის გამოჩენას და როცა გამოჩნდა კიდევ ერთი, დავვიანებული ქარავანი, წინიდანვე ვისროლე, მაგრამ არაფერია არ მოხდა.



მეორეც მივაყოლე შიშისა და ბრაზისაგან გაშწარებულმა და დავინახე, როგორ მოეხებია მჩვარივით ერთი მათგანი და თქაშანი გააძინა წყალში...

კიდევ რამდენიმე გუნდმა გაიფრინა კანტიკუნტად, მაგრამ რამდენს არ ვძაბავდი მზერას, ველარაფერს ვარჩევდი. მიინც ვიდექი მუქ წყალში და არ ვიცოდი, რას ვუცდიდი. ამ დროს მომესმა წყლის დგაფუნნი და ბელკას ხმა:—„აკრფე, თუ არა იხვები“?! ახლავე ვნახე-მეთქი, დაფუძახე, საითკუნდაც წავედი და უცებ აღმოვაჩინე, რომ ისე ბნელოდა, უბრალოდ, ჩემს ხელსაც ველარ ვხედავდი. რამდენიმე წამს დაბნეული ვიდექი. ფარნის შუქმა თვალებში მომჭრა და ზედ ყურთან გავიგონე ბელკას გაკვირვებული, გაბრაზებული ხმა: „რას შერებ?“! ახლავა მოვიშორე ეს უცნაური გამოშტერება და, ბნელა-მეთქი, წავილულულე, მერე ფარნით მოვკრიფეთ ჩემი ოთხი იხვი და წამოვედით. შევნიშნე, რომ ბელკა ხელცარიელი იყო და ანაზად ბოროტმა სიხარულმა გამკრა გულში: „ნუთუ ვერაფერი მოკლა?!.. მაგრამ რატომღაც არაფერი მიკითხავენ. სწორედ იმ დროს, წყლიდან მშრალზე გავედით, ფარნის შუქმა გაანათა ნანადირევის უზარმაზარი გროვა, რომელშიაც თვრამეტი იხვი და ოთხი ბატი იყო.

ასე დამთავრდა პირველი ნადირობა სადამოს გადაფრენილ გუნდებზე. ათი გასროლიდან ხუთი მიზანში მოვახვედრე. ბელკას არაფერი უთქვამს ამაზე, არც ცუდი და არც კარგი. უბრაოდ განთეთ ცეცხლი და ავადუღეთ ჩაი. მერე ვისხედით ცეცხლთან შტერებივით. ბელკა „პამირს“ ეწეოდა, მე კი სულ ვუცდიდი. სროლაზე დამიწყებს ლაპარაკს-მეთქი და წამდაუწყებ სახეში შევყურებდი. ცეცხლი ჩაიწვა და ჩაქრა. ბელკამ ერთი ამოიხვნეშა, ადგა, ქოხში შეძერა და ჩალაში ჩაიწვა. მეც ასევე მოვიქეცი და ძილის წინ ვგრძნობდი მწარე სიძულვილს ბელკასადმი, სწორედ იმიტომ, რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია ნადირობაზე...

ამის შემდეგ კიდევ ორი დღე და დამე ვიყავით ამ ტბებზე. მე პირადად ოცდაშვიდი იხვი, ხუთი ბატი და ოცამდე მელოტა — „კაშკალა“ შემიგროვდა. ბელკამ ასზე მეტი იხვი და ბატი მოინადირა...

არც მერე გვილაპარაკია ამ ნადირობაზე და, საერთოდ, არც სროლაზე. რადგან ის არაფერს ამბობდა, მეც კრინტს არ ვძრავდი. მხოლოდ ეს იყო, რომ შემდეგში, ხანდახან დავყავდი ხოლმე თან, როცა ძალიან ჩავაცინებოდი, მაგრამ ყოველთვის ჯიჯინითა და უკმაყოფილოდ. თუმცა ორჯერ-სამჯერ თვითონაც შემომთავაზა გავყოლოდი, როგორც ამჯერად, კაკბებზე სანადიროდ ჩათმავი.

ჩათმაში მტკვრის მარცხენა ნაპირით წავედით, ჯანდარის ტბას ზემოდან გადავუარეთ, გზა საშინელი იყო, უფრო სწორედ, თითქმის არ იყო. რატომ ირჩია თხოვეცსკიმ აქედან წასვლა, არ ვიცი, როცა ფოილოდან შეიძლებოდა არხენად შესვლა ჩათმაში.

ჩათმა, ეს არის ნახევრად უდაბნო, ვრცელი ზეგანი, ადგილ-ადგილ დახეტილი ღრმა, ჩათხრილი ხევებითა და ხეობებით. ეს ხეობებია სწორედ კავის საცხოვრებელი. იმ დროს იშვიათად თუ ვინმე დადიოდა ჩათმაში. ამიტომ აქ ბევრი ისეთი ხევიც იყო, სადაც შეიძლება მონადირეს არასოდეს გაეგლო...

მშვენიერ მზიან დღით გავედით ჩათმის ტრამალეებზე. ტრამალი მავიდასავით ბრტყელი და სავანასავით ველური იყო. არსად ეტყობოდა ადამიანის კვალი. ცარიელი, მარილიანი ქვიშნარი ენაცვლებოდა ოქროსფერი, ხმელი, მალალი ბალახით დაფარულ ველებს, ცისკიდურს მოწითალო-ისფერი, ჩრდილებით დაჩეხილი ქედები კეტავდა. მათს გადაღმა კი ჯაჭვივით გაჭიმულიყო შორეული დაღისტნის მყინვარებანი ქედები. ჩვენი ვილისი ჯაყავით მიუყვებოდა ტიტველ, მარი-

**პაპა გიგაუვილი**  
 ვალჰასთან ნადირობის გახსენება



ლიან შიშას, ხან მაღალ ბალახს მიალი-  
წინებდა. ბელკა მიმართულებას უჩვენებდა.

ჩვენგან მარჯვნივ, მთებისაკენ, ჯუჯა, შავი ბუჩქნარით მოდებულ ქვიშნარზე, თვალი მოვკარი რაღაც ჯოგს, რომელიც შორიდან ცხვრის ფარას წააგავდა. ინტერესით ვუთვალოთვალედი პატარა, თეთრ წერტილებს, ხან გაფანტულად, ხან ჯგუფ-ჯგუფად რომ გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე. ცხადი იყო, ეს ცხვრის ფარა არ იქნებოდა, ჯერ კიდევ ვერ მიემხვდარიყავი, რა ხდებოდა, რომ ბელკამ თქვა:

„ჯეირნები!..“

გამიკვირდა, როგორ ვერ მივხვდი--მეთქი. ბელკას დურბინდი გამოვართვი და დიდხანს ვათვალიერე ჯოგი...

დურბინდში ჩანდა წვრილფეხა ცხოველები, ისინი ბნედიანებით მოწყდებოდნენ ხოლმე ადგილიდან, გაირბენდნენ ას — ორას მეტრს და ასევე უეცრად შეჩერებულნი მაშინვე ბალახის წიწქანს იწყებდნენ...

„მაგათი თავი არა გვაქვს!..“ — ნაწყენივით წაიბურტყუნა ბელკამ და ისევ გზა განვაგრძეთ.

ერთ დიდ ხევს მივადექით. თხორევესკი მანქანის დასაყენებლად ადგილს არჩევდა, როცა ზედ ბორბლების წინ, ოქროსფერ ბალახში, ზრიალით წამოიშალა რვაკაკბიანი გუნდი, ხევის კიდეს გადაევლო და სიღრმეში ჩაიკარგა.

თოფებში ვაზნები არ გვეწყო და არ გვისროლია. მაგრამ ამაზე არ ვნადვლობდით. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ წავადექით ბელკას აღწერილ „კაკბებით გატენილ ხევს“ და წყნარად და აუღელვებლად შევუდგებოდით ნადირობას.

გავიხადეთ ყველაფერი ზედმეტი, ავიკიდეთ ორ-ორი სავაზნე და თოფები და დავიწყეთ ჩაშვება ხევში. პალმა ბელკას წინ მიდიოდა, წამდაუწყებლად ჩერდებოდა და ფლეგმატური თვალებით ამტერდებოდა პატრონს. მხოლოდ ამ დაჯინებულ მზერაზე ეტყობოდა, რომ

მოუთმენლად ელოდა ბელკას ნებართვას.

ჩავედით ხევში და აქეთ-იქით ფერდობებზე გავიშალეთ. არ გაუვლია ათ წუთს, რომ პალმას წინ, თხუთმეტი-ოდე ნაბიჯზე წამოფრინდა წელანდელი გუნდი. ბელკამ თვალის დახამხამებში დუბლეტით მოკლა ორი მათგანი და გუნდი დაიშალა. სამი ჩემკენ წამოვიდა და სანამ მოაღწევდნენ, თხორევესკი-მაც ორი ჩამოაგდო. ბოლო კი მე მერგო. ძალიან კმაყოფილმა ავიკიდეთ პირველი ნადავლი და „ზღაპრული ნა-ნადირევის“ იმედი უკვე უმძველ გადაწყვეტილებად გადაიქცა. არ გასულა კიდევ ნახევარი საათი, რომ პალმამ სასწრაფოდ „დაამუშავა“ ცალ-ცალკე ჩამჭდარი სამი კაკბი და ბელკამაც სამივე ზედიზედ ჩამოაგდო.

ამით დასრულდა კიდევაც ჩვენი ნადირობა. იმ ხევში მეტი კაკბი აღარ გვინახავს. სულ უფრო და უფრო გაკვირვებულები ადგილიდან ადგილზე გადავდიოდით მანქანით. სულ ახალ და ახალ ხეგებს ვსინჯავდით, მაგრამ კაკბის ჭაჭანება არსად იყო.

ეს მართლაც საკვირველი იყო და არავეითარი ახსნა არ ჰქონდა...

„რაღაც მოხდა!.. რაღაც მოხდა!..“ ჩაიბურტყუნა ბელკამ და სახე აშკარად დაბნეული და უმწყო გაუხდა...

იმ ღამეს პირდაპირ მინდორში გვეძინა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ. ვუსმენდით ტურების კვილს და ვფიქრობდით, რა უნდა მომხდარიყო...

დილით უთენია გავემართეთ კიდევ ერთი ხევისაკენ, რომლის იმედი ჰქონდა ბელკას. ისიც ცარიელი აღმოჩნდა. სამიოდე კაკბი ვნახეთ მხოლოდ. მაშინ ბელკამ გამოაცხადა: ნადირობა დამთავრდა და ისეთი საშინელი გინება მი-აყოლა, რომ არც მანამდე და არც შემდეგში არსად გამიგონია. გამოვბრუნდით და ბელკამ და თხორევესკიმ ააწყვეს გინების გასაოცარი დუეტი.

ამ დროს დავინახე ისევ ის მოძრავი თეთრი წერტილები და გინების ნაკადში სიტყვა ჩავაგდე:

„ჯეირნები!..“

ორივენი გაჩუმდნენ და ძნაზე დამჯადარი, დადარაჯებული ქორის მიძივ, პირქუში მზერა დაარქვეს ჯეირნების გუნდს...

ჯეირნებზე ნადირობა მაშინაც სასტიკად იყო აკრძალული და საქმაოდ სახიფათოც იყო მიძივ სასჯელის გამო. მაგრამ თხორუევსკისა და ბელკას დამძიმებულ, დაქინებულ მზერაში ისეთი ბრწყინვა შეიპარა, რომ მიხვდვი: გადაწყვეტილება მიღებულ იყო.

მოლაპარაკება არ მომხდარა. ბელკამ აჩვენა მიმართულება და თხორუევსკიმ მაშინვე გაუგო. ვილისი ნელა წავიდა ცერად მთებისაკენ. მერე მარცხნივ შემობრუნდა და მთებსა და ჯოგს შორის მოგვტა. აქედანაც ცერად გაჰყვა მთების ჯაჭვს, ისე რომ გეზი თანდათან გადაიხარა ჯოგისაკენ. ჯეირნები ყურადღებას არ აქცევდნენ მანქანას. მანქანამ ზიგზაგებით დაიწყო სვლა და ნელ-ნელა მიუახლოვდა მათ. ასე, ოთხას მეტრზე ვიქნებოდით მისული, როცა ჯოგი სხარტად შებრუნდა და ველზე გაქანდა. ასი მეტრის გარბენის შემდეგ ისევ შეჩერდნენ და ნაბიჯით გაჰყვნენ ფერდობს, თან ბალახს წიწკნიდნენ. ორი მათგანი კი, ჩვენკენ შემობრუნებული, ადგილზე დარჩა. ერთხანს გვიყურეს, მერე რამდენიმე ნახტომით წამოეწივნენ წინ წასულებს, გადაუსწრეს და თან გაიყოლეს კიდევ ასიოდ მეტრზე...

ეს კუკუ დამალობანა განმეორდა რამდენჯერმე...

მანქანა ყოველ ამ მანევრზე რამდენიმე მეტრს იგებდა და ბოლოს მანძილი ისევ ოთხას მეტრამდე შემცირდა...

ახლა უკვე შემოფოთება დაეტყო ჯოგს. მთელი სხეულით დაძაბულნი, ყველანი ჩვენკენ შემობრუნდნენ. ღუბინდში უკვე ნათლად ვხედავდი ჩვენკენ მომზირალ ლამაზ თავებს, ვარჩევდი ქვედა ყბის ტოკვასაც: ისინი თან იცოხნიდნენ. ვილისი განაგრძობდა ბობლვას, ბოლო მეტრებს იგებდა აშკარა

ღვენის დაწყებამდე. ჯოგში თორმეტ დედალი და სამი ვაცი დავთვალე...

ამ დროს ჯეირნებმა სტარტი მისცეს, გასაოცარი სისწრაფით გაქანდნენ. ეს მართლაც კარგი სანახავე იყო. თხორუევსკიმაც ჩართო გაზი და ვილისიც გავარდა ხტუნვა-ხტუნვით. თანდათან სისწრაფემ იმატა. სპილომეტრი სამოცს მიუახლოვდა. მანქანა თითქოს ფრენით გადადიოდა უსწორმასწორო მიწაზე. ეს მხოლოდ ახლა გახდა საგრძნობი. ისმოდა ბალახის გამბმული ხრიწინი.

მე და ბელკა, მანქანის ბორტებს ჩაბლაუჭებულნი, თვალს არ ვაშორებდით ჯოგს. პალმა, ნჯღრევისაგან თავგზაბნეული, ფეხებში გვაწყდებოდა და უმწეოდ ფხოჭნიდა რკინის იატაკს. სპილომეტრი სამოცდაათთან კანკალებდა. ჯოგამდე მანძილი კი კარგა ხანს უცვლელი რჩებოდა. ჯეირნები ამავე სისწრაფით მიქროდნენ.

მერე მანძილმა შემცირება იწყო. ახლა უკვე კარგად მოჩანდა ნერვიულად აპრეხილი შავი კუდები. მტკრის კორიანტელში ელვის სისწრაფით სხლტებოდნენ წვრილი, ჩამოქნილი ფეხები...

მე და ბელკა წამოვიჩაჩხეთ და თოფები მოვიმარჯვეთ. დადგა წამები რაღაც ბოროტი, დაუნდობელი ახარტისა, როცა უკვე საგრძნობი გახდა მოტორის უპირატესობა ნადირის გულთან შედარებით და მანქანა მეტრს მეტრზე უგებდა ღონეგამოცილი ცხოველებს...

მანძილი ოცდაათ მეტრამდე შემცირდა და ჯოგი ჰკუთხე შეიშალა. უცნაური სანახავე იყო: კალიბრებით ახტებოდნენ ერთმანეთს თავზე შიშისაგან გადარეული ცხოველები.

ამ დროს დაეიწყეთ სროლა. არც ფინთიხი გვექონდა და არც მსხვილი საფანტი. მრგვალ ტყვიებს ვესროდით ამიტომ ძალიან ძნელი იყო მორტყმა. მანქანის ნჯღრევა მიზანში ამოღებას, არ გვაცლიდა. ტყვიებმა დათხარეს ქვიშა და ჯოგი მთლად აირია, შეაწყდა

ზაზა გიგაუშვილი

ბელკასთან ნადირობის გახეხება

და თავზე გადაუარა ერთმანეთს. უკანასკნელი დაძაბვით კიდევ მოახერხეს ოცი მეტრით წინ გარბენა, მაგრამ მანქანა ისევ წამოეწია.

„მოხვდა!“ — გიჟივით დაიყვირა, როცა მეორე გასროლის შემდეგ ყირაზე გადასული ჭეირანი დავიანხე. მაგრამ ჭეირანი იმავე წამს ფეხზე იდგა, ზამბარასავით ავარდა და ჯოგში გაერია...

თხორქევესკი გამხეცებული დააწვა გასს და მანქანა შიგ ჭეირნებში შეიგლო. ჯოგი ტალღასავით გაიპო შუაზე. ახლა უკვე ჩვენს გვერდით მოჰქროდნენ. სულ ახლოს ვხედავდი მათს დიდ, შიშისაგან შეშლილ თვალებსა და დაბერილ ნესტოებს. ჩვენ ფეხებგაჩახუტლნი, ძლივს ვიკავებდით მანქანაში თავს, აქეთ-იქით ვეხეთქებოდით და ასე ვცვლიდით ვაზნებს...

„საფანტი ჩააწყვე, საფანტი!“ — დაიღრიალა ბელკამ.

როგორც იქნა, ჩავტენე ვაზნები ლულებში, თოფი ცალი ხელით ავიქნიე. საკეტი ტკაპუნით დაიკეტა და იმავე წამს, იმავე ხელის ცერით ავაყენე ორივე ჩახმახი...

ამ დროს თვალებში ყველაფერი ამერია. ვიგრძენი მძლავრი, უეცარი და გაუგებარი დარტყმა და სადღაც გავფრინდი, ზღართანი გავადინე, ყირაზე გადავედი და წამოგვარდი. პირველად პალმა მომხვდა თვალში: წკმულით გარბოდა სადღაც, მერე შემობრუნდა და ისევ ჩვენთან მოიბრინა. ბელკა ძირს იჯდა და შეკმუხვნილ შუბლს ისრესდა. მანქანაც იქვე იდგა, საჭესთან თვალებდაწყურებულ თხორქევესკი იჯდა და უაზროდ მოგვეჩერებოდა...

ბელკა წამოდგა, თოფი გადახსნა და გასროლილი მასრები ამოყარა. მერე მე მანიშნა, თოფი გახსენიო, მეც ანგარიშიშუტეებლად გადავხსენი და გაკვირვებული დავაჩერდი გახვრებილ ფისტონებს...

უცებ ვიაზრეთ, რას ვადავუჩრით: მანქანიდან გადმოვარდნისას ორივეს თოფი ისე გავარდა, არც ერთს არ გავვი-

გია. ბედნიერი შემთხვევა მოხდა, რომ ტყვიები არავის და არაფერს არ შეხებია, ისე წავიდნენ მიწაში, თუ ცაში... წარმოვიდგინე ჩემი თოფის ლულა ბელკას კეფაზე მიბჯენილი, ეს კეფა თოფის გავარდნის შემდეგ და მთელს სხეულში ცვივმა, მძიმე შიშმა დამიარა. ბელკასაც ალბათ ასეთივე სურათი ეხატებოდა თვალწინ, ისეთი შეძრწუნებული მიყურებდა...

ჩუმად მივედი მანქანასთან, მოვათვლიერეთ გარემო. სულ პატარა ჩაღრმავება საკმარისი აღმოჩნდა, რომ დიდი სისწრაფით მიმავალი ვილისი ასანთის კოლოფივით შეეგლო ჰაერში და ადგილზე შემოებზრიალებინა. მანქანის ქვეშიდან გამოძვრა ნახშირივით ჩაშვებული თხორქევესკი, ბელკას შეხედა და წყნარად, მკაფიოდ თქვა: კარდანი ჩამტვრეულია და დიფერი ჩაშლილიო...

ამის შემდეგ ხმა აღარავის ამოუღია. ყველას კრიკა გვექონდა შეკრული, თითქოს ყბებზე ჭახრაკები მოგვეჭირესო. იყო რაღაც ცუდი, უსიამოვნო გრძობა: თითქოს სამარცხვინო დანაშაულზე წაგვასწრო ვინმემ და კარგი სილაც გავაწაწა, ჩვენ კი ვერაფერი ვუპასუხეთ...

ამოვიღეთ ზურგჩანთები. ჩავტენეთ შიგ თბილი ტანსაცმელი და საგზლის ნარჩენები, ავიკიდეთ და დავადექით გრძელ, უხალისო გზას უდაბურ ტრამალში. ის ღამეც ცის ქვეშ გავატიეთ და მეორე დღეს გამოვედით სამანქანო გზაზე, მაგრამ სანამ ფოილოში არ ჩავედით, არაფერი შეგვხვედრიო.

აქედან მე და ბელკა მატარებლით წამოვედით თბილისში. თხორქევესკიმ კი ერთი სატვირთო მანქანა დითანხმვა ვილისის ფოილომდე გამოსათრევადა...

ასე დამთავრდა ეს დანავსული ნადირობა ჩათმაში... მაგრამ რომ ვიხსენებ ჭეირნების ამბავს, გული აღარ მწყდება. პირიქით, ვნანობ, რატომ ასე არ დამთავრდა ყველა ასეთი ნადირობა, მაშინ სხვანაირად იქნებოდა საქმე. ახლა უკვე მრავალი წელია, რაც ჭეირანი აღარავის დაუხანავს ჩათმის ტრამალებში...

## თბილისი

ბნელ ქედებს ფრთები გაჰკრა აისმა,  
 ხეს აქანავებს ნიავი დილის,  
 ამ სურათებმა სული ამივსო,  
 გათენებისას რომ ავსებს თბილისს.  
 მე წლებს ვმარცვლავ და შენს ბურჯებს ვვერცხლავ,  
 მინდა გიყურო ყოველი მხრიდან,  
 როგორ წვდებოდა გოდება ზეცას,  
 დრო როგორ გშლიდა და ისევ გქმნიდა.  
 ვიგონებ ზათარს, გაზაფხულს, ზაფხულს  
 და შემოდგომას მზიან ბალებით,  
 შენ ისტორიის ქარცეცხლში დაგზრეს,  
 ნაწარიდან ხარ ამოსაღები.  
 ქუჩებში მეფობს სული ნიავის,  
 ეალერსება მძინარე სახლებს,  
 შენ დაამარცხე დროის სიავე,  
 შენ ისტორიის ქარცეცხლში დაგზრეს.  
 შენ აღშენება, მრავლის მნახველო,  
 მრავალძარღვას და ფერადკანიანს,  
 დრო მომავალი სივრცე, სიანხლე,  
 შენი დიდების გასაქანია.  
 და ისევ მინდა ყოველი მხრიდან!  
 აღტაცებების შეგმოსო ფარჩით,  
 შენ სიმართლე გზრდის, სიმართლე გზრდიდა,  
 ამიტომ გასძელ, ამიტომ დარჩი.

## უმატარებლო სადგურები

ბალახებზე და წყალზე შებინდდა,  
 გაღმა კი ძალი უაზროდ ყვეფდა,  
 უმატარებლო სადგურებიდან  
 მახსოვს შრიალი შეწყობილ ხეთა.  
 ვიდაცის ფეხქვეშ ხმაურობს ხრეში,  
 ლოდინში წვანან ლიანდაგები,  
 გამონათებს მანქანა ბნელში,  
 როგორც ბრმა-მეგზურს, მზერით გაყვები.

ზეცას ფერი აქვს ძველი კრამიტის,  
 ხეებს სიბნელის თითქოს ხრის სისქე,  
 ეს გზები ვიცი რომში არ მიდის,  
 ქუთაისისკენ, ქუთაისისკენ.  
 მახსოვს შრიალი შეწყობილ ხეთა,  
 სადგურები და ხეები ბნელი,  
 ჰორიზონტიდან სიბნელეს ხევდა  
 დიდხანს ნანატრი მატარებელი

## მსუბუქი ღამე

თვალებს ამინთებს, თვალებს ამიხვევს,  
 მთვარე, რომელიც ყველგან ფათურობს,  
 რა ლამაზი ხარ ნაზო ალვის ხეც,  
 თვალდახრილო და წელგამართულო.  
 რა ლამაზი ხარ მთვარის სამოსში,  
 ირგვლივ ქედები როცა ბნელია,

სამყაროს ფეთქვას წამით ჩამორჩი,  
 შემოგცქერიან და არ გელიან.  
 მაგრამ შრიალებ და ამით ხარობ,  
 გარდასახულო მთვარის შუქებით,  
 ღამის და მთვარის მსუბუქო ალო,  
 დაამებულ სულს ნუ ჩაუქრები.

გვერდზე გავდგები, ცხელა, ხვატია,  
 შორი ქედები ლივლივებს ლილად,  
 რა სისხლის მელნით ჩამისხატია  
 ეს მხარე—გულში უზომოდ თბილა.  
 პატარა სადგურს ფარავს ვერხვები,  
 ვერხვები ფარავს პატარა ბაქანს,  
 მკერდს გადავიხსნი, გულს შევიწვები,  
 და გულით ტრფობის საგანთა საგანს.  
 მატარებელის ჩრდილი დაირწა  
 გაფენილია ქართლის ველები,  
 დახეთქილია ნაკურთხი მიწა,  
 ოფლანდენი და სისხლნახველები.  
 გზაზე აგდია ზოლი, ვით სახრე,  
 და მზეში იწვის მინდვრები ქართლის,  
 როგორც ქართლელი გლეხკაცის სახე,  
 მქნელი სიკეთის და მთქმელი მართლის.  
 მტკვარის მოგყვება ჩქერი ნიადაგ,  
 მარჯვნივ ან მარცხნივ ხელს გვართმევ ხელში,  
 მცხეთასთან თვალებს ზეცას მიადგამ,  
 პირჯვარს გადიწერ ჯვრის მონასტერში.  
 სულს ასპეტაკებს, სულს მზერით დაღლილს,  
 სხვა მოუხდება ამ ცას რომელი,  
 შეერთებულ წყალს არავის და მტკვრის,  
 წინ გზას უნათებს სვეტიცხოველი.  
 მერე ეშვება ხომალდი ციდან,  
 მამადავითის დამრეც კალთაზე,  
 მტვრით ვივსებოდი, გრძნობები მცრიდა,  
 ღმერთო, ეს ძალა გამათასვ

**სასახლის დარბაზები**

შენს ირგვლივ შუქი ისევ შერბილდა,  
 ძველი ჩრდილების რკალით შვერაზე  
 შემაწუხებელ მოგონებიდან.  
 შენა ხარ ალბათ სათნო ყველაზე.  
 როგორც ხის ტოტი — ისე მიხმები,  
 დაურხვევლი ხე იყავ ხილის,  
 ბინდმობვეული ძველი ნიღბები  
 მესალმება და წარსულთან ტირის.  
 და მზერა რამდენს იტევდა, მზერა,  
 მსუბუქ ნაღველს და იმედებს რამდენს,

დრო ვერ გაცვითავს, ვერასდროს ვერა,  
 იმ ოქროს წლებით მონაქსოვ ბადეს.  
 დარბაზს ავსებდა ათასი მუხტი  
 და ჩამოქნილი შენი პროფილი,  
 საოცრებაა, რარიგად ვწუხდი,  
 დღეს იმ წუხილით ვარ კმაყოფილი.  
 დრო მიეფარა ჭრიალა კარებს,  
 კედლებს მოსცილდა ჩრდილთა ვაზები,  
 სხვაც შეიცვალა, შენც შეიცვალე,  
 სევდამ აავსო ის დარბაზები.

**მყუდროება**

მთვარემ კედლები გააქათქათა,  
 მტკვარს ეწმინდება სიბნელის ფერი,  
 ბედაურივით ღვება მახათა  
 და სალოცავად — ტაძარი ძველი...

და ირგვლივ ქალაქს, მორაგველს მთებით.  
 ეღვრება სახვე მთვარის ნათელი,  
 ამ მყუდროების სიამით ვთვრები,  
 ღამის სიმძიმით სულგანათელი.

## ივანის უღელგახილი

მივაბიჯებდი გამხმარ ბალახზე,  
შორს დარჩა ჩემგამ ნაზი პირიშვე,  
შარა თვალითაც არ დამანახვეს,  
მივენდე კლდეზე გაჭრილ ბილიკებს.

ერთხანს ვეკიდე ქალამნის თასმით,  
(გამახსენდება და გაეფითრდები),  
ტკბილი სულის და სიცოცხლის ფასი —  
ისევ ატყვია ქვებს ნათითრები,

ფერდაკარგული სისხლის წვეთებიც  
შემორჩენია ლალის მძივებად,  
რა ღელე-ყურე დავეხეტებით,  
რა ძნელი არის გზების ძიება,

ძნელია, ვინმემ ხელი ჩაკვიდოს,  
გადგარჩინოს ვიწრო ქარაფებს,  
კისრიდან მოგხსნას ქვების აკიდო,  
დაგისხას წყალი ბედის ჯარაზე...

უკან დავტოვ პირველყოფლისა  
უნასთა ბუდე, ქაჯთა საუფლო

და სისხლიანი კლანჭი ყორნისა  
თან ჩავატანე ღონეს ჩაუქრობს.

მე კმაყოფილი ვიყავ მგზავრობით  
და ვპოვეულობდი სულის სიმშვიდეს,  
სიმართლისა თუ ძალის წყალობით  
ფიქრის გამხელას ვეღარ მიშლიდნენ...

ბედზე დღეს უფრო ლაღად ვსაუბრობ,  
სირცხვილი,

ვინაც ფეხქვეშ გაუძვრეს,  
რაკი მის ბრჭყალებს ხორცმა გაუძლო,  
ეჭვი არ არის სულიც გაუძლებს.

ვიძმე იმედის უღელტეხილი,  
მისი სიმაღლე ვიგრძენ აშკარად,  
ჩემი ცხოვრების მრავალწერტილი  
აქ თავს იყრის და მართავს მასკარადს.

... იქით კი ისევ გზები გაჭრილან,  
ვშიფრავ ამ გზათა ნაირფერობას,  
საჭირო არის თავის განწირვა,  
ლელოს გატანა და სულგრძელობა.

## სიყვარულის უაღლა

1.

შურის ციხეზე ლაღად ავმალდდი,  
შენც ჩემთანა ხარ დამფრთხალ შუნივით,  
სიხარული და სხივი ამა დღის,—  
ღელვა, სიამე, სითბო, სურვილი.  
დამინიავე თეთრი თავშალი,  
თორემ დავიწვი დაუდგარი,  
გამითელია ლორთქო ავმანი,  
გამილენია რუხი ზეგანი.  
ჩოხად მაცვია სხივთა აღმური,  
შუადღის სუნთქვა გახუნდელი,  
შენი საყურის მისწვდა წკარუნი  
და იშმუშნება ციხის კედელი.  
ცხელი ოცნების ვწევარ ზენიტზე,  
ვევლა ყვაილი შენთვის შევკარი  
და დამდგომიხარ თავზე ჩემი მზე,  
ჩემი ქვესკნელი, ჩემი ზეკარი.

2.

სად არ გვეძახდნენ,  
სად არ გვევილია,  
რა უსაზღვროა ჩვენი მთა-ბარი,  
ვკოცნიდით მიწას მზიანს, ჩრდილიანს,  
ზოგჯერ შხაპუნა წვიმით გაბანილს.  
პეშვით შეგვისვამს წყარო მთებისა,  
გაგვიკვლია ტვერი საირმე  
და სურნელემა შენი თმებისა  
მონატრებიათ მინდვრის ყვავილებს.  
სხვა რა მახსოვდა შენი მზის მეტი,  
შენთან ვგვდებოდი დაისს, ალიონს,  
სიყვარულს როგორ დავუსვამ წერტილს,  
ან მტკვარი კოვზით როგორ დაველიო-  
როგორ არ გითხრა, ქალავ სიმართლე,  
სული გელტვის და გესაუბრება,  
მუდამ ვილოცებ,  
მუდამ გინატრებ,  
მე დავიტოვე ამის უფლება...

# გრიგოლ ჯულუხიძე

ქარი აქრობს, ქარი ანთებს  
წუთისოფლის სანთლებს...

მე წავალ და შენ დარჩები, —  
ბრწყინავს ზამთრის ვერცხლი...  
ვაი, როგორ ვიტანჯები,  
აუნთებელ ცეცხლით.

ჩემო ჩუმო სიყმაწვილევ, —  
ფრთადამტყდარო ჩიტო,  
დღე ბრმად ზეცას გვინაწილებს,  
ვერ აფრინდი მიტომ.

დგახარ გზაზე მოწყენილი,  
მოთმინება გმართებს...  
ქარი აქრობს, ქარი ანთებს  
წუთისოფლის სანთლებს.

ჩემო წყნარო სიყმაწვილევ,  
ამღერდები როდის?  
მოთმინება მიგაცილებს,  
მოთმინება მოდის...

ქარი. ანთებს, ქარი ანთებს  
წუთისოფლის სანთლებს.

## ღიალოვი

— დედავ, მზე ბრწყინავს — თვალი ცის,  
და ცრემლს უმშრალებს ყანებსა...  
— შვილო, მზემ ცრემლის რა იცის,  
არ შეხვედრია ღამესა!

— დედავ, გზის ხმოვა ჩაგესმის?  
მო, გავყვეთ — დარდებს დანისლავს!..  
— შვილო, გზას დარდის რა ესმის,  
მაცდუნებელსა მგზავრისა.

მევალე არ იგვიანებს —  
ჟამი არიგებს ვალებსა,  
ე, ქარბორბალა ტრიალებს  
და დღეს უნატრებს სვალესა.

შენ ჩემი თავი მოგიკვდეს, —  
გზას რა ჩურჩული გილოცავს...  
დაცდა უხდება თბლის კვერს,  
ნუ აჩქარდები, შვილოსა!

## პიპილოები ქალაქის ცხოვრებიდან

### თ ა მ ა უ ი

შუა გზაში გდია კაცი —  
დახატული თეთრი ცარციტო,  
მარჯვნივ ცარცის მზე ხატია,  
მზე ხატია მარცხნივ.

მანქანები გადარბიან  
და ტკეპნიან კაცის მუხლებს...  
დგას გოგონა, ცარციტო ხელში,  
კაცს ჭრილობებს ცარციტო უხვევს.

### მანქანები, მანქანები, მანქანები..

სახლებს ავტოს ჯარი აკრავს,  
ავტო — ექიმს,  
ავტო — დალაქს...  
გოგონა კი ცარციტო ხატავს  
უმანქანო დედაქალაქს.



პალანგინა გავიხვილი

## გიორგი და სოფელი

ხვათაშუაშვილი

ვის არ უყვარს თავისი სოფელი, მაგრამ გიორგის მინც განსაკუთრებულად უყვარს წავკისი. ექვსი წლის ბიჭია გიორგი — საზრიანი, მკვირცხლი, ალერსიანი. დიდ ქალაქში ცხოვრობს და მთელი ზამთარი იმის ნატვრაშია, ნეტა მალე გამოზაფხულდესო. იცის, გაზაფხულდება თუ არა, ამოყოფს თუ არა შეთხელებული თოვლიდან თავს ყოჩივარდა, ყოველ შაბათ-კვირას ივლიან პაპა და დიდედა წავკისში და მასაც წაიყვანენ.

გაზაფხულზე ბევრი სამუშაოა სოფელში. პაპას ხეხილი აბარია, დიდედან და გიორგის — ყვავილები, ბოსტანი და მარწყვი.

მარწყვის დიდი გულმოდგინებით უვლის ბიჭი, მამის საყვარელი ხილია და თვითონაც ძალიან უყვარს. თანაც, დამალობანას თამაში იცის მარწყვმა — მივლენ გიორგი და დედა მარწყვის კვლებთან პატარა კალათით, დახედავენ — გადახლართული მწვანე ფოთლებია მხოლოდ; ჩაცუცქვდება გიორგი, ფრთხილად გადაშლის ფოთლებს და გული რეჩხს უზამს — წითელი მარწყვი მორცხვად გაუღიმებს ფოთლის ქვეშედან.

ნაირ-ნაირი ყვავილი ხარობს ეზოში,

ისეთი ჯიშები შეარჩიეს, სულ ერთიმეორის მიყოლებით ჰყვავიან. დიდედა ამბობს, სანამ აქა ვართ, რომელიმე ყვავილი აუცილებლად უნდა ყვაოდესო. პაპა კი სულ იმას გაიძახის, ნუ გადაყვეთ მაგ ყვავილებს, ცოტა ხეხილსაც მიმიხედეთო.

გიორგი ლამის ორი წლიდან შეაჩვიეს მცენარის სათუთ მოპყრობას, ახლამოწვერილი ნათესის მოფრთხილებას, ნორჩი ყლორტის ხელშეუხებლობას. ოთხი წლისა რომ იყო, ისე შემოგატარებდათ პატარა ბაღს, არც ყვავილის სახელი შეეშლებოდა, არც ხეხილისა, ყოველ ხეს ფოთლითა სცნობდა. თავისი საკუთარი ხეებიცა აქვს, თვითონ უვლის, პატარა სარწყავითა რწყავს.

ყვავილების მოვლა-პატრონობა ნარგიზებიდან იწყება ხოლმე: ია და ენძელა თავისით, ველურად ამოდის ეზოში, ენძელა თეთრად ქათქათებს მწვანეში, იას კი, თითქოს ცამ უწილადაო ლურჯი ფერი.

გიორგი თავისი პატარა საჩიჩქნით, დიდედა მომცრო თოხით მოუჩიჩქნიან, მოუფხვიერებენ მიწას ყვავილებს, მერე მორწყავენ. გვალვა თუ ღიაჭირა, შაბათამდე კეთილი მეზობლები წაახმა-



რენ ხელს, მორწყავენ ყვავილებს, ბონ-  
ტანს. დიდი დიდება მოხუცდა და ველარ  
აულის ყველაფერს. ეს გაზაფხულზე,  
თორემ ზაფხულში და შემოდგომაზე  
ხომ თვითონაც იქ არიან. ნარგიზი მო-  
ლევას ვერ მოასწრებს, რომ ტიტა აღუ-  
ვდება წითლად. მერე იასამანი გამეფ-  
დება და მთელ სოფელში მისი სურნელი  
დაიფრქვევა. ასე, ათი დღის შემდეგ  
გრაკლას ორი ბუჩქი გადაიპენტება თე-  
თრად და ბულდონეზია დაბერავს თავის  
ვარსკვლავა ბურთებს, ახლა ზამბახის  
ღერი გამოეყოფა გრძელ ფოთოლს და  
ზედ ყვავილი გადაიშლება — სამ მუქ  
ლურჯ, ხავერდოვან ფურცელს გაღმო-  
შლის, სამს, უფრო ბაცს, შიგნით შეახ-  
ვევს. ძალიან სათუთი ყვავილია ზამბა-  
ხი.

შემდეგ შაბათს, გააღებს თუ არა პაპა  
ქიშკარს, მაშინვე ქასმინის სუნი ეცე-  
მათ. მსხვილყვაილია დიდდას ქასმი-  
ნი, ბიჰმა იცის, დედას განსაკუთრებით  
ჟყვარს და სულ ფაციფუცშია, წაღება  
არ დაგვაიწყდესო. თანაც, ქასმინის  
ერთ-ერთი ბუჩქის ძირში გიორგის სი-  
ჯიუტა ჩაფლული.

ერთხელ ძალიან გაჯიუტდა რაღაცა-  
ზე, დიდდამ ვერაფერი მოუხერხა,  
ვერც გასატყუბად გაიმეტა და ეშმაკო-  
ბა იხმარა — გაბუხსულ გიორგისთან  
ნივიდა და ყურში ჩასჩურჩულა: წამო-  
დი, შენი სიჯიუტე ჩავფლათ და აღა-  
რასოდეს მოგვრევაო. ბიჰი უკვე თვი-  
თონაც შეწუხებული იყო და რაკი ასე  
გაუღვიღეს, გაეხარდა. ვავიდნენ ეზო-  
ში და ქასმინის ბუჩქებში ჩაფლეს. ის  
იყო და ის, იმის შემდეგ ისე ძალიან  
აღარ გაჯიუტებულა.

ქასმინი რომ მოილევა, მუქი წითე-  
ლი პეონები გაშლიან კოკორს — საკ-  
ვირველია პირდაპირ, ერთი ციციქნა  
კოკორიდან დიდი მუშტისოდენა პეონი  
გადმოიფოფრება.

ამასობაში ხვიარა ვარდები ეშაღე-  
ბიან; ჯერ თეთრებს დაებუთქებათ კოკ-  
რები... და ერთ მშვენიერ დღეს თეთ-  
რად გადაიპენტება სახლის ერთი კედე-  
ლი. მერე ვარდისფერ-ალისფერი მტევ-

ნები დაეკიდება სახლის სვეტებზე,  
ბეზე, ბალურა ლობეზე.

ეზოში კი კელაპტრებივით აღიმარ-  
თებიან გლორიას მძლავრი ყლორტები,  
მოყვითალო კოკრები თავის დროს  
ელიან.

ეგერ, შინდისფერი ხავერდის ვარ-  
დები, დიდი კოკორი სხვა ვარდებივით  
არ გადაიშლება — თუ არ მოწყვიტე,  
ისევე კოკრად ჩამოჰკნება. აქეთ, ალის-  
ფერი... რაღაც უცხო ფერი დაჰკრავს,  
„სუპერს“ ეძახიან ამ ვარდს. ნაზი ვარ-  
დისფერი, სანთელს რომ მიუგავს კოკ-  
რები, აქვეა სტაფილოსფერი და თეთ-  
რი ვარდები...

და ლობის ძირში ჯუჯა, მაგრამ ძა-  
ლზე სურნელოვანი სამურაბე ვარდი...  
ახლა დაბალი ყვავილები!

ნაირფერი ზიზილა, სუმბული, იაქუ-  
ქუნა, ოსმალური მიხაკი, ზაფრანა და  
მიწას ჩახუტებული უნაზესი კესანეს ხა-  
ლიჩა. ინგლისურად კესანეს „არ დამი-  
ვიწყო“ ჰქვია — თითქოს ამ პაწაწკინ-  
ტელა ცისფერ ყვავილებს ეშინიათ, ვა-  
ითუ ვერ დაგვიხსომონო. და, სულ ბო-  
ლოს, მსხვილყვაილია ყელმოღერებუ-  
ლი ბაღის გვირილა და შროშანი.

ამ დროისათვის ბალურა ლობე სვი-  
ის ბოჭკოებით გადათეთრდება და ბა-  
ღის მიხაკი აყვავდება.

ჰო, მართლა, კიდევ ერთი ხვიარა გა-  
მოგვრჩა, ძველი გრამოფონის მიღს  
მიუგავს წარინჯისფერი ყვავილი; კახე-  
თიდან ჩამოიტანეს ნერგი და დიდდამ  
„კახელი“ შეარქვა, თორემ ისე ვაზის-  
ტანა ჰქვია; სამი წელი იწვალეს, რამ-  
დენი წყალი უსხეს, რამდენი ნაკელი  
უყარეს, რა არ იღონეს... არა და არ  
გაიხარა. მაგრამ მაინც არ მოეშვენს,  
და როგორც იქნა, წელს გამოიღო ყვა-  
ვილი, ნელ-ნელა აუყვა აივნის ბოძს.  
უნდა გენახათ გიორგისა და დიდდას  
სინარული!

აი, რამდენ რამეს უნდა მოუარონ  
გიორგიმ და დიდდამ, ხეხილზე აღა-  
რაფერს ვამბობთ, ხეხილი ხომ პაპას  
აბარია.

## დახეული ხალიჩა

ზამთარში, დედა რომ ლოგინში შე-  
წვეს გიორგის, ძილის წინ ერთ ზღა-  
პარს წაუკითხავს, ორს და მეტს აღარა,  
სინათლეს ჩაუჭრობს და ეტყვის, ახლა  
კი დაიძინეო. ბიჭი ერთხანს გასუსული  
წვეს, არ ეძინება; მერე ბალიშის ქვე-  
შიდან წინასწარ შენახულ ორ პაწაწინა  
მანქანას გამოაძვრენს, ლოგინში შეა-  
ცურებს და საბნის ქვეშ ბოლო ზღა-  
პარს გაითამაშებს.

ერთი მანქანა ეტლია, შიგ მეფის  
ასული ზის, მეორე — ნერანი, ზედ  
მისი ძმა, უფლისწულია ანხედრებულ.  
მარჯვენა ხელის ხუთი თითი უფლის-  
წულების ამაღაა, მარცხენასი — ყაჩა-  
ღები. მიდიან, მიდიან და ზედ მთის  
წვერზე (გიორგის მუხლისთავზე) ყაჩა-  
ღები დაესხმიან თავს მგზავრებს.

გაჩაღდა ბრძოლა, ატყდა ხმლების  
ჩახა-ჩუხი და შუბის ტრიალი... გიორ-  
გი გაერთო და ხმამაღლა მოჰყვა ბუტ-  
ბუტს. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, უფ-  
ლისწულის ამაღა იმარჯვეს და ეტლი  
და ცხენოსნები მშვიდობით განაგრ-  
ძობენ გზას.

ახლა რაღა ქნას?! მაინც არ ეძი-  
ნება...

და თავის საყვარელ ოცნებაში გაი-  
ნავარდა, მით უმეტეს, დღეს პაპამ  
უთხრა, მალე გამოთბება და სოფელს  
აგზედოთო.

და, აი, საბაწში განვეულ გიორგის-  
თან უკვე მოვიდა ის სანატრელი  
შაბათი.

პაპამ თავისი ნისლა დააპიბინა, გიო-  
რგი უკვე დიდიხანია გამზადებულია,  
წამდაუწუმ ფანჯარაში იჰყიტება და  
ახლა თავისი პატარა ჩანთით ხელში  
ჩაირბინა კიბე, დიდედას კალთაში დას-  
კუპდა და ნისლაც დაიძრა.

პირველივე მოსახვევში, ორი მტი-  
რალა ტირიფის ქვეშ — ჯერ ისევ ყვი-  
თლად არის ჩამოღვენთილი ტირიფის

ტოტები — ერთი ჯადოქარი ფანჯარაა.  
თუ ღიაა ეს ფანჯარა, პაპას უღვაშა  
პურებს მოაწვდიან იქიდან, თუ არა და  
რა გაეწყობა, ისევ წავკისის თონეს  
ესტუმრებიან. დღეს ყველაფერი კარ-  
გად აეწყო, ფანჯარაც ღიაა, უღვაშა  
პურებიც მოაწოდეს პაპას, დიდდამაც  
მოუტება ცალი უღვაში — წვეტიანი  
ყუა, ილუქმება გიორგი და მიჰქრის  
ნისლა.

აგერ, წყაროც. აქ მუდამ მანქანები  
გაჩერებული, შოფრები ხან რაღია-  
ტორში წყალს ასხამენ, ხან რეცხავენ  
გამტვერილ მანქანებს, ხანაც იქვე, წყა-  
როს უკან ბალახზე გაზეთებს გაშლიან  
და სახელდახელოდ საუზმობენ.

წყაროს უკან ფერდობი გარეული  
ყურძნის ვარსკვლავა ფოთლებით არის  
დაფარული და შემოდგომაზე წითლად  
ლუის. — გაიხსენა გიორგიმ, — გზის  
მარცხენა მხარეს მაისის ბოლოს ბრო-  
წეულის ყვავილები აბრიალდება წით-  
ლად...

ნისლა კი ისევ მიჰქრის, აღმართზე  
ასრიალდნენ, მერე ცოტა ვაივაკეს. აი,  
ახლა რომ მოსახვევი გამოჩნდება,  
მარცხნივ გაიხედავს გიორგი და ეს-  
მინის ნაცნობ ბუჩქს მიესალმება გულ-  
ში.

შემდეგ მოსახვევში ორი სვეტია აღ-  
მართული. აქ მუდამ მილიციელი დგას.  
ერთხელ წავკისიდან მოდიოდნენ და  
გზაში შემოალამდათ. ამ ადგილს რომ  
მიუახლოვდნენ, პაპამ მოსახვევში სვლა  
შეანელა, თბილისს გადახედეს და დი-  
დედამ უთხრა:

— შეხედე, გიორგი, რა ლამაზია  
აქედან გაჩახახებულნი ქალაქი.

მართლაც, ლამაზი იყო ქვევით გა-  
წოლილი და მთის კალთებზე შეფენი-  
ლი თბილისი. ჩახახა და ბნელი ნაფ-  
ლეთები არეულიყო ერთმანეთში.

ვალენტინა ტატიშვილი  
გიორგი და სოფელი



ბიჭმა გადახედა ქალაქს და თქვა:  
 — დიდე, დახეულ ხალიჩას არა ჰგავს თბილისი?  
 თქვა და მაშინვე შენიშნა როგორ

ჩაიღიმეს, ერთმანეთს გადახედეს და დიდედამ. ალბათ, მოეწონათ ჩემი ნათქვამიო, გაიფიქრა მაშინ გიორგიმ და ახლაც კმაყოფილებით გაეღიმა.

**ძალღების კრება**

და... ისევ მიჰქრის პაპას ნისლა, ის ორი სვეტი უკან მოიტოვეს, ახლა პაპა სვლას შეანელებს, ფრთხილობს, მით უმეტეს, როცა გიორგი უზის წინ. ამ გზაჯვარედინსაც გასცდნენ და... ლოგინში გასუსულ ბიჭს ჩუმად ეცი-  
 ნება...

სწორედ ამ დროს დედამ შეაღო ოთახის კარი, დაუცაცხანა, დაიძინე ახლავე, რა დროს თვალების ჭუტვააო! (სიცოცხლის დროს თვალები ეჭუტება ხოლმე გიორგის) და გავიდა.

გავიდა და გიორგიმაც ვანაგრძო გზა სოფლისაკენ. თან ეშმაკურად ეღიმიება, იმიტომ რომ საინტერესო ადგილს უახლოვდება პაპას ნისლა.

ერთ გზაჯვარედინს კიდევ გასცდნენ. ხელმარჯვნივ ახალჩარგული კაკლის ნერგებია გამწკრივებული და ფერ-  
 დობზე ცხვრის ფარა მოჩანს, ხელმარ-  
 ცხნივ ფერდობი ნუშის ხეებს დაუფარ-  
 რავს. კაკლებს სიცოცხლას ნიშანწყა-  
 ლი არ ეტყობა ჯერ, ნუშებს კი უკვე კვირტები დაბუთქვიათ. ახლა ოდნავ ძირს დაეშვა გზა, გიორგი გულის-  
 ფანცქალით ელოდება მოსახვევს.

და, აჰა, ზედ მოსახვევში პატარა

ბოგირიც გამოჩნდა. მარჯვნივ ბილიკი მიიკლაკნება, ერთხელ პაპამ უთხრა, წინათ წავკისის გზა ეს იყო.

გიორგის ისევ ეშმაკურად ეღიმიება, უყვარს ეს ადგილი და აი, რატომ. ერთ-  
 ხელ ამ ბილიკზე ძაღლების ხროვა და-  
 ინახა და მაშინვე შესძახა:

— შეხედეთ, შეხედეთ! რამდენი ძაღლი!

დიდდა გაეხუმრა, ალბათ ძაღლების კრებააო, და უნდა გენახათ, როგორ მოილხინა ბიჭმა! მაშინვე მხარზე აუბა ხუმრობას და იკითხა: ნეტა რაზე ბჭობენო! (ზოგჯერ დარბაისლური ლა-  
 პარაკი იცის გიორგიმ) დიდდამაც უკან აღარ დაიხია და უთხრა:

— ალბათ, იმაზე, კატებს როგორ გავუმწაროთ სიცოცხლეო.

გიორგიმ წამოიძახა:

— უჰ, რა ომი გაიმარება!

ახლა პაპაც ჩაერია: კატები კი ხეზე ავარდებიან, ძაღლებმა იკითხონო; კი-  
 დევ თქვეს რაღაც-რულაცეები და ლა-  
 მის ზღაპარი შეთხზეს.

ერთი სიტყვით, მას შემდეგ, მიუახ-  
 ლოვდებიან თუ არა იმ ადგილს, მაშინ-  
 ვე ძაღლების კრებას გაიხსენებენ.

**ძარი და პარტყები**

ცოტათი რული მოერია გიორგის, მაგრამ მაინც ვანაგრძობს ოცნებას, გზას აგრძელებს.

აგერ, მოლუნული მკლავის მსგავსი მოსახვევი გამოჩნდა, ზედ იდაყვთან დაბალი, ფართოდ გაფარჩხული ლელ-  
 ვი ხარობს. უამრავი წვრილი ლელი ასხია. შეხედე შენ, როგორ ასხია ამას. ჩვენ კი ვერაფრით ვერ გავახარეთ, ეტყობა, მაღალია ლელვისთვის ჩვენი

სოფელიო, აღარ მახსოვს პაპამ თქვა თუ დიდდამ, გაიფიქრა გიორგიმ.

გზა კი სულ მაღლა-მაღლა მიიწევს; გარშემო მთების კალთებზე ცხვრის ფარები და კომბლები მოჩანან. ცო-  
 ტაც და, აგერ, ხელმარჯვნივ გიორგის წავკისიც გამოჩნდა, ფერდობზე შეფე-  
 ნილი და მთის ძირში გრძლად გაწო-  
 ლილი ლამაზი სოფელი. თავისი სახ-  
 ლიც დაინახეს, ფერდობზე კოხტად

წამოსკუბული, ხვიარებით დაფარული ხის შეუღლებავი სახლი მუქად მოჩანს სხვა ნაირფერად შეღებულ, ქვითა და აგურით ნაშენებ სახლებს შორის.

მაგრამ ჩვენი სახლი მაინც ყველაზე ლამაზია, ფიქრობს ძილ-ღვიძილში გიორგი, — მოიცა, ჯერ აყვავდნენ ხვიარები!

და ცოტა გამოფხიზლდა, ხვიარებზე გაახსენდა.

ზედ ხვიარებთან და აივნის ჰერის კუთხეებში ბელურები და მერცხლები ბუდობენ. ბელურები ნამდვილი ყაჩაღები არიან, მერცხლები კი შემოსხდებიან მავთულეებზე და საამუხრად ქლურტულეებენ. ერთხელ, მთელი ღამე, ქარი ბობოქრობდა, დილით კი მშვიდი, მზიანი ამინდი დახვდა გამოღვიძებულ გიორგის. მაშინვე ჩაიცვა, კიბე ჩაირბინა და რას ხედავს — ქვემო აივნის იატაკზე სამი ახლად შებუმბულული,

დახოცილი ბარტყი გდია. გავარდა მაშინვე შეწუხებული ბიჭი და დიდდა მოიყვანა. დახედეს — ორს ბელურის ბარტყი აღმოჩნდა, ერთიც მერცხლისა.

დიდი ბელურები გამაყრუებლად ყივიყივებდნენ. არ გასულა ორი წუთი და დედა მერცხალმა ჩაუქროლა ბარტყებს წივილით, დაბლა, ლამის იატაკს გაეკრა, უცებ მობრუნდა და ახლა მეორე მხრიდან ჩაიქროლა წივილით: ბევრი უტრიალა იმ ადგილს, ბოლოს იმის საცოდაობას ველარ გაუძლეს მოიტანეს პატარა ნიჩაბი და საცოდავი, ქარის ჩამოყრილი ბარტყები ბალის ბოლოში ჩამარხეს.

მთელი ის დღე ბელურებიც საცოდავად ყივიყივებდნენ და მერცხლებიც უფრო სევდიან ხმაზე ქლურტულეებდნენ.

აი, ეს ამბავი გაიხსენა გიორგიმ და...

### მ ი ნ ლ ვ რ ე ბ ი

ისევ განაგრძობს გზას ნისლა. უკანასკნელი დიდი აღმართი აიარა, თითქოს დამძიმდა, სვლას უკლო; პაპა ამბობს, ნისლას ბრალი არ არის, აქ დიდი აღმართიაო. ესეც გადალახეს. უცებ მარჯვენა ნიშანი მისცა პაპამ, სვლა შეანელა და სოფლის გზაზე გადაუხვია.

— ესეც ჩვენი საყვარელი მინდვრები, — ფიქრობს გიორგი — ახლა ბუჩქებით დაფარული ხევიდან გულთეთრა კაქკაკი ამოფრინდება. და თითქოს ცხადად ხედავს ბიჭი, მართლაც წამოსკუბებულა ელექტრონის მავთულზე წყვილი კაქკაკი. „ჩვენი არც კი ეშინიათ“ — ფიქრობს გიორგი.

აქ უკვე ასფალტი აღარ არის, მოასფალტებული გზა ქვევით მოიტოვეს და აქეთ განგებ გადმოუხვიეს. ო, რა მინდვრები! წელიწადში ოთხნაირად ყვავის ჩვენი მინდვრები.

აღრე გაზაფხულზე, მიწას ოხშივარი რომ ასდის და ალაგ-ალაგ თოვლიც

მოჩანს ლაქებად, ახლად ამოწვერილ ბალახში გაბნეული ყოჩიგარდა, ენძელა და ყვითელი ვირისტერფა.

ვარდობის თვეში ყვითელი ბაია, შალგა, ქრისტესისხლა, ოქროსფერყვავილებიანი მარწყვა ბალახი; გზისპირას ასკილის ნაზი ვარდისფერი და ყაყაჩოს წითელი კუნძულები ჯეჯილში — ამ დროს წამდაუწუმ ჩერდებიან შარავზაზე მანქანები, მოედებიან მინდვრებს ბავშვები, კაცები, ქალები, კრეფენ ყაყაჩოს, კრავენ თაიგულებს, მაგრამ ქალაქამდე იშვიათად თუ ჩაიტანს ვინმე, გზაში ცვივა ფურცლები. ამიტომაც გიორგი და დიდდა არასოდეს კრეფენ ყაყაჩოს, გაიხაროს, ჯეჯილის სიმწვანეში უფრო ლამაზიაო.

ზაფხულში ლურჯი დიდილო, თეთრი წიწმატა, ჰინჭრის დედა, სამყურა და იონჯა აყვავდება, ბაბუაწვერას ფთილები დაფრინავენ, იონჯა ყვავი-

**ვალანტინა ტატიშვილი**  
გიორგი და სოფელი

ლად არც კი ითვლება, საქონლის საკ-  
გები ბალახია, მაგრამ...

აბა, იენისში მოინახულეთ ჩვენი  
მინდვრები, — ფიქრობს გიორგი დიდი  
კაცივით, თან უკვე მაგრად მოერია  
ძილი, — ნახავთ რა ნაზი ვარდისფერი  
გადაჰკრავს ხოლმე იონჯას, განსაკუთ-  
რებით ჩვენი აიენიდან რომ გახვდავ,  
გაღმა სერებზე ხასხასა მწვანე ჭეჯი-  
ლის ოთხკუთხედს იონჯის ნაზი ვარ-  
დისფერი ლაქა ესაზღვრება და ასე,  
მორიგეობით; ჰო, უფრო შორს თუ  
ვახვდავ, მთების ქონგურებს შორის,  
თბილისის ზღვის ლურჯი ნავლებივით  
მოჩანს ჩვენი აიენიდან. საღამოს კი  
გაჩახახებულნი ქალაქის დიდი ნაჭერი  
მართლაც დახეულ ხალიჩასა ჰგავს.  
ახლა აღარ ახსოვს გიორგის, თან ძილ-

მაც მაგრად დარია ხელი, თორემ მუც-  
რი სხვა მინდვრის ყვავილიც ყვავის  
ზაფხულობით მინდვრებში.

— შემოდგომაზე, — ძილს უძალი-  
ანდება ბიჭი, — როცა ბალახს მოთი-  
ბავენ, უცუხნას ყვავილებით დაიფარე-  
ბა ხოლმე ჩვენი მინდვრები — თეთრ,  
მოკლე ლეროზე ბაცი. იასამნისფერი  
ოთხფურცელა გვირგვინი და არც ერთი  
ფოთოლი. საოცრებაა რალაც, არც ერთი  
ყვავილს არა ჰგავს. ახლა ჩიტები:  
თეთრგულა კაჭკაჭები, ჭრელი, ქოჩორა  
ოფოფები, მოლაღურები, მეტიჩარა  
სკვინჩები, გუგულები, შაშვები, ტო-  
როლები და ბევრი სხვა ჭრელი ტყის  
ჩიტი.

— უჰ, — ისევ გამოფხიზლდა ბიჭი, —  
კინალამ არ დამავიწყდა!

## ნისლა და მელა

— უჰ, კინალამ არ დამავიწყდა! —  
ერთხელ, ამ გზაზე მე, პაპა და დიდდა  
მოვიდოდით მანქანით. შემოგვალამდა.  
უცებ მანქანას წინ მელამ გადაუბრინა  
და მინდორში გაცუხცუხდა. პაპამ ხუ-  
რობით შეატრიალა მანქანა და ჩოჩვით  
გამოედევნა. მელა, იმის ნავიერად, რომ  
გაქცეულიყო და ამ თვლებბრიალა  
მხეცს ვარიდებოდა, ცოტას ვაირბენდა,  
მოიხედავდა და როცა დაინახავდა, სი-  
ნათლე გაჩერდაო, ჩაცუცქლებოდა და

თვითონაც ყვითლად კუსავდა ეშმაკ  
თვალებს. დაიძვრება მანქანა, ცოტას ვა-  
ირბენს მელა, მოიხედავს და გაჩერე-  
ბულს რომ დაინახავს, თვითონაც ჩა-  
ცუცქდება და გაფაციცებით უთვალ-  
თვალებს. არც შეშინებულა და არც  
არაფერი. ვუყურეთ, ვუყურეთ მელას  
ეშმაკობას, ბევრიც ვიცინეთ, მერე  
პაპამ მოაბრუნა მანქანა გზისკენ და  
წამოვედით შინ.

## „მკითხირო“ ცოცხალ ღობეში

აი, მინდვრებიც მოთავდა და ორღო-  
ბეში შევიდა ნისლა.

ჩვენი სახლი, — ფიქრობს გიორგი, —  
სულ ცოცხალი ღობეებია ჩვენს ორ-  
ღობეში, იასამნისა და ასკილის ხშირი  
ბუჩქები.

ცოცხალმა ღობემ თავისი მწყერი  
გაახსენა გიორგის. პატარა რომ იყო,  
ხშირად ეხვეწებოდა მამას, სულ ტყე-  
ლზე რომ დადიხარ, რა იქნება, ერთი  
ცოცხალი მწყერი მეც ჩამომიყვანო.

და ერთხელაც, მამამ შეუსრულა ნა-

ტვრა, ჩამოუყვანა ცოცხალი ფეხშეკ-  
რული მწყერი. გიორგის სიხარულს საზ-  
ღვარი აღარ უჩანდა; მამინვე მოარბე-  
ნინა მუყაოს ყუთი, ჩასვა შიგ მწყერი,  
საკენი დაუყარეს, პატარა ჯამით წყა-  
ლიც. ჩაუდგეს და მთელი დღე თავს  
დასტრიალებდა ბავშვი.

მეორე დღეს, გაიღვიძა თუ არა,  
უმალვე ყუთთან მიიბრინა, მაგრამ შიგ  
საცოდავად მობუზული მწყერი დახე-  
და; არც საკენი აეკენკა, არც წყალი  
დაელია. ეს რომ დაინახა, გიორგიმაც

მოიწყინა, დედაც გუშინდელს აქეთია  
ამას უცდიდა და ვითომ სხვათაშორის  
უთხრა:

— გიორგი, მოდი, გავუშვათ, იქნებ  
შვილები ჰყავს სადმე, ამ ყუთში მარ-  
ტოკა, დატყვევებული ცოდო არ არის?!

ბიჭი მაშინვე გახალისდა, მამასთან  
გაიქცა, გავუშვათო, სთხოვა. წაიყვანეს  
მწყერი და იქვე ცოცხალ ღობეში გა-  
უშვეს. ერთი-ორი დღე ესმოდათ იქი-

დან „ქვით-კირო“, „ქვით-კირო“, მერე  
კი, ეტყობა, მწყერმა მინდვრებს მიად-  
წია. აკი, წელანაც ვთქვიო, გიორგის  
სახლი მინდვრებთან ახლოს დგასო.

მიუახლოვდებიან თუ არა ჭიშკარს,  
მაშინვე გამოცვივიან ეზოებიდან გიორ-  
გის საყვარელი მეგობრები: მაია, ნატო  
და პატარა ზურიკელა. დიდი დიდება  
აივანზე გადმოდგება და ხელს მოიჩრ-  
დილავს.

**ცუგა, ჩვენა ვართ!**


აი, პაპამ, ჭიშკარი გამოაღო. ზური-  
კოს უსახელო ქოფაკმა ჯაჭვი ააუღარ-  
უნა, აიფოფრა, წამოიყეფა, მაგრამ  
გიორგიმ და დიდებამ ერთხმად გას-  
ძახეს: „ცუგა, ჩვენა ვართ!“ და მაშინ-  
ვე ჩაიწყვიტა ხმა. აღრე, უფრო პატარა  
რომ იყო, ეშინოდა აქ გავლა, ზედ მო-  
საზღვრე ღობეზე აბია ყურეზ და კუდ-  
მოჭრილი ქოფაკი, მაგრამ, რაც შეაჩ-  
ვიეს ასეთ დაყვავებას, აღარ უყეფს  
ხოლმე. და ახლა, როცა წამოიზარდა,  
მაია და ნატო რომ ესტუმრებიან გიორ-  
გის, შინ ისე არ გაუშვებს, თუ არ ჩა-

მოაცილა. ძალი შეეჩვია ბიჭის ხმას  
და „ცუგა, მე ვარო“ რომ გაიგონებს,  
კრინტს აღარა სძრავს.

ახლა კი, რახან თავის სახლს მიადწია  
გიორგიმ, ფიქრებით დალილს ტბი-  
ლად ჩაეძინა.

ეს თვეც მალე გაილევა, ერთ მშვე-  
ნიერ დღეს პაპა და დიდება მართლაც  
გამოუვლიან და ყველაფერი ეს, რამაც  
ახლა თვალწინ გაურბინა, სინამდვი-  
ლეში აუხდება.

მაშ, ძილი ნებისა ვუსუტრვით გიორ-  
გის, ბავშვებო.





ივანე ქობალია

## მგზნებარე რევოლუციონერი

(ლადო ქეცხოველის დაბადების 100 წლისთავის ბამო)

„პო. შვეარდენო, შუბოვარო,  
მტრებთან ბრძოლაში დაცლილო სისხლით“.

(გ. გორაკი).

ლადო ქეცხოველი მიეკუთვნება თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა სახელოვან პლეადას. თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარი სიცოცხლე მან შესწირა საერთო-სახალხო საქმისათვის ბრძოლას. დაუშრეტელი ენერჯია, ფანატიკური რწმენა და გარტაცება, დაუდგომლად მოძრაი და სიცოცხლით საესე ძლიერი ბუნება, ნიჭი, სწრაფი და მარჯვე მოსაზრება, გასაკვირველი პრაქტიკული მოხერხება, განუსაზღვრელი გამბედაობა — ასეთი თვისებებით ახასიათებდა ლ. ქეცხოველს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ლ. ქეცხოველი რსდმპ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელია ამიერკავკასიაში. მისი სახელი თვითპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შრომებელთა სრული სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის მატჩანეში ოქროს ასოებით აღიბეჭდა. მას ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებს საბჭოთა ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა.

ელადიმერ (ლადო) ზაქარიას ძე ქეცხოველი დაიბადა 1876 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გუბერნიის გორის მაზრას სოფელ თლაში. ლადო ორანბევარი წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ტყვიავში.

8 წლის ლადო გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. იგი ყველა საგანს კარგად სწავლობდა, ხატავდა და ლექსებსაც წერდა. პატარა ლადოს განსაკუთრებით იტაცებდა წიგნები, სადაც უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ამბები იყო მოთხრობილი. მისი საყ-

ვარელი გმირები იყვნენ სპარტაკი, დანტონი, რობესპიერი, მარატი და სხვ. უფროსი კლასის მოსწავლე ლადო უკვე იწყებს სკოლის გარეშე ლიტერატურის კითხვას. ქართულ და რუს მწერალთა ნაწარმოებებით მას ამარაგებდა ნაროდნიკი სოფრომ მგალობლიშვილი, იმეზად გორის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი.

1891 წლის ივნისში ლადომ პირველი თანრიგით დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და ამავე წლის სექტემბერში ჩაირიცხა თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში. აქ ლადო თავიდანვე დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას. სემინარიაში მაშინ სტუდენტთა წრეებს ხელმძღვანელობდნენ თ. აფანასიევი, ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია და სხვ. ლადო შედის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო წრეში, რომელსაც ე. ნინოშვილი ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში გაეცნო ლადო რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — გერცენის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის — ნაწარმოებებს. 1892 წელს ლადოს ხელმძღვანელობით სემინარიის მოსწავლეთა წრემ გამოსცა ჟურნალი „განთიადი“, სადაც გაკრიტიკებულ იყო სასწავლებელში გაბატონებული სწავლა-აღზრდის წესები, მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

1893 წლის 30 ნოემბერს საბურთალოში, რომელიც მაშინ თბილისის ვარეუბნად ითვლებოდა, შედგა საიდუმლო კრება, რომელსაც ლადო ქეცხოველმა და მიხა ცხაკაიამ გააეცნეს გაფიცვის გამართული გეგმა. კრების მონაწილეებმა ხალხური სიმღერით — „ქართელო, ხელი

ხალს იყარ" დასდეს ფიცი.

ამავე წლის დეკემბერში მოხდა სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვა. გაფიცვის აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი მ. ცხაკაიასთან ერთად იყო ლ. კეცხოველი. ამასთან დაკავშირებით სინოდის განკარგულებით სემინარია ერთი თვით დახურეს და „მგლის ბილეით“ სასწავლებლიდან 87 ახალგაზრდა გაირიცხეს. ლაღოსთან ერთად სასწავლებლიდან გაირიცხნენ ს. ჭულელი, მ. გელეიშვილი, ვ. ლუჯავა და სხვ. 23 მოსწავლეს, მათ შორის ლ. კეცხოველს, აეკრძალათ თბილისში ცხოვრება.

1894 წლიდან ლადო მშობლიურ სოფელ ტყვიავშია. მოუსვენარი ახალგაზრდა უქმად არც სოფელში რჩება. ლადო დაეწაფა აკრძალული ლიტერატურის კითხვას. იგი წერს კორესპონდენციებს, რომლებიც გაზუთ „ივერიაში“ ქვეყნდებოდა. კორესპონდენციებში ლადო რევოლუციური განმანათლებლობის თვალსაზრისით აღწერს გლეხთა დუხჭირ ცხოვრებას და ხმას იმაღლებს ჩაგვრის წინააღმდეგ. პირველივე კორესპონდენციაში იგი აყენებს სოფელ ტყვიავში სკოლის გახსნის მოთხოვნას. „ღრო არის, — წერდა ლადო, — კაცმა კაცურად იცხოვროს და არა პირტუყველად უღელში დაღლოს თავისი სიცოცხლის დღენი“.

მამის არაერთგვაროან თხოვნის შემდეგ სინოდის 1894 წლის 8 ივნისის განკარგულების საფუძველზე ლადოს დაერთო სწავლის გაგრძელების ნება ოღონდ არა თბილისში. 1894 წლის სექტემბერში ლადო კეცხოველი ჩარიცხეს კიევის სასულიერო სემინარიაში მესამე კლასში.

კიევეში ლადო დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატებს და აქტიურად ჩაება მოძრაობაში, ახლო ურთიერთობა დამყარა მუშებთან, სტუდენტებთან. აქ დაეწაფა იგი მარქსისტულ ლიტერატურას, ეცნობა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებს, რომლებსაც ხელთ იწერდა, აკონსპექტებდა. რევოლუციურ ლიტერატურას ლადო თბილისშიც ავსებდა. აქვე მან დაიწყო ვ. ნინოშვილის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოების თარგმნა რუსულ ენაზე. ლადოს ხანაზე ხშირად ეკრძებოდნენ მოწინავე ახალგაზრდები, სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები.

ლადოს საქმიანობა უწყობადდებოდა არ დარჩა უანდარბერაის. 1896 წლის 18 მარტს გაიხრკეს მისი ბინა, სადაც აღმოჩნდა რევოლუციური ლიტერატურა: შელგუნოვის თხზულებანი, „მფრინავი ფურცლები“ № 28, „რისთვის ვიბრძვით ჩვენ“ და სხვ. 1896 წლის 29 მარტს „შენიშნული“ მოწაფე ლ. კეცხოველი კიევის სასულიერო სემინარიის პედაგოგებთან საბჭოში სასწავლებლებიდან გაირიცხა „აკრძალული ბროშურებისა და ხელნაწერების შენახვისა და გადაწერის გამო“. 10 აპრილს ლა-

დო დააპატიმრეს და ორი დღის შემდეგ გადაიყვანეს კიევის ლუციანოვის ციხეში, სადაც იგი პოლიტიკური განყოფილების მე-11 საკანში სამი თვე იჯდა. 27 ივნისს ლადო კეცხოველი გაათავისუფლეს და გადმოასახლეს სოფელ ტყვიავში. აქ მას ორი წელი უნდა ეცხოვრა ზედამხედველობის ქვეშ.

1896 წლის ივლისში ლადო ჩამოვიდა მშობლიურ ტყვიავში. მალე სოფელ ჭავაში მამასახლისთან მწერლად იწყებს მუშაობას. ჭავაში ლადო გლეხთა შორის ფარულ აგიტაციას ეწეოდა.

1897 წლის ზაფხულიდან ლადო კეცხოველი უკვე თბილისშია. დედაქალაქში იმხანად 25-ზე მეტი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე არსებობდა. აქ გაერთიანებული იყო რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს, თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ლადო მაშინვე დაუკავშირდა წრეების ხელმძღვანელებს, მოწინავე მუშა-ორგანიზატორებს — ზ. ჩოდრაშვილს, ს. ალილუევს, თ. მაიოროვს, მ. ბოკოროძეს, ი. სტურუას და სხვ. არსებობდა აგრეთვე სემინარიის მოსწავლეთა მარქსისტული წრეები, სადაც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ წევრები. ლადო უკავშირდება მარქსისტული წრის ხელმძღვანელებს, შედის „მესამე დასში“ და იწყებს ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას. მალე ლადო რსდმპ თბილისის კომიტეტში შეიყვანეს.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი „ბრძოლის კავშირმა“ სათავე დაუდო საწრეო მუშაობიდან მასობრივ რევოლუციურ ბრძოლაზე გადასვლას. მეცნიერული სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთების გარეშე შეუძლებელია კაპიტალზე შრომის გამარჯვების უზრუნველყოფა. ამ დროისათვის თბილისშიც იწყება მუშათა მასობრივი გამოსვლები და ლადო კეცხოველი მისი აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება.

1898 წლის 14-21 დეკემბერს მოხდა თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გაფიცვა. მასში 4000-ზე მუშა ლებულობდა მონაწილეობას. დეპოელებს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მიხაილოვს (ხაშურის) რკინიგზის მუშები. იმ დღეებში ხაშურში მივლინებული იქნა ლ. კეცხოველი. 18 დეკემბერს ხაშურის რკინიგზის მუშებმა ერთდღიანი გაფიცვა გამოაცხადეს. ამ გაფიცვის ორგანიზატორი ლადო იყო.

1899 წლის 19 აპრილს პარტიის თბილისის კომიტეტის ინიციატივით ღრმადელში მოეწყო პირველი მასის დღესასწაულის აღსანიშ-

ივანე კობახიძე  
მგზნებარე რემოლუსიონერი



ნავიარალეგარული მიტინგი. მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ლ. კეცხოველი, ი. სტურუა, მ. ბოქორიძე და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთით აღმოსავლეთში, რუსეთის რაიონში ვაღმონაცლა. საჭირო იყო ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნა. პარტიის აგების ლენინური გეგმა ითვალისწინებდა, უპირველეს ყოვლისა, საერთო არსული პოლიტიკური გაზიარების გამოცემას. ლენინის იდეებს მტკიცედ იცავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რევოლუციური ფრთა მ. ბოქორიძის, ლ. კეცხოველის, ფ. მახარაძის, ი. სტალინის, ი. სტურუას და ს. წულუკიძის მეთაურობით. ჩიდდება მუშაობა არალეგარული რევოლუციური პრესის შექმნისათვის. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ლადო კეცხოველი. 1897-1898 წლებში ლადო მუშაობდა კორექტორად ვახუთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. შემდეგ კი ექვთიმე ხეღაძის და ვალერიან გუნიას სტამბებში მმართველად. ამ პერიოდში მოწინავე მუშების დახმარებით ლადო ახერხებს რევოლუციური ბროშურებისა და ფურცლების დაბეჭდვას, სწავლობს სასტამბო საქმეს (ასოთა ამწერობა, მანქანაზე ბეჭდვა და სხვ.) და არალეგალური სტამბისთვის საჭირო მასალებსაც იმარაგებს. თბილისში სტამბის მოსაწყობად პირობები თითქმის მომზადებული იყო, მაგრამ ლადომ ჩანაფიქრის განხორციელება მაშინ იერ შეძლო, რადგან „კონკის საქმის“ გამო იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა.

ლ. კეცხოველის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მომზადდა თბილისის საქალაქო ტრანსპორტის — „კონკის“ (ცხენის რკინიგზის) მუშათა ცნობილი გადგევა. 1899 წლიდან ლადო მუშაობდა კონკის მუშათა წრეებში პროპაგანდისტად. 31 დეკემბერს ერთ-ერთი მოწინავე მუშის ბინაში შედგა კრება, სადაც პროგრამული სიტყვით გამოვიდა ლადო კეცხოველი, რომელიც აქ გამოცხადდა კონდუქტორის შინელში გამოწყობილი. ლადომ კრების მონაწილეებს გააცნო მოთხოვნები, რომლებიც უნდა წარედგინათ ადმინისტრაციისათვის და უარის შემთხვევაში ვამოცხადებინათ გაფიცვა.

1900 წლის იანვარში გაიფიცნენ კონკის მუშები. ლადოსთან ერთად გაფიცულებს სათავეში ედგნენ ა. წულუკიძე, მ. ბოქორიძე, ი. სტურუა, რ. კალაძე, და სხვ. გაფიცვის რეპრესიები მოჰყვა — დააპატიმრეს 105-ზე მეტი მუშა. ლადო არალეგალურ დახმარებაში გადავიდა და მალე რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით ბაქოში მიიღეს.

ბაქოში ჩასვლისთანავე ლადო დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატებს ლ. კრასინს, ნ. კოხერენ-

კოს და აქტიურად ჩაება ლენინურ-სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ბაქოს კომიტეტის შექმნაში.

1900 წლის დეკემბერში გამოვიდა ვახუთი „ისკრა“. ლენინური „ისკრის“ პოზიციებზე მტკიცედ დადგა საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ნ. კოხერენკოს, ბ. კენუნიანცის, ი. ვაცუთან, მ. გამდლოვთან და ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად ლადო შეუდგა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას ლენინური „ისკრის“ პრინციპების დასაცავად. ლ. კეცხოველის აქტიური მონაწილეობით 1901 წლის გაზაფხულზე ბაქოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები შეერთდნენ და შექმნეს პარტიული ჯგუფი, რომელიც პარტიული კომიტეტის მოვალეობას ასრულებდა.

პარტიული ჯგუფი სათავეში ჩაუდგა მუშათა გაფიცვებს. მისი ინიციატივით ამავე წელს გაიმართა არალეგალური საბირველამისო მიტინგი. ბაქოს ამებზემა მაშინვე მიიქცია პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის ყურადღება. „ილიჩმა ცხრა შთას იქით, — წერდა ს. მ. კირაჯი — გაგო ბაქოს პროლეტარების გულისცემა, რომლებიც იმ დროს ხარბად კითხულობდნენ ჩვენს მაშინ უაღრესად პოპულარულ ვახუთ „ისკრას“.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა საგაფიცო მოძრაობის ზრდის პირობებში აუცილებელი გახდა არალეგალური სტამბის მოწყობა. ლადო შეუდგა ამ ურთულესი პარტიული დეალების შესრულებას. ლ. კრასინი ლადო კეცხოველს უწოდებდა „იატაქქეშეთის სტამბის გენიალურ ორგანიზატორს“. ლადომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისგან მიიღო ქულაიდ დახმარება. ბაქოში გაიზავნა ორი ძირითადი ასოთამწყობი. უმცროს მძას დახმარების ხელი გაუწოდა გიორგიმ. მან, თითქმის სწავლის გავრცელების საჭიროებისათვის, ლადოს გაუგზავნა 200 მანეთი. სტამბის მოწყობისა და ლიტერატურის გამოცემაში ლადოს მხარში ამოუდგნენ ბაქოელი ისკრელები გალპერინი, კოხერენკო, კრასინი, ბ. კენუნიანცი და სხვ.

1901 წლის დამდეგს მუშაობა დაიწყო ბაქოს არალეგალურმა სტამბამ, რომელიც ზაფხული-სათვის დიდ, უფრო სრულყოფილ სტამბად გადაკეთდა. მისი შექმნის ორგანიზატორი იყო ლადო კეცხოველი. ხშირ შემთხვევაში ლადო სტამბაში ერთდროულად ასრულებდა რედაქტორის, კორექტორის, ასოთამწყობისა და მბეჭდავის როლს.

ბაქო გახდა ლენინური „ისკრის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო დასაყრდენი პუნქტი. ვ. ი. ლენინი დიდი კმაყოფილებით შეხვდა არალეგალური სტამბის გახსნის ცნობას. ბაქოს სტამბაში მატრიცების საშუალებით „ისკრის“ დაბეჭდვის აზ-



რიც პირველად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა „ისკრის“ რედაქცია კონსპირაციული მოსაზრებით ბაქოს არაღვგალურ სტამბას „ნინას“ უწოდებდა, ლ. კეცხოველი კი „ნინას მამის“ სახელით იყო ცნობილი.

1901 წლის შემოდგომაზე ბაქოს სტამბაში დაიწყო გაზეთი „ისკრის“ გადაბეჭდვა. აქვე იბეჭდებოდა საავტორო რევოლუციური პროშურობები. დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის „ობობა და ბუზი“, მ. ვორჟის „დანგრეული ზღუდე“, „მეტრე ალექსეევის სიტყვა“ და სხვა დაბეჭდილი პროდუქცია ეგზავნებოდა ვ. ი. ლენინს. „ნინას“ ხელსაწიარი პირდაპირ ჩინებულა — წერდა ე. კრუტსკია ლენინის დავალებით ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს.

1901 წლის მაისში შეიქმნა „ისკრის“ ჯგუფი ლ. კეცხოველის, ლ. კრასინის, ლ. ვალკერინის, ნ. კოხრენკოს, ა. ენუქიძის შემადგენლობით. ეს ჯგუფი ხელმძღვანელობდა „ისკრის“ ტრანსპორტირებას ვენა-თავრიზ-ბაქოსა და მარსელ-ბათუმ-ბაქოს გზებით. ბათუმში საფრანგეთის სანაოსნო საზოგადოების „პაკეს“ საშუალებით აწყობდა ლადო „ისკრისა“ და ისკრულ გამოცემათა რუსეთში გაგზავნას. ადგილზე მას დიდ დახმარებას უწევდა ბათუმელი სოციალ-დემოკრატი ს. თოდრა.

1901 წლის სექტემბრის დასაწყისში ბაქოს სტამბაში დაიბეჭდა გაზეთი „ბრძოლის“ პირველი ნომერი. დეკემბერში „ნინამ“ დაბეჭდა — „ბრძოლის“ № 2—3. ლენინურმა „ისკრამ“ გაზეთი „ბრძოლის“ გამოსვლა დიდ ისტორიულ მოვლენად აღიარა. „ბრძოლა“ განუხრებლად იცავდა ლენინური ისკრის იდეებს და აკრიტიკებდა „ღვგალურ მარქსიზმს“, „ემიონიზმს“, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

ლადო კეცხოველი დიდ თეორიულ პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდა. ლადოს კალამს ეკუთვნის „ბრძოლის“ ეპიგრაფი — „მიიღეთ და შეიტკბეთ“, სტატიები: „ასი წლის იუბილეა გამო (წერილი ქართველ მუშებთან)“, „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წწ.“ და სხვ.

სტატიაში „ასი წლის იუბილეს გამო“ კეცხოველმა მოგვცა რუსეთ-საქართველოს შეერთების ისტორიული მოვლენის მარქსისტული შეფასება. „ამ დროიდან საქართველოს ცხოვრება, — წერდა ლადო, — ახალ კალაპიჯში ჩადგა. გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფიზიზლებული მოქალაქეობრივი ძალღონის მოკრეფას შეუდგა“.

ამვე სტატიაში მხილებულია მეფის მთავრობის „გამხრწნელი პოლიტიკა“ და ქართველ თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიის „მასხრული ლეკვიანობა“. აქვე დასაბუთებულია მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ეროვნულ-

განმათავისუფლებელ მოძრაობაში. „მუშების შეერთებულ ფიზიკურ ძალას, წერს ლადო, გვირგვინათ ზნეობრივი ძლიერება მოსაეს, ლამაზათ მომავლის ბრწყინვალე იდეალები მიუძღვის და მედგრად, შეუპოვრად მიაპობს ცხოვრების უსამართლობას, სრესს გარემოცულ სიფლიდეს და სიყვარულს და სათნობას გზას უკაფავს. განა ამ დროს ეროვნულ მტრობას ადვილი აქვს?“

სტამბა „ნინას“ პროდუქცია ფართოდ ვრცელდება ამიერკავკასიასა და მთელ რუსეთში, ამ გარემოებამ მთავრობა მეტისმეტად შეაშფოთა. დაიწყო სტამბის ძებნა. ეანდარმერია ემებდა მას არა მარტო ბაქოსა და თბილისში, არამედ პეტერბურგში, სამარაში, კიევა და სხვა ქალაქებში. ეანდარმთა სამმართველომ შექმნა „პირადი ანკეტა“ ლადოს ფოტოსტრატით. 1901 წლის ბოლოსათვის აგენტურას უკვე შეეძინა სარწმუნო ცნობები სტამბის ადგილსამყოფელის თაობაზე. ამის შესახებ „ისკრის“ რედაქციამაც ვაიგო და მოთხოვა „ნინას მამას“ კონსპირაციის გაძლიერება. 1902 წლის 10 მარტის თარიღით გამოგზავნილ „ისკრის“ ფოსტაში ნათქვამია: „ნინას მამის“ წერილი მიღებულია, ვეაცნობთ წერილისათვის მისამართი, ძველი უფარგისა“.

1902 წლის პირველ აპრილს, ჩაეარდნის საშინროების გაძლიერების გამო, სტამბა დროებით წყვეტილ მუშაობას. ლადომ სტეკია-ლურად შეფუთული საბეჭდი მანქანა როგორც საოჯახო ნივთი, ნავსადგურში მიაბარა გასაგზავნად, ხოლო შრიფტი მუშა ვ. ბაქრაძემ, ლადოს დასალებით, საიმიუოდ ადგილზე გადაამალა.

1902 წლის აპრილის პირველ ნახევარში ლადო კეცხოველი მიემგზავრება კიევს, სამარასა და სხვა ქალაქებში რათა „ნინასათვის“ ახალი ბინა გამოენახა. მაგრამ ლადოს მეცადინეობა უშედეგოდ დამთავრდა. ლადო იძულებული გახდა კავკასიაში დაბრუნებულიყო.

1902 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში ლადო უკვე ბაქოშია. ჩამოსვლისთანავე მან ნაქირავებ ახალ ბინაში გადმოიტანა საბეჭდი მანქანა. აქვე უნდოდა ლადოს სტამბის მოწყობა, მაგრამ 2 სექტემბერს იგი დააბატმირს. ამხანაგების გადარჩენის მიზნით ლადომ მეფის დანაშაული თვითონ იყისრა და ეანდარმერის განუცხადა: „მე ვარ პროფესიონალი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი“.

1902 წლის სექტემბრის ბოლოს ლადო და მისი ამხანაგები ა. ენუქიძე, ვ. ბაქრაძე, დ. ბაქრაძე და სხვ. ბაქოს საუბურტრინო ციხიდან თბილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს.

21 ოქტომბერს ლადო წერილს უგზავნის

**ივანე კოხალის**  
გზგნმბარე რიმოლუტციონერი



ქმას და თხოვს ციხეში შემოღებულს შექსპირის თხზულებები, გოეთეს „ფაუსტი“, ჰაინეს, ბარათაშვილის ლექსები და სხვ. ლადოს თხოვნაზე, ცხადია, უარი უთხრეს. იგი, როგორც განსაკუთრებით საშიში პიროვნება, ცალკე საკანში მოათავეს და ნათესავებთან, ნაცონობებთან შეხვედრის უფლებაც აუკრძალეს.

ლადო აუტანელი პირობების მიუხედავად ციხეშიც განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. მან შეძლო კავშირის დამყარება პოლიტიკურ პატიმრებთან ვ. კურნატოვსკისთან, ზ. ჩოღრიშვილთან, ს. ალილუევასთან, გ. ლელაშვილთან და სხვ. ლადოს მიწერ-მოწერა ჰქონდა თბილისის და ბაქოს კომიტეტებთან.

1903 წლის 14—15 ივლისს ლ. კეცხოველის, ვ. კურნატოვსკის, ზ. ჩოღრიშვილის, ხელმძღვანელობით მოეწყო პოლიტიკურ პატიმართა ამბოხება. ამბოხების ხელმძღვანელები 7 დღით ბნელ კარცერში ჩასვეს, შემდეგ კი ცალკე საკნებში მოათავსეს. ლადო იმედს მაინც არ კარგავს. კარცერიდან გამოსული იგი ქმას წერდა: თუ ბრძოლაში წავეჭევი ნუ იდარდებ, თავისუფლების მოპოვება მსხვერპლს თხოულობს. „მათ შეუძლიათ გაიმარჯვონ ლადოზე, პეტრეზე და ივანეზე, მაგრამ ჭეშმარიტებაზე გამარჯვება ღორის საქმე არ არის, არც კერძო ადამიანის საქმეა თუ ის თავდაპირველად ადამიანია“.

1903 წლის ივლისის შუა რიცხვებში უანდარმთა სამმართველომ დაამთავრა კეცხოველის „საქმის“ გამოძიება. მეფის ჯალათებმა გადაწყვიტეს „ანგარიში გაესწორებინათ“ ლადოსათვის. ისინი გამომწვევად მოქმედებდნენ: წაართვეს ლოგინი, აუკრძალეს საყნის ფანჯრიდან გადახედვა, ჩამოართვეს რვეულები, საწერკალამი. 17 ავგისტოს დღის 9 საათსა და 30 წუთზე, როდესაც ლადო ფანჯრიდან ესაუ-


ბრებოდა მეზობელ საკანში ხაშურის მეფისგან გაუცივის მონაწილე პოლიტიკურ პატიმრებს, მოსყიდულმა ციხის დარაჯმა მას თოფი ესროლა და ვერაგულად მოკლა. იმავე დღეს ლამით ლადოს გვამი ფარულად ნათელულის სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს.

ლადოს გველეშობის შემზარავი ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა და რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს კომიტეტმა პროკლამაციები გამოსცეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური ბროშურა ლადოს ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი. 1917 წლის ივნისში თბილისში გამოვიდა რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ორგანო გაზეთი „ბრძოლა“. გაზეთის პირველივე გვერდზე მოთავსებული იყო ლადოს სურათი. მოწინავე სტატიის ავტორი მ. ცხაკია 1917 წლის „ბრძოლას“ 1901 წლის „ბრძოლის“ ხაზის გამგრძელებლად და ლადოს სათაყვანებელი სოციალისტური იდეების განხორციელებისათვის მე-ბრძოლ ორგანოდ აცხადებს.

ახლა ლადოს სიტყვები. სიმართლემ გამარჯვა. საბჭოთა ხალხმა პირველმა ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ახლა იგი წარმატებით წყვეტს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას. ლადოსადმი მიძღვნილ ლექსში ი. გეღოშვილი ამბობდა:

სადიდებელნი არა კვდებიან,  
გმირის ადგილას თავგანწირულნი  
ისევ გმირები იზადებიან!

გმირთა ეს ახალი თაობა ააგებს კომუნისმის ნათელ შენობას.



## ბულიკო ჭყონია

### ზენის კატეგორიები ლ. შენგელაიას თხზულებაზე

ლ. შენგელაიას თხზულებაში ზენის კატეგორიები მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ქართული ზენის გამოხატულებითი შესაძლებლობა, ილიას აზრით, განუზომლად დიდია. „ქართული სიტყვის ნაწილებ შორის მართო ზენა არის აზრის გამოხატველი, სადაც ზენა არ არი, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგან წინადადება გამოთქმავა აზრისა“.

ზენური ერთეულების გამოყენების დროს განსაკუთრებული თვისებებზეა მწერლის თხზულებებში ხშირად არა ჩანს, ავტორი უმეტესად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს, თუმცა მაინც ხშირად დიალექტებისათვის დამახასიათებელ ფორმებსაც.

ლ. შენგელაიას თხზულებაში II სუბიექტური და III ობიექტური პრეფიქსების ჰ-ს და ს-ს გამოყენება მტკიცე გრამატიკულ წესებს არ ემორჩილება. ცნობილია, რომ თანამედროვე ცოცხალი კილოები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან სწორედ პრეფიქსების ხმარებაში. ეს განსხვავება სალიტერატურო ენაშიც პოულობს გამოხატულებას, რასაც ვერ ასცდა ისეთი დიდი გემოვნების მწერალიც, როგორც ლ. შენგელაია. ამიტომ „ჰაჰა და ხანხ ისეთ უადგილო ფორმებში შეჭვდებით, სადაც მოსალოდნელი არ არის, ანდა პირიქით, ხანდახან იქ ვერ იპოვით, სადაც მართლა საჭიროა და აუცილებელი“ მწერალი ჰ და ს. პრეფიქსებს ზოგჯერ ისეთ ზმნებთან ხმარობს, სადაც არ უნდა იყოს. ასე მაგალითად, ჰ და ს პრეფიქსები გამოყენებულია გარდამავალ ზმნებში III პირდაპირობიექტური პირის აღსანიშნავად:

„ნუცუბიძე სჩადის ერთ წარმოუდგენელ რასმე“.

„მდინარეზე თოკი ვაჰკიდა“. „დაჰკარგა აზრო“.

„ვისერი მხრებში ჩახწია“.

„პირგამხეხებულმა კურკები შავად წამოჰყარა“.

პირდაპირობიექტიან ზმნებში ამ ობიექტის აღნიშვნა ჰ და ს პრეფიქსებით შემონახულია ქვემოთმოყვარულში.

ერთპირიან ვნებითი გვარის ზმნებში ერთ-ერთი პერსონატი III ირიბი ობიექტური პირის ნიშანს ჰ-ს მკაფიოდ გამოყოფს:

„... ჩაჰქრა-მეთქი, ბიჭო, ჩაჰქრა, დაჰ!“

„ოროველაში“ ლ. შენგელაია მკათათვის გახურებულ მუშაობას ზაფხულის აღმურში ხევს და ყოველ წინადადებას სოფლის პულსით აცოცხლებს: „იიჰ, გაიქრი, გაიქრი, აჰანდე“. მეტყველებაში ი-ს ხშირად ა პალატალიზაცია ცვლის. როგორც ცნობილია, ა მიღებულია ი-ს დასუსტების შედეგად, რაც ქართული კილოების დამახასიათებელი თვისებაა. ზმნაში იგი უმეტესად ქართულს, ფშაურს, მთიულურსა და აჭარულს ახასიათებს, პალატალს დიალექტებში წარმოთქმის დროს ხშირად ჰ.ც ენაცვლება: ი—ა — ჰ.

ცნობილია, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს მიდრეკილება სთ კომპლექსის გამარტივებისა ს-ს ამოღებით, გვეხდება ერთი მხრით: აქესთ, გაქესთ და მავარი ფორმები და მეორე მხრით: აქეთ, გაქეთ... ერთიცა და მეორეც გვეხდება მაგ., ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, დ. კლდიაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თხზულებებში“.

„ხილთა ქებაში“ მწერალი სამპირიან ზმნაში ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატავად თ სუფიქსს იყენებს და თან ზმნას III სუბიექტური პირის ნიშანს ს-ს უნარჩუნებს.

„მზე გაყრისთ შაქარს და თქვენ მწიფდებით“:

„მადლით დაცქერისთ თქვენ თქოგანიერი



შეხებაზადას "ტვილი თვალები". ჩვეულებრივ კი თ-ს დართვისას სუბიექტური ნიშანი მე-3 პირისა მხოლოდობით რიცხვში წმინდა იკარგება.

მწერლის თხზულებებში ვხვდებით ზმნისწინთა როგორც დიალექტიკურ, ასევე არქაულ ფორმებს. ზმნისწინები, ისევე როგორც ყველა გრამატიკული ფორმა, აქ გარკვეული მხატვრული მიზნითაა გამოყენებული. მაგ., დასავლეთ საქართველოს მკვიდრის მეტყველებაში მწერალი იმერულიხა და გურულისათვის დამახასიათებელ ზმნისწინთა ვარიანტებს იყენებს, ხოლო როცა მის გალერეაში გამოჩნდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული გმირი, მის მეტყველებაში მო და შე ზმნისწინებს აღმოსავლური კილოების მსგავსად მა და შა სახით წარმოგივლდეს:

„ბიკო, არ შადცი!“; „შავრცხვით! უღვაში შავვირცხვა!“

საკმაო რაოდენობით ვხვდებით ზმნისწინთა მონაცვლეობის შემთხვევებსაც. ზმნისწინთა შენაცვლება იმერულისთვისა და სხვა დიალექტისათვის არ არის უცხო.

და ზმნისწინს ზოგ შემთხვევაში ჩა ცვლის: და||ჩა ზმნისწინთა მონაცვლეობა ხშირად ზმნის მნიშვნელობის შეცვლას იწვევს:

„... თვითონვე იგრძნო, სინანულისაგან თვალები როგორ ჩაულამდა“ და [შე] გა ზმნისწინთა მონაცვლეობა ზმნის სემანტიკას ან ცვლის, იცვლება მხოლოდ მათი სტილური ელფერი და დიალექტთა ჯგუფში გადაირიცხება:

შე||და: „დამპირდა, არაფერს შევაკლებო“ (IV, 152);

გა||და: „ორივე ჩემს შეკვმას გააპირებდა“; „კაციის ფონზე არ გარჩე“.

და||მო ზმნისწინი ზმნაში მიახლოებითი მნიშვნელობის გამომხატველია;

„ერთიც და ეს სვრელიც მოხრულდება“.  
წა ზმნისწინს ექსპრესიული ძალა ენიჭება; „ზოგ იქაურ გლეხს შეძლებით წააჯობებდა“.  
ზმნისწინები არქაული სახითაც ხშირად გვხვდება:

წარ: „ცრემლთან ერთად „ვეფხისტყაოსანი“ წარიტანა“.

გან: განძარცვა ამა ქვეყნის დიდებისაგან...“.  
თავისებურია თემის ნიშანთა ხმარების შემთხვევებიც. მწერალი თემის ნიშნებს ჩვეულებრივ იყენებს, მაგრამ ვხვდებით ზმნებს, რომლებშიც თემის ნიშნები მონაცვლეობენ:

ება||ობა; „შავი ბეწვი ბზრილობს“; „ცეცხლი ბუხარში დღულუნობს“; „კრუხუნობს გაპირებულად“.  
ობ||ებ;

„არ ვავიშობ მე, წმინდა ვიორგი...“  
ებ||ავ „სისხლს არ ავიდავ“.

გვარში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ I სერიაში წარმოდგენილი უნიშნო ვნებითის

დიალექტური ფორმა **ბნდებოდა**, II სერიაში **ინიან** ვნებითთა ჯგუფში გადაირიცხება:

„მისთვის ამიტომ **ბნდებოდა**“.  
საშუალო გვარის ზმნა ა ზმნისწინს + დართულია და მოქმედებითი გვარის ზმნებს განეკუთვნება:

„ხან იმან გვაჯობა, ხან ჩვენ ავიჩაგირეთ“.  
პრეფიქსიანი ვნებითი მიიღება მოქმედებითი გვარის ზმნისაგან კონვერსიის შედეგად: „ცამეტი ბასურმანი მოიკლა და ოცდერთი გააური“.

ვნებითი გვარის ზმნა **გაუმარჯვლათ** მიიღებულა ერთპირიანი მედიოქტივისაგან — იმარჯვებს და მწერალი წინადადებაში ამავე მნიშვნელობით იყენებს მას: „ბოლოს ურუსებს **გაუმარჯვლათ**“.

დანაკლის სტატიტიკური ზმნა იცვებს დინამიკური ზმნით, იგი ვნებითი გვარისაც შეიძლება აღმოჩნდეს.

ცნობილია, რომ ინვერსიულ სტატიკურ ზმნებში ზოგიერთი მწერალი იცავს ან სუფიქსს. ასეთივე სახით გვხვდება ეს სუფიქსი სტატიკურ ზმნასთან:

„მე ვარ და არ შემომიღან“.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საანალიზო მასალაში ვად ზმნის მონაცვლე ნამყო წყვეტილი ვად ფუძის გარდა ვოდ ფუძეც გვხვდება. ეს ფაქტი დასტურდება ძველ ქართულში და ახალი ქართულის დიალექტში.

„სოფელში ჩაველ თუ არა, ჩემს მიწაწყალს დავეპატრონე“.

„**მხოველ**, ბიკო, მართლა მოხველ“;

„გულმა არ მომოთმინა, მეც გადაველ დობილოში“.

დ. შენგელაის თხზულებებში ზოგჯერ ზმნური აწმყო-მყოფის ფორმები თემის ნიშნებს არ იჩენენ და ისეთივე სახით გვხვდებიან, როგორც ძველ ქართულში იყო:

„მერე **ვწავებ** და ხელის გულზე სასიებით დასვენებულს ველოლიავები“.

„ეკლესიის ყავარს **რეცხს** წყალი“.

ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელია ნამყო წყვეტილისათვის III პირში, მრავლობით რიცხვში ენ დაბოლოება ანალოგიურ შემთხვევას იყენებს მწერალი მეგრული ქალის მეტყველებაში:

„რავა გამირუხენ აი ბლანა, რავა ამაგლიცენ ძუძუზე“.

ირიბი ობიექტის III პირის მრავლობითობის მაწარმოებელია ენ:

„არ შერჩენ, ბეჩა, არ შერჩენ“.

II კავშირებითში ზმნა ჩვენება წარმოდგენილია ენ სუფიქსის ნაცვლად ინ-ით:

„ჰეჰე, ერთი ახლა მაჩვინა“.

II თურქობითში შეიძლება თანხმოვნის წინ ნ სუფიქსი განვითარდეს:

„თუშანიშვილებისათვის მიყვიღნათ“.

„ცხოვრებაში იმდენი არ ენახა, რამდენიც წაეკთინა“.

„მე არავისთვის არ მილატარია“  
თურმეობითში 5 სუფიქსის განვითარება ქართულ-კახურ დიალექტს უნდა ეკუთვნოდეს. აქედან უნდა ვაგრძელებულიყო ის სალიტერატურო ენაში.

6-ს წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ იგი გაჩენილა თურმეობით II მოქმედებითი გვარის წყვეტილის ფორმებისგან განსხვავებულად, ხოლო შემდეგ აქედან უნდა ვადასულიყო თურმეობით პირველში.

მეცვლევართ აზრით, — 6 (—ენ) ზნურთი ფუძის ისეთთა წარმოებულ სუფიქსია, როგორც — ან, — ონ, — ევ და სხვები გამოყენებულ სხვადასხვა სერვის ფორმებში.

კონტაქტის წარმოების დროს განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა. დ. შენგელაია ზმირად შუალობითი კონტაქტის ფორმებს მაწარმოებლის გარეშე ზმარობს. კალზატის ასეთი წარმოება კარგადაა ცნობილი დასავლურ კილოებში და ავტორის თხზულებათა პერსონაჟების მეტყველებაში შეინიშნება:

„რატომ სულს არ გამაცხებიებ, შე დალოცვილო ღმერთო“;

„რატომ სულს არ გამავადებინებ“.

ზოგ შემთხვევაში შუალობითი კონტაქტის წარმოების დროს თანხმობანი ნაწილი იკვეცება:

„ცივი წყალი დამაღინე“.

ზოგჯერ დასავლური კილოების ზეგავლენით შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი ინ, ეინ კონტაქტებში 6 არ ჩანს:

„მთხარი... თვარა სული გაგაცხებიე და ესაა“.

დ. შენგელაიას თხზულებებში ზმნათა ერთპირიანი ფორმები ხან ენებითის, ხან მედიუმის არსენალდანაა აღებული. თანაც ამას ავტორი აკეთებს ისე, რომ არ წვდება გრამატიკის სიღრმეს:

„მისი ქალობა მისთვის ბნდებოდა“.

„ხალხი გარქურდა“... ზმნა გარქურდა მოხერი დიალექტიდანაა აღებული და ნიშნავს გაყურდა, გაინაბა.

ზოგ შემთხვევაში მეტონიმიური ფორმა ზმნას ანიჭებს განსაკუთრებულ სიმახვილესა და სინათლეს:

„თოვლქვეშ საცოდავად გასუდრულიყვენა“;

„მე უცხო ქალის სიყვარული ჩასთესლებოდა“.

კონკრეტული სახელისგან მიღებული ზმნის მეტონიმიური ფორმა წინადადებაში მოქმედების გავრცელებული სახით წარმოგვიდგენს:

„ავქალის აუდიტორია გახიდულიყო“; „სულა დაღვრილი ღვინით ერთიან მოიმტკვარა“; „მეს სანუადღვოდ ამოვეაკებინა“.

მწერლის თხზულებებში ვენობით დიალექტური ფორმების, უმეტესად დასავლურ იმერული და გურული კილოების ყიდის მიხედვით ხმარების შემთხვევებს. პერსონაჟთა მეტყველებაში ზმირად გვხვდება აგრეთვე აღმოსავლური დიალექტთათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები.

ვა კომპლექსი, როგორც წესი, იძლევა ო ხმოვანს.

„არ გამიშოთ, თორემ ბრაზით გავგვიდო“;  
„ქალბატონმა სთქო... რომა, რომა... აზრსა და სიტყვებს თივი ვერ მოუყარა“; „ალექსანდრე არ გაუშოთ“!

ამ ფონეტიკურმა სახეცვლილებამ ფართოდ მოიქცა ფენი და ხალხის მეტყველების ნიშანდობლივ თვისებად იქცა. უნდა მომდინარეობდეს კი მთის კილოებიდან, რომლებშიც ვა — ო საერთოაა მიღებული.

ვე — ო ბგერათმონაცვლეობა დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის, როგორც სახელებში, ასევე ზმნათა ფორმებში:

„ბრინჯავლოსთან ჭამისეულის ღლე უხვს“; „დავეობი მერე ამ რაიონის წყალს“; „რას შობი ბატონო?! — დაიძახა ლიხიკიამ“.

სასაუბრო მეტყველებაში ზმირად იხმარება შემოკლებული ზმნები. ა. შანიძეს ადრე აქვს შენიშნული: „სასაუბრო ენაში ზმირთა ზმნების შემოკლება ბოლო მარცვლის ან ასოს — მოკვეცილი“.

შემოკლებული ზმნები ძირითადად ბრძანებითის ფორმებს ახასიათებს:

„აქ მო, ვანოჯან, აქ მო!“; „აადე, ბიჭო!“; „მარჯვნივ დაუბო, ქოუ!“; „შენ დაუჯა, ლოხოზჯანი“;

„გულნარ, აქ მო, აქ მო-მეთქი, გოგო!“;

„ბიჭო, გეყო ბალღობა! აადე...“.

ზმნის ფუძეებში მრავლადაა წარმოდგენილი ასიმორტებული ხმოვნები. ეხედვით როგორც პროგრესული, ისე რეგრესული, კონტაქტურისა და სრული ასიმორტაციის ნიმუშებს:

პროგრესული ასიმორტაციის გამოყენება:  
კ—ბ: „აზრს ვერ მოდიოდა, როგორ ვაცუცუტარავებდი“.

ჭ—ჩ: „ღვინოც კარგა ლაზათიანად ამჩახდებოდა“.

რეგრესული ასიმორტაცია შეინიშნება შემდეგ მაგალითებში:

გ—ქ: „რავა დამეკარქა აგი ერთადერთა ქალიშვილი“;

„მართლა გული არ გაუხქიდეს“.

თანხმოვანთა ასიმორტაციიდან დასავლურ კილოებში აღსანიშნავია დ-ს გამკვეთრება კ-ს

**გულიანო ჰაონია**

ზმნის კატეგორიები დ. შინგელაიას თხზულებებში

გავლენით; „ტასია გადარეულმა ჩეიარა, ვინ მოკვტა ნეტაი?“.

დ. ყრუვედბა თ-ს გავლენით: „რა ვაეკაცი წამხთარხარ“; „წახთა, ქოყანა, წახთა!“.

ბგერათა სუბსტიტუცია დამოწმებულია პერსონაჟისა და ავტორის მეტყველებაში ნახმარ ზმნათა ფორმებში. ნ—ვ ნარნარა ბგერები ენაცვლებიან ერთმანეთს სიტყვებში:

„შენ რომ არ გყვანდე, ვინ იქნებოდა ჩვენი ნუგეში“.

ნ—მ: „ვენდური ამ... მთავრობას“.

ზმნაში შეიძლება ჩაემატოს რ ბგერა:

„ყველაფერი მოიქრუშება“.

ზმნის ფუძეებში გვხვდება ბგერათა დაკარგვის შემთხვევებიც:

იკარგვის ვ:

ვ იკარგვის როგორც ო-სა და უ-ს წინ, აგრეთვე თანხმოვანთა შორისაც, ამ შემთხვევაში ვ კილოთა შორის მეტად მოძრავია, განსაკუთრებით გურულში:

„რას ვიზამ და ფარას ვიშონი“; „კვერცხი ვისა გაქს გასაყიდიი“

იკარგვის დ: ღრწ—ღწ — წ.

„ნეტაი ვაზაფხულამდე მივაწევდე“...


„ზმორის თოვლნარევი წვიმა იფინელბა“.  
მწერლის თხზულებებში ყურადღებას იქცევს მეტათეზისის ამისთანა ნიმუშები:

ამბობენ... „გადინდრებულხარ“.

როგორც ცნობილია, ნარნარა ბგერების მონაცვლეობა ქართული კილოებისათვის ჩვეულებრივი პროცესია. „ცხვირისმეორ ბგერები ნ და მ. ენაცვლებიან ერთმანეთს“.

გამდიდრებულხარ-განდიდრებულხარ. შემდეგ ნ იცვლის ადგილს და ვლბულობთ — გადინდრებულხარ.

დ. შენგელაიას თხზულებებში ხალხურ ზმნებს უდიდესი შესაძლებლობა ეძლევათ. მათი გამოყენების მასშტაბი ძალზე დიდია. მწერალს ქართული ხალხური ზმნა დღის სინათლეზე გამოაქვს და მხატვრულ სიტყვებს შორის ვარსკვლავებივით აკიაფებს. თხზულებებში გამოყენებულ დიალექტურ ზმნებს მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს — უფრო დამაჯერებლად, სრულყოფილად წარმოგიდგენს პერსონაჟთა სულიერ სამყაროს, მათ ჩვევებს, ხასიათსა და გარემოს. პერსონაჟთა მეტყველება ძალდაუტანელია და მკითხველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.



## გიმირთა ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხისათვის

ასურეთის სამეფო არქივში დაცულია ცნობები ასურეთისა და ურარტუს სამეფოს ჩრდილოეთით, ახლად გამოჩენილი ხალხის გიმირების (amel ან mat Ga-mir-i) შესახებ.

ცნობებში მოთხრობილია, რომ ურარტუს მეფის რუსას მოღვაწეობის დროს (ძვ. წ. 735-714 წწ.) მის სამეფოს ჩრდილოეთის მხრიდან თავს დაესხნენ გიმირებმა მომხდარი ბრძოლის ამბავი ვადმოცემულია ასურეთის მეფის სარგონ II (ძვ. წ. 722-704 წწ.) ერთ-ერთი მზვერავის უქიელის მიერ უფლისწულ სინაქერიბისათვის შედგენილ წერილში.

მასში ვკითხულობთ შემდეგს: „ურარტუს მეფე (რუს. I, ქ. გ.), როცა წავიდა გამირთა ქვეყანაში (mat Ga-mir-ra). მისი ჯარი მოსპობილი იქნა, ისე რომ თვითონ იგი და მისი ოლქის მმართველები თავიანთ ჯართან ერთად გაიქცნენ. მისი ორი მმართველი მოკლულია“<sup>1</sup>.

უფლისწული სინაქერიბი კი ამ ამბებთან დაკავშირებით დამატებით აღუწევს მეფე სარგონს ქალაქ ხალსუს მმართველის ნაბულის ცნობას: „მე (ე. ი. ნაბულო, ქ. გ.) ვწერდი ციხე-სიმაგრეების გარნიზონებს, როდესაც იგი წამოვიდა გამირთა ქვეყანაში, იმისი ჯარი მთლიანად იქნა მოსპობილი. სამი წინამძღოლი თავის ჯართან ერთად მოსპობილი იქნა. თვითონ იგი (ურარტუს მეფე, ქ. გ.) გაიქცა და წავიდა თავის ქვეყანაში, სანამ მის ბანაკს ისინი (გიმირები, ქ. გ.) თავს დაესხოდნენ“<sup>2</sup>.

გიმირებთან რუსა I-ის დამარცხებამ აჯანყებები გამოიწვია ურარტუს მიერ დაპყრობილ სხვადასხვა ოლქებში. ურარტუს სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, რაც დავკავშირებულ იყო ზემოაღნიშნულ ფაქტებთან, მითითებულია მზვერავ აშურისუსას წერილში. „ამბავი ურარტუს მეფის შესახებ, რომელსაც მე ვწერდი, ასეა: მათ (გიმირებს და ურარტუს მეფეს, ქ. გ.) აქონდათ დიდი ბრძოლა. ახლა ქვეყანა დაწყნარებულია. მისი დიდებულები

წავიღნენ თვითებული თავის ქვეყანაში, კაკადანუ, იმათი ტურტანი<sup>3</sup>, დივირეს. ურარტუს მეფე თვითონ იმყოფება უაზუსის ოლქში“<sup>4</sup>.

ასურეთის მეფემ სარგონ II-მ ისარგებლა ურარტუს სამეფოს შიგნით შექმნილი დაძაბული მდგომარეობით და ძვ. წ. 714 წელს თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია მანამდე ურარტუს მორჩილებაში მყოფი მანას ქვეყანა. ამავე წელს ასურეთის ჯარი მოულოდნელად შეიჭრა ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე, სასტიკად დაამარცხა რუსა I-ის ჯარი და აიღო ურარტუს რელიგიური ცენტრი მუსასირი. ქალაქ მუსასირში დანგრეული და გაძარცვული იქნა მთავარი ხეთაების ხალდის ტაძარი, საიდანაც გატანილი იქნა ურარტული დღეობების ქანდაკებები. ურარტუს მეფემ ვერ გაუძლო ესოდენ მძიმე დამარცხებას და, როგორც გვაცნობს სარგონ II ღვთაება აშურისადმი მიმართვაში ურარტუს წინააღმდეგ მის მიერ ძვ. წ. 714 წ. ჩატარებული ლაშქრობის შესახებ, რუსა I-მა რკინის ხნაწლით, თავისივე ხელით მოიკლა თავი“<sup>5</sup>.

ამის შემდეგ ურარტუ ვეღარ გასწორდა წელსში, დაიწყო მისი სწრაფი დაქვეითების პროცესი, რაც ერთი საუკუნის შემდეგ ურარტუს სამეფოს დაშლით დამთავრდა.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით გიმირები მრავალი კუთხით იქცევენ ჩვენს ყურადღებას. შესაძლებლობის ფარგლებში შესასწავლია მათი ეთნიკური საკითხი, გიმირთა ქვეყნის ლოკალიზაციის, ურარტუს წინააღმდეგ ლაშქრობისას მათი მოძრაობის ზეგნის მიმართულება და სხვა მრავალი. წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთს გიმირთა ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხს შევეჩვენებით. უპირველეს ყოვლისა კი, რამდენიმე სიტყვით განვიხილავთ გიმირთა (resp გამირთა) ქვეყნის არსებობის საკითხს აღმოსავლეთ კავკასიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ გამირთა ქვეყანა მდებარეობდა აღმოსავ-

ლეთ კაბადოკიაში<sup>8</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების სომხური ისტორიული წყაროების ცნობებო, რომელთა მიხედვითაც გამირთა ქვეყანა ისხენიება კაბადოკიის მიმართებაში<sup>9</sup>. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ან რა გზით დამკვიდრდა შუა საუკუნეების სომხურ ისტორიულ წყაროებში ტერმინი „გამირთა ქვეყანა“ კაბადოკიის მიმართებაში, უნაჩსენელ დრომდე სათანადო სისრულეში არ იყო შესწავლული.

ზემოაღნიშნულ საკითხზე პირველად მოსაზრება გამოთქვა ნ. ხაზარაძემ. იგი აღნიშნავს შემდეგს: „ასარქადონის დროის ასურული წარწერების თანახმად, ასურელებმა დაამარცხეს კიმერიელები<sup>10</sup> ხუბუშნასთან (ხეთ, ხუპისინა, ანტ. კიბისტრა). კიმერიელების ყოფნის შესახებ დიდ კაბადოკიაში ანდა ტაბალის ტერიტორიაზე სხვა ამის მეტი მონაცემები არ გვხვდება არც ასურულ და არც ძველ სპარსულ წარწერებში.

ასევე არაფერს ამბობენ ანტიკური წყაროები კიმერიელების დასახლებაზე ტაბალის ტერიტორიაზე...

ბიბლიის ლათინური თარგმნის (Бытья — Liber Generationis) მიხედვით იაფეტის შთამომავლად დასახლებულია „გამირი“, რომლისგანაც მოდიან კაბადოკიელები დაახლოებით ასევე VIII-IX საუკუნეების ავტორ ვიორგი სინგელთანაც<sup>12</sup>.

„შესაძლოა, — დაასკვნის ნ. ხაზარაძე. — რომ ეს აზრი გამირზე, როგორც კაბადოკიელების ერთნარქზე, დაედო საფუძვლად შუა საუკუნეების სომხურ ისტორიულ ტრადიციას, რომელიც თაღლიდა დიდ კაბადოკიას „გამირთა ქვეყანად“ და კესარიას „გამირთა ქვეყნის დედაქალაქად“<sup>13</sup>.

ძვ. წ. 681 წ. დიდგვაროვანთა ამბოხების დროს მოკლული იქნა ასურეთის მეფე სინაქერიბი<sup>14</sup>. სამეფო ტახტზე ავიდა სინაქერიბის უფროსი ვაჟი ასარქადონი<sup>15</sup>. მისი მეფობის მეორე წლით ძვ. წ. 679-678 წ.წ. დათარიღებული შამაშის ორაკულისადმი მიცემული შეკითხვების ტექსტში ასარქადონი სხვა ხალხებთან ერთად ისხენიებს გამირებსაც, რომლებიც თავს ესხმიან ასურეთის სამეფოს<sup>16</sup>. ბრძოლა ასურელებსა და გამირებს შორის მოხდა „ხუბუშნას მიწაზე“<sup>17</sup> აღმოსავლეთ კაბადოკიაში. აღნიშნული ბრძოლის ამბავი დაცულია სხვა ასურულ ტექსტებშიც. კერძოდ, „ბაბილონის ქრონიკაში“, სადაც ნათქვამია, რომ ასარქადონის, მეფობის მეორე წელს... გამირები წაიღიდნენ (სალაშქროდ, ჯ. გ.) ასურეთში მაგრამ დამარცხდნენ<sup>18</sup>. ხოლო ე. წ. „ასარქადონის ქრონიკაში“ აღმოცემულია: რომ ასარქადონის „მეფობის მეორე წელს ადებულ იქნა ქალაქი არცანია, მეფე და მისი შვილი ტყვედ იგდეს ასურელებმა. ბრძოლა მოხდა ბუდალუას (ქვეყანაში) და გამირების (ქვეყა-

ნაში) ქალაქ კუშენუნში<sup>19</sup>. სამწუხაროდ, ვერ კიდევ გარკვეული არაა, თუ სად მდებარეობდა და ბუდალუას ქვეყანა; ასევე არაფერი ვიცით ქალაქ კუშენუნს მდებარეობის შესახებაც: მაგრამ როგორც ზემოთ მოყვანილი ყველა ასურული ტექსტი გადმოგვცემს, ასურელებსა და გამირებს შორის ბრძოლა მოხდა ასარქადონის მეფობის მეორე წელს. „ასარქადონის ქრონიკაში“ აღნიშნულია ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, კერძოდ, მასში მონიშნებული ქალაქი არცანია რომელიც, ცნობილია, მდებარეობდა აღმოსავლეთ მცირე-აზიაში მდინარე ევფრატის აღმოსავლეთით<sup>20</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ არცანია ახლოს მდებარეობდა ამავე წყაროში მონიშნებული ბუდალუას და გამირების ქვეყნებში, რომელთა ტერიტორიაზედაც მოხდა ბრძოლა. მაშინ გამოდის, რომ გამირების ქვეყანა ასარქადონის მეფობის მეორე წელს (ძვ. წ. 679-678 წწ.) აღმოსავლეთ კაბადოკიის ტერიტორიაზეა საძიებელი. ამ მხრივ საინტერესოა, ასარქადონის A პროზმის ტექსტის მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც ასურელები გამირებს ამარცხებენ ხუბუშნას მიწაზე. ხუბუშნა. ხუგორც აღნიშნულია, იგივეა, რაც ხეთური ხუპისინა, ანტიკური კიბისტრა, რომელიც აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე, კერძოდ, კაბადოკიაში მდებარეობდა. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ გამირები ძვ. წ. VII ს. 80-იან წლებში ბინადრობდნენ აღმოსავლეთ კაბადოკიის ტერიტორიაზე<sup>21</sup>. უეჭველია, აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში ტერმინი „გამირთა ქვეყნის“ დამკვიდრება კაბადოკიის მნიშვნელობით<sup>22</sup>.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს საკითხი თუ სად მდებარეობდა „გამირთა ქვეყანა“ უფრო ადრე. კერძოდ, ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში, როცა მოხდა გამირებისა და ურარტუელებს შორის პირველი ბრძოლა, რომლის შესახებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობები დაცულია ასურეთის სამეფო არქივში. ამ არქივიდან მომდინარე ერთ-ერთი წერილობითი წყაროს მზევრავ აშურისუსას წერილის ცნობით, ურარტუელებსა და გამირებს შორის ბრძოლის ადგილად დასახლებულია გურიაინას ოლქი. წერილში ნათქვამია: „გურიაინა აის ოლქი ურარტუს ქვეყანასა და გამირთა ქვეყანას შორის, რომელიც ხარკს უხდის ურარტუს, როდესაც ურარტუს (მეფე, ჯ. გ.) წაივდა სალაშქროდ გამირთა ქვეყანაში ურარტუს მიაყენეს დამარცხება“<sup>23</sup>.

აღნიშნულ ცნობაში მოიხსენიებული „გურიაინას“ ოლქი, როგორც დადგენილია, იგივეა, რაც „კურიაინას ქვეყანა“, რომელიც მოიხსენიება ვანის კლდეზე ამოკვეთილ ურარტუს მეფის სარდური II (ძვ. წ. 760-735 წ.წ.) ერთ-ერთ წარწერაში. აღნიშნულ ტექსტში სარდუ-



რი მოგვიტორობს „წავედი მე ეთიუნიის ქვეყანაში. როდესაც (?) გავეშურე (?) ეთიუნიის ქვეყნიას, ოლქი (?) ერაიხის ქვეყნისა მოვსებე მე, (Salmathj კურიანის ქვეყნისა. გავემართე მე, (სალაშქროდ) ივანის ქვეყანაში“.<sup>24</sup>

აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით კურიანისა (resp. გურიანისა) ი. დიაკონოვი ათავსებს ჩალდირის ტბისა და ახალციხის რაიონებს შორის მდებარე ტერიტორიაზე.<sup>25</sup> გ. მელიქიშვილის მიხედვით „კურიანის ქვეყანა“ მდებარეობდა ერაიხისა (დღ. ლენინკანის რაიონი) და ივანის (ჩალდირის ტბის რაიონები) ქვეყნებს შორის.<sup>26</sup> მოყვანილი ცნობები აშკარად მივივითებენ იმ ფაქტზე, რომ გიმიორები ურარტულებს შეზღუდნენ ჩალდირის ტბის მიდამოებში ან მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ერთობ მნიშვნელოვანია ზემოთ მოყვანილი ასურული წყაროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გურიანის ოლქი მდებარეობდა „ურარტუსა და გიმიორთა ქვეყნებს შორის“.<sup>27</sup> როგორც ცნობილია, ურარტუს სამეფოს ცენტრალური ოლქები განლაგებული იყო ვანის ტბის ორკუთხედ, ხოლო გურიანის ოლქი — მის ჩრდილოეთით, ჩალდირის ტბის მიდამოებში. თუ ეს უკანასკნელი, ე. ი. გურიანის ოლქი, ასურული წყაროს ცნობით მდებარეობდა ურარტუსა და გიმიორთა ქვეყნებს შორის, ვამოძიებს რომ გიმიორების ქვეყანა საძიებელია ჩალდირის ტბის ჩრდილოეთით. ჩვენის აზრით, ვამორიცხავს გამირთა ქვეყნის მდებარეობის შესაძლებლობას კაბადოკიაში როგორც ძვ. წ. VIII-საუკუნის 20-იან წლებსათვის, აგრეთვე ამაზე ადრეული ხანისათვისაც.

ისმება კითხვა: ჩალდირის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე რომელ კონკრეტულ ადგილას უნდა ექმებოთ გამირების ქვეყანა? გიმიორების საცხოვრისის ლოკალიზაციის ძიებისას, ჩვენის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტბონიმი „ქიმიერეთის ხევის“. აღნიშნული ტბონიმი მოიხსენიება ვახუშტის მიერ ისტორიული სამცხის გეოგრაფიული აღწერის დროს, სწავლულ ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ხოლო ტაშისკარის სამხრით ჩამავალს დასავლეთიდან მთა მახვილოსი ცხერ-ცხვარდ და აღმოსავლიდან ყურძნის მთის წვერი და მოაფიწროებს მტკუარს კლდითა. აქ, მოვიწროებულსა შინა, არს ვასავლი კარი და კოშკი მას ზედა. ქართლიდან ხეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდება ტაშისკარი (ესე არს ქვისკარი)... ამის დასავლეთით არის ახალდაბა, მცირე ქალაქი კუალად ახალდაბას ზეით ერთვის მტკუარს სამხრით მდებარეობსა სკამოლ ნათლადა წარმოღვენილი ვახუშტისთან. ამავე სახელწოდებით მო-

იხსენიება პატარა ხევი დღესაც. შინა მდებარეობა ტაშისკართან, ისტორიული სამცხესა და შიდა ქართლის საზღვარზე მრავალმხრივ არის საინტერესო. ტაშისკარ-ქიმიერეთის ხევის სამხრეთით, როგორც ცნობილია მდებარეობდა ისტორიული სამცხეს ტერიტორია, რომელიც მოიცავდა ძვ. წ. I—ათასწლეულის I—ნახევარში ურარტული ტექსტების ზაბახეს (ჯავახეთი)<sup>28</sup> კატარზას (კლარჯეთი)<sup>29</sup> უხიმე აშუსა<sup>31</sup> (ოხო-მას)<sup>32</sup> და სხვა ქვეყნების ტერიტორიებსაც. მათ შორის ასურული ტექსტების გურიანისა ოლქსაც (ურარტული ტექსტების კურიანისა ქვეყანას) აღნიშნულ პერიოდში ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში ამ ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ ზანური (მეგრულ-ქანური) ტომები. რომელიც ამ ადგილზე ამ დინადრობა, სავარაუდებელია, როგორც ლინგვისტური და არქეოლოგიური ისე აქ დღემდე არსებული ტბონიმების არსებობით.<sup>32</sup>

გურიანისა ოლქის (resp. კურიანის ქვეყნის) მცხოვრები ტომებისათვის ტაშისკარ-ქიმიერეთის ხევის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები, ვფიქრობთ, წარმოადგენდნენ ქიმიერელებს ან ქიმიერიელებს. ძვ. წ. VIII საუკუნის 20-იან წლებში ჩანს ადგილი აქვს მათ შემოსევებს სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, რითაც ქიმიერები უშუალოდ დაემუქრნენ ურარტუს ჩრდილოეთ პროვინციებს. ასურულ წყაროს ცნობა გურიანის ოლქში მომხდარი ბრძოლა ურარტუსა და გიმიორებს შორის, ამის უტყუარი მოწმე უნდა იყოს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ასურელებს გიმიორების, მათთვის უცნობი ხალხის სახელი, ზემო ხსენებულ ადგილებში უნდა შეეთვისებინათ. ქართულ-ენოვანი ტომების, კერძოდ ჭანურის მემკვიდრეობით. დადასტურებულია, რომ ჭანურ ენაში ქ-ს ადგილს იჭერს გ. მაგალითად ჰეგნა ჰეგნა და სხვა.<sup>33</sup> აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ქიმიერ (იმერ) ტერმინს ჭანური ენის საფუძველზე განეცადა ამგვარი ფონეტიკური ცვლილება გიმიერ-გიმიერ. ხმოვნების ი-სა და ე-ს მონაცვლეობა ექვს არ უნდა იწვევდეს. მეორე მხრივ შესაძლებელია ტბონიმის ფუძეში (ქიმიერ-ეთ-ი) გარკვევით ისმის ტერმინი ქიმიერ, რომელიც „გიმიორის“ სახელწოდების ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. ქართულ ენაში, ბევრა გ ხშირად ყრფვლება და ლეხლეთს ქ-ს სახეს. ეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გ. მეორე თიმიეტური პირის ნიშანია; მაგ. „ღმერთი მოქცემსო“ — ღმერთი მოცემს, ქცემ—გცემ, ქეშო—გეშო, და სხვ.<sup>34</sup> გვაზარაულებინებს, რომ „ქიმიერ“ ფუძეს ფონეტიკური ცვლილება ქართულ ნიდავზე უნდა განეცადა. ეთნიკური სახელების მაწარმოებელი სუფიქსი—ეთ გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ქიმიერეთის

**ჯამალ გვიძამე**

გიმიორთა ძმების ლოკალიზაციის საკითხისათვის

ხევი და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, წარმოდგენდა ქიმიერ-გიმირ ტომთა საცხოვრისს მინიშნებას. „გიმირ“ ტერმინთან მიმართებაში ჩვენს ყურადღებას იქცევს გიმიერების სახელწოდებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიტყვის არსებობა ქართულ ენაში, ასეთია, მაგალითად, სიტყვა გიმირი, აღნიშნული ტერმინი მიუთითებს, გარკვეული დროის მანძილზე, გიმირთა ტომების ქართულ მიწაზე ცხოვრების კვალზე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართველთა წარმოდგენაში გიმირი, გმირი სრულიად არაა სხვა უცხო, მომხდურ მტრულ ენემენტად მიჩნეული. მათი ურთიერთობა ზოგადად, ერთი და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრების შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, ისიც, რომ ამ ტომებს შორის გარკვეულ ფარგლებში კეთილი დამოკიდებულება უნდა არსებებულაყო.

დასავლელად მიგვაჩნია ასეთი შესაძლებლობაც. ასურულ ტექსტებში ნახმარი ეთნიკური ტერმინის „გიმირ“ პირველი მარცვლის აღნიშვნელი ნიშანი იკითხება: gi, ki, qi, საეხებით მოსალოდნელია ამ ნიშანს

კითხულობდნენ არა gi-გამ, როგორც ეს მიღებულია დღესათვის, არამედ ki-ქი, მინის მეორე მარცვლის აღნიშვნელი ლურსმული ნიშანს ვაჩნია, ორი ფონეტიკური შესატყვისი: mer, mir. აღნიშნული გარემოება გვაძლევს საშუალებას ჩვენთვის საინტერესო ტერმინი წავიტოხოთ ამგვარად: ki-mer „ქიმერ“ ისევე ქიმიერ და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ტომონიმ „ქიმერეთის ხევი“ თავმოყრილი იყოს სწორედ ამგვარი ფონეტიკური აღნაგობის ეთნიკური სახელწოდება. ფუძეზე დაართული ეთნიკური სახელების მწარმოებელი სუფიქსი-ეთ მიუთითებს იმაზე, რომ ტაშისკარი — ქიმერეთის ხევის ჩრდილოეთით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, ისტორიულ სამცხეში მცხოვრებ ქანურ მოსახლეობას მიენიათ ქიმერ—იმერთა<sup>35</sup> საცხოვრებლად. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ივ. ჯავახიშვილი შიდა ქართლის ძველ ტერმინს „იმერს“ აიგივებდა „იმერ“თან იმერთს ანუ იმერელს<sup>36</sup> (ხაზი ჩვენია ჯ. გ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

<sup>1</sup> R. F. Harper, Assyrian and Babylonian Letters Belonging of the British Museum, I—XIV, Chicago, 1892—1914. L. Waterman, Royal Correspondence of the Assyrian Empire, I—IV, Chicago, 1930—1936.

<sup>2</sup> აღნიშნული ბრძოლის შესახებ ურარტულ ტექსტებში არავითარი ცნობა არ არის დაცული.

<sup>3</sup> R. F. Harper, დასახ. ნაშრომი, № 197; L. Waterman, 197; ABUUY 50 (10).

<sup>4</sup> R. F. Harper, დასახ. ნაშრომი, 197; L. Waterman, დასახ. ნაშრომი № 197.

<sup>5</sup> უმაღლესი სამხედრო წოდება ასურეთისა და ურარტუს სამეფოში, იხ. Хрестоматия по истории Древнего Востока, М., 1963, გვ. 343.

<sup>6</sup> R. F. Harper, დასახ. ნაშრომი № 50 (10). იხ. აგრეთვე L. Waterman, № 197.

<sup>7</sup> Fr. Thureau-Dangin, Une relation de la huitième campagne de Sargon, Paris, 1912, სტრ. 139.

<sup>8</sup> Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, М.-Л., 1949, გვ. 121; მისივე, Ванское царство, М., 1960, გვ. 299, შეადარე: Г. А. Меликишвили, Наирн—Урарту, 280—281;; ბარამიძე, წინაზიზი კიმიერელთა შემოსევის დათარიღებისკათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. XVI, № 8, 1955, გვ. 647; Археология Украинской ССР, I, Киев, 1971, გვ. 9.

<sup>9</sup> Н. Я. Марр, И. А. Орбели, Археологическая экспедиция в 1916 г. Ван, Пгр., 1922, 55.

<sup>10</sup> სტეფანე ტარონეცი (ასოლოკი X-XI სს. აგრეთვე XVI საუკუნის ანდერაზები).

<sup>11</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია ასურული წყაროების გომირებისა და ანტიკური წყაროების კიმიერიების იდენტობა.

<sup>12</sup> Н. В. Хазарадзе, Этнические и политические объединения Восточной Малой Азии I половины I тыс. до н. э. (Табал), автореферат кандидатской диссертации, Тб., 1974, გვ. 19—20.

<sup>13</sup> Н. В. Хазарадзе, დასახ. ნაშ., გვ. 20.

<sup>14</sup> АВИИУ, 63, გვ. 215—216.

<sup>15</sup> АВИИУ, იქვე, გვ. 215—216.

<sup>16</sup> J. A. Knudzon, Assyrische Gebete an den Sonnengot, Leipzig, 1893, № 1, 29.

<sup>17</sup> E. Schrader, Keilschriftliche Bibliothek, Berlin, 1890, გვ. 128.

<sup>18</sup> АВИИУ, 63, გვ. 215—216.

<sup>19</sup> АВИИУ, 64, გვ. 216.

<sup>20</sup> Хрестоматия по истории Древнего Востока, გვ. 512.

<sup>21</sup> კაბადოკიაში ძვ. წ. 679/678-654 წლებში გიმიერების ქვეყანას ათავსებს ი. მ. დიაკონოვი. იხ. И. М. Дьяконов, История Мидии, М., 1956, გვ. 258.

22 ძვ. წ. 679/678-654 წლებში კაბადოკიაში გიმირების ბინადრობას, ჩანს საფუძვლად დაედო თვით ბიბლიაში დაცულ ცნობასაც, გამეორის კაბადოკიელების ერთნაჩობის შესახებ.

23 R. F. Harper, დასახ. ნაშრომი № 146; L. Waterman, დასახ. ნაშრომი № 146; И. М. Дьяконов, АВИИУ, № 50 (II) სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მოსაზრებაა გამოთქმული აღნიშნული ბრძოლის თარიღის შესახებ. ამერიკელმა მეცნიერმა ა. ოლსტედმა ეს ბრძოლა დათარიღდა ძვ. წ. 710 წლის შემდგომი პერიოდით, მისი აზრით ასურეთის სამეფო არქივის ყველა წერილში, რომელიც ურარტულებისა და გამირების ბრძოლას შეეხება. ივულისსმება არა რუსას, არამედ ურარტუს მეფე არგიშტი II. იხ. A. Olmsted, History of Assyria, New York, 1923. მეორე მოსაზრება ბრძოლის შესახებ ეკუთვნის ფრ. ტიურო დანეენს, რომელიც აღნიშნულ ამბავს ათარიღებს ძვ. წ. 714 წლამდელი პერიოდით, ე. ი. სარგონ II-ის ლაშქრობამდე ურარტუში იხ. Fr. Thureau-Dangin, დასახ. ნაშრომი, გვ. XIV-XV. საბჭოთა ორიენტალისტებიც აღნიშნულ ბრძოლას ათარიღებენ ძვ. წ. 714 წლამდე პერიოდით; იხ. ვიტლად: Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 104; Ванское царство, М., 1960, გვ. 97.

24 Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М., 1959, გვ. 304—305.

25 И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, М., 1968, გვ. 169.

26 Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 280—281; მისივე: Урартские клинообразные надписи, გვ. 438, გ. მელიქიშვილს შესაძლებლად უიანია, რომ კურანიას სახელი შეიძლება ფი-

გურირებდეს მდინარე მტკვრის (კურას) ხელწოდებაში იხ. იქვე, გვ. 438.

27 R. F. Harper, დასახ. ნაშრომი, № 146.

28 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 380.

29 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 446.

30 იქვე, გვ. 432.

31 იქვე, გვ. 444

32 ზ. გვეტაძე, ურარტუს მეფის სარდურ II წარწერაში მოხსენიებული ტოაონიძის „უხიმე-აშეს“ გაგებისათვის, „მაცნე“, ისტორიისა, სერია თბ. 1972, გვ. 208—210, № 2.

33 არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. გვ. 127—128. ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახლებში. მნათობი, № 4 1971 გვ. 139—141. იხ. აგრეთვე ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული ტ. II. 1964 გვ. 131—166. ა. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, უდის განძი, „საბჭოთა ზელოვნება“ 1959, № 4 გვ. 59—64 და სხვა.

34 ს. ულენტი, ჰანური ტექსტები, ტფ. 1931, გვ. XIV.

35 ს. ულენტი, გურული კილო, ტფ. 1936, გვ. 50. იხ. აგრეთვე გ. ახვლედიანი ყრუ medjae ქართულში, 1920 წ.

36 ტერმინი გმირი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მიმართებაშია „იმერთან“ „გმირი იმერი ზრდილობით“, „გმირი არიან იმერნი“... ასევე საყურადღებოა საქართველოში, კერძოდ ზაშურისა და ბორჯომის რაიონებში დამოწმებული გვარი ქიმირიძე.

36 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I. მე-2 გამოცემა 1913 გვ. 24. 60—61.



გია შირსხალავა

# დეპორაციული ლავსუსი თუ?..

საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკის ერთი პარამეტრული  
კანონზომიერების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დარგების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის გამოქვეყნებულ მასალათა შორის დაბეჭდილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პ. გუგუშვილის მოხსენების თეზისებიც — „საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკის ერთი ახალი კანონზომიერების შესახებ“.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ არსებითად სწავთხე შეეხება საკმაოდ ცნობილ ტენდენციას — უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ მოსახლეობაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითა წონის ზრდას (1939 წ. — 61,4%; 1959 წ. — 64,3% და 1970 წ. — 66,8%), რაც გამოწვეული იყო საქართველოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში გასული არაქართველი მოსახლეობის სიჭარბით შემოსულებზე, ანუ რესპუბლიკათაშორისო მიგრაციული პროცესების შედეგად. ამავ დროს მოხსენების ბოლო, შემოქმედებული თეზისით ავტორი ასკვნის:

„საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების პროცესის ეს კანონზომიერება, (?) რაც უკანასკნელი 30 წლის შესაბამისი მონაცემების შესწავლის საფუძველზეა დადგენილი, აქამდე არ ყოფილა აღნიშნული (?) — ანალოგიური პროცესი არაა მინიშნებული არც მსოფლიო დემოგრაფიულ ლიტერატურაში (II) მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მივიჩნიოთ ზოგად კანონად (?) საქართველოს რესპუბლიკის ანალოგიური კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის ყველა ქვეყნისათვის“ (?).

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონის ზრდა დადგენილი და მინიშნებულია

მოსახლეობის აღწერებით. უფრო მეტიც — ეს პროცესი, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ „გამოწვეულია მოსახლეობის არაბუნებრივი, არამედ მექანიკური მოძრაობით ე. ი. მიგრაციით“, ნაწილობრივ მეცნიერულად განალიზებულია. ოღონდ, დღემდე ცნობილი იყო, რომ მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისიდან აქვს ადგილი საქართველოში რესპუბლიკათაშორისო მიგრაციის უარყოფით საღდოს საერთოდ, და კერძოდ, გასულ არაქართველი მოსახლეობის სიჭარბეს შემოსულებთან შედარებით, რამაც გაზარდა 1959-1970 წ. წ. რესპუბლიკაში ქართველების წილი.2 და ვერაფერს, თვით ავად. პ. გუგუშვილი, ვერავითარ მონაცემებს ვერ მოიტანს იმის საბუთად, რომ 1939-1959 წ.წ. ქართველების ხვედრითი წონის ზრდა გამოწვეულ იყო მიგრაციით, საქართველოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში არაქართველი მოსახლეობის გასვლით. საერთოდ კი სამამულო ომისა და მომდევნო წლებში მოსახლეობის რესპუბლიკათაშორისო მოძრაობა ჩვეულებრივ მიგრაციის კანონზომიერებას არ ასახავს. ყოველივე ამას მხოლოდ ავტორის მიერ უკანასკნელი 30 წლის შესაბამისი მონაცემების შესწავლის საფუძველზე დადგენილი“ კანონზომიერების არარსებული სტატისტიკური ბაზის სააღუსტრაციოდ აღვნიშნავთ.

მეორეც, და არანაკლებ მთავარი ის არის, რომ ავტორის კანონზომიერებას უკავშირებს მოსახლეობის აღწარმოების პროცესს, ე. ი. სწორედ იმას, რის შედეგადაც, როგორც მართებულად აღნიშნავს თვით ავტორიც, არ არის გამოწვეული ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდა.

დარჩა მხოლოდ ერთი ავტორიტული სიახლე: „მოსახლეობის გადაადგილების სწორედ ეს პროცესი, მიგრაცია, საბჭოთა საქართველოში, რომლის შესაბამისი ინდუსტრიული, საერთო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა უზრუნველყოფილია ამორიგული კადრებით, მოგვევლინა როგორც ქართველი სოციალისტური ნაციის შემდგომი კონსოლიდაციის (ეროვნული ორგანიზმისა და ტერიტორიალური ორგანიზაციის) ახალი განმტკიცების ფაქტორი“. (?) ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სხვა ეროვნებათა ემიგრაცია არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოგვევლინოს როგორც სოციალისტური ერის შემდგომი კონსოლიდაციის თუ მისი განმტკიცების ფაქტორი. არც იმაზე, რომ სოციალისტური ერის შემდგომ კონსოლიდაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ეროვნებათა იმიგრაციის პირობებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში მავალითად 1926-1939 წ. წ. ბოლოს, არც იმაზე, რომ სწორედ 1959-1970 წ.წ. საქართველოს ანალოგიურ კულტურულ-ეკონომიკური რესპუბლიკებში (უკრაინაში, ლატვიაში და სხვა) შემცირდა შესაბამისი ეროვნებათა წილი და პერიოტი — ვაიზარა შუაზღის რესპუბლიკებში.<sup>3</sup> მაგრამ, თუ მიანიშნავს მოცემულ შემთხვევაში შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ სოციალისტური ერის განმტკიცების, უფრო სწორედ განვითარების როგორც რესპუბლიკათშორისი მიგრაციული პროცესების მიმართულებათა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორზე.

საგულისხმია, რომ უკანასკნელ ორი აღწერის შორის განვილი პერიოდში საქართველოში მცხოვრები ქართველებიც უფრო მეტი გავიდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, ვიდრე იქიდან შემვიდა. მართლაც, საქართველოს სსრ ფარგლებში გართ მცხოვრები ქართველების რიცხოვნობა სსრ კავშირში 1959 წელს უდრდა 91,4 ათას კაცს, 1970 წ. — 114,6 ათას კაცს,<sup>4</sup> ანუ გაიზარდა 23,2 ათასი კაცით (25,4%), გარკვეულ წილად ჩვენი რესპუბლიკიდან გასული ქართველებს ხარჯზე. გამოდის რომ 1959-1970 წ.წ. საქართველოში ადგილი ჰქონდა ქართველი სოციალისტური ერის დეკონსოლიდაციას, „ეროვნული ორგანიზმის და ტერიტორიული ორგანიზაციის“ არა განმტკიცებას, არამედ შესუსტებას?!

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ საქართველოში რესპუბლიკათშორისი მიგრაციის ცვლილებათა, უარყოფითი საღდის მთავარი მიზეზი ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ იყო მინიშნებული: „უკანასკნელ წლებში გარკვევით შენეულა სამეურნეო-ინდუსტრიული მშენებლობის ტემპები (ვ. ვეფხვაძე, 1966 წ.). მაგრამ ეს თვალსაზრისი არ ვასცილებია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდს.<sup>5</sup>

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალისტური ნაციის კონსოლიდაცია თუ განმტკიცება არ არის დაკავშირებული გარემიგრაციულ პროცესებთან, სხვა ეროვნებათა მიგრაციასთან და არც ერთი თვალსაზრისით არ განეკუთვნება მოსახლეობის აღწარმოების პროცესს.

ამგვარად, დაგვრჩა მხოლოდ ვივარამდობა, რომ საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების პროცესის „ეს კანონზომიერება“ ერთდროულად მოიცავს საქართველოში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდას, მის გამოწვევებზე — არაქართველი მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი საღდის და ამ უკანასკნელის გამოვლენას — ქართველი სოციალისტური ერის შემდგომ კონსოლიდაციას თუ განმტკიცებას. მაგრამ ეს წმინდა დემოგრაფიული ეკლექტიზმია და შესაბამისად კვლავ არარსებულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე, რაშიც ძნელი დასაჯერებელია რომ არ დავეთანხმოს ავტორიც. თუ კი აქად. პ. გუგუშვილი საპირისპიროს დამტკიცებას შეეცდება, მან, სულ ცოტა, პასუხი უნდა გასცეს კითხვას; თუ რას შეეხება და რას შეიცავს ახალს მის მიერ შემოთავაზებული საქართველოს სსრ მოსახლეობის დინამიკის ახალი კანონზომიერება, ხსენაირად რომ ვთქვათ რა ახალს შეიცავს მის მიერ დადგენილი მოსახლეობის აღწარმოების პროცესის „ეს კანონზომიერება“ ისეთს, რაც არაა სხვათა მიერ მინიშნებული, გარდა, რასაკვირველია, მიგრაციისადმი ხელოვნურად მიტმანებულ ქართველი სოციალისტური ნაციის შემდგომი კონსოლიდაციისა.

ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა თუ როგორ მოხდა, რომ აქად. პ. გუგუშვილმა არარსებული კანონზომიერება არსებულად მიიჩნია? რა არის ყოველივე ეს, დემოგრაფიული ლაფსუსი თუ...? მაგრამ ლაფსუსი ალბათ გამოირიცხება: იგივე მოხსენებათა თეზისები, თითქმის სუცულად, მოთავსებულია იმავე ინსტიტუტის საიუბილეო კრებულში, იმავე ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიის „საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების ამოცანების“ ერთ-ერთ პარაგრაფში — „დემოგრაფიისათვის“<sup>6</sup> აქ ერთგვარად განხილულია დემოგრაფიის საკითხები და საქართველოს მოსახლეობის დინამიკის ხსენებული არარსებული კანონზომიერება ერთხელ კიდევ მიჩნეულია არსებულად, ზოგად დემოგრაფიულ კანონად, რომელიც „არაა მინიშნებული არც მსოფლიო დემოგრაფიულ ლიტერატურაში“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ალბათ საერთოდ უპრეცედენტო განაცხადი არასპეციალისტის, ამ შემთხვევაში არადემოგრაფიული ლიტერატურის ესოდენ მოჭარბებულ ვითარებაში, წარ-

**ბი ა ზ ი რ ც ხ ა ლ ა ზ ა**

დემოგრაფიული ლაფსუსი ითუ?..

მოადგენს არარსებული კანონზომიერების და-  
კანონზომის მცდელობას, საკუთარი პერსონის  
როგორც უნივერსალური მკვლევარის  
თვითრეკლამირების ნიმუშს. ყოველივე ეს  
კი საბოლოო ჯამში, ნებისთ თუ უნებლიეთ,  
მიმართულია ჩვენში დემოგრაფიული მეცნიე-  
რების საზიანოდ და საწინააღმდეგოდ, მეც-  
ნიერებისა, რომელიც ეს ეს არის ფეხს იდ-  
გამს რესპუბლიკაში და რომლის წინაშე დგას  
მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხომეუ-  
რნობრივი და სოციალური პრობლემები. და  
აი, თვალსაჩინო გამოვლინება ჩვენში ესოდენ  
ფართოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებ-  
ბისა, რომ დემოგრაფიული მეცნიერება და  
კვლევა შესაძლებელია დემოგრაფების გარეშე.  
გარკვეულ წილად სწორედ ამითაც არის გაპი-  
რობებული, რომ საქართველოს პროფესიონალი  
დემოგრაფები არ ყავს და ამდენად ჩვენში არც  
დემოგრაფიული მეცნიერება არსებობს. ალბათ  
ამანაც გააბედვინა აკადემიკოს პ. გუგუშვილს,  
რომ საქართველოს მოსახლეობის არარსებული  
კანონზომიერება შემოეთავაზებინა როგორც

არსებული და დემოგრაფიული მეცნიერების  
უახლესი შენაძენი.

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულს  
ადგილი აქვს დღეს, როდესაც საქართველოში,  
განსხვავებით უმრავლეს მოკავშირე რესპუბ-  
ლიკებისაგან, დემოგრაფიული კვლევის ყოვე-  
ლმხრივი ვალა-გაფართოება ყველაფერთან  
ერთად ნაკარნახევია იმ არასასურველი დემო-  
გრაფიული სიტუაციით, რომელიც ყალიბდება  
ჩვენში და რომლის ზოგიერთი უარყოფითი  
სოციალური და ეკონომიკური შედეგები უკვე  
იგრძნობა კიდევ.

და რაოდენ სიმბოლური იქნებოდა, რომ ახ-  
ლა მაინც, ჩვენს რესპუბლიკაში ყოველგვარი  
არასასურველი და უარყოფითი მოვლენების  
წინააღმდეგ ესოდენ ფართოდ მიმართულ  
მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების  
ვითარებაში, რაც იმთავითვე, იმანენტურად  
მიმართულია რეალურ ფასულობათა დამკვი-  
დრება — განმტკიცებისაკენ, დასაბამი მიეცეს  
ჩვენშიც დემოგრაფიული კვლევის დაწყებას  
სათანადო ღონეზე.

### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი :

1. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსა-  
ხლეობის დინამიკის ერთი ახალი კანონზომიე-  
რების შესახებ, „ეკონომიკისა და სამართლის  
ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია“. მო-  
ხსენებათა თეზისები. თბილისი, 1974 წ. გვ.  
14-15.

2 ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა,  
გაზ. „სამშობლო“, 1971 წ. № 12; გ. ფირც-  
ხალავა, დემოგრაფიული სიახლენი, „დროშა“,  
1971, № 10, გვ. 10, მისივე, საქართველოს ხალ-  
ხთმოსახლეობის თანამედროვე განვითარების  
პრობლემები — „საქართველოს კომუნისტი“,  
1973, № 4, გვ. 46; Г. Г. Аденшвили, Социально-экономические проблемы воспр-


изводства трудовых ресурсов Советской  
Грузии. 1972 г., стр. 23—24. (სადოქტორო  
დისერტაციის აბტორეფერატი).

3 Итоги Всесоюзной переписи населения  
1970 г., М.: 1973 г., т. IV, стр. 12—15.

4 იგივე, გვ. 9, 10.

5 В. Вепхвадзе, Внутреспубликан-  
ская миграция населения по Грузинской  
ССР, ее причины, тенденции и влияния на  
занятость. Рукопись, стр. 17, фонд НИИЭП  
при Госплане Грузинской ССР, 1966.

6 პ. გუგუშვილი, საბჭოთა ეკონომიკური  
მეცნიერების ამოცანები, „ეკონომიკა“, ტ. VI,  
გვ. 184, 185, თბილისი, 1974 წ.



## ნიკოზ ბალახუილი

# ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

რამდენიმე სიტყვა წინასწარ

უკანასკნელ წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის არაერთი ახალი ცნობა გამოქვეყნდა.

ეს მასალები უცნობ, მივიწყებულ, ცნობილ წყაროებს მივუსადაგე და მინდა, ქართული რომანტიზმის მოთავის ცხოვრების აღწერა შემოგთავაზოთ.

„ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველა, იმ საუკუნის მწერლებზე უფრო საუკუნეთა შემაერთებელი მწერალი და პოლიტიკური მთქმელია. მისი ცხოვრების აღწერა თითონ დაგანახვებთ რაა უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო, ეკრძო პირი, თუ საზოგადოდ მოქმედი შეინახე“.

ონა მეუნარგია

### წინაპრები. მუშოვლები. ზაფხვობის პირველი წლები

გადმოცემით ჭავჭავაძენი მთიელი გლეხები ყოფილან.

ამ გადმოცემას ემთხვევა „კალმასობა“-ში შემონახული ცნობა. იოანე ზაგრატიონი გარსევან ჭავჭავაძეს ათქმევინებს: „მე მთის კაცი ვარო!“,

საბუთში, რომელიც 1783 წელს დაერთო რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას: „აღწერა თავადათა და აზნაურთა გვარებისა“ ვკითხულობთ:

„თავადი ჭავჭავაძე: არიან ორ გვარად. პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარეს ყვარელსა შინა. ივინი არიან ძველგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529.

ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი, რომელნიცა აქ არიან: 1. გლახსა შეილები და ძმათა ამისასა, 2. მელქისასდევისა შეილები.

ხოლო მეორე ჭავჭავაძენი არიან მუნვე ადგილიდან მოსულნი, რომელნიც ამბობდნენ მონათესაობასა მათსა, გარნა არ აქვდათ მათან მამულნი და ამათ მსახურეს ერეკლეს

მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა\* და მიიღო აზნაურად.

შემდგომად მეფემან თეიმურაზ ალიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფროვე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამულის შეილებად და რომელიცა ახლაცა იწოდებიან მამულის შეილებად: 1. ივანეს შეილები, 2. ბერი ნაზირის შეილები, 3. გარსევანის შეილები და სხვანი“.

როგორც ხედავთ ეს „აღწერილობა“ ჭავჭავაძეს თუშებად მიიჩნევს.

იასაულ ვასილ გრუღავეის „დღიურების“ მიხედვითაც ჭავჭავაძენი თუშებად ჩანან.

1833 წლის 16—17 ოქტომბერს\*\* ალექსანდრე ჭავჭავაძეს წინანდალში სწვევია სამი თუში, რომელნიც თელავში ერბოს გასასყიდლად და მარილის შესაძენად ჩამოსულიყვნენ. ჭავჭავაძესთან გამოუვლიათ როგორც ნათესავთან. გრუღავეი წერს: „მათ თქვეს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათესავად თვლიან იმიტომ, რომ თითქოს ჭავჭავაძის გვარის წინაპრები თუშებისაგან არიან წარმომდგარნი. რის შესახებაც თვით თავადმა

\* ირაკლი ხმალაძემ კარვად შენიშნა, მართლაც „სახეებით დასაშვებია, რომ დღევანდელი წინანდალი ამ „წინანდელიდან“ არის წარმომდგარი“.

\*\* თარიღები, 1918 წლის 14 თებერვლამდე ნააჩვენებია ძველი სტილით, შემდეგ ახალი სტილით.



ქვევადემ მასთან ჩამოსულთა შესახებ საუბრისას მიიხრა, რომ თუშები მას ასე თვლიან და ამიტომაც ყოველთვის მოდიან მასთან“.

ხევსურნი ქვევადეებს ხევსურთ აკუთვნებენ.

ისტორიკოსი ა. ფრონელი თავის წიგნში — „მთიულეთი 1804 წ.“ წერს: „ხევსურთა სხვადასხვა თემმა წერილობითი ხელშეკრულება გამოუგზავნა თ. ვალკონსკის. ხახმატის, ღჩარმო-თიანეთისა და ბისაკოტის ხევსურთ ასეთივე წერილობითი პირობა გამოუგზავნეს თ. ვოლკონსკის და ნიშნად თავიანთი მტკიცე ერთგულებისა თავდებად კაცთა შორის დასახელეს «თავიანთი ნათესავეები» თავადი ქვევადეაქენი“.

ამ ცნობაზე დაყრდნობით მწერალი მიხეილ ჭავჭავაძე „არსენა მარაბდელში“ ამბობს: „ალექსანდრე ქვევადეის დაუღმვარი ხევსურული სისხლი უჩქედდა“.

კახეთში გადმოსული ქვევადეანი ისტორიის ასპარეზზე მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოჩნდნენ.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს პირველობდა ალექსანდრე ქვევადეის მამა — გარსევან (დავით) რევაზის-ძე ქვევადეაქენი (1757—1811).

გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, გარსევან ქვევადეის სწამდა, რომ ოსმალეთ-სპარსეთზე მალა მდგომი ერთმორწმუნე რუსეთი ქართლ-კახეთის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, დაიცავდა მის საშინაო დამოუკიდებლობას და აგრესორებს ჩამაშორებდა.

ამ რწმენით მან 1783 წლის 24 ივლისს, როგორც ქართლ-კახეთის სრულფუნქციონირებელი ელჩმა, ხელი მოაწერა „გეორგიევსკის“ მთავრეკლამით ტრაქტატს.

შემდეგაც გარსევანი არა ერთხელ წარიგზავნა რუსეთს დიპლომატიური დავალებით და საკმაო ხანი ცხოვრობდა იქ.

გარსევან ქვევადეის ცოლად ჰყავდა ელჩის, მწერლისა და მწიგნობრის, გიორგი ავალიშვილის და — მარიამ (მია) ივანეს ასული (1758—1836), რომელსაც იონა მეუნარგია ასე ახასიათებს: „მისი დროის კვალობაზე განათლებული ქალი იყო «ვეფხვის ტყაოსანზე» და ძველებურს წესზე აღზრდილი“.

რადგან რუსეთის სამეფო კარი იმ დროს ეძებდა კარგს განწყობილებას საქართველოსთან, 1786 წელს, ქალაქ პეტერბურგში დაბადებული ალექსანდრე გარსევანის ძე ქვევადე — შემდეგში ქართველთა სახელგანთქმული პოეტი, მონათლა ეკატერინე მეორემ და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ.

„მაყელის ფერი ხავერდის ბალოში, — წერდა იონა მეუნარგია, — რომელზედაც ამოიყვანა წმინდა ემბაზილამ ნათლია იმპერატ-

რიცამ ალექსანდრე ქვევადეაქენი ინახება შვილის შვილებში.“

დედისერთა ალექსანდრეს სრულ ფუფუნებაში ზრდიდენ.

ოთხი წლის რომ ვახდა ალექსანდრე, გარსევანი ოჯახით თბილისში ჩამოვიდა. რადგან იმ დროს თბილისში არავითარი სასწავლებელი არ იყო, მამამ ბავშვის მასწავლებლად თან წამოიყვანა ეინზე ფრანგი.

პეტერბურგიდან ჩამოყვანილი ალექსანდრე თბილისშიც უზრუნველად იზრდებოდა.

„დღეისაგან განებივრებული ალექსანდრე, — წერს იონა მეუნარგია, — თავის ფრანცუზის მეცნიერებას ისმენდა და თავისუფალ დროს დასერიობდა პირველად მამამისისაგან ჩვენში გადმოტანილ კარეტით.“

1793 წლის 25 დეკემბერს მეფე ერეკლე მეორემ, გარსევან ქვევადეის რუსეთის საიმპერატორო კარზე წარჩინებული დესპანობისათვის სოფელი ზეგანი უბოძა:

„ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ქვევადეის ეშვიკაბაშს. გარსევანს, შვილსა შენსა ალექსანდრეს და მომავალთა სახლისა შენისათა ასე რომელ ბიძის შენებისა და მამის შენის ჩვენი და ჩვენი ოჯახის ყოველის გზით ერთგულად სამსახური საქართველოში გამობრწყინებული არის...“

თვით შენც, ჩვენცა და ჩვენის საზოგადოებასაც ყოველის შენის შეძლებით მრავალგვარად დიდად ერთგულად და თავდადებით გვემსახურე და რამდენიმე წელიწადი ჩვენსა და ქვეყნის სამსახურზედ რუსეთის დიდებულის ხელმწიფის კარზედ მინისტრად იმყოფებოდი და შენი სამსახური ქვეყანაში ნათლად განაცხადე.

ჩვენც წყალობა გიყავით და გიბოძეთ საყმოსთ კახეთს შენის სახლის კაცის იასონის შვილის ბეთაულმანი სოფელი ზეგანი, რომელიც დღეს იქ მსახლობელნი კაცნი არიან იმ გლეხებით, მთით, ბარით და სახნავით, უხნავით, წყლით, წისქვილით, და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრით“.

როცა სპარსეთის გამგებელი ალა-მამკანდანი გამოემართა საქართველოსაკენ, ალექსანდრე პეტერბურგში წაიყვანეს.

პეტერბურგში ჩაყვანილი ალექსანდრე ბამანის კერძო პენსიონში მიიბარეს, სადაც ოთხ წელს სწავლობდა.

1797 წლის გაზაფხულზე გარსევან ქვევადე მესამედ წარსდგა რუსეთის საიმპერატორო კარზე, როგორც ქართლ-კახეთის სრულფუნქციონირებელი დესპანი.

ისტორიკოსი ზ. ცქიტიშვილი შრომაში: „გარსევან ქვევადეის დიპლომატიური მოღვაწეობა“ წერს:

„გარსევანი დაბეჯითებით მოითხოვდა იმპერატორისაგან ან დევცა ტრაქტატით ნაყისრი



ვალდებულებანი, ან კიდევ უარი ეთქვა მათზე და მაშინ საქართველო გამოსვალს თვით მოქმედი... ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია.“

გაბედული გარჯისათვის გარსევან ჰქვავაძე მეფე ერეკლემ, 1797 წლის სამი თებერვლის სიგელით სოფლები: ნათარეული და მულანლო უბოძა.

ერეკლეს გარდაცვალებისა და გიორგი მეცამეტის ტახტზე ასვლის შემდეგ, 1799 წლის ივლისში გარსევან ჰქვავაძე ამალითა და ოჯახით საქართველოში დაბრუნდა. თან წამოიყვანა ალექსანდრეც.

სხენებულ დროს იკუთვნის შემდეგი ეპიზოდი მისი სიყმაწვილიდან:

„ამბობენ, რომ ერთს რალაც დღეობაში, საცა მეფეც ბრძანდებოდა, ალექსანდრეს ბეჰედი დაჰკარგვია მინდორში, რომელიც ბევრი უძენიათ თურმე, მაგრამ ვერ უპოვანიათ.

მეორე წელს იმავე დღეობაში და იმავე შეკრებილებაში, ყმაწვილი ალექსანდრე მინდორზე მჭდომარე ათამაშებდა წიკბლას და უეცრივ ამ წიკბლაზე წამოეგო თურმე ეს ბეჰედი“.

1799 წლის ბოლოს გარსევანი ისევ წავიდა პეტერბურგს და „რუსეთის მთავრობას წარუდგინა საიდუმლო თხოვნა, რითაც გიორგი XIII უარს ამბობდა «მფარველობაზე» და თანახმა იყო «ქვეშევრდომობაზე» შეკვეცილი ავტონომიის სახით, ისე რომ მეფის ტიტული მემკვიდრეობით გადასცემოდა ზაგრატიანებს“.

პავლე პირველმა არ მიიღო ეს ძალზე დიდი დათმობებიც და 1801 წლის 18 იანვარს, მოსკოვსა და პეტერბურგში გამოცხადებულ მანიფესტით, საქართველო უშუალოდ შეუერთდა რუსეთს.

სხვა უკეთესი გზა საქართველოს არ ჰქონდა. ამ ხანებში გარსევან ჰქვავაძეს ორივე მხარიდან ქართველი დაატყდა. რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგეები მას ღალატს სწამებდნენ. რუსეთისადმი ღალატში აღიანაზიულებდა მას კოვალენსკი.

1802 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გარსევანი საქართველოში ჩამოვიდა. „მის ჩამოსვლას დაემთხვა ხალხის მღელვარებამ კახეთის ზოგიერთ კუთხეში, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მმართველობის დამყარებით. საქართველოს მმართველმა კოვალენსკიმ მომხდარი არეულობა გ. ჰქვავაძეს დააბრალა, რომელიც მისი აზრით, ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს აღეღებდა ქართველებს“.

1802 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულმა პ. ციციანოვმა გამოიტოვა კოვალენსკის მიერ გარსევან ჰქვავაძისადმი წაყენებული ბრალდებები და მთლიანად გაამართლა იგი.

1803 წლის 14 ივნისს გარსევანი დაამტკიცეს საქართველოს თავადაზნაურთა საყრდენლოს წინამძღოლად. ამ დღიდან იგი მთავრობას უნდა დახმარებოდა საქართველოში რუსეთის მმართველობის განმტკიცების საქმეში. „მიუხედავად ამისა, 1802 წლის ნოემბრიდან საქართველოში მყოფი გარსევანი რუსეთის მმართველობის ფარული ზედამხედველობის ქვეშაა.“

1804 წელს, როცა ქართლის მთიანეთში ამბოხება მოხდა, ციციანოვს ერეგინისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. გარსევანი ამ დროს ყაზახში იყო. მას დავალებული ჰქონდა ერეგინის ფრონტის ჯარის სურსათით მობარკება. დავალების დროზე უსრულდება გარსევან ჰქვავაძეს შეუფერხდა, ამის გამო ეხლა ციციანოვმა შეიტანა ეჭვი რუსეთისადმი მის ერთგულებაში და ტამბოვში გადასახლებით დაემუქრა.

1804 წლის 17 იანვარს გარსევან ჰქვავაძემ იმპერატორს არზა მიართვა, რომელშიაც მისი ვაჟის, ალექსანდრეს სასახლის კარზე კამერ-პაეად ჩარიცხვას ითხოვდა:

„ყოვლად უმოწყალებო ხელმწიფე, წელსა ჩღბე (1786-ი. ბ.), დროსა ყოფნისა ჩემისა უბაღლესსა კასსა ზედა თქვენის იმპერატორობის დიდებულებისასა, დამებადა შვილი და მაშინ საბედნიეროდ ყოვლისა ნათესავისა ჩემისა ღირს ჰყო და მიითქვა ღმრთისადმი განსვენებულმან დიდმა ხელმწიფა იმპერატორიკა ეკატერინემ, რომლისთვისაცა ნიშნათ ერთმთავრებითისა კეთილბობისა და გამოუთქმელისა მოწყალებისა ინება და უბოძა მას პრეობრაჟენის პოლკის სერჟანტობა და შემდგომად სიკვდილისა მისისა მრავალთა სხვათა თანა გამოირიცხულ იქნა.

გარნა დროთა ამბო შორის იზრდებოდა სასწავლებელსა შინა, რომელმანცა ისწავლა რუსული და ფრანციული და ვინაიდან სოსუსტე სიმართლისა მისისა აკლებს მას სამხედროსა სამსახურსა შინა შესვლასა, ამისათვის ვებღავ ყოვლად ქვეშევდომებრივ ვთხოვო თქვენს იმპერატორობის დიდებულებას ღირსეთი და მიიღოთ იგი მას გვარსა სამსახურსა შინა ვითარცა ინებებს იმპერატორობის დიდებულება.

და უკეთუ ღირს იქნებოდა იგი მსახურებად თქვენის იმპერატორობის დიდებულების საღმოსა სახლსა წინაშე, მაშინ პენდნიერებასა ჩემსა და ჰრულისა სახლეულებისა ჩემისასა არა ეყოლებოდა თანასწორი თვისა“.

იმავე წელს ალექსანდრე ჰქვავაძე რუსეთის სამეფო კარზე კამერ-პაეად ჩარიცხეს. იგი პეტერბურგში, პავთა კორპუსში სასწავლებლად უნდა წასულიყო, მაგრამ თვრამეტე წლის პოეტო მთიანეთის ამბოხებულებთან განიღტვა.

ავთანდილ ჩხიკვიანი

## ჩვენი ინტერვიუ

ჩვენი კორესპონდენტი ავთანდილ ჩხიკვიანი ესაუბრა რუსთაველის თეატრის დირექტორს აკაკი ბაქრაძეს, რეჟისორებს — რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძეს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

**ავ. ჩხიკვიანი:** — 1915 წელს კონსერვატორიის დარბაზში გამართულ სნდომაზე დიდმა ქართველმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ასეთი კითხვა დასვა: „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული“.

დღეს თქვენთვის — ქართული თეატრის ამჟამინდელ მესვეურთათვის რომ დაესვათ ასეთი შეკითხვა, რას უპასუხებდით? შეიძლება ეს კითხვა ასეც გავავრცოთ. აქვს თუ არა დღეს რუსთაველის თეატრს „ეროვნული სახე“ და თქვენი აზრით, რა განსაზღვრავს თეატრის სწორედ ამ „ეროვნულ სახეს“?

**აკ. ბაქრაძე:** — ქართული თეატრი ყოველთვის იყო და დღესაც არის ეროვნული, ერთი უბრალო მიზეზის გამო — ქართულ თეატრს ქართველი კაცი ქმნის; ქართველს არაქართული თეატრის შექმნა არ შეუძლია. როგორც ადამიანს აქვს პიროვნული გენი და ამ გენში ცოცხლობს მისი შორეული წინაპარიც კი, ასევე არსებობს ეროვნული გენი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გადადის თაობიდან თაობაში. აი, ეს მარადიული ეროვნული გენი წარმართავს ყოველგვარ საქმიანობას და მათ შორის ხელოვნების ეროვნულ სახეს.

რამდენად სწორად გამოვხატავთ ეროვნულს, რამდენად სწორად გვესმის იგი, ეს უკვე ნიჭიერების საქმეა, ერთნი ამას უფრო სრულყოფილად აკეთებენ, მეორენი — ვერა. ეს ბუნებრივიც არის. ასე რომ ქართული თეატრი, ეროვნულობის თვალსაზრისით, კარგიც ქართულია და ცუდიც.

**რ. სტურუა:** — სავსებით ვეთანხმები ბატონ აკაკის, მე მჭამს, რომ „ქართული თეატრი არის ქართული“ ისე, კაცმა რომ იკითხოს, რას ნიშნავს

ქართული ხასიათი? რა აქვთ საერთო დინჯ კახელსა და მკვირცხლ იმერელს, მკაცრ სვანსა და ფიცხს გურულს და ასე შემდეგ...

და თუ მათ რაღაც საერთო აერთიანებთ, სად უნდა ვეძებოთ ეს საერთო თვისებები? ალბათ აზროვნების და ცხოვრების სტილში. ალბათ კი არა, ნამდვილად. ჩვენი თეატრი სწორედ ამ მიმართულებით ეძებს საკუთარი სახისა და ეროვნულობის დადგენას. მაშინაც კი, როცა ის არაქართულ პიესებს დგამს. შეიძლება ყველაფერი კარგად ვერ გამოგვივიდეს მაგრამ, როცა თეატრის რეპერტუარში არის ორი ისეთი ეროვნული სპექტაკლი როგორცაა: „გუშინდელნი“ და „სამა-ნიშვილის დედინაცვალი“. ტრაბახად ნუ ჩაგვითვლით და, ჩემი აზ-რით, ეს უკვე საამაყოა.

ა. ჩხეიძე: — დიახ, აქ ჭეშმარიტება აღინიშნა, ჩემი ღრმა რწმენით, რუსთავე-ლის თეატრს აქვს „ეროვნული სახე“. თეატრის „სახეს“ ფორმა კი არა, არსი ქმნის. არსით კი რუსთაველის თეატრი მუდამ ქართული იყო და არის!

ა.ვ. ჩხიკვიშვილი: — კარგად მოგვხსენებთ, თავის დროზე სანდრო ახმეტელს ისიც მიაჩნდა, რომ რუსთაველის თეატრის სახე მხოლოდ გმირულ-პეროიკული უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ვიცით, ახლა თეატრს ასე-თი სახე არ გააჩნია, თქვენ როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თეატ-რის ასეთი ფერიცვალება, რა სახით შეიცვალა თეატრი და როგორ?

ა. ბაქრაძე: — თეატრის ფერიცვალება დრომ მოიტანა. გმირულ-რომანტიკულ თეატრს (ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა — პა-თეთიკურ თეატრს), სანდრო ახმეტელთან ერთად, ეპოქის განწყობი-ლება, იმდროინდელ ლიტერატურაში არსებული ტრადიციები, მსა-ხიობთა შემოქმედებითი მრწამსი, მაყურებელთა სულისკვეთება ქმნიდა. როგორც წესი, ყველა ეს კომპონენტი ერთად თავმოყრილნი ქმნის საერთოდ თეატრის ამა თუ იმ მხატვრულ აზრობრივ სახეს. დღეს ზემორე ჩამოთვლილი კომპონენტები დროის შესაბამისად სხვაგვარია. ამის შესაფერისად იცვლება თეატრის მხატვრული სახეც, ამ გზას მიყვება რუსთაველის თეატრიც. თუ როგორ შეიძლება განისაზღვროს რუსთაველის თეატრის დღევანდელი მხა-ტვრული პროფილი, ამაზე საგანგებოდ ვწერ სტატიას, სადაც შევეც-დები ეს საკითხი განვიხილო, დღეს კი ეს შეუძლებლად მიმაჩნია, იმიტომ რომ მართო დებულებების თქმა არ კმარა. მკითხველმა რომ დაგიჩეროს, დებულებას არგუმენტიც უნდა ახლდეს. გამოწვლილ-ვით და საბუთებით ლაპარაკი კი ძალიან გააჭიანურებდა ჩვენს დღე-ვანდელ საუბარს და შეიძლება მოსაწყვენიც გავხადა იგი.

ბ. ჩხეიძე: — დიახაც, რომ თეატრის ასეთი ფერიცვალება დრომ განაპირობა და არა რომელიმე შემოქმედის პირადმა ნება-სურვილმა. ვერავითარი სტილი, მანერა-საუკუნეებს ვერ გაუძლებს. თუ ათი წლის შემდეგაც ყველაფერი ისევე დარჩება რუსთაველის თეატრში, როგორც დღე-საა, თეატრი დაიღუპება. ყველა თეატრი თავისი დროის, თავისი ეპო-ქის შესატყვისი უნდა იყოს. სანდრო ახმეტელის დიდი ტალანტი და ალღოც იმაში მდგომარეობდა; რომ მან იპოვა თავისი დროის, თავისი ეპოქის ქართული თეატრის სახე. დღეს კი, არა მგონია, სანდრო ახმე-ტელს ჭიუტად ემტკიცებინა — ქართული თეატრი ისევ გმირულ-რომანტიკული უნდა იყოსო.

ბ. სტურუა: — სწორედ რომ დრო, დრო ცვლის ყველაფერს...

**ფ. ჩხიკვიშვილი:** — ტრადიციული ვაგებით თეატრი სამი კომპონენტისგან შედგება: დრამატურგი, მსახიობი და მაცურებელი. რუსთაველის ბოლოდროინდელ სპექტაკლებში კი აშკარა პრიორიტეტი რეჟისორმა მოიპოვა. ძალაუნებურად გვებადება კითხვა: ყოველივე ეს ხომ არ მოქმედებს მსახიობის შემოქმედებით ინიციატივაზე. ასე, მაგალითად, ზოგიერთის აზრით, მიმდინარე სპექტაკლებში იკლო მსახიობთა აქტიორულმა სახეებმა, უმეტეს შემთხვევაში სპექტაკლში ერთი გმირი — ერთი აქტიორული სახე ფიგურირებს, უფრო კონკრეტულად რომ მოგახსენოთ, თანამედროვე თეატრში რეჟისორი რაიმე „დიქტატორის“ მავგარ როლს ხომ არ ასრულებს?

**თ. ჩხეიძე:** — ვერ დავთანხმებით. რეჟისორს პრიორიტეტი რუსთაველის თეატრში ყოველთვის ჰქონდა, ეს მარჯანიშვილიდან და ახმეტელიდან მოდის. რეჟისორ-„დიქტატორებად“ იყვნენ გამოცხადებული ახმეტელი, მეირჰოლდი, ტაიროვი, ასე განსაჯეთ, თვით სტანისლავსკიც კი. რეჟისორი სპექტაკლის ტვინია. რა პრიორიტეტზე შეიძლება აქ კამათი. ცხადია, რეჟისორს აქვს უპირატესობა და უნდა ჰქონდეს კიდევ. ჩვენ, რეჟისორები, ვარსებობთ იმიტომ, რომ მსახიობები ერთ მთლიან სტილისტიკას და აზროვნებას დავუმორჩილოთ, და ყველა კომპონენტის მეშვეობით იდეა მაცურებელს მივაწოდოთ.

არც ისე შეიძლება საკითხის დაყენება, თითქოს რუსთაველის თეატრში აქტიორულმა სახეებმა იკლო. „კავკასიურ ცარცის წრეში“ შესანიშნავად თამაშობენ ი. გიგოშვილი, რ. ჩხიკვაძე, გ. საღარაძე. ეპიზოდური როლებიდან უაღრესად საინტერესო სახეებს ქმნიან: ჯ. ლალანიძე, მ. გამცემლიძე, ლ. ძიგრაშვილი. სამ სხვადასხვა ეპიზოდს თამაშობს კ. საკანდელიძე და ყველას სხვადასხვა გასაღებს უძებნის. ავიღოთ სხვა სპექტაკლები: „გუშინდელში“ ე. ლოლაშვილის, ა. მახარაძის, კ. კავსაძის, გ. ხარაბაძის თამაში რით არ შეიძლება აქტიორულ მიღწევად ჩაითვალოს? აღარაფერს ვამბობ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალებზე“, სადაც აქტიორული სახეების მთელი ჯალერეა...

**ა. ბაქრაძე:** — რა თქმა უნდა, ვერც მე დავთანხმებით, რომ რუსთაველის თეატრის დღევანდელ წარმოდგენებში ძირითადად ერთი აქტიორული სახე ფიგურირებდეს. ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. თემურმა რამდენიმე უკვე მოგახსენათ, მაგრამ მიმდინარე რეპერტუარის სპექტაკლების ზოგიერთ საინტერესო აქტიორულ სახეს მაინც შეგახსენებთ: „ბერნარდა ალბას სახლში“ — ს. ყანჩელის ბერნარდა, ზ. ბოცვაძის მაგდალენა, მ. ჩახავას, თ. თარხნიშვილის და ბ. მირიანაშვილის საინტერესოდ და სხვადასხვაგვარად შესრულებული მარია ხოსეფა... „ანტიგონეში“ — ზ. კვერენჩილაძის ანტიგონე, ე. მალალაშვილის კრეონი... „საბრალდებო დასკვნაში“ — გ. გეგეჭკორის გულიანი, რ. ჩხაიძის გამცემლიძე, ბ. წიფურიას გოგოლი... „გუშინდელში“ — ე. ლოლაშვილის გრენგოლმი, კ. კავსაძის თავადი კოწია, ა. მახარაძის პაპუნა, დ. პაპუაშვილის ყაყუტაძე... „ხანუმაში“ — ერ. მანჯგალაძის თავადი ფანტიაშვილი და რ. ჩხიკვაძის აკოფა... აბა, დამისახელეთ: რომელი აქტიორული სახეა „სამანიშვილის დედინაცვალებში“ არასაყურადღებო და სუსტი? „კავკასიურ ცარცის წრეზე“ აღარაფერს ვამბობ... ერთი სიტყვით, მრავლისგან მცირედი და კინი წარმოვთქვით.

რუსთაველის თეატრის ერთადერთი სპექტაკლი, სადაც ერთი აქტიორია წინა პლანზე წამოწეული, „ყვარყვარა“, მაგრამ ეს განპირობებულია მხატვრული ამოცანით — საერთაშორისო თაღლითის და უსახო ბრბოს ურთიერთობით. ბოროტმოქმედებას არასოდეს ერთი კაცი არ ჩადის. ბოროტმოქმედების მტკიცე და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმულა ასეთია: ბოროტმოქმედება უდრის ბოროტმოქმედს — ინდივიდი ბლუს ბრბო, ამიტომ „ყვარყვარაში“ ბრბოს ერთსახოვნების ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი აზრით, ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდა, ამდენად, დაბეჭდვით უნდა გითხრათ, რუსთაველის თეატრის მსახიობების ოსტატობად სწორედ ის მიმაჩნია, რომ „ყვარყვარაში“, ბრბოს განსახიერების დროს, არავინ ცდილობს წინ გამოვარდეს. ამას დიდი აქტიორული თავდაჭერა, წარმოდგენის ძირითადი მიზნის ღრმა გაგება და ამოცანის ზუსტი განსახიერება ჰქონდა. სამწუხაროდ, ამას ზოგიერთი სპეციალისტიც ვერ მიხვდა და დაიწყო ლაპარაკი მსახიობის ნიველირების შესახებ, რაც ჩემი აზრით, მცდარია.

რაც შეეხება რეჟისორის „დიქტატორობას“, ჯერ უნდა ვკითხო — დირიჟორი ორკესტრში დიქტატორია, თუ დიდოსტატი ფეიქარი, რომელიც ორკესტრანტების საშუალებით ფერადოვან მუსიკალურ ხალიჩას ქსოვს? ასევე რეჟისორიც. მსახიობების საშუალებით იგი წარმოდგენის ჰარმონიულ სხეულს ქმნის. როგორც ადამიანის სხეულის ყოველ ნაწილს აქვს ზუსტად განსაზღვრული ფუნქცია და მას სხვა ნაწილით ვერ შეცვლი, ასევე უნდა იყოს სპექტაკლშიც: ყოველ მსახიობს ზუსტად განსაზღვრული ფუნქცია უნდა ჰქონდეს, მაშინ მივიღებთ ჰარმონიულ წარმოდგენას. ამის გაკეთება თეატრში მხოლოდ რეჟისორს შეუძლია. ამით არის განპირობებული რეჟისორის ადგილი თეატრში, ამიტომ რეჟისორის დიქტატორობაზე ლაპარაკს უსაბუთოდ და ზედმეტად ვთვლი.

რ. ნატურა: — ყველა თეატრის წარმატებას თუ წარუმატებლობას. ჩემი აზრითაც, რეჟისორი წარმართავს, რადგანაც სპექტაკლის მთლიანობა, მისი იდეური, თუ მხატვრული გადაწყვეტა, მსახიობის ოსტატობა და, მოკლედ, ყველა კომპონენტი რეჟისორის ფუნქციაა და, თუ გნებავთ, მისი „დიქტატორობის“ ნაყოფიც. დღევანდელ მყუდროებას ვეღარ ააღვლებ ცუდ სპექტაკლში მსახიობების კარგი თამაშით. რამდენი შესანიშნავი სახე შექმნილა ამა თუ იმ საშუალო სპექტაკლში, მაგრამ ვიღახ ახსოვს იგი? რეჟისორის „დიქტატურა“ ამ გაგებით აუცილებლად მიმაჩნია და ეს „დიქტატურა“, ჩემი აზრით, სრულიადაც არ ახშობს მსახიობის ინიციატივას. თვით სტანისლავსკის თეატრი, რომელიც დღეს მსახიობის თეატრად მონათლეს — ქეშმარიტი რეჟისორული თეატრიც გახლდათ. ოცი წლის მანძილზე ცნობილი თეატრმცოდნე ა. კუგელი სტანისლავსკის „დიქტატორს“ ეძახდა და ეს ალბათ, სწორი იყო. მაგრამ აბა გაიხსენეთ, რა შესანიშნავი მსახიობები დაიბადნენ სამხატვრო თეატრში და ადვილად დასკვნით, რომ „დიქტატორი“ არ ახშობს მსახიობების ინიციატივას, რადგან როგორც ბატონმა აკაკიმ აღნიშნა, რეჟისორის ძირითად ინსტრუმენტს მსახიობი შეადგენს.

რომელი მხატვარი ამოირჩევს ცუდ, უხარისხო საღებავს? რეჟისორისთვის კი მსახიობი ერთადერთი ძირითადი საღებავია, რომლის შემწეობითაც იგი თავის აზრებს, განწყობილებებს გადმოგვცემს...

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — წელან მე, დრამატურგთან და მსახიობთან ერთად, მაყურებელიც ვახსენე ანჭერად კი მაყურებელი ცალკე მინდა გამოვყო. როგორც ვიცით, ამ რამდენიმე წლის წინათ ქართულ თეატრს მაყურებელი არ ჰყავდა, უფრო სწორად, ფართო მასა თეატრს ნაკლებად წყალობდა. ახლა, ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიხარულოდ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, რუსთაველის თეატრის თითქმის ყველა წარმოდგენას დაარბაზი სავსე მაყურებლით ეგებება. რამდენადაც ვიცით, რუსთაველის თეატრს კარგი სპექტაკლები „უწინაც“ არ აკლდა. თქვენი აზრით რა მოხდა? თვითონ სპექტაკლების დონემ აიწია, თუ ქართველი მაყურებელი გამოიცვალა (მითუმეტეს, მე მახსოვს მაშინ ბევრს დავობდნენ და ფიქრობდნენ, მაყურებლის თეატრში მოზიდვისა და მისი თეატრალური გემოვნების თაობაზე).

**თ. ჩხეიძე:** — რობერტმა ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა (ის უფრო სრულყოფილ პასუხს გააცემთ), ჩემს სპექტაკლებს კი მაყურებელი ჭერჯერობით არ ეტანება.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — თემურ! ასეთ განაცხადს მე მხოლოდ თქვენს თავმდალობას მივაწერ. მით უმეტეს არავითარი საბუთი არა გაქვთ ამდაგვარი განაცხადებისა, ამაში ალბათ ბატონი აკაკიცი დამეთანხმება.

**ა. ბაქრაძე** — რა თქმა უნდა, თემურის ასეთი მოსაზრება მცდარია. რაც შეეხება შეკითხვას, მართალია მაყურებელი თეატრს დაუბრუნდა, მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად მაინც არ შეცვლილა. ჭერ კიდევ მოველით მდგომარეობის უფრო გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ხელოვნების და მომხმარებლის ურთიერთობას, კერძოდ, კი თეატრისა და მაყურებლის დამოკიდებულებას, უნდა გულახდილად ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ეს მოდიტაა განპირობებული. არის პერიოდი, როცა თეატრი (საერთოდ, რომელიმე დარგი ხელოვნებისა) მოდაში არ არის და არის პერიოდი, როცა თეატრი მოდაშია. ახლა, როგორც ჩანს, თეატრის მოდა მობრუნდა და მასობრივი მაყურებელიც მოაწყდა თეატრს. მოდის კანონზომიერების დადგენა ძნელი კაბა, მოკლეს ჩაიცვამ, მოკლე მოგწყინდება — გრძელს და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ხელოვნებისადმი მოდური დამოკიდებულება არასასურველია, მაგრამ, როცა კულტურა მასობრივი ხდება, მოდურობას ვერ ავცდებით. მასას მტკიცედ ჩამოყალიბებული მხატვრული კრიტერიუმი არა აქვს. იგი განწყობილებათა ცვლას ემორჩილება.

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ თეატრს თავისი სტაბილური მაყურებელი ყოველთვის ჰყავდა და ახლაც ჰყავს. შესაძლებელია ეს მაყურებელი მრავალრიცხოვანი არ იყოს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თეატრი ხომ ფულის მომგები დაწესებულება არ არის! საერთოდ, თუ ხელოვნებით ფულის მოგება დავისახეთ მიზნად, მაშინ ხელოვნებას უთუოდ მოვკლავთ. თეატრი სულიერი ტკბობის ტაძარია და აქ იგი უნდა დადიოდეს, ვისაც ასეთი ტკბობის მოთხოვნილება აქვს.

**რ. სტურუა:** — ჩემი აზრით, ქართველი მაყურებელი თეატრში დღესასწაულის სანახავად მოდის. ყოველი სპექტაკლი დღესასწაული უნდა იყოს, რო-

მელიც ამოვადებს ყოველდღიურობის კალაპოტიდან, დაგაფიქრებს  
ამა თუ იმ საკითხზე, რომელსაც ვერ ამჩნევ ყოველდღიურ გაწამა-  
წიაში. თეატრში მარტო ჭკუის საწვლებას ვერ აიტანს კაცი. „გაართე  
და ისე ასწავლე“ — ეს ბრეხტისეული დევიზი მნიშვნელოვნად მიმ-  
ჩნია და ამიტომაც მოვიდა მაყურებელი ჩვენს თეატრში. თუ გავითვ-  
ლისწინებთ იმასაც, რომ ამ ბოლო ხანებში მსახიობის დონე, სპექ-  
ტაკლების ყოველი კომპონენტი; ჩვენს თეატრში საკმაოდ ამაღლდა,  
აღბათ ესეც ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩავთვალოთ, რომ მა-  
ყურებელი თეატრით დაინტერესდა.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო აკაკი! რუსთაველის თეატრში ახლა რამდენიმე  
პროფილი შეინიშნება. იდგმება საკმაოდ განსხვავებული ხელწერისა  
და მიმართების სპექტაკლები, ასე რომ „უცხო“ მაყურებელს „რუსთა-  
ველის“ სპექტაკლები სხვადასხვა თეატრის წარმოდგენებად შეიძლება  
მოეჩვენოს; აღბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა — თემურ ჩხეიძის  
და რობერტ სტურუას სპექტაკლებზე მოგახსენებთ. თქვენი აზრით,  
ასეთი მიმდინარეობები თეატრისათვის საზიანოა თუ სასარგებლო?

**ა. ბაქრაძე** — ამ კითხვის პასუხი კითხვითვე უნდა მოგვცეთ: რა სჯობს — რუს-  
თაველის თეატრში იყოს „ანტიგონეც“, „გუშინდელნიც“, „კავკასიუ-  
რი ცარცის წრეც“, თუ ტყუპის ცალუბივით ერთმანეთს მისმავასებუ-  
ლი, ან მხოლოდ „ანტიგონეები“, ან მხოლოდ „გუშინდელნი“ ანდა  
მხოლოდ „კავკასიური ცარცის წრეები?“ სრული რწმენით უნდა  
ვთქვა, რომ უნდა იყოს „ანტიგონეც“. „გუშინდელნიც“ და „კავკასიუ-  
რი ცარცის წრეც“. მაშინ იქნება რუსთაველის თეატრი მართლა სა-  
ინტერესო თეატრი. არა თუ მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი კო-  
ლექტივი, არამედ ყოველი ნიჭიერი ხელოვანი — ინდივიდი, რაც შეი-  
ძლება მრავალფეროვნებას მიელტვის. ხელოვნების ერთერთი უმთავ-  
რესი ხიბლი მრავალფეროვნებაა, ერთიანი პროფილები, სტილის ერთი-  
ანობა და ამგვარები უნიკობებმა მოიგონეს, იმიტომ რომ თავიანთი მო-  
საწყენი ერთფეროვნება თეორიული მოსაზრებები გაემართლებინათ.  
მოგახსენებთ, მიქელანჯელო მხატვარიც იყო, მოქანდაკეც, არქიტექ-  
ტორიც და პოეტიც. იყო იმიტომ, რომ ამის ნიჭი და უნარი ჰქონდა,  
ვისაც ეს არა აქვს, იწყებს ლაპარაკს პროფილის მთლიანობის თუ ერ-  
თიანობის შესახებ. სანამ რუსთაველის თეატრს იქნება ძალა, მრავალ-  
ფეროვანი იქნება. აქ გამოვლინდება მისი მიმზიდველობა. ვანა შეიძ-  
ლება მრავალფეროვანი ცისარტყელა ერთფეროვანი გახადო? მაშინ  
ხომ იგი ცისარტყელა აღარ იქნება! ასევე არ შეიძლება თეატრს ერთ-  
ფეროვანი სახე მისცე.

**ბ. სტურუა:** — მართალია, თქვენ კითხვა მხოლოდ ბატონ აკაკის დაუსვით,  
მაგრამ მეც მინდა ამ კითხვის ირგვლივ ორიოდ სიტყვა ვთქვა: საზო-  
გადოებაში რატომღაც შეიქმნა აზრი, რომ მე მომავალში დავდგამ  
მხოლოდ ისეთი სტილის სპექტაკლებს, როგორცაა „ყვარყვარე“, და  
„კავკასიური ცარცის წრე“. თემურ ჩხეიძე კი — „სიტუაციას“ და  
„ბერნარდა აღბას სახლს“. მაშინ რომელ სტილს უნდა მივაკუთვნოთ  
„გუშინდელნი“ ან ჩვენი — თემურის და ჩემი საერთო პირშო „სა-  
მანიშვილის დედინაცვალი“? ვანა შეიძლება წარმოიდგინოთ ისეთი  
დირიჟორი, რომელიც მხოლოდ ბეთჰოვენს უკრავს, მეორე კი მხო-  
ლოდ ჰაიდნს? ასევე ვართ ჩვენ — რეჟისორებიც. ხვალ თემურ ჩხე-

იქ მიუზიკლს დგამს, მე ფსიქოლოგიურ დრამას. თეატრი ცხოვრებასავე  
სავით მრავალსახიერია, მისი სახე აზროვნებაში და სინამდვილესთან  
დამოკიდებულებაში ვლინდება. ჩვენ არ ვუშლით ერთმანეთს ხელს.  
ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ, ამიტომაც მე ვთვლი, რომ თეატრისთვის ეს  
სასარგებლოა!

ავ. ჩხიკვიშვილი: — რუსთაველის თეატრის სპექტაკლების ნახვის შემდეგ, მაყუ-  
რებელს ამგვარი კითხვა უჩნდება; როგორ ესმის თანამედროვე ქარ-  
თულ თეატრს ე. წ. დადებითი გმირი. ამ შემთხვევაში „უცხო კაცზე“  
და „მეშიდე ცაზე“ მოგახსენებთ.

ა. ბაქრაძე — დადებითი გმირის შესახებ ჩემი შეხედულება უკვე გამოვთქვი  
შარშანდელი „საბჭოთა ხელოვნების“ მეათე ნომერში. მისი განმეო-  
რება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. თუ ვინმე დაინტერესდება, ამას  
იქაც წაიკითხავს.

ბ. სტურუა: — დადებითი გმირი, ჩემი აზრით, უნდა იბრძოდეს სიმართლის-  
თვის, შეიძლება ცდებოდეს კიდევ, იყოს ცოდვილიც, როგორც ყვე-  
ლა ცოცხალი ადამიანი, მაგრამ სწრაფვა სიმართლისკენ, პატიოსნების-  
კენ უნდა ამოძრავებდეს მის სულსა და ხორცს!

თ. ჩხეიძე: — პირადად მე თანამედროვე გმირი ისეთი მესმის, როგორიც ჩემყო-  
ვია. დვორცკის „უცხო კაცში“, მე ავტორის მიერ შექმნილ გმირზე  
მოგახსენებთ, რადგან სპექტაკლის დადგმის ან მთავარი როლის შეს-  
რულების ხარისხზე ლაპარაკი ჩემთვის უხერხულია (თუმცა, უნდა მო-  
გახსენოთ, რომ გ. ხარაბაძე, ჩემი აზრით, შესანიშნავად ასრულებს ჩე-  
შკოვს). მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შეგახსენოთ ჟურნალ „საბ-  
ჭოთა ხელოვნებაში“ (ნომერი 10) დაბეჭდილი ვარლამ კილაძის სა-  
დისკუსიო. წერილი „დრამატურგია და თეატრი“. წერილში ავტორი  
ბევრ საკამათო საკითხს სვამს, მაგრამ ამის დრო ახლა არაა და მარ-  
ტო „უცხო კაცს“ შევხვით. წერილში ვკითხულობთ: „...უცხო კაც-  
ში“ იგნატი დვორცკიმ „დადებითი გმირი“ — ჩემყოვი სახელმწი-  
ფო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისკენ წარმართა, მაგრამ,  
თუ რატომ აკეთებს ამას (?!) რისთვის სჭირდება იგი, ჩემყოვის იდე-  
ებსა და განცდებში არ ჩანს“. თუ პატივცემულმა ვარლამმა ჩემყოვი  
ამის მეტი ვერაფერი ამოიკითხა, მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, მას ბიე-  
სა უყურადღებოდ წაუკითხავს. ნუთუ არ დადგა დრო პიესის თუ სპექ-  
ტაკლის არსი მის ფაქტურაში, გარეგან მხარეში კი არ ვეძებთ. არა-  
მედ შინაგან ლოგიკას ჩაუყვირდეთ და „უცხო კაცი“ მხოლოდ „გეგ-  
მების შესრულების“ პიესად არ მივიჩნით (სხვათა შორის, ჩემყოვი  
გეგმებს შეგნებულად (!) არ ასრულებს, ამის მიხედვრას ელემენტა-  
რული დაკვირვება უნდა). ნუ ჩათვლით, თითქოს ხსენებული წერი-  
ლით გამოწვეული შეურაცხყოფა მაღაპარაკებდეს, როგორც „უცხო  
კაცის“ რეჟისორს. (საბუთად კიდევ ერთ ადგილს მოვიყვან ზემოხსენე-  
ნებული წერილიდან: „მართალია, რუსთაველის თეატრის მსახიობებს  
ბევრი უშრომიათ და რეჟისორსაც პიესის შესაძლებლობანი მაქსი-  
მალურად გამოუყენებია, მაგრამ“..., მე მგონი, კომენტარები ზედმე-  
ტია.

ავ. ჩხიკვიშვილი: — მსოფლიოს სახელგანთქმულ თეატრთა რეპერტუარი ჩეხო-  
ვის ნაწარმოებების გარეშე წარმოუდგენელია. ქართული თეატრი კი  
ჩეხოვის წინაშე ერთგვარ ვალშია, თქვენი მიმდინარე სადადგმო რეპერ-

ტუარით კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ, როგორც იქნა, ქართულმა თეატრმა ვალახა ეს მოჯადოებული ცარცის წრე. აფიშა იუწყება, რომ თქვენ ჩეხოვის „სამი დღე“ დგამთ. „ცისკარი“ აინტერესებს: რამ განაპირობა ქართული თეატრის ამდენი ხნის დღემილი ჩეხოვის მიმართ, ნუთუ ქართულ თეატრსა და ჩეხოვის დრამატურგიაში არ მოინახა რაიმე საერთო მისწრაფებები და პრობლემები?

და რაღამე ნავსი გატყდა, რამ გამოიწვია რუსთაველის თეატრის დანტერესება ჩეხოვის დრამატურგით?

**რ. სტურუა:** — ჩეხოვის დადგმა დღეს რუსებსაც უჭირთ — ეტყობა, თავად ცხოვრებამ მოითხოვა მისი ახლებურად დადგმა. ჩეხოვი, მოგვხსენებთ, თვითონვე არ იყო კმაყოფილი სამხატვრო თეატრის დადგმების, რაც, რასაკვირველია, არ გულისხმობს იმას, რომ იგი მართალი იყო სამხატვრო თეატრმა შეძლო ჩეხოვი თავისი თვალით დაენახა და ბრწყინვალედაც. მეტი ტრადიცია ჩეხოვის დადგმებისა, მე მგონი, არ არსებობს. დღეს კი ისე ვერაფერს დადგამს და, მე ვიტყვოდი, ვერც ითამაშებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩეხოვის პიესა უნდა დაიდგას მაშინ, როცა თეატრი მოთვქრებს ახალ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ინტერპრეტაციას.

**თ. ჩხეიძე:** — გამბედაობამ! ნუ გაცეკვირდებთ: მხოლოდ თეატრების შიშით შეიძლება აიხსნას ჩეხოვის დრამატურგიის უქონლობა ქართულ სცენაზე. შიშით იმის გამო, რომ „ჩეხოვის მყურებელი არ ეყოლება“. მას შემდეგ, რაც ჩვენი წლებანდელი რეპერტუარი ცნობილი გახდა, ძალიან ბევრმა მიიხრა — რად გინდათ „სამი დღე“ — ცარიელ დარბაზში ითამაშებთ!

მაყურებელი თეატრის აუცილებელი კომპონენტია, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მისთვის ვარსებობთ, მაგრამ მხოლოდ მაყურებლის დასწრების პრინციპით პიესების შერჩევა, ჩემი აზრით, ზიანს მოუტანს ქართულ თეატრს, მთელ მსოფლიოში იდგმება ჩეხოვის პიესები და ჩვენში მაყურებლის პრობლემაზე ლაპარაკი უხერხულადაც კი მიმართა.

**ა. ბაქრაძე** — ვახსოვთ ალბათ გალაკტიონის; „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული?“ ჩეხოვსაც თამამად შეეძლო ეთქვა: წვეთი სისხლი არ არის ჩემში არარუსული. როგორც გალაკტიონის ლექსების თარგმნა სხვა ენაზე უძნელესი (თუ შეუძლებელი არა), ასევეა ჩეხოვის პერსონაჟების თამაში ურთულესი. თითქმის შეუძლებელია არარუსისათვის უნივერსალური რუსული ბუნების აქტიორული საშუალებებით დახატვა. ჩემი აზრით, ამით არის განპირობებული მორიდება თუ შიში ჩეხოვის დრამატურგიის მიმართ. მაშინ რაღამ გავგაბედინა წელს „სამი დღის“ რეპერტუარში შეტანა? როცა ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას მოკიდა ხელი, თავი ესპანური ანდაზით გაიმხნევა — „მიყვარს შეუძლებელთან ბრძოლა“. ერთი მხრით, ეს იყო ჩვენთვის სტიმულის მომცემი, მეორე მხრით კი, გადაწყვიტეთ ამ პიესის ქართულად თამაში. კითხვა უბრალოდ ასე დავსვით: — როგორ მოიქცეოდა ქართველი ქალი ჩეხოვის „სამი დღის“ მდგომარეობაში ჩავარდნილი? თუ ამ თვალსაზრისით მოხერხდება „სამი დღის“ დადგმა, მაშინ განვახორციელებთ მას. თუ არ მოხერხდება, მაშინ თავს შევიკავებთ.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო რობერტი! ეს კითხვა პირადად თქვენ ეკუთვნის; ძირითადად ქართველ მაყურებელს ბერტოლდ ბრეხტის შემოქმედება

თქვენ ვააცანით: დადგით „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „კავკასიური ცარცის წრე“, „ყვარყვარეს“ დადგმისასაც ბევრი რამ სპექტაკლში ბრეტისეული შეიტანეთ, რამ განაპირობა თქვენი ასეთი დაინტერესება ბრეტით?

**რ. სტურუა:** — პირველად ქართველ მაყურებელს ბრეტი დიმიტრი ალექსიძემ გააცნო, ეს იყო „სამგროშინი „ოპერა“. მე მგონია, დიდი დანაკლისია ქართული რეჟისორისა და მსახიობთათვის, ასე გვიან რომ დავიწყეთ ბრეტის თეატრალური იდეების ათვისება. მაშინ, როცა მსოფლიო თეატრების უმეტესმა ნაწილმა აითვისა ბრეტისეული „გაუცხოების ეფექტი“, ჩვენ დღეს ვიწყებთ მის გარკვევას და მისი ქართული ექვივალენტის მოძებნას. ბრეტის დიალექტიკა, ჩემი აზრით, ძალიან ახლოა ჩვენს ბუნებასთან. მსხვრევა ყოველგვარი დოგმების, ქრესტომათიულ ქეშმარიტებათა ახლებური წაკითხვა, ღრმა ტრაგიზმის და ბუფონადის შერწყმა — აი, ის თვისებები, რომელიც პირადად მე ბრეტში მზიბლავს.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო რობერტ! ისევ თქვენ მოგმართავთ, ბარემ „ცისკრის“ მკითხველს თქვენი მომავალი შემოქმედებითი გეგმები გააცნოთ.

**რ. სტურუა:** — ჩემი სურვილია დავდგა გელმანის „დასაწყისი“, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“.. „რიჩარდ III-ეზე“ ვფიქრობ.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო თემურ! თქვენც იმავე კითხვით მოგმართავთ.

**თ. ჩხეიძე:** — ახლა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეზე“ ვმუშაობ, რომელსაც მეტების ტაძარში ვითამაშებთ. იანვრიდან განზრახული მაქვს ლიტველი დრამატურგის ი. გრუშასის „სეყვარული, ჯაზი და ეშმაკის“ დადგმა. ეს დრამა თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავს, გვეგმაში მაქვს ჩეხოვის „სამი და“.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო აკაკი! ხომ ვერ გვესაუბრებოდით რუსთაველის თეატრის საერთო სამომავლო გეგმებზე. ყური მოვკარი, რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ უცხოეთში მიიწვიესო და თუ ეს „ყურმოკრული“ ამბავი სინამდვილეს შეეფერება, გთხოვთ, „ცისკრის“ მკითხველს უთხრათ, რომელ ქვეყანაში მიემგზავრება თეატრი და რა სპექტაკლების წაღება გაქვთ გადაწყვეტილი?

**ა. ბაქრაძე:** — უცხოეთში რუსთაველის თეატრის საგასტროლოდ მიწვევა ჩვენი კეთილისმსურველების მიერ გავრცელებული ხმებია. ჯერ-ჯერობით ასეთი ოპტიმიზმისათვის რაიმე რეალური საფუძველი არ არსებობს..

რაც შეეხება გეგმებს, ამას საიდუმლოდ ვინახავთ. მოულოდნელობის გრძნობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გრძნობაა და იგი თეატრის მაყურებელს არ უნდა წაართვა. რასაც გავაკეთებთ, კარგი იქნება თუ ცუდი, ამას სცენაზე ნახავთ და დაპირებებს და ლაპარაკს ეს აჯობებს.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ალბათ იგივე მოულოდნელობის გრძნობამ უკარნახა რობერტს და თემურს; როცა საკუთარ გეგმებზე ასე ლაკონურად მიპასუხეს, ახლა კი ასეთი შეკითხვა მინდა მოგცეთ: აქვს თუ არა ქართულ თეატრს რაიმე პრეტენზია ქართული თანამედროვე მწერლობის მიმართ და თუ კი აქვს, რით დაასაბუთებთ ამ პრეტენზიებს?

**თ. ჩხეიძე:** — ცხადია, აქვს კვლავ ძალიან ცოტა თანამედროვე პიესა, რა თქმა უნდა, ხარისხიან პიესას ვგულისხმობ. ამ თემაზე იმდენი კამათია (დრა-

მატურგები თეატრს დებენ ბრალს, თეატრი — დრამატურგებს), რომ მე ახალს ვერაფერს გეტყვით.

რ. სტურუა: — თემურის ნათქვამს მე ვერაფერს დავუმატებ.

ა. ბაქრაძე: — დიდი პრეტენზია. ქართულ თეატრს არ აქვს თანამედროვე ქართული პიესა. მე მგონია, ეს სერიოზული საბუთია. კონკრეტული და მკაფიო რომ ვიყო, ასე გეტყვით — ქართული თეატრი მშინ შეწყვეტს პრეტენზიების წამოყენებას ქართული მწერლობისადმი, როცა ექნება გალაკტიონის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებების ბადალი ქართული დრამატურგია. უფრო მეტს ქართული თეატრი არ ითხოვს. ნაკლებზე კი ყაბულს არ ვართ, თუმცა ხშირად დათმობაზე მივდივართ, რადგან ჭკვიანური ანდაზა ამბობს — „როცა გშია. ზაქარია, ცივი მქადაც ზაქარიაო“.

ავ- ჩხიკვიშვილი — ტრადიციული კითხვა: არის თუ არა თანამედროვე ქართული თეატრალური კრიტიკა იმ დონეზე, რასაც დღევანდელი ქართული თეატრი მოითხოვს?

ა. ბაქრაძე: — გულანდილად და მოკლედ რომ ვთქვა — არა.

თ. ჩხეიძე: — მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მცირე წინ გადადგმული ნაბიჯი, დონე მაინც დაბალია. უმეტეს შემთხვევაში, კრიტიკა დადგმებს საფუძვლიან ანალიზს ვერ უკეთებს, რატომღაც ზედაპირული შთაბეჭდილებით კმაყოფილდება.

რ. სტურუა: — წინა შეკითხვების პასუხებზე „ლაკონიზმი“, „სიძუნწის“ მაგვარი რაღაც „დამწამეს“. ახლა გამოვისყიდი ჩემს „დანაშაულს“. მე იმდენად უკმაყოფილო ვარ ჩვენი დღევანდელი თეატრალური კრიტიკისა, არ შემიძლია არ გიამბოთ ერთი ასეთი ამბავი, რომელიც თავს ამერიკელ რეჟისორ ორსონ უელსს გადახდა. მოგეხსენებათ, უელსმა ნიუ-იორკში, თეატრ „ლაფაიეტში“ ზანგ მსახიობებთან დადგა შექსპირის „მაკბეტი“ აი რას ყვება იგი:...

„მაკბეტის“ მოქმედება კუნძულზე გადავიტანეთ, პირობითად ეს კუნძული შეიძლება ჰაიტი ყოფილიყო — შავი იმპერატორის ეანკრისტოფის მმართველობის დროს. სცენაზე სიცოცხლე ჩქეფდა მსახიობები შესანიშნავად თამაშობდნენ და, რაც მთავარია, სპექტაკლში კუდიანები ვოდუს კულტის მსახურებად გარდაიქცნენ. მსახურები ჩვენ აფრიკიდან გვყავდა ჩამოყვანილი, ოქროსკბილებიან ჭუჭას მეთაურობით. ჭუჭას ყოველ ოქროს კბილზე ალმასი უბრწყინავდა; რადგან მისი აფრიკული სახელი არ ვიცოდით, ჯაზბო დავარქვეთ; სხვათაშორის, მთელი ჭგუფიდან მხოლოდ ჯაზბო ლაპარაკობდა ინგლისურად, დანარჩენები კი საერთოდ არ ლაპარაკობდნენ, მათი ურთიერთობა გარესამყაროსთან დაფდაფების ცემით ამოიწურებოდა. ამიტომ ისინი საიდუმლოებით მოცულნი და თავზარდამცემნი იყვნენ. კულისებში ლეგენდაც კი შეიქმნა, რომ მათ დაფდაფებთან შეხებას გარდუვალი სიკვდილი მოჰქონდა, მართლაც სცენის ერთ-ერთი უბედური მუშაკი დაფდაფთან შეხების შემდეგ კიბიდან გადმოვარდა და კისერი მოიტეხა. რა თქმა უნდა, ეს ტრაგიკული დამთხვევა იყო, მაგრამ ამის შემდეგ ჯაზბოს და მის საიდუმლოებით მოცულ მედაფდაფებს უდიდესი კრძალვით ვეპყრობოდით.

„მაკბეტის“ პრემიერა შედგა. მედაფდაფებმა შესანიშნავად გაართვეს თავი საქმეს, ვოდუს კულტის მსახურების სცენამ ბრწყინვალედ ჩაიარა, ერთი შეხედვით სპექტაკლი ყველას უნდა მოწონებოდა და

კრიტიკოსები, გარდა პერსი ჰემონდისა, კარგად განეწყვენენ ჩვენი სპექტაკლის მიმართ, პერსი ჰემონდმა კი შენიშვნა გამოაქვეყნა, სადაც ამტკიცებდა, რომ არაზანგურ სიუჟეტების მქონე სპექტაკლებში ზანგებს უნდა აეკრძალოთ მონაწილეობის მიღება.

რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა ჰარლემში შავ რასაზე თავდასხმად მიიღეს. როდესაც დისკუსია გაცხოველდა, ჯაზბო მომიახლოვდა. ჩვენი საუბარი ძალიან წააგავდა ტარზანის შესახებ გადაღებული ფილმების დიალოგებს და დაახლოებით ასეთი სახე ჰქონდა.

**ჯაზბო:** — ეს კრიტიკოსი ცუდი ადამიანია?

**ო. უ.** — დიახ, ასეა.

**ჯაზბო:** — გინდა ეს კაცი ბერიბერი ვუქნა?

**ო. უ.** — (გაოგნებული) რანაირი ბერიბერიც გნებავთ, ისეთი დამართეთ.

**ჯაზბო:** — დაუყოვნებლივ დაფდაფები! ცული კაცი 23 საათში სიკვდილი. იმ საღამოს დაფდაფები, როგორც არასდროს ისე ბობოქრობდნენ. სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა. მეორე დილას, გამოღვიძებისთანავე, გაზეთიდან შევიტყვე, რომ საკუთარ ბინაში მისტერ პერსი ჰემონდი უეცრად გარდაცვლილიყო. თუმცა ძნელია ამ ამბავის დაჯერება, ბევრი ფიქრის შემდეგ მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყოველივე ეს სინამდვილეს შეეფერებოდა და ვფიქრობ, ჩვენს კრიტიკოსებსაც უნდა აინტერესებდეთ: თუ რა ემართებათ ხანდახან.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — ბატონო რობერტ, ეს ამბავი იმიტომ ხომ არ მოგვიყვებით, რომ, ორსონ უელსის მსგავსად აფრიკიდან ჯაზბო და მისი მედაფდაფეები ჩამოგვეყვანა?

**რ. ხტურუა** — რა თქმა უნდა, ეს ხუმრობაა, მაგრამ არც ქართველ კრიტიკოსებს აწყენდათ ცოტა მეტი ეფიქრათ მანამდე, სანამ თავიანთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს საჯაროდ გამოთქვამდნენ.

**ავ. ჩხიკვიშვილი:** — დასასრულ ჟურნალ „ცისკრის“ და მისი მკითხველის მაგიერ მადლობას მოგახსენებთ გარჯისათვის და გისურვებთ ახალ და ახალ წარმატებებს!





# ელენე ახვლედიანი

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა მის შესახებ დაწერილი ჩემი სტატია უკვე წაკითხული ჰქონდა და მასთან მივედი. მის მზერაში იყო მისთვის განუშორებელი სიამაყე და სიბოცე. ეს შეხვედრა არც აღრინდელ და არც ამის შემდგომ შეხვედრებს არ ჰგავდა. ელენე ახვლედიანს არცერთი სიტყვა არ დასცდენია ამ სტატიაზე და მაინც თვალში საცემი იყო განსხვავებული ყურადღება, განსხვავებული ინტონაცია. მან უღალატა საუბრის მისთვის ჩვეულ მანერას, როცა ყოველი წინადადება მოულოდნელობასა და განსაცდელს წარმოადგენდა. ეს იყო შინაურული საუბარი და დიდი მეგობრობის დასაწყისი. ამის შემდეგ მასთან ბევრჯერ მივსულვარ.

უფრო ხშირად იმ რკინის აივნის კართან ვიდევით ხოლმე, რომელიც ქიაჩელის ქუჩას გადაჰყურებს. მოლბერტიც უფრო ხშირად იქ ჰქონდა გამართული და ის მაგიდაც იქ იდგა, სადაც დახევაებული იყო ფუნჯები, შუშები, საღებავები... (ბოლოს რომ ვიყავი, ამ მაგიდას შეხედა და თქვა: ფუჰ, რას ჰგავს აქაურობა, მეზარება, უნდა დავალაგო... მაგრამ რომ დავალაგო, ველარაფერს მივაგნებ, ახლა ვიცი, სად რა მიდევსო...)

ის მაგიდა მაინც აულაგებელი დარჩა და პანაშვილისათვის იქაურობას სულ მოაცილეს, რომ იქ ხალხი დამდგარიყო. ხოლო ცხედარი იმ ტახტზე დაასვენეს, რომელზედაც მას ეძინა ხოლმე.

ხალხს უყვარდა ელენე ახვლედიანი. ეს იგრძნობოდა სასახლიდან სამხატვრო გალერეაში გამოსვენების დროსაც და სამხატვრო გალერეიდან გამოსვენების დროსაც, როცა რუსთაველზე ხალხი აღარ ეტეოდა. იგი დასაფლავეს დიდუბის პანთეონში დიდი ქართველი მხატვრისა და მისი მეგობრის დავით კაკაბაძის გვერდით...

ელენე ახვლედიანი თავის შემოქმედებაზე საუბარს ასე რომ გაუბოდა, ამას თავისი გამართლება ჰქონდა. მისი საქმე მისთვის წმინდათაწმინდა იყო, „მე ვერ დავეხმარები, ტილომ თვითონ უნდა ილაპარაკოს“...

თუ შემოქმედის მღელვარება ნამდვილი მღელვარებაა, არ შეიძლება, რომ სხვებს არ გადაეღოთ. ჩვენ გადაგვედო მისი მღელვარება და ამიტომ ელენე ახვლედიანის შემოქმედება ჩვენი ეროვნული კულტურის უძვირფასესი და უმშვენიერი ნაწილია.

მისი ენა იყო ფორმა და ფერი და ჩვენ დიდხანს ვისმენდით მის მომ-  
ხიბლავ საუბარს და ამიტომ ჩვენგან მას ეკუთვნის ჩვენი თავმდაბალი და  
მოწიწებული თაყვანისცემა.


ამერიიდან იგი შეუერთდა იმ ძვირფას აჩრდილებს, რომლებთანაც ჩვენ  
ვცხოვრობთ, რომლებზედაც ჩვენ ვფიქრობთ, რომლებიც გვიყვარს და რომ-  
ლებსაც ხვდებით მათი შემოქმედების საშუალებით.

წავიდა კიდევ ერთი შუამავალი ოცნებასა და სინამდვილეს შორის...

ბირველი შეხვედრისთანავე შემომჩვილა: მთელი „ბესკა“ დაანგრეისო.  
ეს სახლები (თავის სურათებზე მიჩვენა) სადღა არისო!..

ო, თქვენ არ იცით, ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებო, როგორ ეკუმშებოდა  
გული, როცა შეუბრალებლად განგრევდათ ექსკავატორი! თქვენ დაილაღეთ,  
თქვენი სახლების ჯერ დაუნგრეველ კედლებს, კლდეებს ჩაბლაუჭე-  
ბულ ნესტიან კედლებს ბოძები აქვთ შედგმული, რომ საუკუნოვანი ტვირთით  
წელში გადრეკილები გვერდზე არ გადაწყდნენ და მიწაზე არ მიდონ თავი...  
თუ თქვენ ოდესმე ველარ დაგხედავთ ცა, დაჩხვლენილი ჩვენი მზერით, საყდ-  
რების ჯვრებით და გოთური შენობების ვიმპერგებით, — თქვენი ათროლე-  
ბული სინათლის ნაკადი, მტკვარზე დაკიდებული აივნების ხის მაქმანები,  
თქვენი ქვის კოცონები იცოცხლებს თქვენი ერთგული და თავდადებული მე-  
გობრის ელენე ახვლედიანის სურათებზე!..

პიპი გეგეჯორი



# საბჭოთა

პაჩილ გომელია

## გზაჯვარედინი

სპორტსმენები და მწვრთნელები, დიდების როგორი შარავანდელითაც უნდა იყვნენ მოსილნი, ჩვეულებრივი მოკვლეაინ არიან. ეს საყოველთაო მითქმა-მოთქმა და აქიოტაქი აქცევს მათ რაღაც მიუწვდომელ პიროვნებებად, თორემ, გამოესაუბრეთ მათ და იოლად აღმოაჩენთ იმავე ღირსება-ნაკლოვანებებს, როგორიც ჩვენ, გულშემატიკორებს მოგვეპოვება. მაგალითად, მათი სახელდახელო თუ დაგეგმილი თათბირ-სხდომები ისეთივე ხმაურიაანი, პრინციპული და უშედეგათოა, როგორიც ხშირად იმართება საწარმოო დაწესებულებებში.

ეს, ერთი შეხედვით უცნაური შესავალი, ერთმა უჩვეულო სპორტულმა თათბირმა დამაწერინა. მეექვსე საკავშირო სპარტაკიადა ახალი დამთავრებული იყო და მისი შთაბეჭდილება მუგუხალივითი სწავდა სხდომის მონაწილეებს. ცხელ გულზე ბევრი სამართლიანი სიტყვა ითქვა, ბევრიც უმართებულო, მაგრამ ყველაზე დიდი განცვიფრება მიიწვ გამოიწვია ერთი თვალსაჩინო სპეციალისტის გამოსვლამ. უცნაური და სამწუხარო იყო, როგორ ამართლებდა იგი სპარტაკიადში ჩვენი მოცუტრავების სუსტ გამოსვლას. ჩვენი, ამბობდა ცურვის სამყაროში ფრიალ პატივცემული პიროვნება, შესაძლოა წინა სპარტაკიადასთან შედარებით საგრძნობლად დავიხიეთ, მეოთხე ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლეთ, მაგრამ არსებითია არა საბოლოო შედეგი სატურნირო ცხრილში, არამედ ჩვენი მოცუტრავების პირადი მაჩვენებლები. თუ ამ მაჩვენებლებს მიხედვით ვიმსჯელებთ. წინა სპარტაკიადასთან შედარებით კარგა გვარიანი პროგრესი გავვიკეთებთა. სამდღრავი სპორტსმენების მისამართით ნამდვილად არ გვეთქმისო. უბრალოდ, მე-

ტოქები უფრო სწრაფი ტემპით მიიწვდნენ წინ, რადგანაც ცურვისთვის ხელშემწყობი პირობები ჩვენზე ბევრად უკეთესი მოეპოვებათო.

აუდიტორია გაისუსა. არ იცოდნენ, დათანხმებოდნენ თუ არა ორატორს. მართალი იყო თუ არა? თავი დავანებოთ კომიკურ თავის მართლებას, აქაოდა პროგრესი უდავოა, ვერაინ დაგვეწამებს, არსებული ბაზებითა და მწვრთნელებით ურიგო შედეგები უჩვენებიათო. საქმე სულ სხვაა: მოცუტრავებისა არ იყოს, სპორტის თითქმის ყველა სახეობის წარმომადგენლებს თავის გასამართლებლად ზუსტად ასეთივე არგუმენტები მოაქვთ. არგუმენტები არგუმენტებად, მაგრამ ჩვენი სპორტის საქმე ყოველწლიურად სულ უკან უკან მიდის. ცურვის მწვრთნელის გამოსვლა, ჩვენდა სამწუხაროდ, ნახევრად კომიკურად ქლერდა. მაგრამ ბოლომდე სასაცილოა თუ არა მისი ნათქვამი? საამისოდ მოვეხიდემა რამდენიმე თვით დავიხიოთ უკან და თვალს გადავაგლოთ დიდი სპარტაკიადის პანორამას.

არ ვიცი, თითოეული მკითხველისთვის ცნობილია თუ არა, რა ადგილი უჭირავს ფიზკულტურასა და სპორტს თანამედროვე ცხოვრებაში. ეს ურთულესი სფეროა, რომელიც გოლებთან, წამებთან, კილოგრამებთან ერთად გულისხმობს გაცილებით მნიშვნელოვანსა და დიდს, ვადრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მართო მრავალმილიონიანი, ბრაზილიის მაგალითიც კმარა ამ აზრის ნათესაყოფად. ეს ქვეყანა უკვე მერამდენე წელია მსოფლიოში თავისი პრესტიჟის გასამდიდრებლად იყენებს პირველ რიგში... ფეხბურთს. დიხა, ფეხ-



ბურთით გაითქვა სახელი სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდმა ქვეყანამ შესაძლოა, ტრივი-ალური აზრია, მაგრამ მაინც გვინდა შევთავაზოთ: დედამიწის დიდმა ნაწილმა ალბათ ცოტა რამ იცის ბრაზილიაზე, აქაურ ფეხბურთზე კი ნებისმიერი ადამიანი ჩახედულ-გათვითცნობიერებულა. რა თქმა უნდა ეს ბოლოვული უკიდურესობაა, ფრიად საეჭვო ხერხია ქვეყნისა და ერის განსაზღვრებად, მაგრამ რადგან სპორტზე ვლარააკობთ, მოდით, ნუ ვიქნებით ბრაზილიელთა მეტისმეტად მკაცრი მსაჯული. ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემაში დაიბეჭდა სადღაო წერილი, რომლის ავტორი სერიოზულად ამტკიცებდა, შეერთებული შტატების პრესტიჟის დაცემა მსოფლიოში მისი სპორტული ძალებისა და პოტენციის დაქვეითებასთანაც არის დაკავშირებული.

მაშასადამე, რაღაც აზრით, თუმცა პრინციპულად ვემიჯნებით სპორტის ტენდენციურ ხოტბა-დიდებას, მის რაღაც მაგიურ ზეგავლენას საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ვფიქრობთ, რომ მაღალგანვითარებულ სპორტში ამა თუ იმ ქვეყნის ძლიერადოსილების, სიჭანსაღის, ხალისის, მიზანსწრაფულობის გამოშხატველია. შემთხვევითი არაა, რომ დღეს-დღეობით სოციალისტური ბანაკის ქვეყნები წამყვან როლს თამაშობენ მსოფლიო სპორტში.

ახლა შევეშვათ გლობალურ მისწრაფებს და ჩვენს ქვეყანასაც მივხედით. თუ ქართველ კაცს ოდითგანვე მოჰქონდა თავი მეცნიერებითა და ხელოვნებით, სპორტშიც ბევრი რამ ჰქონდა თავისაწონი. ნულარ გადავფურცლავთ ქართული სპორტის ურაცხვევადიან სასახელო ისტორიას. მისი, ამ ისტორიის, საუკეთესო ფურცლები ისე ღრმადაა ჩაბეჭდილი ჩვენს ცხოვრებაში, რომ, ვიქვამბე, ოდესმე ამოიშალოს. თუ ცნობილ სტრიქონებს გადავაკეთებთ, მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმაბალა რომ ვთქვათ გვიერ კარტოზისა და მიხეილ მესხის სახელები.

როცა სამჭოთა ქვეყანაში დიდი სასპორტაციადო მოძრაობა დაიწყო, მსოფლიო კლასის სპორტსმენებით წულგამაგრებული საქართველის ნაკლები პირნათლად წარდგა პირველსავე გრანდიოზულ ფორუმზე. 1956 წელს ჩვენი სპორტული დელეგაციის შედეგი სპარტაკი-ადაზე — მეხუთე ადგილი აღვივით, როგორც კანონიერი და სამართლიანი მოვლენა. მეხუთე ადგილი ისეთი სპორტული ვიკანტების შემდეგ, როგორცაა რსფსრ, მსკოვი, უკრაინა, ლენინგრადი, შედარებით მცირერიცხოვანი რესპუბლიკის ქეშმარიტ ტრიუმფს ნიშნავდა. იგი დაღაღებდა ჩვენს უდიდეს ტრადიციებზე, ჩინებულ სპორტულ სკოლებზე, მასობრიობაზე, უსაზღვრო სიყვარულზე ფიზკულტურისა და სპორტისადმი. იგი ლაპარაკობდა პატარა ერის დიდ პოტენციალზე, მიზანსწრაფულობაზე, ვაჟაკურ და უღრებუნებაზე, ნიჭიერებაზე. ამ აზრით პირველივე სპარტაკიადამ თვალსაჩინოდ აამბლა საბჭოთა საქართველოს პრესტიჟი ათობით მილიონი სპორტის მოყვარულის თვალში. სპარტაკიადაში მოპოვებული საბჭოთა ადგილი შემთხვევითი რომ არ ყოფილა, ეს დაადასტურა მომდევნო ფორუმებმა. ითხი სპარტაკიადა ისე განვლეთ, რომ ჩვენს სპორტულ პრესტიჟს ლაქა ოდნავადაც არ მოსცხებია. საბოლოოდ, ამ სპარტაკიადების შედეგების მიხედვით ყველა, ან თითქმის ყველა ირწმუნა, რომ მეხუთე ადგილი სპარტაკიადაზე ჩვენი, მხოლოდ ჩვენი და ვერაფერ შემგვიცოლება. საგულისხმობა, ეს აზრი განსაკუთრებით განმტკიცდა მაშინ, როცა აზოგებს მიადგო ჩვენს რესპუბლიკაში ახლო წარსულში გამეფებულმა არაჩანსაღმა საზოგადოებრივმა განწყობილებამ. კორუფცია სპორტშიც შეიჭრა. ეს სამწუხარო მოვლენა თვით წვრილმანებშიც შეიმჩნეოდა. მაგალითად, დიდ დანაშაულად არ ითვლებოდა, თუკი რომელიმე უდიდისი მწვრთნელი შეკრებაზე, ანდა შეჯიბრებაზე მყოფი სპორტსმენების ტალონებს ფულად აქცევდა და ჩაიჭიბავდა. ეს ხდებოდა აშკარად, სპორტსმენთა თვალწინ და ანააჟის უბრუნდებოდა დაეძრახა, გუკაცცა მსგავსი საქციელი. ასეთი „მწვრთნელი“ მომხდარა არა ერთხელ და ორჯერ, არამედ უთვალაქერ, იმდენჯერ, რომ თავის დროზე ჩვეულუბრებზე ჩვეულებრივი ამავეი გახდა. ყველაზე მეტად საწყენი ისაა, რომ სპორტული კორუფციის სხვადასხვა ფორმის ჩვენ შეეჩვიეთ, მართალია, მძიმე გულით, მაგრამ მაინც შეეჩვიეთ. ეს იყო აღწარაღურებელი მორალურ-ფსიქოლოგიური ზარალი, რომელმაც უკეთუთრი როლი შეასრულა მწვრთნელ-სპორტსმენთა მორალური კოდექსის ჩამოყალიბებაში.

ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ მწვრთნელებიცა და სპორტსმენებიც, ყოველ შემთხვევაში მათი საგრძნობი ნაწილი, გამორჩენის თვალსაჩინოთ ეკიდებოდნენ სპორტის წმინდათა-წმინდა სამყაროს. როგორც შედეგი მერკანტილისტური პოზიციისა, ფრიად გაუარესდა და დაქვეითდა წვრთნა-ვარჯიშის პროცესი, შესუსტდა პასუხისმგებლობის გრძნობა, ხოლო სპორტული კონკურენცია მეტოქეთა მხრიდან ბევრი ჩვენი სპორტსმენსთვის აუტანელ ტვირთად იქცა. ეს სპორტული აბერაცია აისახა საერთო შედეგებზე. ძველი ვარსკვლავები უწინდებურად ვეღარ ბრწყინავდნენ, გამოჩნენის წყურვილით აღსავსე მწვრთნელები აღარ დაღადევენდნენ მათი სრულდასავანი ცვლის მომზადებას. ხელგადას აბავის დაკლებია, არც სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობის გეოგრაფია შეუზღუდავთ — რაღა



საჭირო იყო ხელმედავადიწებელი მუშაობა ახალ-ახალი ტალანტების წარმოაჩენად. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: უმოძრაობისა და პასიურობის მიზეზით ბევრი ცნობილი მწერთნელის კვალიფიკაცია დაქვეითდა. ბევრმა მათგანმა საჭიროდ არ ჩათვალა ეზრუნა თავისი ცოდნისა და უნარის გაღრმავებისთვის. სპორტი კი ისეთი დინამიური სფეროა, თუ ერთი ნაბიჯით ჩამორჩი მის განვითარებას, უთუოდ ჩამორჩენილთა შორის გადაბარგდები. რაც შეეხება მწერთნელთა ახალ თაობას, მის წინამორბედების მსგავსად მუშაობის ხალისი აღარ ჰქონდა. სპორტი იქცა თავისებურ ინდუსტრიად, სადაც, უხეშად რომ ვთქვათ, კეთილდობდა ფულა, იქმნებოდა ამაო კეთილდღეობა, ილახებოდა წლები მანძილზე შექმნილი უმდიდრეს ტრადიციები. მასწავლებელთა დარად მოსწავლეებსაც შეეპარათ ეჭვი სპორტის წმინდათაწმინდა პრინციპებში. ანგარებამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ჩვენი სპორტული ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილში.

და აი, მეჩვით ვაგარდა ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მეხუთე სპარტაკიადზე ერთი ადგილით უკან დაიხია. ეს მით უფრო საოცარი აღმოჩნდა, რომ მარცხიანი სპარტაკიადის შედეგების ობიექტური ანალიზით თავი მაინც და მაინც არავის შეუწყუხებია. გამოჩნდნენ ყალბ პანეგეირიკოსები, რომლებიც ქება-დიდებათ მოხსენიებდნენ სპარტაკიადში გამარჯვებულ ცალკეულ სპორტსმენებს, ხოლო მათი ოქროს მედალების შექმნა ანელებდნენ ყველაზე მთავარი — მთლიანად სპორტული დელეგაციის მარცხს. სინანულის გრძნობა აღფრთოვანებით იცვლებოდა, ჯანსაღი კრიტიკა ჩემპიონთა ღვაწლის უსაშველო განდიდებათ. ეს იყო ეგრეთ: წოდებული ვარსკვლავიანიანის ატმოფერო, რომელსაც მხოლოდ ზიანი შეეძლო მოეტანა ქვეშაობით, მასობრივი სპორტის განვითარებისთვის. წამაღუქუმ იქმნებოდა მკედარი სულენის სიუჟეტები. ამ სიუჟეტების ავტორები იყვნენ უსინდისო, ანგარებიანი ადამიანები, რომლებმაც ათიათასობით არარსებული სპორტსმენი შექმნეს ქალაღზე. ვაგეროლი ციფრები ობტმისტურად განგვაწყობდა, თუმცა გვიკვირდა, ასეთი უზარამზარო რაზმიდან რაღომ არ იბადებოდნენ კვლავინდებურად გამოჩენილი სპორტსმენები, რომლებსაც სახელი და დიდება უნდა მოეტანათ ჩვენთვის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

მეექვსე სპარტაკიადი თითქოს იმ შეცდომების მონაწილე იყო. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ორ-სამ წელიწადში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მძაფრი კრიზისიდან თავდახსნა შესაძლებელი იყოს. შემართებულ, გეგმავობიერ და მიზანსწრაფულ მუშაობისთან ერთად უნდა გაიაროს

ვარკვეულმა დრომაც, მკურნალმა დრომ, დრო მელიც მოაშუშებს ქართული სპორტის კრილობებს. მეექვსე საკავშირო სპარტაკიადამ ჩვენი ძველ კრილობებს კიდევ ერთი ახალი დაუმატა. ჩვენ ამ სპარტაკიადზე დამარცხდით. ჩვეულებრივ ამას საკუთარ შესაძლებლობებზე უარესად გამოცვლას ექმნებოდა. მაგრამ დამარცხების აღიარება სრულებითაც არ არის სამარცხენო. იგი, ეს აღიარება, ნელდად მომავალი ნაყოფიერი საქმიანობის საწინდარია.

ორი აზრი არ არსებობს: ამ სპარტაკიადზე ჩვენ ძველი ბარგი-ბარხანით, ძველი ნაყოფანებებით და მეკვიდრებით გამოვცხადდით. განახლების სიომ ვერ შეაჩერა მძაფრ კრიზისი. დამარცხებები ასე რიგად აღარ გვაოცებდა, მხოლოდ გეწყინდა, ძალიან გეწყინდა.

ყველაზე მეტად მაინც იმან დაგეწყინა გული, რომ ჩვენი სპორტული დელეგაციის დიდ ნაწილს არ აღმოაჩნდა სწრაფვა გამარჯვებისკენ, დაძაბულ მომენტებში ისინი, ჩვენი სპორტსმენები, იბნეოდნენ, ვერ იჩენდნენ ნებისყოფის სიმტკიცეს. ამას, ახლა ეს ყველასთვის ნათელია, ბევრი ოქროს ქულა დაგვაჯარგინა, თანაც ისეთ სახეობებში, რომლებშიც არამც და არამც არ უნდა დამარცხებულიყავით. ვიფიქრებ, დაწერილობითი ანალიზი საჭირო არ არის. ამაზე ბევრი დიფერა და ითქვა. ჩვენ შევეცადით დავადგინოთ მარცხის გამოწვევები მიზეზები, ვიფიქროთ მომავალზე, ჩამორჩენის აღმოფხვრის გზებზე.

ჩვენ თავის დროზე გამოგვეპარა უმნიშვნელოვანესი მომენტი: რესტორნებისა და ვარაუების მშენებლობის პერიოდში თითქმის სრულებით დაგვაიწყდა სპორტული ბაზების აღმშენებლობის საქმე. ალბათ, ვახსოვთ, როგორ დაიგრა წლები მანძილზე ნალოლიავები სპორტული ბაზა სანაპიროზე და მის ნაცოდელ წამოიძარბა რესტორანი „არავი“. ეს ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. რესტორანთმშენებლობამ მკვირცხლო სპორტის დარად დიდ მანძილზე ჩამოიტოვა სპორტული ბაზების მშენებლობა. სამწუხაროდ, ამ აზრს თავის დროზე შეეჩვიეთ. ამჟამად ჩვენ აღარაფერი გვაქვს საერთო მანენ პრაქტიკასთან, მაგრამ სპორტული ბაზების შექმნას საშველი მაინც არ დაადგა. ზეთანამედროვე ბაზების გვერდით, რომლებიც მოძვე რესპუბლიკებში შენდები. ჩვენ ღარიბი ნათესავების მდგომარეობაში ვიყოფებით, თვით ტანვარჯიშიც კი, სპორტის ერთ-ერთი საფუძველთა საფუძველი, სულს დაფავს. სრულფასოვანი დარბაზების უმკარობის გამო. დღესდღეობით არც ერთი ტანვარჯიშული დარბაზი, ვიმეორებ, არც ერთი არ

**პარჩილ გომელია**  
 ბზაჯჯარბინი

პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. პრიმიტიულ დარბაზებში გამოზრდილი ტანმოვარჯიშეები ღირსეულ კონსტრუქციას ვერ გაუწევენ თავიანთ „შეიარაღებულ“ მეტოქეებს. მათ საშუალო როლის თამაში მოუწევთ და ავი ასეც არის. ახლა ისიც ვთქვათ: თუ თბილისი შეწუხებულია ბაზების უქონლობისგან, რაიონებში რა მდგომარეობა იქნება? ღმერთმანი, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქმის გამოჩენილი სპორტსმენები, რომლებიც დღესდღეობით თითებზე ჩამოსათეულნი გვეყვანან, თავისით იბადებიან, როგორც მინდორში საოცარი სილამაზის ველური ყვავილი. დიდი ტალანტი თავისით გაიკავებს გზას, ექნება სრულფასოვანი სავარჯიშო ბაზა თუ არა, საამისო მავალთებში რანდენიც გნებავთ იმდენია. მაგრამ რა ქნან იმათ, ვინც დაბადებიდან დიდი სპორტსმენის ნიჭით მირონცხებული არ არის? არ უნდა შევეშველოთ, არ უნდა დავაყენოთ სწორა გზაზე, და დიდი სპორტის პოზიზონტები არ უნდა დავანახოთ? ნამდვილი სპორტსმენები და არა დოლტანტები იბადებიან ნამდვილ მოედნებსა და დარბაზებში, კაპიტალურ სპორტულ ბაზებზე, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ სასპორტოებზე. დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ ეს ანბანური ქვეშარტება.

სპორტულ ბაზებზე საუბარი აქ გვინდოდა დაგვემთავრებინა, მაგრამ ამ თემას ასერიგად ვერ შეველეთ. საქმე კურორტებზე მიდის. ბაზებს ვინ ჩივის. როცა ძველიც სავალალო მდგომარეობაშია. ავილით თუნდაც „დინამოს“ საქვეყნოდ განთქმული საზოგადოებრივი სტადიონი. საქვეყნოდ განთქმული როცა ვამბობთ. წარსულ დროს ვგულისხმობთ. ძველად აქ დიდუდა და გადმოდულდა დიდი სპორტული ცხოვრება. ულამაზეს პარკში მოთავსებული მოედნები თვით მსოფლიოს ცნობილი ოსტატებსაც კი იზიდავდა. გამოიხდა ხანი და მოედნები გვერანდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გაუარესდა გრუნტი, ბურთი თავის ნებაზე დახტის აქეთ-იქით და ჩოგბურთელებს ნერვების წყვეტა აქვთ. ერთი სიტყვით, დღევანდელი საზოგადოებრივი სტადიონი ბევრად უარესად გამოიყურება, ვიდრე ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ. ბუნებრივია, გამოჩენილი სპორტსმენები ამ სტადიონს ყოველნაირად გაურბიან, დიდი ჩოგბურთი სულ უფრო ტოვებს საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერების მშობლიურ ქალაქს. ამასობაში მოძმე რესპუბლიკებში ვაშენეს საუკეთესო საზოგადოებრივი სტადიონები, ჩვენი ბაზა კი თავისებურ პრიონციულ კუთხედ იქცა.

ჩოგბურთის სტადიონის მსგავსად თავიანთებულთა ბაზების დიდი ნაწილი. სამეურნეო-საორგანიზაციო უხერხელობა და უნიჭობა კლავს ამ ბაზაზე სისხლსაც სპორტულ ცხოვრებას. რას დავსვავსა მავალითად, კიროვის

პარკის სპორტული მოედნები? თუ მეტერი ვინა და ვახაროთ, ოდესღაც ცნობილი ამ მოედნების ნაშთები უნდა ანახოთ. როგორ გამოიყურება „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანი? უარესს კაცის თვალი ვერ ნახავს. მალე აღიგვება მიწისაგან პირისა თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი. მის ადგილზე გზას გაიყვანენ. კეთილი და პატიოსანი. ახალი გზის მშენებლობის წინააღმდეგე ჩერჩები უნდა იყოს. მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც თავის დროზე აუზს აგებდა? თუ გზა ვინ გასავანდა. აუზს რატომღა აშენებდნენ? ესა და ბევრი სხვა კითხვა არ გვაქვს, როცა ჩვენი ბაზების სავალალო მდგომარეობაზე და ხვედრზე ვფიქრობთ. არც მათ აქვთ მოღონილი და მშენილი ცხოვრება. რას ევჩიოთ ამ ბაზებს, სადაც ჩვენი სპორტული დიდება უნდა იქედებოდეს? აი, ამიტომ ვამბობთ, ახლის მშენებლობა სანამ ქიანურდება, ძველს მიინც მივხედოთ-თქო.

მწვრთნელზე ზემოთ გვექონდა საუბარი. ახლა ამ თემაზე სჯა-ბასის მოდავია. მაგრამ ეს ისეთი მოდაა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ყველი არ გაუვიდა. ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, მდგომარეობა კი თითქმის არ იცვლება. ბაზებისა არ იყოს, მწვრთნელთა მოზადების საკითხშიც დიდად მოვიყოლებთ. მათი დიდი ნაწილი ძველი ბაჯეთის იმედითაა. სპორტული სიახლენი ჩვენი მწვრთნელებისთვის მეტწილად ჩინური ანბანია. სამეცნიერო-მეთოდურ ლიტერატურას იშვიათად ნახავთ აღმზრდელთა ბიბლიოთეკაში, ანდა დაიწყების მცვერი ფარავს. მეცნიერებისა და სპორტის ვეპირ-ურთიერთობა ჩვენ დღემდე ვერ შევიგნეთ როგორც საჭიროა, ვერ შევითვისეთ და შევისისხლხორკეთ. მომრავლდნენ პრაქტიკოსი მწვრთნელები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პირად გამოცდილებას ეყრდნობიან, თვალსაჩინო, გამოცდილი კოლეგების ნაფიქრ-ნაზარევი მათ ნაკლებად აინტერესებთ. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი სპორტსმენების დიდი ნაწილი სწორედ ტაქტიკური თვალსაზრისით მოიყოლებს. პრიმიტიული მწვრთნელი ვერასოდეს გამოზრდის ნამდვილ ათლეტს, ზოლო თუ ასეთი სპორტსმენი მიინც დაიბადა, ნუ იფიქრებთ, თითქმის ეს უფიცი აღმზრდელის დამსახურება იყოს. ეს ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწეროთ.

ვეფიქრობთ თუ არა მწვრთნელთა სპეკიანო კროლეების მოგვარებაზე? ვფიქრობთ, მაგრამ მერედა რა? ფიქრიდან პრაქტიკულ მცდელობამდე დიდი მანძილია. აი, ამ მანძილის შემოკლება ვერ მოგვიხერხება. კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარ-თაობირები მნიშვნელოვანწილად ფორმალური ხასიათისაა. მათს მოსასმენად ნებაყოლობით იშვიათად წაიყვან კაცს — მეტისმეტად მტკიცედაა ფეხმოყიდებული მწვრთნელთა ერთ ნაწილში მაღალი

წარმოდგენა საკუთარ თავზე. ამიტომ უცნაურად ნუ მოგვიჩვენებთ, თუ ვიტყვი, რომ აღმზრდელმასაც აღზრდა სჭირდება, რათა თავიანთი საქმისთვის გამოსადეგი გახდნენ. აი, კიდევ რას უნდა მიაქციოს ყურადღება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ?

მაშ ასე, ბავები არ გვივარგა. ეს კი არა, ამ მხრივ ბოლო ადგილზე ვიმყოფებით კავშირში. მწერთნელთა უმრავლესობას კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს, მასობრიობის უქმარობა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ფიზკულტურასა და სპორტს. ეს აღიარებული ფაქტებია და ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ, უფრო სწორედ, ვკრებთ ადრე მრავალჯგის ნაიქვამსა და განმეორებულს. ახლა ასე დავსვით კითხვა: თუ არც ეს გვევარგა, არც ის, მაშინ რა პრეტენზია შეიძლება გვეჩინოდა საკავშირო სპორტაკადემიაში უკეთეს ადგილზე? და თუ არსებული შესაძლებლობებით სასწაულად მაინც საწაულდს მივაღწევდით, გულზე ხელი დავიღოთ და ვთქვათ: იქნებოდა კი ეს ლოგიკური? ვფიქრობ, პასუხი თავისთავად გამომდინარეობს თქმულიდან. დიახ, ჩვენ წინ მივდივართ. ეს უგუველია, მაგრამ ჩვენზე სწრაფად მიიწევენ სპორტული კონკურენტები, იმიტომ, რომ მათ მარტოაღენ შიშველი ენთუზიაზმი არ ამოძრავებთ. ეს ენთუზიაზმი განმტკიცებულია სწორი მეთოდურ-ორგანიზაციული საქმიანობით, ახალი ბავების მშენებლობით, ნასწავლი და გამპრიახი მწერთნელების შემწეობით, ჭეშმარიტი მასობრიობით, მეცნიერებისა და სპორტის მჭიდრო კავშირით, კიდევ ბევრი სხვა ფაქტორით, ურთმლისოდც დიდი სპორტის შენობა ბალავარმტიკე ვერ იქნებოდა.

კიდევ რა სჭირდება დიდ სპორტს? „მატარა“ სპორტი — ასე ვუწოდოთ პირობითად ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურასა და სპორტს. იქნებ ამ დარგში მაინც ვართ წელგამართლნი? აბა, რა წელგამართლობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მოზარდილთა სპორტი სავალალო მდგომარეობაშია. გაკვირვებთ საკითხის ასეთი დასმა? მართლაც რა შუაშია გერეთოწოდებული მოზარდილთა სპორტის მდგომარეობა ბავშვთა სპორტთან? ისეთივე კავშირში როგორც მშობელი საკუთარ პირმშობსთან. თუ ბავშვთა სპორტის საფუძველი ტაქტიკე არ არის, თუკი ნორჩი და მოზარდი ტალანტების აღზრდას სათანადო ყურადღება არ ექცევა, მაშინ ხელი უნდა ავიღოთ წარმა-

ტებებზე დიდ სპორტშიც წყაროს სათავე არ უნდა ამდგრეს... აქვე უნდა დავძინოთ: აღერეული წყაროს სათავე ჩვენდა საბედნიეროდ ბოლო ხანს იწმინდება, კრიალა ხდება, დაიწყო დიდი მუშაობა ბავშვთა სპორტის ასალორძინებლად. რა ვუყოთ, თუკი ეს სასიამოვნო ცვლილებანი ჯერ ვერ ასახა მოზარდილთა სპორტის მიღწევებზე. ჩვენ ნუ შევანელებთ ნორჩ სპორტსმუნებთან მუშაობის ტემპს და ადრე თუ გვიან მაკოცხლებელი ტალღები დიდ სპორტამდეც მიაღწევენ, გაამაგრებს მას, ახალ სიტუაციეს შეთებრავს. ჩვენ იმ თვალციმციმა ყმაწვილების იმედი გვაქვს, რომლებმაც ახლებურად უნდა შეატრიალონ მომავალში ქართული სპორტის ჩარხი, დაუბრუნონ მას ძველებური ეშხი და ლაზათი. ამ სასიხარულო პროციესის პარალელურად კვლავ უსუსტეს ადვილად რჩება სასკოლო-ფიზკულტურული მუშაობა. ფიზკულტურის გაკვეთილი მოწოდებულია აღზარდოს არა მარტო ფიზკურად ჯანსალი თაობა, არამედ ფეხი აადგმეცინოს მომავალ ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს, ჩაუნერგოს დიდი სპორტის სიყვარული. სამწუხაროდ, ფიზკულტურის გაკვეთილმა დღემდე ვერ ჩამოიშორა კონსერვატიზმის ხუნდები, იგი ჩვენი სპორტის გუშინდელს დღეა და ფეხს ვერ უწყობს თანამედროვეობას. მოძველებული სასწავლო ხერხები და მეთოდები სწორედ საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. უკეთეს შემთხვევაში ფიზკულტურის გაკვეთილი სიძულვილით არ აძულებს მოსწავლეს სპორტს, თუმცა არც აყვარებს.

ქართული სპორტი თავისებურ გზაჯვარედინზე დგას. ოდესღაც ურყევი და შეუვალი ჭეშმარიტებანი, რომლებიც ძირითადად თვითნაბადი ნიჭის განვითარებასთან და გაფურჩქვნასთან იყო დაკავშირებული, დღეს სამართლიან ექვს ხადებს. ნიჭი ნიჭად, იგი არსად დაიკარგება, მაგრამ თითო-ოროლა ვარსკვლავის იმედით ჩვენი მტერი იყოს. თანამედროვე სპორტი აღარ არის ცალკეული სპორტსმენების სასპარეზო. მავალითად, ისეთი მასშტაბის შეჯიბრებაში წარმატების მიღწევა, როგორც საკავშირო სპორტაკადემია მარტო მრავალრიცხოვან, ორგანიზებულ სპორტსმენ-კოლექტივისტებს ძალუძთ. ჩვენ გვინდა წერილი დაკავთვროთ იმით, რაზეც შესავალში ვლაპარაკობდით: მალაღანეთიარებული სპორტი ამა თუ იმ ქვეყნის ძლევამოსილების, სიჯანსაღის, ხალხის, მიზანსწრაფულობის გამომხატველია.



# პედაგოგია

## ფერისცვალება

შორეულ პროვინციაში ცხოვრობდა.  
 ლექსებს წერდა და ლექსებს კითხულობდა.  
 ცოცხალი პოეტი თვალთ არ ენახა.  
 ყოველი პოეტის ყოველი ლექსი წაკითხული ჰქონდა.  
 ბევრი ზეპირადაც იცოდა.  
 პოეტები, თანდათან ხარისხის მიხედვით დაალაგა.  
 საკმაოდ დიდი აუდიტორია შეიკრება.  
 პირველ რიგში ერთადერთი ახოვანი მოხუცი იჯდა და  
 თავის ჰალარა წვევს ეალერსებოდა.  
 მეორე რიგი და მესამე რიგი ცარიელი იყო.  
 მეოთხე რიგში შავგვრემან ქალიშვილს რამდენიმე ქალიშვილი უმშვენებდა მხარს.  
 მეხუთეში ბევრი თავისუფალი ადგილი ჩანდა.  
 მეექვსეშიც ხალვათობა იგრძნობოდა.  
 მეშვიდე რიგში აქა-იქ მოჩანდა თავისუფალი სკამები.  
 მერვე თითქმის გაჭედული იყო.  
 შუა რიგებში დიდი სიმკიდრევე შეიმჩნეოდა.  
 მეოცედან ისევ შემჩნებულ რიგები იწყებოდა.  
 ბოლო რიგში ორად ორი ასაკში შესული მამაკაცი იჯდა —  
 ცალ-ცალკე,  
 დამღურებულბივით.

2

სკოლა დაამთავრა.  
 დედაქალაქში წასასვლელად მოემზადა.  
 ყურადღებით გადაავლო თვალი დარბაზს.  
 შუა რიგებში რამდენიმეს ადგილი მოუნაცვლა.  
 ორიოდ უკან გადასვა.  
 ერთხელ კიდევ გადაათვალიერა მენდლეევის ცხრილივით დაზუსტებულ აუდიტორია და  
 დედაქალაქში ჩამოვიდა.

3

ცოტახნის შემდეგ მწერალთა კავშირში მოკრძალებით შეაბიჯა.  
 კლუბშიც მორიდებით შევიდა და  
 ბოლო რიგში ფრთხილად დაჯდა.  
 გარემოს თვალი შეაჩვია და  
 წინა რიგები მოათვალიერა.  
 გაოცდა.  
 ეგონა,  
 სხვაგან მოვხვდიო.  
 პირველ რიგში რომ ჰალარა მოხუცი ეგულეობდა,  
 ვერასვხით ვერ მოძებნა.

ვერც მეოთხე რიგის შავვრემანი ქალიშვილი იპოვნა.

წინა რიგებში ნემსი არ ჩაეარდებოდა.

პირველ რიგში ისეთ სახეებს მოჰკრა თვალი,

შუა რიგებში რომ ძლივს აჩერებდა.

ერთი ისეთი პროფილიც შეიცნო,

რომელსაც დარბაზში არ უშეებდა საერთოდ.

პირველი რიგიდან რომ დაბალი ტიპი წამოუხტა,

ხმის ამოღებას ვერ უბედავდა მანამდე.

მეორე რიგიდან რომ ჭარმაგი მამაკაცი აუყვირდა,

ღმერთო, შეუწდე და, —

დიდუბის პანთეონში ეგულებოდა.

მისი მეზობელი კი,

მუნჯი რომ ეგონა,

ისე გაჰკიოდა,

გაუჰვირდა, —

ამის ხმა რატომ სახლში არ მესმოდაო.

რამდენიმე წინა რიგოსანი თავის გვერდით შეიცნო.

ზოგიერთი ძლივს მოჰებნა შუა რიგებში.

შუა რიგებში ხალვათად ისხდნენ.

წინა რიგებად და ბოლო რიგებად გაყოფილყო აუდიტორია.

4

მალე შეჩჩვია მწერალთა კავშირს.

კლუბშიაც უფრო თამამად შედიოდა.

დარბაზში რამდენიმე უცნობ სიფათსაც გადაეყარა, —

მკვდარი სულელები აღმოაჩინა.

მკვდარ სულელებსაც შეაჩვია მზერა.

აქეთ-იქით აღარ აცეცებდა გაოცებულ თვალებს.

ბოლო რიგში მშვიდად იჯდა და

მშვიდად ათვლიერებდა ნაცნობ მხრებსა და

ნაცნობ ზურგებს.

ყოველ ხმას სცნობდა.

ყოველი ხმის ადგილი ზუსტად იცოდა.

5

ერთხელ კლუბის კარებთან ნაცნობ მოხუცს შეეჩხვა.

გაუჰვირდა:

ამას აქ რა უნდაო!

ნაცნობმა მოხუცმა ძველი აუდიტორია გაახსენა.

6

იმ ღამეს ძილი გაუტყდა.

დიდხანს ფიქრობდა.

სიჭაბუკე მოაგონდა.

მოაგონდა ძველი აუდიტორიაც.

პირველი რიგი და ბოლო რიგი ცხადად წარმოუდგა თვალწინ.

სხვები კი ვერასგზით ვერ გაიხსენა.

ამაოდ ეცადა.

— უნდა დამენომრა!

რიგებიც უნდა დამენომრა და

პოეტებიც უნდა დამენომრა! —

სინანულით გაიფიქრა და —

მეორე საღამოს —

ბოლო რიგიდან ფრთხილად გადაჯდა ბოლოსწინა რიგში.

8. ჯამახანძი.



უკიდურეს ჩრდილოეთში, ტუნდრასა თუ არქტიკულ უდაბნოში, აგერ იქ ჩრდილო-ყინულოვან ოკეანესთან, ერთი სიტყვით, სადღაც, უკაცრიელ, დაუსახლებელ ადგილას, ტყეში, ქართველი გეოლოგები ქართულ სახლს გადააწყდნენ?

როგორც თქვენ არ გჯერათ ეს ამბავი, ისე არ დაუჯერეს თვალებს ქართველმა გეოლოგებმა და გულისფანქვალთ მიადგნენ ჭიშკარს.

— მიინძელო!..

ეს თუ ვერ წარმოიდგინეთ, აბა იმასაც ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული იყო, როცა კარები ქართველმა კაცმა გააღო და ჩვეული ქართული სტუმართმოყვარეობით გამოეგება სტუმრებს.

დატრიალდა დიასახლისი, შემოუწყო კეცები ბუხარს, მოხადა ჭურებს თავი მასპინძელმა, აწიშინდა მყალზე ირმის მწვადი, ახადა ჭერი „ჩვენი მასპინძლის სასახლემ“.

— საიდან სადაო, კაცო?... — ჰკითხეს სტუმრებმა ამ დაუსახლებელ ადგილზე დასახლებულ თავისი მიწაწყლის კაცს.

— რა გიკვირთ, აქ ჩვენს გარდა, აგერ, ათ კილომეტრში, კიდევაც, ერთი ქართული ოჯახი!

— რას ლაპარაკობ! — გაეხარდათ თანამემამულეებს, — სად არიან, კაცო, შერე, რატომ არ უძახი?

პურმარილიანი და გულკეთილი მასპინძელი უცბად მოიღუპა:

— ვემღურით ერთმანეთს!

ტ ა შ ი

ტაში რომ არა, რამდენ ხიფათს აცდებოდა კაცი!

ჩვენს სოფელში სწრაფად, იაფად და... მოკლედ, როგორც იყო, აშენდა, ავ თვალს რომ არ დაენახებოდა, ისეთი კლუბი. კლუბი კი არა სასახლე, რომლის გახსნაზე მიწვეული იყვნენ სოფლიდან უგზოუკვლოდ დაკარგული და შემდეგ აქა-იქ ქალაქში გამოჩენილი ჩვენი კუთხის მოწინავე ადამიანები. მათ შორის მეც.

ძალიან გული დამწყდა, რომ საპატიო მიზეზით (სასწრაფოდ ერთ სახელდახელო რომანს ვწერდი) კანტორის სასახლის საზეიმო გახსნას ვერ დავესწარი. მაგრამ, როგორც კი მომეცა საშუალება და ცოტა ჰონორარიც (საშუალება, რატომღაც ყოველთვის შემოდევქვ, რთველის დროს გვიჩნდება ხოლმე ქალაქელებს), მაშინვე სოფელს მივაშურე და, რასაკვირველია, სასახლეს მოვიჩახულე.

ენახე, მარა ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა ახალთახალი შენობა... ნანგრევებდა იყო ქვეული:

თვალებს არ დაუჯერებდი, მაგრამ იმ ხნის კაცისათვის როგორ არ დამეჯერებინა.

— გამარჯობა, ბიძია სერაპიონ! — მივესალმე დარაჯს.

— კაი გამარჯობა ბიძია, შენი!

— ჩვენი სოფლის ახალი კლუბი ესაა?

— კი, ესაა.

— რა მოუვიდა მეთქი?

— საზეიმო გახსნის დღეს ტაშით დაინგრა!

გ. ნიშნიანიძე.

მწერალ ჯორჯავაძე შამ-შამაძის ლექსიკონი

(გაბრძმლებია)

რიონ დე უნიერო — ქალაქი მდინარე რიონზე — ქუთაისი. განსაკუთრებით გაითქვა სახელი, როგორც ფეხბურთისა და ყავის სამშობლომ.

ნერბი — რუს. ნუ დარბიხარ.

ნესვი — რუს. ნუ სევამ ამდენს.

ნისბი — ნუ ხრი თავს ასე დაბლა.

ნიახური — რუს. ნუ გაახურე.

კაკალი — რუს. როგორ არის ალი (მუჰამედ ალი, იგივე კასიუს კლეი).

ჰომოლექსუალისტი — (ბერძ. homos მსგავსი და ქართ. ლექსუალისტი ე. ი. მელექსე). გადა-  
შენების პარას მისული არსება. აქა-იქ მაინც გვხვდება. ერთი ჰომოლექსუალისტი უნა-  
ხავთ ჩვენშიაც.

წყობილწსიტყვაობა — პორნოგრაფიული რომანი.

ბონდის ხილი — ცნობილი სუპერმენის ჯეიმს ბონდის ხილი იმერეთში, მდინარე ყვირილაზე.

კუნელი — ნელი კუ.

ფითი — კერძია ერთგვარი.

უარყოფითი — ე. ი. არ ჭამა, უარყო ფითი.

უარყო ფითი — ე. ი. ფითი ჭამა, მაგრამ არაყი არ დააყოლა: უარყო ფითი.

ქიშმიში — შახი ჩემს მიხეილ ტალს!

ნაშრომი — ჩვენი რომი.

ნიკაბი — კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდან.

ნავი — გთხოვთ, მომმართოთ თქვენობით.

პატენტი — შენ ხარ ჩემი პატონი

ყურმხალი — კაცი, რომელსაც ორივე ყური სალი აქვს.

დათვის ბელი — თეთრი დათვი.

მოზაიკა — კაცი, რომელსაც ენა ებმის

სოლისტი — ლისტის ნაწარმოების შემსრულებელი.

ნუფრი — აჰა, ჩახეთქე!

ტუში — მეხანძრეების გასამხნეებელი შეძახილი.

ზიარტურჟელი — ყანწი.

ტუფლიონკა — უცხოური ფეხსაცმელი.

ლექსიკონი დასაბუთად მოაგზავლა ტია-ტია

გაგრძელება იქნება



გარეკანის მეორე და მესამე გვ. გ. ლლონტი: „შემოდგომა“, „შესვენებაზე“. სერიიდან  
„ხუთწლედის გმირები“.  
ფოტორეპროდუქცია თ. არჩვაძისა

ჟექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

---

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. შვ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 98-17-68.

---

გადაეცა ასაწყობად 24/XII-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/II-76 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 4619. უე 00637. ტირაჟი 31.000.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# სუთნადის გეირები

საქართველოს  
საბავშვო გამომცემლობა





6 701  
ფასი 60 ლა.  
6

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236